1970
2015

ტექსტების და
კონტექსტების
ჟურნალი

№1 (19)

იანვარი, 2015 წელი
ფასი 2,5 ლარი

ახალი ტექსტი

ნომრის ავტორები
დათო ქარდავა & ჰაინერ მიულერი

პოეზია
დათო ყანჩაშვილი
ლაშა ჯაიანი
კატო ჯავახიშვილი
გოჩა სხილაძე

პროზა
მარიკა მამალაძე
თორნიკე გოგნიაშვილი

კრიტიკა & ფოლკლორი
ლელა კოდალაშვილი „ჯაზის ყვავილობაზე"
თეა თოფურია დიალექტურ კორპუსზე



ახალი თარგმანები
ჩესლავ მილოში

არტი
ზაზა ფირალიშვილი
ფარჯიანზე და ბულაძეზე

ბორის გროისი
ინსტალაციის პოლიტიკაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟურნალი „ახალი საუნჯე“ 2015 წლიდან
შეგიძლიათ გამოიწეროთ ელვა.GE-ზე

3 ნომერი – 6 ლარი
6 ნომერი – 12 ლარი
9 ნომერი – 18 ლარი
12 ნომერი – 22 ლარი

მის.: ქ.თბილისი, იოსებიძის ქ.49

elva@elva.ge

ტელ.: (+995 55 32) 2-38-26-74; 2-38-26-73;
2-38-26-76; (+995 55 32) 38-08-774

საქართველოს კულტურისა
და ძეგლთა დაცვის
სამინისტრო

ჟურნალი გამოდის საქართველოს
კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს
მხარდაჭერით

ეწეკალთა
სანლი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნომრის ავტორები

დათო ქარდავა (ჯიმშერ რეხვიაშვილი)

ეკა ქევანიშვილი – თავისუფლება ჩრდილში 3
დათო ქარდავა – ესავის ხელები (მოთხრობა) 9
დათო პაიჭაძე – დათო ქარდავას თხრობის ფიზიკა 21
ჯიმშერ რეხვიაშვილი – ხეები და ადამიანები 22

ჰაინერ მიულერი

ბიოგრაფია 25
ლაშა ბულაძე – ჰაინერ მიულერის ნევროტული პოეტიკა 26
ჰაინერ მიულერი – ლექსები (გერმანულიდან თარგმნა ლულუ დადიანმა) 27
პაულ მ. ვაშკაუ – მოსაზრებები ჰაინერ მიულერის ფენომენის შესახებ (გერმანულიდან თარგმნა თამარ კოტრიკაძემ) 30
ჰაინერ მიულერი – ბრძოლა (პიესა) (გერმანულიდან თარგმნა ლულუ დადიანმა) 35

პოეზია

დათო ყანჩაშვილი 41
ლაშა ჯაიანი 44
კატო ჯავახიშვილი 46
გოჩა სხილაძე 49

პროზა

მარიკა მამალაძე – ადგილი 51
თორნიკე გოგნიაშვილი – ექიმი; ლუტეცია 59

1

2

3

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრიტიკა & ფოლკლორი

ლელა კოდალაშვილი – „საქართველოში დალევა ხომ ნაღდი ჯაზია“, ჰოდა, ეს რომანიც ნაღდი ჯაზია 62
თეა თოფურია – „სიზმარ ნახ პაპათ ბერიზემ“ – ბეწვზე გადარჩენილი ლექსები და ამბები 65

4

ახალი თარგმანები

ჩესლავ მილოში – პოზიცია
(ფრაგმენტები ცხოვრებიდან და წერილებიდან)
(მოამზადა ამბროსი გრიშიკაშვილმა) 69
ჩესლავ მილოში – ლექსები
(პოლონურიდან თარგმნა ზვიად რატიანმა) 73

5

არტი

ზაზა ფირალიშვილი – ინტერპრეტაციები 76
ბორის გროისი – ინსტალაციის პოლიტიკა
(ინგლისურიდან თარგმნა
ლილი ფუერსტინოვ-ხოსიტაშვილმა) 88

6

გამომცემლობა – „საუნჯე“
მის.: ალ. ყაზბეგის 32/34
ტელ.: 2141214, 2395587, 2397188
Skype: saunje_saunje
ელ–ფოსტა: saungeo@gmail.com
Facebook: გამომცემლობა საუნჯე/Saunje publishing http://www.facebook.com/saunjee
www.saungeo.ge

პროექტის ავტორი:
ვაჟა წოწკოლაური

მთავარი რედაქტორი:
შოთა იათაშვილი

რედაქტორი-სტილისტი:
ლელა კოდალაშვილი

დიზაინი და დაკაბადონება:
ნიკა ხვედელიძე

სარედაქციო კოლეგია:
დავით ანდრიაძე
გია ეძგვერაძე
დათო ტურაშვილი
ეკა ქევანიშვილი
ზაზა შათირიშვილი
დავით ჩიხლაძე
გია ხალური

ნომერზე მუშაობდნენ:
დათო ქარდავა
ჯიმშერ რეხვიაშვილი
ეკა ქევანიშვილი
დათო პაიჭაძე
ლაშა გულაძე
ლულუ დადიანი
თამარ კოტრიკაძე
დათო ყანჩაშვილი
ლაშა ჯაიანი
კატო ჯავახიშვილი
გოჩა სხილაძე
მარიკა მამალაძე
თორნიკე გოგნიაშვილი
ლელა კოდალაშვილი
თეა თოფურია
ამბროსი გრიშიკაშვილი
ზვიად რატიანი
ზაზა ფირალიშვილი
ლილი ფუერსტინოვ-ხოსიტაშვილი

1 ნომრის ავტორები

თავისუფლება ჩრდილში

ეკა ქევანიშვილი



დათო ქარდავა (ჯიმშერ რეხვიაშვილი)

30977

დათო ქარდავა, ის, ვინც მოთხრობებს წერს.

ჯიმშერ რეხვიაშვილი, ის, ვინც დათო ქარდავა დაირქვა.

ჯიმი – ჩემი კოლეგა და თანამშრომელი, რომელიც იმ ორზე მიყვება.

ესე იგი, რა გამოდის, რომ ერთხელ, ერლომ ახვლედიანის ვანო და ნიკოსი არ იყოს, ჯიმიც რამდენიმე იყო, კონკრეტულად კი, სამი. ჰოდა, ახლა სწორედ მათზე ვწერ. პირველი ორი ჩემთვის ცოტა განყენებულად არსებობს: მწერალი დათო ქარდავა, რომლის პროზაულ ნაწარმოებებს ხან წიგნად და ხანაც ლიტერატურული პერიოდიკის ფურცლებიდან ვეცნობი, ავტორი, რომელსაც ვკითხულობ.

ჯიმშერ რეხვიაშვილი, ჟურნალისტი, რომლის სტატიებსა და რეპორტაჟებს ვკითხულობდი და ვისმენდი და ახლა ხომ, თავისთავად. ლამის ზეპირად ვიცი, რადგან თათბირზე ერთად ვსხედვართ და დღეს ერთად ვგეგმავთ.

და ბოლოს, ისევ ჯიმი, რომელთან ერთადაც შესვენების დროს ჩვენი რადიოს სამზარეულოში ვსადილობ ან რამე საჭირბოროტო ამბავს ვარჩევ. ეს პირველი შემთხვევაა, როცა ერთზე ვწერ, ის კი – სინამდვილეში სამია.

...

ჯიმის შავი, ნარინჯისფერჩირაღდნიანი მიკროფონი უჭირავს და მასალაზე მიდის. ეს ჩირაღდანი რადიო თავისუფლების სიმბოლოა. მიკროფონიც – შესაბამისად. რა ხმებსაც იმ დღეს მოაგროვებს, ის საღამოს ეთერში გავა. ამ დროს უკვე ჯიმი, სავარაუდოდ, რუსთავის გზაზე იქნება. სახლისაკენ მიმავალმა, შესაძლოა, რადიო თავისუფლების საღამოს პროგრამასაც მოუსმინოს. თან, შეიძლება, ტელეფონში ჩამოწერილ წიგნსაც კითხულობდეს. რომელიმე ჯიბეში იქნებ ქინდლიც უდევს, ხოლო მხარზე გადაკიდებულ ჩანთაში – ბუკინისტებთან ნაყიდი საუკუნის წიგნიც აღმოუჩინოთ. შინ მეუღლე და, არც მეტი, არც ნაკლები, ოთხი ვაჟი ელოდება. ჯიმის სახლში დაგვიანება არ უყვარს, წინ შორი გზა აქვს ხოლმე. ეს დღევანდელი ამბებია, სურათი – აწმყოდან, თუმცა, ჯიმი-ჯიმშერ რეხვიაშვილი-დათო ქარდავას ამბების თხრობა იმ დღიდან უნდა დავიწყო, ოჩამჩირის სამშობიაროში კინაღამ აფხაზებმა რომ იშვილეს.

საქართველოს პარლამენტი ეროვნული ბიბლიოთეკა

აფხაზეთი

ამ ამბავს დღემდე იხსენებენ მის ოჯახში. ჯიმი ოჩამჩირეში გაჩნდა. დედის მშობლიურ მხარეში. იმ ღამით, სამშობიაროში, კიდევ ერთი, ორმოცს გადაცილებული აფხაზი ქალი ელოდა დიდი ხნის ნანატრ შვილს. მთელი ნათესაობა საავადმყოფოს ეზოში შეკრებილიყო. ღელავდნენ. აფხაზ ქალს გოგონა შეეძინა. გაჩნდა ჯიმშერ რეხვიაშვილიც. მაგრამ როცა დედას ჩვილი მიუყვანეს, აფხაზმა ქალმა თურმე შეიცხადა, მე ვაჟი გავაჩინე და შემიცვალესო. ექიმი რომ არ გასულიყო და ეზოში შეკრებილი აფხაზებისთვის სიმართლე არ ეთქვა, შესაძლოა, კიდეც ეტაცათ ჩვენი ჯიმისთვის ხელი და თან წაეყვანათ: „სულ მიფიქრია, რა მოხდებოდა, აფხაზებს რომ წავეყვანე და იქ გავზრდილიყავიო“, – ამბობს დღეს. ამ ამბით იწყება კიდეც დათო ქარდავას ცხოვრება. ამბებით, რომლებიც აფხაზეთში, იმ ადგილას ხდებოდა, სადაც ახლა აფეთქებული სახლის ნანგრევებილაა დარჩენილი. აფხაზეთი, როგორც ბავშვობის ზღაპარი და საუკეთესო მოგონებების დრო – ასე ჩარჩა დედულეთი ჯიმის მეხსიერებაში. ალბათ, ამიტომაცაა, რომ იქაურობაზე მოსაყოლიც ბევრი აქვს და გასახსენებელიც – „რაღაც ნაწილით იქითაც ვარო“. აფხაზების მიმართ განსაკუთრებული პატივისცემა დღემდე გამოჰყვა.

„სიზმარშიც ბევრჯერ ვყოფილვარ აფხაზეთში, რალაც მტრულ გარემოში მოვხვედრილვარ და შიშიც მიგრძვნია სიზმარში, არ ესროლათ ან რამე, მაგრამ არ მახსოვს, როდესმე ცუდად დამთავრებულიყოს ეს სიზმარი“.

ომის დაწყების ზაფხულს ბოლოჯერ ჩავიდა თავის სოფელში. ივლისში ჩასულმა, აგვისტოში ბეწვზე გამოასწრო. მაშინ ვერც კი წარმოიდგენდა, რომ გავიდოდა ბევრი წელი და უკან ვეღარ დაბრუნდებოდა. ასე ნელ-ნელა გაქრებოდა მათი სახლი, მათი ეზო, მათი სოფელი. სწორედ იქ, ღალიძგასთან ახლოს გავარდა პირველად ტყვია. იქვე იყო სოფელი ოხურეიც. მათ დიდ ეზოში ხშირად იკრიბებოდნენ მეზობლები და ახლობლები. თავისი სახლი და ეზო, ცხადია, ყველას ჰქონდა, მაგრამ მაინც ჯიმის ბაბუის სახლისკენ მიუწევდათ გული. რადგან ბავშვობიდან ზაფხულის ყველა არდადეგებს პირველივე დღეებიდან იქ ატარებდა, მეგრულსაც ისევე სწავლობდა, როგორც ქართულს – სულ რომ გესმის და იმახსოვრებ. ჯიმი იხსენებს, როგორც კი სწავლა დამთავრდებოდა, ერთი სული გვქონდა, როდის გავაღწევდით რუსთავიდან, ამ ხაკისფერი, თიხისფერი, გახუნებული ქალაქიდან. როდის ჩავსხდებოთ მატარებელში, როდის დავიძინებდით რელსების დაგადუგის ხმაში, რომ მეორე დილით, აფხაზეთისაკენ მიმავალ გზაზე სულ სხვა, მწვანე სამყარო აღმოგვეჩინაო.

„განსაკუთრებით მახსოვს გალიდან ოჩამჩირისაკენ მიმავალი გზა, მწვანე ეზოები, ბალახი, გვიმრები, დილის ნამი და ცვარი, და გულიც მატარებლის ბორბლებივით ბრაგუნობდა, ხელით უნდა დაგეჭირა. ეს იყო ზღაპრული სამყარო. დღეს „დისქავერიზე“ რომ ვუყურებ, ასეთი იყო ჩემი სოფელი, მწვანე საფარით მდიდარი, მდინარეებითა და ღელეებით სავსე“.

ოხურეის აფხაზური სოფლები ესაზღვრებოდა. ჯიმის ბაბუამ აფხაზური ენა ისევე იცოდა, როგორც მეგრული ან ქართული. მისი სამივე და აფხაზზე იყო გათხოვილი. როცა ის გარდაიცვალა, ერთ-ერთ სიძეს მისი სიკვდილი ვერც გაუმხილეს, იდარდებს და ვერ გადაიტანსო. ასე უყვარდათ და ასეთ პატივს სცემდნენ თურმე ერთმანეთს. მეზობელ სოფელში მცხოვრებ აფხაზს ეძახდნენ სოფლის სალოცავზე რიტუალების შესასრულებლად. ის კითხულობდა ლოცვებს, აკეთებდა საკურთხს და, ფაქტობრივად, მღვდლის მოვალეობასაც ის სრულებდა.

ჯიმშერს დღემდე ახსოვს ეს შეხვედრები. სწორედ ამ მეგობრობას გადაურჩენია მისი ბიძაც, რომელიც ომის დროს მძევლად აიყვანეს. ომის დაწყებიდან ექვსი თვის შემდეგ ოჯახის მეგობარმა აფხაზმა მოძებნა თურმე და სამშვიდობოს გამოაპარა.

ქარდავების სახლი (ანუ ჯიმის დედის და ბაბუის და მათი ოჯახის) ომის პირველივე დღეებში ააფეთქეს.

„რას შევადარებდი ამ ტკივილს? წარმოუდგენელი რამეა, ეს ისაა, რასაც ვერასოდეს შეეგუები. ხანდახან მიფიქრია, იქ რომ დღეს წამიყვანოს ვინმემ, და დამაყენოს გადასახვევთან, სადაც საჩაიე იყო, მერე კი ჩემი სახლი გამოჩნდებოდა ხოლმე, აი, მაგ ადგილას რომ დავდგე, შეიძლება იმწუთში მოვკვდე. ადამიანს რომ რაიმე მძიმე ტრავმა შეემთხვევა, გაიღვიძებს და ხელ-ფეხი არა აქვს, ვერ ეგუება ამას ვერაფრით. შეიძლება უცებ წაიღოს ხელი რაღაც ნივთის ასაღებად, სწორედ ის ხელი, რომელიც არა აქვს. აი, ამას ჰგავს ეს შეგრძნება. ისიც კი გვიფიქრია მე,

ჩემს ძმას და ჩემს მშობლებს, იმდენად საიმედო ადგილი იყო, ისეთი ურთიერთობები გვქოდა, რამე ცუდი რომ მოხდეს სადმე, აი, ეს ადგილი ხომ გვაქვსო. თუმცა, აღმოჩნდა, რომ ეს ჩვენი სამოთხე ჯოჯოხეთის ცენტრად იქცა“.

ის სამი თვე კი იყო სამი თვე ზღაპარში. ცურვა გინდოდა – გარშემო სულ მდინარეები იყო. ტყეში ბოდიალი და ქოხების შენება? თევზაობა თუ სოკოზე სიარული, თუ ფეხბურთის თამაში ხასხასა მინდვრებში? რა პრობლემაა. ჯადოსნური ატმოსფერო იყო, ცოტა მისტიკით გაღეჟენთილი ჰაერიც, მეგრული მითოლოგიით შეზავებული. ასეთი იყო ბავშვობა აფხაზეთში. ჯიმი იხსენებს, მართლა გვჯეროდა, რომ წყალში არ უნდა დაგვღამებოდა, რადგან საოცარი სილამაზის წყლის დედა მოვიდოდა, დაგიძახებდა, წყალში ჩაგიყვანდა და მოგიტაცებდა. ტყეში თუ დაგიღამდებოდა, სული ან ოჩოკოჩი შეგხვდებოდა, ჭინკების ხომ სჯეროდათ და სჯეროდათ.

„იმასაც ამბობდნენ, ჭაობში რომ ჩააფურთხო, მუცელში კუ გაგიჩნდებაო. ცუდად თუ გავხდებოდით, ბებია შეგვილოცავდა ხოლმე. ბუხრის წინ ვიყრიდით თავს. იქ ჰყვებოდნენ ათასგვარ ამბავს. ასეთი იყო ჩვენი დიდი სახლი, სადაც ყველა ვეტეოდით და რომელიც ომის დროს ააფეთქეს“.

დღეს, როცა იქაურობა ასე შორსაა და მიუწვდომელი, ჯიმის კი, როგორც ჟურნალისტს, ვინ მოთვლის, რამდენი რეპორტაჟი გაუკეთებია აფხაზეთზე, ვლაპარაკობთ გამოსავალზე. უფრო სწორად, დაბრუნების შესაძლებლობაზე. არსებობს კი ასეთი გზა?იარსებებს, თუკი ადამიანური ურთიერთობები აღდგება, ფიქრობს ჯიმი. თუკი ფიზიკურად მისვლას შევძლებთ – ტურისტებად იქნება ეს თუ ვიზით, თუ რითიც გინდა, მთავარია, იმ მიწაზე ფეხის დადგმის შესაძლებლობა მოგვეცესო:

„სულ მგონია, რომ სანამ ამ ტერიტორიულ მთლიანობაზე დავიწყებთ ლაპარაკს, რაღაცნაირად, ეს კედელი უნდა გალღვეს ადამიანებს შორის. ასე მგონია, მერე კიდევ უფრო ძნელი გახდება ერთმანეთის გაწირვა და ცუდი რაღაცების გაკეთება. წინ გაიხედავს ყველა, რაღაცას ჩვენ დავთმობთ, რაღაცას ისინი და აღდგება ეს ურთიერთობა. ოღონდ რამენაირად ჩასვლა შეიძლებოდეს, უსაფრთხოდ. ისე, რომ ადამიანებმა შეხედონ ერთმანეთს, ის ხალხი ნახონ, ვისთანაც ახალგაზრდობა გაატარეს. მე მგონია, ჯერ ეს ცოცხალი ორგანიზმი უნდა გაცოცხლდეს. ვისი იქნება ეს ცოცხალი ორგანიზმი, ან რა გამოვა საერთოდ აქედან, ეგ კიდე ცალკე სალაპარაკოა, მთავარია, რომ ეს მკვდარი გაცოცხლდეს“.



ჯიმი, ჯეიმსი და ბაირო

დათო ქარდავა ნახევრად და მხოლოდ ამ ფსევდონიმის მიღმაა მეგრელი, თორემ სინამდვილეში მისი ფესვები რაჭიდან მოდის. რეხვიაშვილები სოფელ ურავში დღესაც ცხოვრობენ. მეორე მსოფლიო ომის წინ იქ დარიშხანის საბადოები აღმოაჩინეს და ნაწილი ლაგოდეხში გადაასახლეს, ზოგიც აფხაზეთში. ჯიმის ბაბუა ძმებთან ერთად კახეთში გადასახლდა. კახეთში დაიბადა ჯიმის მამა, რომელიც ოჩამჩირელ ქარდავას – ჯიმის მომავალ დედას, რუსთავში შეხვდა. ქალაქში, სადაც მაშინ ხანდაზმულ ადამიანს ვერ ნახავდი – ახალი ქალაქი მიზიდულობის ცენტრივით იყო, სულ ახალგაზრდები ცხოვრობდნენ.

ჯიმის ბებიას, სანამ ჯიმის მამა დაიბადებოდა, ორი შვილი დაღუპვია. მესამეს რომ ელოდა, მკითხავთან წასულა, ეგებ რამე მირჩიოსო და იმასაც ბავშვისთვის მუსლიმური სახელის დარქმევა ურჩევია. ასე დაარქვეს ჯიმის მამას ბაირამი, მოფერებით კი – ბაირო. ხოლო როცა ბაირამსაც შეეძინა ორი ვაჟი, იმ ძველი ცრურწმენის და ბებიის დაჟინებული თხოვნის შედეგად, შვილებსაც მუსლიმური სახელები დაარქვა ჯიმშერი და ჯემალი – საახლობლოში – ჯიმი და ჯეიმსი.

„მამაჩემი რომ პირველად სამეგრელოში ჩავიდა და იქაურებს გაეცნო, როგორც ბაირო, მეგრელებმა ბატონო ბაირონო, ასე მიმართეს. იქაურებისთვის უცნაური სახელები ახალი არ იყო. იქვე, მეზობლად ტრაქტორისტი გვყავდა, რომელსაც ვაგნერი ერქვა და მაშინ ამაზე ძალიან ვხალისობდით. ასე იყო თუ ისე, დავრჩი ჯიმშერ ბაირამის ძედ“.

წყვდიადში მოსული წიგნები

იმ ჯადოსნური სამი თვის გარდა, იყო დანარჩენი თვეები, რომლებიც სწავლისთვის უნდა შეეწირა. შეეწირა იმიტომ, რომ მეექვსე კლასამდე სწორედ მშობლების ხათრით და რიდით სწავლობდა. მაგრამ მერე ისე მოხდა, რომ მოულოდნელად ჯიმი ავად გახდა. ავადმყოფობის

პერიოდი დაახლოებით ერთ წელს გაგრძელდა. ამან თითქოს რაღაც შეცვალა – სივრცე შეიზღუდა და საკუთარ თავში ჩასაღრმავებლად მეტი დრო გაჩნდა. მაშინ გაჩნდა წიგნებიც, ოღონდ არა მხატვრული ლიტერატურა, არამედ მათემატიკა, ფიზიკა. ასე უცებ გამოიკვეთა ახალი ინტერესი, ახალი მიზანი, სადღაც ნობელის პრემიის აღების ოცნებაც რომ ახლავს. არა, ცოტა მხატვრული ლიტერატურის ამბავიც იყო, სწორედ მაშინ წაიკითხა თურმე გურამ ფანჯიკიძის რომანები, სადაც მათემატიკოსი და ფიზიკოსი გმირების რომანტიკული ხატი იყო დახატული. მოკლედ, უნივერსიტეტში, ფიზიკის ფაკულტეტზე ჩააბარა. მერე იყო ჯერ კიდევ საბჭოთა ჯარი, საიდან დაბრუნების შემდეგაც სულ სხვა ქვეყანა დახვდა. 80-იანების ბოლო არეულობა, ეროვნული მოძრაობა. ვინღა დადიოდა ლექციებზე. საბჭოთა კავშირიც ინგრეოდა.

„ის ფიქრები, რომ კარგი ფიზიკოსი გამოვიდოდი და ა.შ. მალევე გაქრა. სწავლასაც ხელი დავაკელი, უნივერსიტეტშიც გამქრალი იყო სწავლის ნაპერწკალი, ბევრმა ჩემმა თანაკურსელმა გამოიცვალა ხელობა. თან ფუნდამენტურ მეცნიერებს სხვა რესურსი სჭირდება, თუნდაც ფინანსური. პერსპექტივა აღარ იყო. ელემენტარულად, თბილისსა და რუსთავს შორის ტრანსპორტი არ მოძრაობდა. ხელობის შეცვლაზე ყველა დავფიქრდით. ეს იყო მართლა დიდი წყვდიადი, შემთხვევითი სამუშაოები – ბლოკის მოჭრა თუ სხვა რამ. როგორც კლასიკოსი იტყოდა, ყველა საუკუნეს აქვს თავისი შუა საუკუნე და მართლა ასეთ პერიოდში, სრულ სიბნელეში ვცხოვრობდი 22-23 წლისა“. იანაზეც დაახლოებით იმ პერიოდში დაქორწინდა. ჯარის შემდეგ, მანამ, სანამ ფიზიკოსობიდან ჟურნალისტიკაში გადაინაცვლებდა.

მშვიდობით, ნობელო

ნობელზე ოცნება საბოლოოდ დამიწდა. ეს ის პერიოდია, როცა ჯიმი დათო ქარდავა ჯერ არ გამხდარა, მაგრამ ქაოსურად ყველაფერს კითხულობს, როგორც თავად ამბობს, „დრო, როცა წიგნები თავად გპოულობენ“. მერე კი შენ მიდიხარ კონკრეტულ ავტორამდე და მის ტექსტებამდე და სანამ ბოლომდე არ ამოწურავ, აღარ ეშვები. წიგნების ამ ორომტრიალში, ერთ დღესაც, კამილო ხოსე სელას „პასკუალე დუარტეს ოჯახი“ წაიკითხა. პირველად შეგრძნებაც – ნეტა ასე ვწერდეო, – მაშინ გაჩნდა. თავად ჯერ არ წერდა. თუმცა, იმის გამო, რომ ქუჩაში მეგობრებთან ხშირად უწევდა ყოფნა, იქ კი ათასნაირ ადამიანს ხვდებოდა და მათ ამბებს ისმენდა, ამ მოგროვილი ამბების მოყოლა უყვარდა. ხელობის შეცვლაც ამას უკავშირდება.

ამ ამბებზე ძალიან ხალისობდა ჯიმის ბავშვობის მეგობარი ბადრი გვარამია, რომელიც მაშინ გაზეთ „რეზონანსის“ ტექნიკური რედაქტორი იყო. ერთხელაც უთხრა, მაინც ტყუილად ზიხარ, დაწერე, რასაც ჰყვები, გაზეთში დაგიბეჭდავ და ჰონორარსაც გადაგიხდიანო. ასე დაიწყო. თავიდან ეს იყო ფელეტონის მსგავსი წერილები უშუქობაზე, უგზოობაზე...ფსევდონიმი დათო ქარდავაც მაშინ გაჩნდა – დათო, ჯიმის პირველი ვაჟის სახელი და ქარდავა, დედის გვარი. გაჩნდა და შერჩა. ამ ფელეტონებიდან მალევე ჯიმშერს ადგილობრივი კორესპონდენტობა შესთავაზეს და მას მერე კიდევ არაერთი წელი წერდა რუსთაველების პრობლემებზე. ეს ხელობის შეცვლა იყო, თანაც მთელი 180 გრადუსით.

გადაწერილი ამბები და პირველი მოთხრობა

გავიდა კიდევ ცოტა დრო და საგაზეთო სტატიების წერა საკმარისი აღარ იყო. მოთხრობა უნდა დაეწერა. თავისი, გამოგონილი, მხატვრული ნაწარმოები.

„თან ბუკოვსკიც მაგ პერიოდში წავიკითხე და მივხვდი, რომ ის ლიტერატურა, რასაც ჩვენ სკოლაში გვასწავლიდნენ, ლიტერატურის პატარა ნაწილი იყო მხოლოდ. და ისედაც, რას გვასწავლიდნენ? რომ მწერალი სამშობლოზე და ამაღლებულ რაღაცებზე წერს, რომ ის ლამის წმინდანია და ზეცა ნიშნავს და ა.შ. ამის გამო იყო, რომ ლიტერატურის და მწერლების მიმართ მოკრძალებასთან ერთად, გაუცხოებაც გვიჩნდებოდა. არადა, ლიტერატურა ხომ შენი პირადი გამოცდილებააცაა, თავგადასავალი, ის, რასაც შენი პირადი ვნებები იწვევს... მოკლედ, წავიკითხე ბუკოვსკი და უცებ მივხვდი,რომ პოეზია და სილამაზე საზოგადოების ნაგავსაყრელზეც შეიძლება იყოს. დამტვრეული, დალეწილი ადამიანები. ფსკერზეც შეიძლება ხდებოდეს საინტერესო ამბები. ასეთი ამბები კი მე უკვე მქონდა, მე ვიყავი თავად ამის ნაწილი და უნდა დამეწერა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1997 წელს ჟურნალი „არილი“ მოძებნა. ყველაზე კარგი რომ ეგონა, ის მოთხრობა აარჩია და დასაბეჭდად გაგზავნა. შემოუთვალეს, რომ თუ კიდევ რამე ჰქონდა დაწერილი, ისინიც გამოეგზავნა. ასე გამოჩნდა დათო ქარდავა „არილის“ ფურცლებზეც.

მოსავალი

მოთხრობები რომ დაგროვდა, პირველი კრებულიც დაიბეჭდა. ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ დასტამბა „ნოეს მტრედები“, ჯიმის სადებიუტო კრებული, რომელიც ლიტერატურულ პრემია „საბას“ შორტ-ლისტში მოხვდა, შემდეგ ისტორიულ-ლიტერატურული კვლევა „ტუალეტში საკითხავი“, ასევე „საბას“ ნომინანტი და ბოლოს „მტკვარი და მისი ორი ნაპირი“, გამორჩეული წიგნი-ალბომი, მტკვრის თავგადასავალი. ამ ორ წიგნს, როგორც ჯიმი მოგვითხრობს, ავტორის გარდა კიდევ სხვა უამრავი თანაავტორიც ჰყავს, სხვა წიგნების ავტორების სახით, რადგან ორივე წიგნში უამრავი ლიტერატურული ციტატაა, უამრავი წიგნიდან.

„მტკვარზე, მაგალითად, იმიტომ დავწერე, რომ გამაოგნებელია შენს ყველაზე ძვირფას საუნჯეს არ უფრთხილდებოდე. აქ ცხოვრობდე, ამაყობდე აქაურობით და თან არ უფრთხილდებოდე. ეს არის მდინარე, რომელმაც თბილისის სახე შექმნა.სანამ ბეტონს ჩაასხამდნენ და გზას გაიყვანდნენ, საოცარი სანაპირო ჰქონდა ამ მდინარეს. ეს ყველაფერი სწორედ ჩვენი დაუდევრობის გამო გაქრა და დღეს რაც დარჩა, იმასაც ვებრძვით...“

ჯიმის, ამ შემთხვევაში კი დათო ქარდავას, ლიტერატურულ წრეებთან მაინცდამაინც ახლო კონტაქტი არა აქვს. საჯარო ყურადღება ჩემზე დამთრგუნველად მოქმედებსო, მეუბნება. ჩრდილში ყოფნისას მეტი თავისუფლებაა – ასე ფიქრობს ჯიმი და „ნოეს მტრედების“ გამოსვლის ამბავს იხსენებს. თურმე ისეთი დისკომფორტი იგრძნო ყურადღებით, რომ ლამის ერთი წელი ვეღარაფერი დაწერა.

„თან ამ მოთხრობებში ნამდვილ ამბებს ეძებდნენ, სააქართველოა, გასაგებია – კონკრეტული ადამიანები ამოიცნეს, უბნელები მირეკავდნენ, ეს პერსონაჟი ხომ ის არისო და ა.შ. მოკლედ, კარგად არ ვიყავი. შესაძლოა იმიტომ, რომ ეს, წერა, ბავშვობიდან არჩეული ხელობა არ არის და მეშინია, ვინც მაქებს და მოვწონვარ, იმას იმედი არ გავუცრუო“.

დათო ქარდავას მოთხრობების პერსონაჟები კი 90-იანი წლების გმირები არიან. რაღაცნაირად, წარსულს მოწყვეტილები, აღარც ფესვი აქვთ, აღარც პერსპექტივა, არ იციან, სად არიან. უფრო ზოგადად კი, რაც აინტერესებს და რასაც ულრმავდება – ადამიანია: „პატარა ადამიანი, რომელიც არ გატყდება, ადამიანად დარჩება, სავალალო ცხოვრებით და ფინალით, მაგრამ მაინც მხნედ არის, ეს მაინტერესებს, როგორ ახერხებს ამას, რომ არც თვითონ დაკარგოს იმედი და არც გარშემომყოფებს დაუკარგოს. და მეორე, ადამიანი, რომელიც გატყდა – როგორ კარგავს ადამიანობას. 90-იანი წლები სულ ეგ პერიოდი იყო, ეგ ორი ტიპის ადამიანი გვხვდებოდა. ომის თემატიკაზე მაქვს ერთი მოთხრობა, სადაც აღწერილია, ჩვეულებრივი ბიჭებს, რომლებიც აქ, ქალაქში არიან კარგები, უყვართ, უხარიათ, მშობლებს პატივს სცემენ და ა.შ. იქ რა ემართებათ, ომში, როგორ სისასტიკემდე მიდიან. ვერც კი დააკავშირებ, რომ ადამიანმა შეიძლება ეს გააკეთოს და ეს ქცევები ჩვენ გვინახავს სამოქალაქო ომის დროს, სხვა კონფლიქტების დროს“.

წერისთვის ჯიმის სხვა წიგნები სჭირდება. ან პერსონაჟი, ან კონკრეტული ამბავი. სხვანაირად თხრობა ვერ დაიწყება. თავისი ოთახიც წერის იდილიის შემადგენელი ნაწილია. ხანდახან წერის დასრულებას ისეთი ემოცია მოაქვს ხოლმე, შეუძლია, სამი საათი გადაბმულად ჰანტელებით ივარჯიშოს. ასეც მომხდარა. შემდეგი ემოცია უკვე ახალი მოთხრობის წაკითხვას და შეფასებებს მოჰყვება. ჯიმისთვის მთავარი მაინც კოლეგების აზრია. არა, ტრადიციულ კრიტიკაში არ აგერიოთ:

„მე ვფიქრობ, რომ მწერალს არ სჭირდება კრიტიკოსები. მითუმეტეს მამხილებელი და ადგილის მიმჩენი კრიტიკა. ეს, ალბათ, საბჭოთა დროს სჭირდებოდათ, როცა მნიშვნელობა ჰქონდა, ვის ერქმეოდა მწერალი. კრიტიკა, შესაძლოა, მკითხველს სჭირდებოდეს. მწერლისთვის კი, ვფიქრობ, მნიშვნელოვანია, ჰყავდეს მკითხველი. თუ ტირაჟი გაქვს – შემოსავალიც გაქვს და გყავს გამომცემელიც. ხოლო ის, რასაც კრიტიკის გავლენას ეძახიან, მე ამას კოლეგების აზრი დავარქვი. თუ მათგან გრძნობ პატივისცემას, მოწიწებას, მოწონებას, ეს შენთვის, როგორც ავტორისთვის ძალიან დიდი სტიმულია“.

თავისუფლება – რადიო თავისუფლებაში

ჟურნალისტიკაშიც – მისთვის მთავარი თავისუფლებაა. ჯიმის გაუმართლა, თავად ფიქრობს ასე – არც „რეზონანსში“ და არც რადიო თავისუფლებაში მუშაობის მანძილზე ეს თავისუფლება არ შეზღუდულა.

„დღეს რომ ვიტრაბახო, რომ ძალიან მყარი შინაგანი კონსტიტუცია მაქვს და სხვაგან არ წავიდოდი და ა.შ. არ ვიცი, მართლა არ ვმდგარვარ ამ არჩევნის წინაშე. სადაც ვმუშაობდი, სტანდარტი და მიუკერძოებლობა არათუ შენი არჩევანი იყო, არამედ მოთხოვნა. აქაც, ჟურნალისტიკაში, ვცდილობ, სათქმელი შემოქმედებითად ვთქვა, ვიღაცას რომ გულზე შეეხოს. თორემ მე ვიცი, რომ მხოლოდ გამტარი ვარ და არა გადაწყვეტილების მიმღები“.

ამბობს, ხანდახან დეჟა ვიუს შეგრძნებაც კი მაქვს, ზოგიერთი მასალა იმდენჯერ მაქვს გაკეთებულიო. მაგრამ ამ მდინარიდან გამოსვლა უკვე რთულია. უკვე სადღაც შუაშია და აღარც ერთი ნაპირი ჩანს და აღარც მეორე. ამიტომაც აგრძელებს და ჟურნალისტიკა კიდევ, ხომ იცით, რაც არის – ამბების მოყოლის პროფესიაა და ამბები კი სულ ხდება და სულ ახალ-ახალი.

წინ რა არის? ვეკითხები ჯიმის. მიზნები, გეგმები. მოთხრობები მოგროვდება და წიგნად შეიკვრება, ეს კი, მაგრამ სხვა? მცირე პაუზის შემდეგ მპასუხობს, რომ მას არა აქვს არც დიდი და არც პატარა მიზნები. უფრო სურვილები – რომ არა ეს ყოველდღიური რუტინა, სიამოვნებით ვიმუშავებდი მხატვრულ თუ დოკუმენტურ ტექსტებზეო.

ბუკინისტებში

რაც ზუსტად ვიცი, რომ უყვარს, ბუკინისტებში შევლაა. ერთადაც რომ არ ვმუშაობდეთ, სოციალურმა ქსელებმა ხომ ინფორმაციული ვაკუუმი საერთოდ გააქრო და სულ ვიცი ხოლმე, რამე საინტერესო თუ იპოვა წინა დღით. თბილისში დაახლოებით ათამდე ბუკინისტს იცნობს და დროდადრო ეწვევა ხოლმე. ზოგი აქეთ ურეკავს, თუ რაიმე საინტერესო ჩაუვარდება ხელში. ზოგი მეძვირეა, ზოგი ნაკლებად. ზოგს თავში წიგნების მთელი კატალოგი აქვს, მაგრამ არ კითხულობს, ზოგი იმით ტკბება, რომ ვიღაც ბიბლიოფილთან აქვს ურთიერთობა.

„ბოლო დროს ჩემი თავი იცი, რაში დავიჭირე? ვყიდულობ ხომ ამ წიგნებს – ახლებსაც და ძველებსაც. ახლები მიგროვდება, წაუკითხავების რიგში ვაყენებ და ძველებს ვკითხულობ. მიზეზი კი ისაა, რომ ახლებს ყველა კითხულობს და ძველებში კი ისეთი ამბებია, რაც აღარ ახსოვს მკითხველს და თითქოს მხოლოდ შენ გაქვს მათი წაკითხვის შემდეგ ისეთი ცოდნა, რაც სხვას არა აქვს. ეს გსიამოვნებს“.

ბუკინისტების პარალელურად კიდევ არის „ინოსტრანნაია ლიტერატურას“ ახალი ნომრები. და ქართული ლიტერატურული პერიოდიკაც. ისიც სულ იცის, რაც თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში ხდება.

„მე არ ვარ სკეპტიკურად განწყობილი ზოგიერთების მსგავსად ქართული თანამედრვე ლიტერატურის მიმართ. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მწერლები რომ წერენ და წიგნები გამოდის, ეს ბუნებრივი პროცესია, რადგან ქართული მწერლობა მართლა თავისუფლების ამარაა დარჩენილი, მწერლები ყოველგვარი მატერიალური სარგებლის გარეშეც ქმნიან ნაწარმოებებს. ეს, სხვათაშორის, „საბაზეც“ ჩანს, რადგან იქ რაღაცნაირად ჯამდება, რაც მთელი წლის განმავლობაში იქმნება. შესაძლოა, ეს არ არის ისეთი ტექსტები, რომ მსოფლიო ლიტერატურის მწვერვალებს იპყრობდეს, მაგრამ მთავარია, რომ ლიტერატურული პროცესი არის. უბრალოდ, კარგი იქნებოდა, რომ მაგალითად, ორი წლის განმავლობაში ნაწერი წიგნის გამოსვლის შემდეგ ავტორებს ერთი თვის სამყოფ ჰონორარს მაინც უხდიდნენ. და სულ ვფიქრობ, ხომ შეიძლება იგივე, იმ „საბას“ შორტ-ლისტში მოხვედრილებისათვის, პატარ-პატარა სტიპენდიები დაწესდეს, როგორც სტიმული, რომ მათ წერის ხალისი ჰქონდეთ“.

დღეს კი,

დღეს ჯიმის შავი, ნარინჯისფერჩირაღდნიანი მიკროფონი უჭირავს და მასალაზე მიდის.

ესავის ხელები

დათო ქარდავა

ეძღვნება კოვზისა და ნიჩბის ტელეჟურნალისტიკას

ნაწილი პირველი

„...და მიუახლოვდა იაკობი ისააკს, თავის მამას, და შეეხო მას და თქვა: ხმა – იაკობის ხმაა, ხოლო ხელები – ესავის ხელებია. და ვერ იცნო იგი, რადგან იყო მისი ხელები, როგორც ხელები ესავისა, მისი ძმისა, ბალნიანი; და აკურთხა იგი.“ ძველი აღთქმა, წიგნი შექმნისა, თავი 27

ამაოდ უცადა ანგელოზთა საყვირებისა და ცოდვილთა ძრწოლის ხმას, რომელსაც პირველად უნდა ემცნო მართლმორწმუნეთათვის, რომ ბოლო მოეღო ყოველ დროულს და მოვიდა მეუფება მუდმივისა და წარუვალისა. მაცნეს მოსვლამდე, ყველაზე შორეულსა და ხანგრძლივ მოგზაურობაში წასაყვანად, თეთრ ცხენზე ამხედრებული მთავარანგელოზი ეახლა, რომელიც, ცხადია, არც ახალშობილის წაყვანაზე იტყოდა უარს, რომ არა ბებიაქალი, გათენებამდე მისხალ-მისხალ რომ აცალკევებდა ერთმანეთთან შეზრდილ წიაღსა და გადამწიფებულ ნაყოფს. ჩვილსაც იმდენი ურტყა ხელი გაშავებულ საჯდომზე, სანამ სული არ ჩაუდგა.

ექიმს კი არც დედისთვის ეცალა და არც ჯერარდაბადებული შვილისთვის. უგონოდ მთვრალმა ხაზის რადიოს ბოლომდე აუწია და საპროცედუროში რუს ბანს შეუძღვა:

«Мальчик резвый, кудрявый, влюбленный,
Адонис женской лаской прельщенный,
Не довольно ль вертеться, кружиться,
Не пора ли мужчиною быть?»

მოცარტის ჯადოსნურმა მუსიკამ ნაყოფობის ბოლო წუთებში მყოფს სიმხნევე შემატა, მაგრამ ჯერ კიდევ სხვისი სხეულის ნაწილმა მანამ არ გაჰყო თავი საშვილოსნოს ყელში, ვიდრე ბებიაქალმა მომაკვდავ ქალს მუცელზე ბაწარივით დაგრეხილი პირსახოცი არ გადაუჭირა. ერთი მხარე თვითონ დაქაჩა, მეორე კი სანიტარ ქალს შეაჩეჩა. მხოლოდ მეშვიდე ცდაზე დაიძრა ესავი და უსასრულო რომ ეგონა, იმ გზას დაადგა, თუმცა, დაბადებამდე კიდევ უნდა ებრძოლა: ყელზე დახვეული ჭიპლარი ფილტვებისკენ მომსკდარ ჰაერს უკეტავდა, სულის ჩადგმის საშუალებას არ აძლევდა და უკან ექაჩებოდა.

არავინ იცის, რატომ გამოიდო თავი, რა რჯიდა ბებიაქალს, როცა მთავარანგელოზს ესავის თავი არ დაანება, თუმცა, ნაყოფის კვალობაზე ესავმაც გვარიანად ივარგა: მისწი-მოსწია დედის გვაქვავებული ძვლები და ბოლომდე გაიარა ყველაზე მთავარი გვირაბი, რომლის ბოლოში სინათლესთან ერთად ბებიაქალის სისხლიანი ხელები ელოდა!

თითქოს ყველაფერი გუშინ მოხდა, თითქოს უბრალოდ გადამწიფებული ნაყოფი კი არა, საოპერაციოში საგანგებოდ მიწვეული მოწმე ყოფილიყოს! ესავს ახსოვდა რძისფერი სინათლით განათებული საოპერაციო, რომელიც შუქურის როლს ასრულებდა და ემბრიონებს ხიფათით სავსე ცხრათვიანი მოგზაურობის დასრულებაში ეხმარებოდა!

გამთენიისას საოპერაციოში, სადაც იოდოფორმის, შარდისა და დაცლილი სწორი ნაწლავის მყრალი სუნი იდგა, ზორბა სანიტარმა ქალმა შეაბიჯა. ჯერ იატაკი და კედლები მორეცხა, მერე ნახმარი, სისხლიანი საფენები მოაგროვა. სამუშაოს რომ მორჩა, ონკანიდან მოთქრიალე წყლის ხმაურში ქალმა ყველა ღილი შეიხსნა, ხორცისფერი ლიფისგან გათავისუფლდა და ხალათის კალთებს შორის მოქცეული შიშველი სხეული სველი, უხეში პირსახოცით დაიზილა. იბანდა კისერს, მკერდს, იღლიებს, ბარძაყებს...

იმ დროს, როცა სანიტარი საოპერაციოში ონკანთან იდგა, ესავი ახალშობილთა ბლოკში უნდა ყოფილიყო გადაყვანილი. შეიძლება, ყველაფერი ასეც იყო, მაგრამ რატომღაც ახსოვდა იმ ზორბა ქალის წამოწითლებული სახე, ტუჩზე დასხმული ოფლის მსხვილი წვეთები. ახსოვდა მისი სხეულის მოძრაობა, მძიმე ძუძუების თახთახი. ახსოვდა შეძახილები, რომელსაც ქალი წყლთან შეხებისას გამოსცემდა...

საოპერაციოდან გასვლის წინ ქალმა საგულდაგულოდ ჩაკეტა ონკანი, თუმცა, მოშლილი წყალსადენიდან მომწყდარი წყლის წვეთები გაყვითლებული ნიჟარის ფსკერზე დაცემისას ისეთ ხმას გამოსცემდნენ, კაცი იფიქრებდა, ვიღაცის უხილავმა ხელმა გიგანტური საათის მექანიზმი აამუშავაო. ალბათ, ასეც იყო: სამყაროს ყველა საათმა, მექანიკური მოწყობილობებისათვის დამახასიათებელი მოჩვენებითი სიდინჯით, ესავისთვისაც დაიწყო დროის ათვლა.

სამშობიაროდან მალევე გაწერეს. დედას პოლიეთილენის ტომარა ჩააცვეს, შვილს – სახაზინო ძონძები. ესავი ბავშვთა სახლს მიაბარეს, დედა სასაფლაოს გარეთ, ბეტონის ღობის გასწვრივ გათხრილ ორმოში დაფლეს.

მესაფლავეებმა წუთით შეისვენეს, როცა დაბალ სიმაღლეზე, ზედ კვიპაროსების თავზე, უზარმაზარმა თვითმფრინავმა გადაიფრინა.

– რა იქნება, რო ჩამოვარდეს? – თქვა ნიჩაბსდაყრდნობილმა

ახალგაზრდა მესაფლავემ ისე, რომ თვითმფრინავისთვის მზერა არ მოუცილებია. – რამდენი კაცი ეტევა თვითმფრინავში, ასი? ორასი?

– ითვალე, ითვალე! – გაბრაზდა მეორე მესაფლავე, – სულ აქ არ მოგიყვანონ,

სულ შენ არ დაგამარხინონ!

– რატომაც არა!

– განა ადამიანს იქ ასაფლავებენ, სადაც კვდება? ეგრე რო იყოს,

შიმშილით დავიხოცებოდით!

დედისგან განსხვავებით, ახალშობილს მეტად გაუმართლა. ვიდრე ბავშვთა სახლში წაიყვანდნენ, ჯერ ისევ მთვრალმა ექიმმა საბუთები შეავსო. სქესი – მამრობითი მიუთითა, წონა – 1950 გრამი,

სიგრძე – 33 სმ, გრაფაში ბიოლოგიური მამა – უცნობია, გრაფაში ბიოლოგიური დედა – უცნობია, სულ ბოლოს კი ახალშობილს სახელი და გვარის შეურჩია. ბაბუა გაახსენდა, ზოსიმე ზარიძე, ოყურეშის ეკლესიის კეთილი დიაკვანი. გაახსენდა ძილის წინ შვილიშვილებისთვის ზღაპარივით წაკითხული ძველი აღთქმა, გაახსენდა ბანჯგვლიანი კაცის, ესავის ამბავი: „გამოვიდა პირველი – სულ მთლად წითელი და თითქოს ტყავ-ფუჩით შემოსილი; და დაარქვეს მას სახელად ესავი...“

ბევრი აღარ უფიქრია, სახელის გასწვრივ ესავი ჩაწერა, გრაფაში გვარი – ჭუჭუაძე, მაგრამ რატომღაც მალევე გადაიფიქრა და მეორე „ჭ“ საგულდაგულოდ გადაჩხაპნა...

* * *

ესავის გამოჩენამ ბავშვთა სახლი გამოაცოცხლა. მარტო არავინ ტოვებდა, უწყვეტ ნაკადად მიდიოდნენ და ათვალიერებდნენ: ვინ შორიდან უყურებდა, ვინ ხელებს უფათურებდა. ადამიანის გაჩენილი როგორ იქნებაო, კითხულობდნენ აღმზრდელები და ჭუჭყიან იატაკზე აფურთხებდნენ. ადამიანი არც არისო, ამტკიცებდა ფიზკულტურის მასწავლებელი და უცნაური არსების ხმა რომ გაეგო, გამეტებით ჩქმეტდა სისხლჩაქცევებით დალაქავებულ საჯდომზე.

დიდსა და კეფისკენ წაგრძელებულ ყურებს შორის მოქცეულ პატარა თავს უფარავდა უხეში, სხვადასხვა მიმართულებით ყალყზე შემდგარი თმა, რომელიც თხისას უფრო ჰგავდა, ვიდრე ადამიანისას. დაგვალული ტანიც, სახიანად, ალისფერი ბალნით ჰქონდა დაფარული ისე, რომ მოუჩანდა მხოლოდ წვრილი, ანთებისგან დაწითლებული წირპლიანი თვალები. ცხვირიც სულ სველი ჰქონდა, პირიდანაც დღენიადაგ სქელი ნერწყვი ეწელებოდა, მაგრამ არსად ჩანდა ღვთისნიერი მამიდა, რომელიც მაკრატელს აიღებდა და დორბლს შეაჭრიდა. რომც გამოჩენილიყო, უმალ სხვა რამის შესაჭრელად გაიწევდა, ვიდრე ნერწყვისა: ესავს საოცარი ზომის, მესამე ფეხივით ჭუჭუა ჰქონდა, რომელიც გულგრილს არავის ტოვებდა. ქალებს ახალისებდა, მეხი დაგეცაო, ფხუკუნით ჩაილაპარაკებდნენ და მრავალმნიშვნელოვნად გაიღიმებდნენ, კაცებს კი ხასიათი უფუჭდებოდათ, ფუ შენიო, იტყოდნენ და გინებას მიაყოლებდნენ, მერე ყველანი ერთად ბავშვთა სახლის ეზოში ჩადიოდნენ და ხელების დასაბანად გრძელ რიგში დგებოდნენ ონკანთან, რომელიც დღენიადაგ მოშლილი იყო, უწყვეტად წვეთავდა და ახალი ენერგიით მუხტავდა უხილავი ხელით მომართულ გიგანტურ მექანიზმს, რომლის აუჩქარებელი ბრუნვა ცვლიდა ყველას და ყველაფერს. ცვლიდა ესავსაც, მაგრამ ცვლიდა უცნაური კანონზომიერებით – მხოლოდ თავზე თმა, ტანზე ბალანი და ფეხებს შორის მოქანავე კაპი ეზრდებოდა, თუმცა მისი სიმახინჯე ძველებურად აღარავის ახალისებდა. ისე ჩაუვლიდნენ, თითქოს ძაღლი ყოფილიყოს, წიხლს ისე კრავდნენ, არც კი შეხედავდნენ. მასთან არავინ მეგობრობდა. გაკვეთილებზეც სულ მუდამ მარტო იჯდა, უკანა მერხზე, უზარმაზარი პორტრეტების ქვეშ. არადა, როგორ უნდოდა, წინ, მასწავლებლის მაგიდისა და დაფის სიახლოვეს ყოფილიყო. ერთი სული ჰქონდა, როდის ჰკითხავდნენ გვაკვეთილს, როდის გაიძახებდნენ, როდის ააკაკუნებდა დაფის მკვრივსა და ხაოიან ზედაპირზე ცარცის ფითქინა ნატეხს. მხოლოდ ის სწავლობდა, ხელსაც მხოლოდ ის იწევდა, მაგრამ მისთვის უცნობი მიზეზით, ყოველ ჯერზე შეუმჩნეველი რჩებოდა. მხოლოდ ერთხელ გაუმართლა, როცა გაკვეთილზე უცხო ქალები და კაცები შემოლაგდნენ და ოთახის ბოლოში, მათაც უზარმაზარი პორტრეტების ქვეშ დაიკავეს ადგილი.

მასწავლებელი ერთ ადგილზე ვერ ჩერდებოდა. მერხებს შორის მიმოდიოდა და ხან შეძახილებით, ხანაც ხელების ქნევით ცდილობდა დამუნჯებული ბავშვების ალაპარაკებას.

– აბა, ვინ გამოვა და მოჰყვება გაკვეთილს? – იმეორებდა ჯიუტად და, როგორც სასწაულის იმედად მყოფ ადამიანებს ემართებათ ხოლმე, გამოუვალ მდგომარეობაში იგდებდა თავს, – მესმის, რომ არ იყო იოლი, მესმის რომ არ გქონდათ დრო... – წელავდა დაუსრულებლად და, ალბათ, მალე გამოსავლის ძებნასაც დაიწყებდა, მაგრამ მოულოდნელად ჩაღუნულ თავებს ზემოთ თმიანი ხელი დაინახა.

– სისხლის მიმოქცევის დიდი და მცირე წრე... – დაიწყო ესავმა და ზარის დარეკვამდე აღარ გაჩერებულა.

რა უცნაური გვარი გაქვსო, უთხრა გაკვეთილის დასრულების შემდეგ ცარიელ კლასში დარჩენილმა მასწავლებელმა.

– ჟურნალში შეცდომით წერია ჭუჭუაძე! მე ჭუუაძე ვარ!

– ჭუჭუაძე არ სჯობია? – გადაიკისკისა მასწავლებელმა, – ასეთი გვარისთვის გოგოები, ალბათ, ერთმანეთს დახოცავენ!

მიხვდა, რომ დასცინოდა, მაგრამ იმასაც მიხვდა, რომ სულ სხვანაირად დასცინოდა, უბოროტოდ და არა ისე, როგორც სხვა ბავშვები. გაიფიქრა, რამეს ვეტყვი, თუნდაც ისეთს, კიდევ რომ დამცინოსო, მაგრამ ვერაფრით ამოთქვა საჭირო სიტყვები. ხასიათი გაუფუჭდა, თავი ჩაღუნა, უცნაურად ალულლუღდა და ატირდა.

აბა, ცრემლებს არ ვიყოთო, უთხრა მასწავლებელმა და გასამხნევებლად თავისკენ მიიზიდა.

ცხადია, არ გაძალიანებია, ტირილიც შეწყვიტა, მაგრამ მოხდა ისე, რომ სკამის კიდისკენ გადაწეულმა თავი ვერ შეიმაგრა, მოკლე ფეხებით იატაკს ვერ მისწვდა და ჩამოვარდა. უთუოდ დაეცემოდა, ძირს გაგორდებოდა ძაფის გორგალივით, სხეულით წინ რომ არ გადახრილოყო და მასწავლებელს არ დაჯახებოდა.

ქალმა შეჰკივლა და მუხლებს შორის ჩამდგარი არსების მოშორება სცადა. გაიწია, უყვირა და ორივე ხელით მკერდზე მიაწვა, მაგრამ ესავს, რომელიც აღარ ჰგავდა სუსტსა და საცოდავ მოსწავლეს, არაფერი ესმოდა. უცნაური რამ ხდებოდა ქონდრისკაცის პატარა, მაგრამ უეცრად დაკუნთულსა და გაძლიერებულ სხეულში. ესავი გრძნობდა, როგორ ებერებოდა ძარღვები, როგორ ეჭიმებოდა კუნთები, როგორ ვერ აუდიოდნენ გახურებული ფილტვები ამოვარდნილი გულის ჟანგბადით მომარაგებას, როგორ ევსებოდა ყოველი უჯრედი უცნაური სახის ენერგიით, რომელიც გამოსავლის ძიებაში რატომღაც ფეხებშუა იყრიდა თავს, ფეთქავდა და გონებას უბინდავდა. ფეთქავდა ესავის სხეულის შთამბეჭდავი ნაწილი და სხვის სხეულში შესვლას ლამობდა!

ქალმა ძალა მოიკრიბა, სხეულზე შეზრდილ არსებასთან ერთად წამოდგა და კარისკენ გაიწია. ესავმაც სცადა მდგომარეობის შეცვლა. წელზე შემოხვია ხელები და წაქცევა დაუპირა. წააქცევდა კიდეც, მეტად მძიმე რომ ყოფილიყო.

„დიდი წრე, მცირე წრე! დიდი წრე, მცირე წრე!" – იატაკზე იჯდა, აქეთ-იქით ირწეოდა და გაფუჭებულ თოჯინასავით დაუსრულებლად იმეორებდა პირველად და უკანასკნელად მოყოლილ გაკვეთილს, როცა ქალის ყვირილზე მოვარდნილმა ფიზკულტურის მასწავლებელმა ხელში აიტაცა და როგორც გამოცდილმა ძალოსანმა თავზემოთ შემართული ორფუთიანი გირი, მოწყვეტით დასცა იატაკზე.

* * *

ყველასგან მოშორებით, დიდი ოთახის კუთხეში, რკინის მორყეულ საწოლზე ეძინა, თუმცა, ვიდრე დაიძინებდა, სპორტულ ასპარეზობაში აიძულებდნენ მონაწილეობის მიღებას. ბიჭები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ იმაში, თუ ვინ უფრო ძლიერად დაარტყამდა და შორს გადააგდებდა ბურთს. ყველა ხარობდა ამ თამაშით, ერთის გარდა, რადგანაც დამრტყმელი ბევრი იყო, ბურთი კი – ერთი!

დარტყმის მოლოდინში რამდენჯერმე თავი ვერ შეიკავა და წინასწარ ისკუპა, შეხტა, სპორტსმენები რომ იტყვიან, ფალშსტარტის მიზეზი გახდა. ყოველი ასეთი გაფუჭებული ცდის შემდეგ, ურტყამდნენ სახესა და მუცელში, რათა კარგად დაესწავლა, რომ როცა გირტყამენ, რბილი ადგილის მიშვერა საუკეთესო გამოსავალია.

თითქოს მართლა ბურთი იყო, სპორტულ ჟინს აყოლილი ბიჭები არც ფეხსაცმელს ზოგავდნენ და არც ესავის საჯდომს, მონდომებით უქნევდნენ წიხლებს. იშვიათი გამონაკლისის გარდა, ყველა ნიჭიერი და დაუნდობელი იყო, თუმცა, ერთმა მათგანმა, გამორჩეულად ძლიერმა და მოხერხებულმა, ყველა მოლოდინს გადააჭარბა: კოტიკო მაღალიც იყო და ჯანიანიც, სწრაფიც და მოხერხებულიც. მეცხრე კლასში ასზე მეტს იწონიდა და ურტყამდა საოცარი მონდომებითა და დამიზნებით. რომ არ შეშლოდა, მარჯვენა ტერფს ჯერ საჯდომზე აზომებდა, შემდეგ უკუსვლით ოთხხუთ ნაბიჯს გადადგამდა, გამოქანების წინ კი, დიდ სპორტსმენებს რომ სჩვევიათ, ისე გაირინდებოდა, რათა მოქნეული ფეხისათვის მეტი ენერგია გადაეცა. აკი, უფასდებოდა კიდეც მონდომება: ნამდვილი ჩემპიონი იყო! მასთან ახლოს ვერავინ მივიდოდა. საკუთარ მიღწევას ისევ თვითონ თუ გააუმჯობესებდა. დიდი უპირატესობით უგებდა სხვებს, თუმცა, რა გასაკვირია და, კოტიკო-გოლიათის ტრიუმფი და სპორტული მიღწევები ესავის ჯანმრთელობას სასტიკ და სახიფათო გამოცდას უწყობდა. არ ვიცი, გქონიათ თუ არა მსგავსი შეგრძნება, როცა უნიტაზზე ზიხართ და გაჭინთვის გარეშეც გწყდებათ შიგნეულობა, თითქოს ნაწლავიც გარეთ გამოსვლას ლამობს, მაგრამ მოლოდინის საწინააღმდეგოდ, მრავალტანჯულ ორგანიზმში არტერიული წნევის მცირედი მატების გარდა, არაფერი იცვლება. სწორი ნაწლავი გატყუებთ, გგონიათ, რომ სავსეა, გგონიათ, რომ ანალურ სფინქტერში უცხო სხეულია ჩარჩენილი და მისგან გათავისუფლებას ცდილობთ, თუმცა, ყველა მცდელობა ფუჭია: წლების წინ უკანალში შემძვრალი ფანტომი ნაწლავის ხაოიან კედელს შეხორცებია და მყრალი გარემო არ ეთმობა. იმ დღეს ესავიც ამაოდ დაშვრა უნიტაზზე ჯდომით. გასკდა და ვერაფრით მოისაქმა კოტიკო-გოლიათის ბათინკი, ქვასავით ძირი რომ ჰქონდა და, სიმართლე რომ ითქვას, ბათინკი კი არა, ჯარისკაცის გადაჭრილი ჩექმა იყო, პატიმრების მიერ შეკერილი, რომელიც უსაშველოდ გაზრდილ კოტიკოს უსაშველოდ გაზრდილი შიშველი ტერფების დასაფარად ბავშვთა სახლის დირექტორმა აჩუქა. სწორედ ეს ქვასავით ჩექმა ამოარტყა ბურთს ისე ძლიერად, რომ ესავმა თავი ვერ შეიმაგრა, ხის მორყეული კარი გაანგრია და უკაცრიელი ქუჩის ქვაფენილზე გაკოტრიალდა.

ვიდრე გაჩერდებოდა, მიხვდა, რომ ვეღარც გოლიათი გაიმეორებდა ასეთ შედეგს და ვეღარც მისი უკანალი გაუძლებდა მსგავსი სიძლიერის დარტყმას. ვიდრე ბურთს მოაკითხავდნენ, წამოდგა, შარვალი დაიფერთხა და გააგრძელა გზა ფრენის მიმართულებით. თავიდან კოჭლობით მიდიოდა, ძლივს მიითრევდა წელს, მერე ნელ-ნელა გამართა ფეხი და გაიქცა თავისუფლების განცდით ფრთებგამოსხმული, თუმცა, ტკბობა-ნეტარება დიდხანს არ დასცალდა. გამთენიისას კეთილმოწყობის სამსახურის ძაღლების დამჭერ ბრიგადას გადააწყდა. ძაღლებთან ერთად გალიაში დაამწყვდიეს და, როგორც ხიფათის შემცველი არსება, ქალაქგარეთ, მაწანწალა ძაღლებისა და კატების სამხეცეში გამოკეტეს დაკაწრული, დაკბენილი და შიშისგან დამუნჯებული.

დამჭერებს თუ არ ჩავთვლით, საძაღლეს ორი კაცი პატრონობდა. ერთს, შედარებით ახალგაზრდას, ჯიშიანი ძაღლების გამოცალკევება, მოვლა და სარგებლიანი გაყიდვა ევალებოდა, მეორე, უფრო ხანდაზმული კი ჯალათი იყო – მაწანწალა ძაღლებს ჯერ დენით კლავდა, შემდეგ კი მათ სხეულებს ბეიკერის ორმოში – სპეციალურად ამოთხრილ, უძირო ხაროში ყრიდა. რომ არა მოხუცი ვეტერინარი, სისუფთავესა და ჯანსაღ გარემოზე მზრუნველი მოქალაქეები ესავსაც ორმოში ამოხდიდნენ სულს. ბენიტო კაჭკაჭიშვილი ცოფის წამალს იგონებდა. სჯეროდა, რომ წარმატება სულ ახლოს იყო. მცირე ძალისხმევაც და უკურნებელ სენს ერთი ჩხვლეტით, დროული და ხანგრძლივი ვაქცინაციის გარეშე დაძლევდა. იმ ღამესაც საძაღლეში დაავადებული ეგზემპლარის მიღების იმედად შეიარა.

– რა გქვია, კაცუნა? – ხელი გაუწოდა შეშინებულ ესავს, რომელიც რვა მანეთად გამოისყიდა.

– ესავი, – უთხრა შეშინებულმა.

– გვარი?

– ჭუუაძე.

– ბენიტო! შეგიძლია ბენო ძია დამიძახო!

ექვსი თვის თავზე ესავმა ყველაფერი იცოდა ცოფისა და ძაღლების ბუნების შესახებ. რა უხაროდათ, რა სწყინდათ, რას ჭამდნენ, ვის და რატომ უყეფდნენ, როდის იკბინებოდნენ და როდის სჯერდებოდნენ ღრენას. იცოდა, რომ საფრანგეთში, შუა საუკუნეებში, არსებობდა საშინელი ჩვეულება, ცოფით დაავადებულებისათვის ოთხივე კიდურის ვენები გადაეჭრათ, სისხლისგან

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაეცალათ ან ლეიბებით დაეხრჩოთ. იცოდა, რომ ცოფის გამოდევნას ცდილობდნენ შხამიანი გველის ნაკბენითაც და რომ ცივსისხლიანი ცხოველები ცოფით არ ავადდებიან განსხვავებით ცხელსისხლიანებისგან, რომლებსაც ეწყებათ ძლიერი ქავილი, აუტანელი ტკივილი, პირის სიმშრალე, ღებინება... მხოლოდ მერე, როცა გავა მრავალი წელი, ესავი მიხვდება, რომ ცოფმა მას ვერაფერი დააკლო, რადგან მაწანწალა ძაღლებისგან დაკბენილი, როგორც ბენო ძია იტყოდა, არცა ყიოდა და არცა იძახდა ვითარცა ცოფი.

ვეტერინარს არც ცოლი ჰყავდა და არც – შვილი. თუ არ ჩავთვლით ზორბას, უზარმაზარ ქართულ ქოსას, ესავი იყო მისი ოჯახის ერთადერთი წევრი, რომელსაც სამაგალითო გულისხმიერებით ექცეოდა, ვიდრე ერთხელ მას, საპირფარეშოში სამარცხვინო საქმით დაკავებულს, კარის ჩაკეტვა არ დაავიწყდა და მასტურბაციის დროს არ შეუსწრო. მოჩვენებითი სერიოზულობით ეჩხუბა და სახლიდან გაგდებით დაემუქრა, მერე ევგენის დაურეკა, ლამის ერთადერთ შემორჩენილ მეგობარს და გულისტკივილით უთხრა:

– მართალი იყავი! ნეოტენია უნდა იყოს – ზოგიერთი ორგანიზმის უნარი, გამრავლდეს განვითარების ადრეულ ეტაპზე... თუ მოახერხებ, ახლავე გამოდი...

ევგენის, ას წელს მიტანებულ ცნობილ ანთროპოლოგს, ერთ ხელში ტყავის მძიმე ჩანთა ეჭირა, მეორეში კი – ძველი, ალბათ საუკუნის წინ გამოცემული სქელტანიანი წიგნი.

– ღმერთო ჩემო, – აღმოხდა მეცნიერს, – ნუთუ, მართლა ისაა? ნამდვილად ისაა!

არ ავჩქარდეთო, უთხრა ვეტერინარმა, მაგრამ სტუმარმა არ მოუსმინა, ხელი ჩაავლო ესავს და სინათლეზე გაიყვანა. გაუსინჯა თავის მოყვანილობა, ყურების სიგრძე, კუნთების სიმკვრივე. სიმაღლეშიც გაზომა: შვიდი თუ რვა მტკაველი გამოვიდა.

– თავისუფალი ხარ, ბიჭი, წადი, ეზოში ითამაშე, – თავზე ხელი გადაუსვა და ჩანთიდან კიდევ უფრო ძველი და დაძენძილი რვეული ამოიღო.

– ნახე, ეს წიგნი საგანგებოდ გამოვიყოლე, – უთხრა მასპინძელს, როცა ესავის მონაცემების ჩანიშვნა დაასრულა, – ავტორი ცნობილი ინგლისელი ეთნოგრაფი და სამეფო ანთროპოლოგიური აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ალფრედ რადკლიფია. ამ კაცმა 1910 წელს ავსტრალიისა და ანდამანის კუნძულების შემდეგ, ოსმალეთსა და რუსეთის იმპერიის სამხრეთში იმოგზაურა. თვეზე მეტი დაჰყო დასავლეთ საქართველოში. ეს წიგნი ტრინიტი კოლეჯში წაკითხული ლექციების კრებულია. აი, რას წერს ინგლისელი მეცნიერი 279-ე გვერდზე.

სტუმარმა წიგნი გადაშალა, სათვალე მოირგო და კითხვას შეუდგა:

„მღვდლის ნასახლარიდან მთელი ღამის განმავლობაში ისმოდა დამფრთხალი ცხენების ჭიხვინი, რასაც შიგადაშიგ ჭინკების წივილი თუ გადაფარავდა ხოლმე. ისე ზანზარებდა ყველაფერი, კაცი იფიქრებდა, საშინელი ძალის მიწისძვრა დაგვატყდა თავსო. ქალებმა მთელი ღამე ლოცვაში გაატარეს. ბავშვები ძილში ტიროდნენ და შველას ითხოვდნენ. თითქმის ყველა ოჯახს დაენგრა ქოხი და დაემტვრა ავეჯი თავის ჭურჭლიანად. როცა ყველაფერი დასრულდა, როცა ინათა, როცა სავსე მთვარისაგან ფრჩხილისოდენიც კი აღარ დარჩა, კაცებმა მღვდლის ნასახლარისკენ გასწიეს. ქალებმა და მოხუცებმა ნანგრევების ქექვა დაიწყეს – იქნებ, ღმერთმა გადმოგვხედა და რამე მაინც გადაურჩა უწმინდურთა რისხვასო. ნასახლარი კი დაფარული იყო მუცლებდახეთქილი ცხენების საზარელი გვამებით! ჭინკების ნახელავიაო, თქვა სოფლის თავკაცმა და ვაზის მსხვილი მერქანივით დაგრეხილი ხელით წვრილ ნაწნავებად დაყრილ, ოფლისგან დასველებულ ფაფარსა და კუდზე მიუთითა. ასე იციანო, შემოაჯდებიან ზურგზე, ჩააფრინდებიან ფაფარში, თან წნავენ და თან დააჭენებენ, ვიდრე ამ უბედურებს გულები არ დაუსკდებათო. და რატომ იქცევიან-მეთქი ასე? ადამიანებზე იძიებენ შურსო. კი, მაგრამ რა დაუშავეს ადამიანებმა, ასე რომ ერჩიან-მეთქი? ის, რომ მდედრი ჭინკა ბუნებაში არ არსებობსო. მამრები კი დღენიადაგ იმის ფიქრში არიან, თუ სად დააბინაონ თავიანთი საოხრეებიო. ასე რომ, თუ სადმე ტყეში ან მინდორში (სადაც ჭინკების ძალაუფლება შეუზღუდავია) დაცუცქული ქალი დაინახეს, მორჩა, წასულია მისი საქმე: დაფეხმძიმება არ აცდება! ჭინკისგან ჩასახული ნაყოფი კი უთუოდ ჭინკა იქნება. ასე მრავლდებიან უწმინდურები, მაგრამ თუ ქალი ბრიყვი არაა, ანდა თუ მის გონებას ავი სულის ძალით ბინდი არ გადაფარვია, ტყეში, თუნდაც მინდორში, უკანალს არ გაიშიშვლებს... ჰოდა, იბოღმება ჭინკა, იბოღმება და არ იცის, შური როგორ იძიოს, ხან ცხენებს დაუხოცავს საწყალ ადამიანს, ხან კი, თუ სადმე ტყეში ან მინდვრად შემოაღამდა, დილამდე გასაქანს არ მისცემს; თუ მოერია, სულსაც კი ამოართმევს...

– როგორ გამოიყურება ჭინკა? – ვიკითხე დაუჯერებელი ამბით გაოცებულმა.

ჭინკის ცნობა ადვილიაო, ამიხსნა მოხუცმა: წვეტიანი, ყაისნაღივით მოკაუჭებული კლანჭები აქვს (სხვანაირად ფაფარს ვერ დაწნავს), ბალანს კი ღამით (განსაკუთრებით მაშინ, თუ სავსე მთვარეა) ლაპლაპი გაუდის. დაბალია, ფეხები იმდენად მოკლე და იმდენად დაღრეცილი აქვს, რომ ყვერები, რომელიც დაუკმაყოფილებლობის გამო სულ მუდამ დასიებული აქვს, მუხლებამდე წვდება. ისეც ხდება, რომ ყვერების თრევით წელშიგამწყდარი ახალგაზრდა ჭინკა, სადმე კუნძზე, ანდაც წაქცეულ ხეზე შემოსკუპდება და ხელის ქნევით ზედმეტი ტვირთისგან თავისუფლდება. თუ სადმე დამპალ კუნძზე, ან მის გარშემო შხამიანი სოკოების სპორებს წააწყდები, იცოდე, ჭინკას აქ ბევრი ოფლი და სპერმა აქვს დაღვრილი!..“

სტუმარმა კითხვა დაასრულა, სათვალე მოიხსნა და მასპინძელს მიაჩერდა გამომწვევად:

– რა ჰქვია ამ ბავშვს?

– ესავი, – ძლივს ამოთქვა ვეტერინარმა.

– ესავი ჭინკაა!

– ჰმ, ჭინკა...

– ნუ, მთლად ველური და ისეთი არა, როგორიც რადკლიფმა აღწერა, მაგრამ აშკარაა, რომ ჭინკაა...

– მერე, რას მირჩევ?



– უნდა ჩააბარო...

– რომ საცდელი კურდღელივით გაჭრან ან გაატყავონ?

– არა, რატომ უნდა გაატყავონ... ახლა სხვა მეთოდები აქვთ, ცოცხალს შეისწავლიან. დააკვირდებიან ქცევას სხვადასხვა სიტუაციაში, სხვადასხვა კლიმატურ პირობებში... აგრესიის ხარისხს... ნუ, თუ შენ გიჭირს – კარგად მესმის, ადამიანური მომენტია – მე წავიყვან და პირადად ავიღებ პასუხისმგებლობას...

– მოიცა, თუ კაცი ხარ! – ხელი აუქნია მასპინძელმა და სავარძლიდან წამოდგა, – ლაპარაკობს, ხანდახან კითხულობს კიდეც... შეუძლია ტელევიზორს უყუროს დღე და ღამე, არ მობეზრდება...

არ იცოდა, რა ექნა, როგორ მოქცეულიყო. გონებით ეთანხმებოდა მეგობარს. აკი თვითონ დაურეკა და დახმარება სთხოვა, მაგრამ გული რომ სხვას ეუბნებოდა?

დროის მოსაგებად ღია ფანჯარასთან მივიდა და სიგარეტს მოუკიდა. აღარ წვიმდა, მაგრამ ნაცრისფერი ცა მაინც მალავდა მზეს. ესავი ძაღლებს შორის იდგა და თამაშობდა. მოხრილ ხელში მსხვილი პალო ეჭირა და ასახიერებდა ცნობილ ტელეწამყვან ქალს, სატელევიზიო კორიდების და ოქტაგონების ორგანიზატორს – სკანდალების, თავზე ლაფის დასხმისა და საჯარო მხილების დედოფალს, და ამას აკეთებდა მთელი სერიოზულობით, შეიძლება ითქვას, უფრო უკეთესადაც კი, ვიდრე ენერგიული ქალი ცისფერი ეკრანიდან!

ესავის ამ გართობას ხშირად უყურებდა. თამაშის მიზანი ყველაზე მშვიდობიანი ძაღლების ერთმანეთზე წაკიდება იყო, რაც კარგად გამოსდიოდა. ისეთი ტემბრით, ინტონაციით, ტემპითა და ჟესტიკულაციით იწყებდა ლაპარაკს, რომ ძაღლებს სულ ერთიანად ეძაგრებოდათ კუნთები, სდიოდათ დორბლი და უელავდათ ეშვები. ახლაც ოთხიდან სამი მაწანწალა ძაღლი ემსხვერპლა ესავის ტელევიზორობანას. იმ ერთსაც, გადარჩენილს, დრუნჩიდან სისხლი სდიოდა და ადგილიდან ვერ იძვროდა. იდგა საცოდავად და დასჩერებოდა ტალახსა და სისხლში აზელილ სხვა ძაღლებს.

– ვიცი, სადაც წავიყვან! – შეჰყვირა უცბად.

მაგიდის უჯრიდან ძველი, ფურცლებჩამატებული რვეული ამოიღო. ქექა და ფურცლა, ვიდრე საჭირო ჩანაწერს არ მიაგნო. მერე დიდხანს ატრიალა ძველი აპარატის მორყეული დოლურა. ხან არ გადიოდა, ხან დაკავებას იძლეოდა, ხანაც დოლურა იჭედებოდა...

– ალო! – გაისმა მოულოდნელად.

– ნუგზარ! – პირველ ცდაზე მხოლოდ ამ ერთი სიტყვის თქმა მოახერხა.

როგორი უხერხული იქნება, რომ ვერ მიცნოსო, გაიფიქრა და ყურმილის დადება დააპირა, მაგრამ ვიდრე სახესთან მიტანილ ხელს ჩამოიღებდა, ხაზის ბოლოდან გაისმა: ბენო, შე ცეკას ბებერო ბეითალო!

– ბენო, ბენო, რასაკვირველია! – გაიხარა გულაჩუყებულმა ვეტერინარმა, – შენ გენაცვალე, როგორ არ დაგავიწყდი! რამდენი წელი გავიდა, მთელი ცხოვრება... ეჰ, დავიკარგე ის სიტყვა არაა, გადავიკარგე! ვეღარავის ვნახულობ... ან ვის რაში ვჭირდები, ბებერი ვეტერინარი... მოკლედ, დავიშალეთ სავიეცკი საიუზივით! აბა, შენ ეგა თქვი, რაღა საიუზივით, საქართველოსავით... კი, კი, ნი გავარი, ნი გავარი! რამე უნდა ვიღონოთ... ვიცი, დაკავებული ხარ, დიდ დროს არ წაგართმევ, არასოდეს არაფერი მითხოვია, ხო იცი, სხვანაირი კაცი ვარ, არ მიყვარს... ყოველთვის გიფრთხილდებოდი... ნუ, რაზეა ლაპარაკი! მოკლედ, უნდა შეგაწუხო... ისევ ტელევიზიაში ხარ, თუუ... მართალი ხარ! აი, ზუსტად! სადაც შენ ხარ, იქაა ყველა ტელევიზია, შენზეა ყველაფერი აწყობილი!.. სხვანაირად როგორ იქნება? უშენოდ რა გამოვა! ნამდვილი მეფე ხარ, მიდასი – რასაც შეეხები, ყველაფერს ოქროდ აქცევ! ეგრეა, ზალატაია ანტილოპა ხარ, რაღა!.. ჰოდა, არ გაგიჭირდება... ერთი დელიკატური თხოვნა მაქვს. როგორ გითხრა, უნიჭიერესი ბიჭია, ბუნების ნამდვილი ზეიმი და საჩუქარი, თვითნაბადი ოქრო, ხალასი ნიჭი, ორჯერ გამეორება რომ არ სჭირდება! სუფთა დაფაო, რომ იტყვიან, საშროვით რომ ისრუტავს ყველაფერს და, რაც მთავარია, ტელევიზიისთვის გაჩენილი! შინაურია, რა თქმა უნდა, აბა, ისე როგორ შეგაწუხებდი. შენ გენაცვალე, დიდი მადლობა! არ დაგივიწყებ! დიდი მადლობა! ხვალ დილით, 11-ზე, უნივერსიტეტში თუ? გასაგებია! კეთილი! გაიხარე! გკოცნი!

ნაწილი მეორე

„ცუდი ჟურნალისტი ერთხელ იყიდება, კარგი – ყოველ ჯერზე“, ჟურნალისტის სახარება

– ცოცხალია! – ყვიროდა კაცი და ბორბლებიან საკაცეზე დასვენებულ ესავს საავადმყოფოს უსასრულო დერეფანში მიაქანებდა.

კარბოლმჟავისა და იოდოფორმის სუნზე გული აერია. შავი, ბლანტი სითხე ამოანთხია – შედედებული სისხლისა და საუზმის ნარჩენი, მერე თეთრმა სინათლემ დააბრმავა და ისევ დახუჭა თვალები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანამდეც არწყია, როცა სასწრაფო დახმარების ექიმმა დახრჩობისგან იხსნა: პირში ღრმად ჩაუყო ცერა და საჩვენებელი თითები და ყელიდან ქაღალდის მკვრივი გორგალი ამოუღო.

„თვალი გაახილე! არ დახუჭო, გესმის? თვალი გაახილე!" – ხმამაღლა უყვიროდა ლურჯხალათიანი ექიმი, – „შემომხედე! მე მიყურე! არ დახუჭო, გესმის, არ დახუჭო!"

რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ისევ აღებინა – ამჯერად მხოლოდ სისხლი და გონება დაკარგა.

სასწრაფო დახმარების ბრიგადას საავადმყოფოს ეზოში უკვე ელოდა ჟურნალისტების დიდი ჯგუფი: გოგო-ბიჭები მოელვარე კამერებითა და სხვადასხვა ფერისა და ზომის მიკროფონებით, რომელთა შორის გამორჩეულად დიდი და ხასხასა ტელეკომპანია „სუბიექთV"-ის კორესპონდენტ გოგონას ეჭირა, ყველაზე მეტადაც ის აქტიურობდა და ვიდრე სასწრაფო დახმარების მანქანა საავადმყოფოს მისაღებს მიადგებოდა, კოლეგებიც მას ეხვეოდნენ გარს და ზოგი გულწრფელი და ზოგიც ყალბი თანაგრძნობით, მას ეკითხებოდა:

– ესავი?

– არაა! როდის?

– სად?

– ცოცხალია?

– კი, მაგრამ დაცვა არ ჰყავდა?

ესავ ჭუუაძე ყველაზე დიდი და გავლენიანი ტელეკომპანიის, „სუბიექთV"-ის ყველაზე რეიტინგული ტოკ-შოუს, „ესავის ხელების" ავტორი და წამყვანი იყო! შაბათობით, როცა მისი გადაცემა გადიოდა ეთერში, სხვა ტელევიზიების მაუწყებლობა აზრს კარგავდა: მათი ჯამური აუდიტორია ბევრად უფრო ნაკლები იყო, ვიდრე ესავის შოუში მიწვეული სტუმრების რაოდენობა. „ესავის ხელების" რეიტინგი არასოდეს ჩამოსულა 2/3-ზე დაბლა, ყველაზე მეტი მაყურებელი კი მიიზიდა გადაცემამ, რომელშიც წამყვანმა პირდაპირ ეთერში ამხილა სამშობლოს შეიდრებულ ქალწულთა ასოციაციის ხელმძღვანელი, პელაგეა ცამოისაკლისაშვილი – თურმე ქალთა, შშმპ და LGBT პირთა უფლებების ფარული დამცველი, რომელიც შოუს წამყვანმა, ისე, რომ საზოგადოებასთან ინტერაქცია არ შეუწყვეტია („...ვინც იღვწის ყოველივე იმის აღსასრულებლად, რაც გვესწავლა, მარად ლოცულობს და გონებით ახლოსაა უფალთან, ღმერთი მას ათავისუფლებს ხორციელი ტკბობის სიყვარულისგან, ყოველივე სურვილის აღძვრისა და წარმოსახვებისაგან და ა.შ.), საოცარი სისწრაფით მოსწყვიტა სავარძელს და გამოცდილი პანკრატიონის სიმარდით გადაიწვინა მუხლზე ისე, რომ სახით ლამის იატაკს დააკრა, საჯდომით კი – კამერის ობიექტივს. ამგვარ უმწეო და უხერხულ მდგომარეობაში, სამშობლოს შეიდრებულ ქალწულთა ასოციაციის ხელმძღვანელს სუნთქვა შეეკრა და მხედველობა დაებინდა, რითაც ისარგებლა ტოკ-შოუს წამყვანმა და ერთი მარჯვე მოძრაობით საჯდომი გაუშიშვლა, ხოლო მეორეთი თავისი უსაშველოდ გრძელი საჩვენებელი თითი დუნდულებს შორის შეუსრიალა და მიაწვა ისე ძლიერად, რომ გასცდა საშვილოსნოს ყელის არხს და ფუძეს მიეჯინა.

ვიდრე თითს ქალის წიაღიდან გამოიღებდა, ესავმა დაასრულა მოქმედებასთან ერთად დაწყებულლი მონოლოგი:

„ვინც იღვწის ყოველივე იმის აღსასრულებლად, რაც გვესწავლა, მარად ლოცულობს და გონებით ახლოსაა უფალთან, ღმერთი მას ათავისუფლებს ხორციელი ტკბობის სიყვარულისგან, ყოველივე სურვილის აღძვრისა და წარმოსახვებისაგან. და როდესაც შეიქმნება იგი მკვდარი ვნებებისა და ცოდვებისათვის, თანამონაწილე გახდება ღვთაებრივი ცხოვრებისა, ვინაიდან, როგორც მძინარე წააგავს მიცვალებულს და ამ დროს ცოცხალია, ასევე მრავალი ხორციელი მკვდარი ამქვეყნისათვის მხოლოდ სულიერი ძალებით განაგრძობს ცხოვრებას".

მონოლოგს რომ მორჩა, ქალს შეეშვა და სტუდიის ჭერიდან დაშვებული კამერისკენ შეტრიალდა. მზერა ზეაწეულ საჩვენებელ თითზე გადაიტანა და მაყურებელს მიმართა: „სად არის სისხლი! უმანკო სისხლი, ჩვენი ცოდვილი სხეულის სხვაგვარი წვენი!"

გადაცემის დასრულებისა და დამშვიდობების წინ მცირე დრამატული პაუზა გააკეთა, რათა მაყურებელს გაეაზრებინა არაორდინარული ვითარების სიღრმე და მნიშვნელობა, მაგრამ მოულოდნელად სტუდიაში ჩამოწოლილი სიჩუმე დაარღვია გონზე მოსული ქალის გაბმულმა გოდებამ! თითქოს, ესეც გათვლილი ჰქონდა, ისე სწრაფად მოერგო ახალ, შეცვლილ გარემოებას. თვალები მოწკურა და ქალის მოთქმის ფონზე, ლამის სახესთან მიტანილ კამერას მიმართა:

„იტირე, ქალო მეფეთა გვარის,
მამის სირცხვილი და მხარე შენი,
ოჰ, რომ შეგეძლოს მამის და მხარის
ხსნა მაგ ცრემლებით, ასე რომ გშვენის!"

კიდევ ერთი, ამჯერად მართლა წამიერი პაუზა გამოძერწა და გაოგნებულ მაყურებელს დაემშვიდობა:

„თქვენ უყურებდით მეგა-შოუს „ესავის ხელებს". მე ესავ ჭუუაძე ვარ და გაფრთხილებთ, ყველას მივწვდები, ვერავინ დამემალება! ხელებს ვაფათურებ ყველგან და ყველაფერში! შევხვდებით მომავალ შაბათს, ტრადიციულად „სუბიექTV"-ის ღამის ეთერში!"

* * *

„...ამ დროისათვის უცნობია რამდენად სერიოზული დაზიანებები აქვს მიყენებული ესავ ჭუუაძეს. ჯერჯერობით ცნობილია მხოლოდ ის, რომ ჩვენი კოლეგისა და მეგობრის მდგომარეობა სტაბილურად მძიმეა. ამ დრომდე ჩვენ ვრჩებით და ყოველწამიერად, ყოველწუთიერად ველოდებით ახალ ინფორმაციას, რომელსაც მიღებისთანავე შევატყობინებთ ჩვენს მაყურებელს..."

„ეს იყო თურმანაულის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრი და ნანუკა ქვილითაია, რომელიც ადგილზე რჩება და ვითარების შეცვლისთანავე კვლავ ჩაგვერთვება პირდაპირ ეთერში. მაყურებელს კი შევახსენებთ, რომ რამდენიმე საათის წინ თავს დაესხნენ და სასტიკად გაუსწორდნენ ჩვენს კოლეგას, ტოკ-შოუ „ესავის ხელების" წამყვანს ესავ ჭუუაძეს, რომელიც მედიკოსების თქმით, ამ ეტაპზე, სავარაუდოდ, კრიტიკულ მდგომარეობაში იმყოფება... ახლა კი მატყობინებენ, რომ განცხადებას აკეთებს ჯანმ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რთელობის დაცვის მინისტრი, რომელსაც პირდაპირ ეთერში ვრთავთ...“

მინისტრმა გვერდზე გაიხედა, მერე – კამერისკენ, მაგრამ მაინც ვერ გადაწყვიტა, დაეწყო ლაპარაკი თუ – არა. პრეს-მდივნის ნიშანს ელოდა, ის კი, რატომღაც, დუმდა, სამაგიეროდ, ოპერატორებმა იყვირეს: ეთერში ვართ! ოე, დაიწყე! ილაპარაკე, დავაი!

„ჰმ, მოგესალმებით! პირველ რიგში, მინდა აღშფოთება გამოვხატო მომხდარის გამო და მთავრობის სახელით გამოვთქვა იმედი, რომ დამნაშავეები, რომლებიც ასე სასტიკად გაუსწორდნენ ცნობილ ჟურნალისტს, დაუსჯელნი არ დარჩებიან. რაც შეეხება პაციენტის მდგომარეობას. ბატონი ესავი თურმანაულის ეროვნულ ცენტრში მოყვანილია ქუჩიდან, 23 საათსა და 37 წუთზე. იმყოფებოდა უგონო მდგომარეობაში. ემერჯენსის განყოფილებაში შემოსვლისას მისი ზოგადი მდგომარეობა იყო კრიტიკული, არასტაბილური ჰემოდინამიკური მაჩვენებლებისა და სპონტანური სუნთქვის გაძნელების გამო, შემოყვანისთანავე გადაყვანილ იქნა აპარატულ სუნთქვაზე, დაიწყო შოკის საწინააღმდეგო ინტენსიური თერაპია. აღინიშნებოდა სხვადასხვა ზომის სისხლმდენი ნახეთქი ჭრილობები სახეზე ზედა ტუჩის, მარჯვენა ყვრიმალის, ცხვირის მიდამოში, ასევე განივი ნაფლეთოვანი ჭრილობა მარცხენა წვივის შუა მესამედში, ჭრილობაში მოჩანდა მოტეხილი დიდი წვივის ძვლის ბოლოები, ჰემატომებია ორივე თვალბუდის მიდამოში, ესკორიაციები და ჰემატომები აღინიშნებოდა გულმკერდის მარცხენა ნახევარში, წელის მიდამოსა და მუცლის წინა კედელზე. შესიებული და დეფორმირებულია მარცხენა მხარი. ჩატარებული ინსტრუმენტული კვლევებით დადგინდა თავის ტვინის ეპიდურული ჰემატომა, თავის ტვინის კონტუზია, მარცხნივ მე-4, მე-5, მე-6 და მე-7 ნეკნების მოტეხილობა, მარცხენამხრივი ჰემოპნევმოთორაქსი, მარცხენა მხრის ძვლის შუა მესამედის ხაზოვანი მოტეხილობა ცდომით, მარცხენა წვივის ძვლების ღია მოტეხილობა შუა მესამედში, ცხვირის ძვლების მოტეხილობა, სხეულის სხვადასხვა უბნის ნახეთქი ჭრილობები, სხეულის ზოგადი დაჟეჟილობა, ტრავმულ-ჰემორაგიული შოკი. პაციენტის გადასარჩენად მუშაობს ბრიგადა რეანიმატოლოგ-ანესთეზიოლოგის, ქირურგის, ტრავმატოლოგისა და ნეიროქირურგის შემადგენლობით. დამატებით დეტალებს რამდენიმე საათში შეგატყობინებთ!“

„სუბიექTV“-ის ახალ სტუდიაში, რომელიც სპეციალურად ესავ ჭუუაძის შოუსთვის აშენდა, ყველაფერი მზად იყო პირდაპირი ჩართვისთვის. მთავარი პროდიუსერი, პროდიუსერები, ყველა ოპერატორი, კორესპონდენტი, ვიდეო-ინჟინერი, ხმის რეჟისორი და გამნათებელი ადგილზე იყო.

მიხა წკვარამია, ტელეკომპანიის გენერალური დირექტორი, წამყვანის მაგიდასთან იჯდა და გადაცემის დაწყების წინ მორჩილად იტანდა ვიზაჟისტის ფუნჯისა და ხელების ფათურს. მოეჩვენა, რომ მაკიაჟი უსასრულოდ გაგრძელდა.

– ეყოფა, რა, ალა, დავაი ზაკანჩივაი ბისტრა! – მიმართა ვიზაჟისტ ქალს, რომელიც მუშაობდა ისედაც სწრაფად, რომ იტყვიან, გამალებით. – ახლა ამის არც დროა და არც – ნერვები, მოვრჩეთ რა!

– ბოლო შტრიხი, ნიჩტოჟნი დეტალჩიკ, – დაყვავებით, ლამის ჩუჩულით ჩაილაპარაკა ვიზაჟისტმა, გულში კი გაიფიქრა: „ჩტო ზა სპეშკი, ურიდ! მოვრჩეთ, კარგია! მერე ჩანაწერს ნახავ, ნე პანრავიცა და კტო ვინავატ? გენდირეკტარ? ნეტ, სტრელოჩნიკ ვინავატ და დავაი, გაჟიმაა..“. – ორი წუთი და მოვრჩები, – თქვა და მეტი სისწრაფით გაარძელა ფრანგული და კანადური ანტიშაინ პუდრებითა და რუმიანებით ჩრდილების ალაგება, ნაოჭების ამოვსება და თვალების ასიმეტრიის გასწორება. „იცი რა, სეი მი სპასიბა, ბეიბი, – ბრაზობდა გულში, – თქვენს მახინჯ ფეისებს რომ ვალამაზებ... პრიხოდიტსია ზანავო სტორიწ ი რისავაწ... იმას გრუბი აჩერტანიე აქვს და დათხელება უნდა, ამის ნიკაპი კაკ ლოკან გულივერა, იმას შუბლი აქვს დელფინოობრაზნი, პრა თვალები ვააბშე ნე სტოიტ გავარიწ. კაროჩე, ნი როჟა, ა კაკოიტა პარტრეტ დორეანა გრეია!“

* * *

– მიხა, ეთერში ხარ!

– მოგესალმებით! მე მიხა წკვარამია ვარ, „სუბიექTV“-ის გენერალური დირექტორი და დღეს ესავ ჭუუაძეს... და დღეს ესავ ჭუუაძეს ვცვლვლვლ... უკაცრავად! და დღეს ესავ ჭუუაძეს ვცვლი! დიახ, ცხადია, ესავის შეცვლა, მით უფრო, ასე სწრაფად, ფორსმაჟორულ სიტუაციაში, შეუძლებელია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენ ვალდებული ვართ!.. დიახ, ვალდებული ვართ, პირველ რიგში მაყურებლისა და ესავის წინაშე, რომ ეს გავაკეთოთ! დღეს „ესავის ხელები“ უჩვეულო ფორმატით გადის ეთერში. ვიმეორებ, ჩვენს ადგილზე, ალბათ, ესავიც ასე მოიქცეოდა... ალბათ კი არა, ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული! მტერმა უნდა იცოდეს, რომ თუკი ვინმე ჩვენიანი წინა ხაზზე დაეცემა, მის დროშას, მიკროფონსა თუ კამერას სხვა აიტაცებს და მაინც წინ წავალთ! დიახ, ჩვენ უკან აღარ დავიხევთ! უკან აღარ დავბრუნდებით, სულ წინ და წინ ვივლით! ჩვენ ვერ შეგვაშინებენ! დღეს მე ვარ ესავი, ხვალ ჩემი მოადგილე იქნება, ზეგ ახალი ამბების რედაქტორი, მაზეგ პროდიუსერი და ასე შემდეგ, რიგით კორესპონდენტამდე, რიგით ოპერატორამდე, დარაჯამდე...

მიხა წკვარამიამ ნახევარი საათი ილაპარაკა. ამასობაში სტუდია ნელ-ნელა შეივსო აღშფოთებული პოლიტიკოსებით, კოლეგა-ჟურნალისტებით, არასამთავრობო ორგანიზაციების აქტივისტებით, ადამიანის უფლებათა დამცველებითა და სახელოვნებო წრეების წარმომადგენლებით... ყველამ – ხან ჯგუფურად და ხანაც ცალ-ცალკე – დაგმო არნახული სისასტიკე, სიტყვის თავისუფლების ფეხქვეშ გათელვა და მთავრობას მოუწოდა გამოფხიზლებისა და დამნაშავეთა უმოკლეს დროში დაკავებისაკენ. სტუდიაშივე, გადაცემის მსვლელობისას, დაიწერა მიმართვა, რომლის ადრესატების ჩამონათვალი კიდევ უფრო ვრცელი აღმოჩნდა, ვიდრე ხელმომწერებისა. ტექსტში გამოყენებული იყო სიტყვები: აფილირებული, სატანისტური, ტრანზიცია, მხოლოდშობილი, იმპლემენტაცია, დემოკრატიული, ანათემა, ტრანსპარენტული, სამშვინველი, გაიდლაინი, რეგულაცია, სამსჭვალი, კრედიბი-

ლურობა, ვალიდურობა, გუნდრუკი, პროლონგირება, ტარგეტირება, მადლი, დაგენერირება, მოგვი, სენსიტიურობა, ნათელი, ლოჯისტიკა, კრიმინოგენული, ლეგიონი...

სუბიექტTV-იმ პირდაპირ ეთერში ჩართო რუსთაველის გამზირი, ქუთაისის თეატრი, ბათუმის ბულვარი, თელავის ზუზუმბო, მესტიის მუზეუმი, როსტოვის რკინიგზის სადგური, სალონიკის პორტი, ლონდონის ჰაიდ-პარკი, ხაიფის პლაჟი. ჩართვა გაკეთდა სოლოლაკიდან, სადაც „სუბიექტTV"-ის გადამღები ჯგუფი გათენებასა და ინახად მჯდომი მოქალაქის გაღვიძებას ელოდა. ჩართეს მოხუცი პოეტი, რომელმაც გაიხსენა წარსული და კიდევ ერთხელ გალანძღა ქვეყნიდან გაძევებული მტრები. პოეტმა დაჟინებით მოითხოვა, 2030 წლის საგაზაფხულო სესიის პირველივე პლენარულ კვირაში საქართველოს პარლამენტმა დაჩქარებული წესით მიიღოს ცვლილება სახელმწიფო ენის შესახებ კანონში, რათა აიკრძალოს სინტაგმის „ასე შემდეგ" პირობითი შემოკლება და მის ნაცვლად აბრევიატურის „ა.შ."-ს გამოყენება, რადგანაც „აშ" და „აშშ" ფაქტობრივად ომონიმებია და ამით უსაფუძვლოდ ვაღიზიანებთ სტრატეგიულ მეზობელს!

სტუდიაში მისვლა ვერ შეძლო იასე ფალავანდიშვილის სახელობის ყოფილ პატრიოტთა ალიანსის თავმჯდომარემ და საგარეო საქმეთა მინისტრმა, შულავერ ულავერიძემ, რომელსაც მიეწერება საქართველოს საგარეო კურსის ყველაზე ლაკონური აღწერა: „საქართველოს არ ჰყავს მუდმივი მტერი და მოკავშირე, საქართველოს ჰყავს მუდმივი მეზობელი!"

ვიდრე ცნობილ ჟურნალისტზე თავდასხმას დაგმობდა, შულავერ ულავერიძემ მოითხოვა ტიტრებში დაშვებული მნიშვნელოვანი შეცდომის გასწორება: „შულავერ და არა ულავერ! ულავერიძე და არა შულავერიძე! და კიდევ: „ყოფილი პატრიოტი და დიპლომატი" და არა „ყოფილი დიპლომატი და პატრიოტი"!

შულავერ ულავერიძემ ჩართვა ცნობილი პოეტის ლექსით დაასრულა:

Природа-мать! когда б таких людей
Ты иногда не посылала миру,
Заглохла б нива жизни...

სტუდიაში ერთ-ერთი პირველი მივიდა შოუს-წამყვანის ახლო მეგობარი და ქართველ (არაგვისპირელ) კაზაკთა ატამანი თენგიზ კრასნოვ-ჭიპხაიხილიძე, რომელსაც ნაბდის ღია კალთებიდან მოუჩანდა ოფიცრის ჩექმებში ჩატანებული მუხლებდაბერილი სპორტული შარვალი, უფრო ზევით კი თვალს ჭრიდა „შევარდნაძის თეთრი მაიკა", რომელსაც, როგორც ჩანს, არც არასოდეს იხდიდა.

– შეიდზლება? – იკითხა ატამანმა და ჩექმის ყელიდან ოთხად გაკეცილი ფურცელი ამოიღო.

– გისმენთ, ატამანს ვინ აუხირდება! – გაისმა ყველა მხრიდან.

– ნუ, მაშინ სლუშაიტე:

„არ მედზინება, არა და არა,
ილიას ვხედავ მე ცარამარა,
არ უხორცდება ბრდზენკაცს ჩრილობა,
მოდი, გავმართოთ კარტველთ კრილობა
რამე ვუშველოტ ჩვენს ერს უბედურს
მოგალატეს და ტურმე უკეტურს
გადავარჩინოტ სამშობლო წარგვნას
კარტოფილივიტ უსისხლო გაპრცკვნას
მოვუბოდიშოტ ჩვენს დზმას რუსისას
დედა ვაგინოტ მოდგმას ბუშისას
რას ვუდჟერებდიტ სოროსს და „კმარას"
ვინ ჩაიბარებს გატეხილ ტარას!"

ატამან კრასნოვ-ჭიპხაიხილიძის გამოსვლას მოჰყვა ხანგრძლივი ოვაცია, უწყვეტი ტაში და ემოციური შეძახილები. შთაბეჭდილება იმდენად ძლიერი იყო, რომ სახალხო დამცველმა, შინაგანი ჯარის თადარიგის ვიცე-პოლოვნიკმა ლეონარდო ნინუამ სტუდიიდან პირდაპირ ჩელუსკინელების ქუჩა N15-ში მდებარე გაზეთ „ამიერკავკასიის რკინიგზელის" რედაქციაში შეიარა და მთავარი რედაქტორის კაბინეტში, დილის ნომრისათვის ცხელ გულზე დაწერა სტატია, რომელშიც სტუდიის რეაქცია შეადარა სტალინისათვის გამართულ ოვაციას 1936 წელს, საბჭოების საგანგებო საკავშირო ყრილობაზე:

Весь зал встаёт. Со всех сторон несутся крики: „Ура тов. СТАЛИНУ!", „Да здравствует тов. СТАЛИН!", „Да здравствует Великий СТАЛИН!", „Великому гению тов. СТАЛИНУ ура!", „Виват!", „Рот фронт!", „Тов. СТАЛИНУ слава!"

* * *

ლევან გიორგობიანი ისედაც აპირებდა დაბრუნებას, როცა ჰამბურგ-პენდორფის უნივერსიტეტის კლინიკაში კურსელმა დაურეკა და მეგობრული მოკითხვის შემდეგ აკადემიკოს თურმანაულის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრის ნეიროქირურგიის განყოფილების ხელმძღვანელობა შესთავაზა.

– სამი თვეა, რაც ჩამოვედი! სრული კარტბლანში მაქვს... კი, აბა რა! აპარატურა, მოწყობილობა – ყველაფერი ისრაელიდან და უნგრეთიდან! ხელფასებიც, ცხადია, ხელფასებიც... ოთხნიშნა, ულაპარაკოდ შეგიძლია მენდო!.. სხვანაირად არც მე დავთანხმდებოდი!

არ უთქვამს, რომ წამოსვლას ისედაც აპირებდა. ვიფიქრებო, უთხრა. იმანაც, კი ბატონოო, ოღონდ მთლად ნეიროქირურგის სტანდარტითა და ტემპით ნუ იფიქრებო. ამაზე ორივეს გაეცინა და ერთდროულად თქვეს, ფესტინა ლენტე, როგორც პროფესორი კახნიაშვილი იტყოდაო!

თბილისიდან 90-იან წლებს გაექცა – ომს, სიცივეს, ჭუჭყს, შიმშილს, გარემოს... პეტერბურგში, პოლენოვის ნეიროქირურგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში დაამთავრა ორდინატურა, იქვე დაიცვა საკანდიდატოც და სამი წლის თავზე, როცა თბილისში დაბრუნებაზე დაიწყო ფიქრი, ერთი წლით ჰამბურგში მიიწვიეს. ერთი წელი, საერთო ჯამში, თორმეტი წელი გაგრძელდა.

შინ დაბრუნებულს შეეძლო ახალი ბინის ყიდვა, მაგრამ როგორღაც ვერ მოაბა თავი. ხან ვერ მოიცალა, ხან ფასი არ მოეწონა, ხან – ფართობი და ამასობაში ხელახლა შეეჩვია მშობლების ბინას საბურთალოს კიდეზე, ხუთსართულიან ხრუშჩოვკაში, სადაც ბავშვობა ჰქონდა გატარებული და მეზობლებსაც (ახლებს თუ არ ჩავთვლით) ჯერ კიდევ

ახსოვდათ, თუმცა, დრომ, მისმა პროფესორობამ და შეცვლილმა გარეგნობამ ეს ურთიერთობა რაღაცნაირად გააცივა, ნაძალადევად ზრდილობიანი და სალმით შემოსაზღვრული გახადა.

– გამარჯობა! – უთხრა კიბეზე მოზომილი ნაბიჯებით ამომავალმა მოხუცმა მეზობელმა.

– სალამი! – გაუცინა ლევანმა, – როგორ ხართ, ანდრო ძია?

– ტელევიზორში გნახე! – სულ სხვა კითხვის პასუხი დაუბრუნა მეზობელმა, რომელიც მრავალმნიშვნელოვანი ღიმილით განაგრძობდა საფეხურების ავლას.

– აჰ, ხო ტელევიზორში! ჟურნალისტი შემოიყვანეს ჩვენთან და საგიჟეთი გვაქვს, დღე და ღამე იქა ვარ, ძალიან მძიმე მდგომარეობაა...

– მალადეც! – გააწყვეტინა ანდრო ძიამ, – პაპა ი მამა გარძილის ბი ტაბოი! – უთხრა და ვიდრე ზედა კიბეს მოეფარებოდა, ერთხელ კიდევ გამოხედა იმავე მრავალმნიშვნელოვანი ღიმილით, – მალადეც, ნე აჟიდალ!

„მაინც ასეთი რა ძალა აქვს ტელევიზიას?" – ფიქრობდა მარტო დარჩენილი – „გინდა ექიმი იყავი და გინდა მფრინავი, პროფესორი და კოსმონავტი – არაფერს აქვს მნიშვნელობა, თუ ტელევიზორში არ გამოჩნდი! არ აქვს მნიშვნელობა, რას აკეთებ, როგორ აკეთებ! ყველაფერს გადაწონის ერთი სატელევიზიო სიუჟეტი, ერთი ფრაგმენტი, ერთი კადრი..."

მერე ჟურნალისტის ყელიდან თუ ლამის ბრონქებიდან ამოღებული ქაღალდი გაახსენდა, მასზე დაწერილი ტექსტის შინაარსი. ფურცელი, როგორც ჩანს, ჩატენვისას დაიხა. ცხადია, ამოღების დროსაც დაზიანდებოდა. ნერწყვმა და სისხლმაც დაასველა და მელნით ნაწერი ტექსტი კიდევ უფრო ძნელად გასარჩევი გახადა, თუმცა, წაკითხვა და აზრის გამოტანა მაინც შეიძლებოდა. წერილის მიხედვით, ეს იყო ანგარიშსწორება იმ უსამართლობის, სისასტიკის, სიბინძურის, გესლისა და შხამის პასუხად, რითაც ცნობილი ჟურნალისტი წლების განმავლობაში უწყვეტად კვებავდა თავის უზარმაზარ აუდიტორიას და, რითაც მოწამლული და ერთმანეთზე გადაკიდებული ჰყავდა მამა და შვილი, ქალი და კაცი, მორწმუნე და ათეისტი, გეი და ჰეტეროსექსუალი...

„კანონს, ეთიკას, სიმართლეს, მორალს, უფლებას – ყველა ამ სიტყვას აზრი გამოაცალე და მათ ნაცვლად ააღორძინე სიძულვილი,ზიზღი, შიში, პროპაგანდა, ეჭვი, უნდობლობა, დისკრედიტაცია... ყველა ჟურნალისტი ესავ ჭუუაძეობაზე ოცნებობს, ყველას გულში აქვს ამოჭრილი ათი მცნება ბესტსელერად ქცეული „ჟურნალისტის სახარებიდან", რომლის ავტორი, ისევ და ისევ, შენ ხარ! „ცუდი ჟურნალისტი ერთხელ იყიდება, კარგი კი ყოველ ჯერზე", „რეიტინგი მეზობლის ბავშვი არაა, თავისით რომ გაიზარდოს", „ცრემლსა და სისხლს შორის, აირჩიე სისხლი. ცრემლი სიხარულისაც შეიძლება იყოს!", „პური და სანახაობის ალტერანტივა შეიძლება იყოს მხოლოდ ხორცი და სანახაობა", „როგორც მტერი არ გაქრება, ასევე რეიტინგი არ გაიზრდება თავისით", „რაც კადრში არ მოხვდა, არც ყოფილა" და ა.შ. ... – რომელი ერთი გავიხსენოთ?! წაბილწე და გარყვენი ყველა გაზეთი, ჟურნალი და ტელევიზია. არ დატოვე მყარი ნიადაგი, სადაც ფეხის მოკიდება შეიძლება! არ დატოვე ჟანგბადის ნასახი, რომლითაც სულის მოთქმა შეიძლება! ყველაგან ჭაობია! ყველგან გოგირდის ოხშივარი გვიხუთავს სულს! იმედი შეგვაძულე! ოცნება ნაგვართვი! სამართლიანი და მიუკერძოებელი ჟურნალისტი უაზრო და სასაცილო ოქსიმორონად აქციე... ამიტომ უნდა მოკვდე! – გადაწყვეტილია, მაგრამ ვიდრე ეს მოხდება, სათითაოდ უნდა გადაგიმტვრიოთ ორივე ხელის მტევნები და ყველა თითი, რადგანაც ვერც საიქიოში და ვერც საიქიოდან ველარ აფათურო შენი ბინძური ხელები ჩვენს სულებსა და სხეულებში..."

ქაღალდის მეორე გვერდზე ეწერა: ეგზეკუციაზე პასუხისმგებლობას იღებს იატაკქვეშ მოქმედი საჯარო ბიბლიოთეკის იშვიათ გამოცემათა საცავის მკითხველთა რადიკალურ-ექსტრემისტული ჯგუფი.

მიუხედავად იმისა, რომ მთელი ტექსტი (მუქარაც და ხელმოწერაც) ქართულად იყო შედგენილი, გაზეთმა „ასავალ-დასავალმა" სანდო წყაროდან მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც ავტორი ამტკიცებდა, რომ ტერაქტი ჩადენილია Radical extremist group which consisted of the readers of the rare books storage, which, in turn, was an undeground part of the public library-ის მიერ და, რომ მასთან მჭიდრო კავშირი აქვს ვაშინგტონში მდებარე სადაზვერვო-დივერსიულ ცენტრ თგჩ-ს, რომელიც იშიფრება როგორც თჰე ვიბრარყ ოფ ჩონგრესს და მოქმედებს ამევე ცენეტრის დირექტორის, ადმირალ ჯეიმს ბილინგტონის (Adm. James Hadley Billington) მითითებით.

* * *

ლევან გიორგობიანი სამუშაო ოთახში იჯდა და ლეპტოპის ეკრანზე ციფრულ ფორმატში კონვერტირებულ ლევან გიორგობიანს უსმენდა.

„გავაკეთეთ თავის ქალის ტრეპანაცია, მარცხენამხრივი თორაკოტომია, ფილტვის ჭრილობის გაკერვა, პლევრის ღრუს დრენირება, მარცხენა მხრის ძვლის ოსტეოსინთეზი, ორივე მტევნის პროქსიმალური და შუა ფალანგების ოსტეოსინთეზი მიკროლეროვანი არაკეროვანი აპარატით, მარცხენა წვივის ძვლის ჩონჩხოვანი დაჭიმვა, სახისა და მარცხენა წვივის ჭრილობების პირველადი ქირურგიული დამუშავება. პაციენტი ამჟამად კვლავ იმყოფება კომაში, აპარატულ სუნთქვაზე. ჩვენი ეჭვი, რომ სისხლჩაქცევას ჰქონდა ადგილი ჰიპოფიზის არეში, სამწუხაროდ, დადასტურდა..."

მობილურმა დარეკა. ლევანმა ვიდეოფაილს ხმა გაუთიშა და ერთი საათის წინ გამართული პრესკონფერენციის ჩანაწერს ზურგი შეაქცია.

– გისმენთ!

– ბატონო ლევან, „სუბიექTV"-იდან გაწუხებთ, მიხა ვარ, გენერალური დირექტორი...

– გისმენთ, ბატონო მიხა!

– მოსული ვიყავი, მაგრამ არ დამხვდით... მთავარ ექიმს ველაპარაკე... მოკლედ, ძაან ცუდადაა საქმე, არა?

– როგორ გითხრათ! არაა მარტივი ვითარება, მაგრამ ასე

30972

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელაღებით ვერაფერს ვიტყვით, უნდა დაველოდოთ, დავაკვირდეთ... ყველაფერი შეიძლება მოხდეს. ალბათ გეცოდინებათ, რა დიდი მნიშვნელობა აქვს ჰიპოთალამუს-ჰიპოფიზური სისტემის ფუნქციას, რომელიც ნერვულ და ენდოკრინულ სისტემებს აკავშირებს და ამუშავებს...

ერთი თვის შემდეგ ლევან გიორგობიანმა თვითონ დაურეკა ტელევიზიის გენერალურ დირექტორს და კლინიკაში მისვლა სთხოვა.

– ცუდი ხომ არაფერია?

– რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი ხდება და გვინდა, საქმის კურსში ჩაგაყენოთ. ცხადია, ტელეფონით ვერ ვილაპარაკებთ, უნდა მობრძანდეთ ჩვენთან...

ცნობილი ჟურნალისტი ესავ ჭუუაძე კვლავ მართვითი სუნთქვის აპარატზე იყო მიერთებული. გულის ცემა, წნევა, სისხლის პარამეტრები – ყველაფერი წესრიგში ჰქონდა, თუმცა, ძნელი სათქმელია, რა მოხდებოდა გამჭვირვალე მილებისა და რიტმულად მოძრავი დგუშების გარეშე რომ დარჩენილიყო.

– ვერაფერს ამჩნევთ?

– რას გულისხმობთ? რა უნდა შევამჩნიო?

– ბატონ ესავზე გეკითხებით... ვერაფერს ამჩნევთ?

სწრაფად შეტრიალდა საწოლისკენ.

– რა უნდა შევამჩნიო, ისევ ისეთი ჯოჯოა, როგორიც იყო... ნუ, ცოტა ფერმკრთალია და თითქმის მკვდარი!

უმწეო მდგომარეობაში მყოფი ესავ ჭუუაძე მართლაც ცუდი სანახავი იყო. სხეულში შემავალი და სხეულიდან გამომავალი მილაკების წყალობით, ადამიანზე მეტად თავისსავე საცეცებში აბურდულ რვაფეხას ჰგავდა, ოღონდ პატარასა და თმიან რვაფეხას!

– სიმაღლეში იზრდება! – მშვიდად თქვა ექიმმა.

– რა-ა?

– თმებიც სცვივა... თანაც არა მარტო სახიდან... მთელი სხეულიდან. ახლახანს მოწმინდეს იატაკი, მაგრამ, ნახეთ, ისევ ყრია... – საწოლთან მივიდა, – აი, ზეწარსაც შეხედეთ...

მერე ნეიროქირურგმა ახსენა პეტერბურგელი პროფესორი პრეობრაჟენსკი და ბევრი ილაპარაკა ჰიპოფიზსა და ჰიპოთალამუსზე. თქვა, რომ თავის ტვინის ქვედა ნაწილში, უნაგირად წოდებულ ღრმულში ჩამალულია პატარა წანაზარდი – სიმინდის მარცვლისოდენა, რომელიც გამოიმუშავებს ჰორმონების მთელ ბუკეტს, პალიტრას. ეს ჰორმონები ზემოქმედებას ახდენენ ნივთიერებათა ცვლასა და უამრავ სხვა რამეზე. თუმცა ჩვენს შემთხვევაში, საინტერესოა ჰიპოფიზის ის ფუნქცია, რომელიც იწვევს ნანიზმს, ანუ მდაბიურად ქონდრისკაცობას, ასევე ის ფუნქცია, რომელიც იწვევს გიგანტიზმსო...

– გასაგებია, ჰო, რაზეც გელაპარაკებით? როცა უსაშველოდ იზრდება სხეული. მეტსაც გეტყვით, ეს სიმინდის მარცვალი აგებს პასუხს თმის ზრდასა და დაცვენაზეც... ალბათ გსმენიათ, ჰიპერტრიხოზისა და დიფუზიური ალოპეციის შესახებაც... ჰიპერტრიხოზს ანუ ჭარბთმიანობას აქვს ადგილი, როცა თმა იზრდება ყველგან, სადაც უნდა იზრდებოდეს და სადაც არ უნდა იზრდებოდეს... პრინციპში, ჰიპერტრიხოზის დროს (ექიმმა ხელი ესავისკენ გაიშვირა) თმა არ იზრდება მხოლოდ თვალებში, ენასა და ხელისგულებზე... რაც შეეხება თმის ცვენას ანუ ალოპეციას – ესეც ჰიპოფიზის პათოლოგიის შედეგია...

– ესავი იზრდება! – დამარცვლით ჩაილაპარაკა ტელევიზიის დირექტორმა, – თმებიც სცვივა, ეპილაციის გარეშე... რაც მაგის ეპილაციასა და მაკიაჟში ფული გვაქვს გადაყრილი...

* * *

„ესავის შოუს“ მთელი შემადგენლობა საავადმყოფოში, ესავის გვერდით, სახელდახელოდ დაცლილ პალატაში გადასახლდა. დაიდგა ორი მოძრავი და ექვსი სტაციონარული კამერა, რომელიც უყურადღებოდ არ ტოვებდა არცერთ უმნიშვნელო ცვლილებას 24 საათის განმავლობაში. ესავი ყველას თვალწინ – „სუბიექTV“-ის მრავალმილიონიანი აუდიტორიის წინაშე ლამაზდებოდა – იზრდებოდა და იძარცვებოდა თმის საფარისაგან. სადღა იყო ბალანში აბურდული ხორცის გორგალი და „ჰალსტუხიანი ჭინკა“, როგოც ლეიბორისტული პარტიის თავმჯდომარემ უწოდა მას. პალატის ცენტრში დადგმულ საწოლზე იწვა დაახლოებით 180 სმ სიმაღლის ფერმკრთალი მამაკაცი სახის სწორი ნაკვთებითა და კარგად ნავარჯიშები სხეულით. ესავის ამგვარი უცნაური ტრანსფორმაცია, რომელიც პირდაპირ ეთერში გადაიცემოდა, დღითიდღე იკრებდა აუდიტორიას.

„დალენილს, დამუნჯებულსა და ლამის იმქვეყნად მყოფსაც კი შეუძლია შოუს კეთება, რეიტინგის აწევა!“ – ფიქრობდა მიხა წკვარამია, რომელიც უზომოდ კმაყოფილი იყო ჩავლილი დღით: ხელშეკრულება გააფორმა საავადმყოფოსთან, რომელმაც რეალიტი-შოუს გენერალური სპონსორობა იკისრა; ჩაწერა შოუს პრომო და ქუდი – ისეთი მყვირალა, ხმაურიანი და ჟრჟოლის მომგვრელი, როგორიც უთუოდ მოეწონებოდა ესავს; იაპონიიდან გამოწერილი ახალი აპარატურა გადაიტანა საავადმყოფში და, რაც მთავარია, ლოგიკურად გამართა პროექტის კონცეფცია: პოლიტიკოსები, ფეისები, კულტმუშაკები – ძველად სახელოვნებო წრეების წარმომადგენლებს რომ უხმობდნენ (ნიკუშა, გიო, ნატო, ლიზა, ქეთი, ჯემალი...) და საზოგადოების სხვა ჯგუფები – მიდიან საავადმყოფოში კომაში მყოფი ტელეწამყვანის მოსანახულებლად, მოსაკითხად და უამბობენ, თუ რა ხდება გარეთ, როგორ ვერ ხერხდება საზოგადოების ასენიზაცია და ბოლომდე განკურნება თავისუფლების ბაცილებისაგან, როგორ ვერ ხერხდება დემოკრატიის მეტასტაზებისგან განთავისუფლება და ასე შემდეგ, მაგრამ ეს ყველაფერი იქნება მერე, როცა ესავი თვალებს გაახელს, ალაპარაკდება და სტუმრების მიღებას შეძლებს! მაგრამ შეძლებს კი? ალაპარაკდება კი? რომ ვერ შეძლოს?

ხასიათი გაუფუჭდა. წარმოიდგინა, როგორ დაეშალა ქვიშაზე ნაშენები მედიაიმპერია მხოლოდ იმის გამო, რომ თავში ჩათესილი სიმინდის მარცვალი ოდნავ შეტოკდა.

„უმწეო, მშვიდი ესავი!“ – ამის წარმოდგენაც კი ძნელია, გაიფიქრა და გაახსენდა ესავის, ვინ იცის, მერამდენე პროფესიულ-ცხოვრებისეული სიბრძნე: „ფიქრს გერჩიოს ლაპარაკი, ლაპარაკს – ყვირილი, ყვირილს – გინება, გინებას –

ჩხუბი!“ მერე გაახსენდა კონკურენტი ტელევიზია „პრიმიTV“ – უფრო მეტად ხისტი და მყვირალა, ვიდრე „სუბიექTV“, თუმცა, ბედად მეტადაც გამოუცდელი, ახალბედა და, შესაბამისად, ნაკლებად ბინძური, მყრალი და სისხლიანი, მაგრამ თუ ესავი არ გამოჯანმრთელდება, თუ რამეს არ იღონებს, ეს განსხვავება თვალსა და ხელს შუა გაილევა. კონკურენტის სუნთქვა უკვე იგძნობა ზურგში. სწორედ „პრიმიTV“-მა თავის ეთერში, მართალია შეფარვით, მაგრამ მაინც ცხადად მიანიშნა, რომ ესავ ჭუუაძემ თვითონ გაილახა თავი, რათა გადაცემის რეიტინგის გაზრდლიყოო...

მძიმე ფიქრებიდან მოადგილის ზარმა გამოარკვია.

– TVMR-ის საიტზე შედი, TVMR-ის საიტზე შედი... – ყვიროდა გახარებული და ვერაფრით აბამდა სათქმელს თავს, – TVMR-ის საიტზე შედი და ახალი კვლევის შედეგები ნახე, ნახე...

შევიდა. ესავის რეალიტი შოუ ლიდერობდა, კომაში მყოფი ესავის!

დაუჯერებელიაო, უთხრა მოადგილეს, არა მჯერაო. იმან კიდევ, შეგიძლია არ დაუჯერო შენ თვალებს, შეგიძლია არ დამიჯერო მე, მაგრამ უნდა დაუჯერო მის უდიდამიქინძულესობა ფიფლმეტრს, რომელიც არასოდეს ცდებაო.

ჯერ კომიდან არ გამოსულა და უკვე იმდენი მაყურებელი ჰყავს, რომ პოლიტიკური პარტიები, დეპუტატები, სახელოვნებო წრეების წარმომადგენლები (ნიკუშა, გიო, ნატო, ლიზა, ქეთი, ჯემალი...), ტექნიკური ინტელიგენცია და ა.შ. წინასწარ ეწერებიან მთავარი პროდიუსერის გრძელ სიაში, რომ ცნობილი ჟურნალისტის სანახავად მისულები, რეიტინგულ გადაცემაში გამოჩნდნენ და ნახონ მაყურებლებმა, რომ გასაჭირში მყოფი კერპის ბედი მათაც აღელვებთ, რომ ესავის დასახიჩრება მათი დასახიჩრებაცაა! რომ თავისუფალი სიტყვის დამარცხება მათი დამარცხებაცაა! ეგ კი არადა, მედპერსონალშიც იფეთქა მოუთოკავმა ვნებებმა – ყველა ესავის პალატას მიეძალა: ექთნები, ექიმები, პრაქტიკაზე მოსული სტუდენტები და საავადმყოფოს პროფესურა აკადემიკოს თურმანაულის ჩათვლით... სანიტრებმა ერთმანეთი სცემეს იმის გამო, რომ ვერაფრით შეთანხმდნენ, თუ რომელს უნდა დაეცალა ღამის ქოთანი პრაიმ-ტაიმში, ანუ იმ დროს, როცა გადაცემას ყოველი სამი მოქალაქიდან ორი უყურებდა.

...მაგრამ მიხა წკვარამია მაინც ნერვიულობდა. „რა იქნება ხვალ?“ – კითხულობდა ის და მომავალზე ფიქრით იწამლავდა სულს. როგორც გამოცდილმა პროფესიონალმა, ზუსტად იცოდა, თუ მცენარედქცეული ესავი არ გაცოცხლდებოდა, თუ ახალი გარემოების შესაბამისად მოდერნიზებულ ესავად არ იქცეოდა, მაღალი რეიტინგის სიმძიმეს დიდხანს ვერ გაუძლებდა და დაეცემოდა.

რეიტინგი აუცილებლად დაიწყებს კლებას, ასე დიდხანს ვერ გაგრძელდება! ერთხელაც იქნება და პლატოზე გავა, როცა თმების ცვენაც შეჩერდება და – სიმაღლეში ზრდაც! ჯერ ეს დრო არ დამდგარა, მაგრამ ესავი უკვე იქცა საშუალო სტატისტიკურ ქართველად, რომელიც (თუ სითხის სახით მხოლოდ ალკოჰოლს არ იღებს, თუ კვირაში ორი დღე მაინც ჩადის აუზში და იკვებება ზომიერად – მარხვაში უარს ამბობს ძეხვეულსა და ტორტზე (ცხადია სამარხვოზე), აღდგომაზე არ ერჩის ცხვრებს, ახალ წელს – გოჭებს, ინდაურებს და სხვა წვრილფეხობას, შობაზე – ღორებს, სადაგი დღის მენიუდან კი ამოღებული აქვს ქართველი კაცის გასტრონომიული წმინდა სამება – მწვადი, ხინკალი, ქაბაბი) რაღაცით ჩამოჰგავს ჯორჯ კლუნის ანდა ენდი გარსიას მაინც. ასეთი იყო სიკვდილს გადარჩენილი ესავის ზებუნებრივი ტრანსფორმაციის გამაოგნებელი შედეგიც! მაგრამ თუ არაფერი შეიცვლება, თუ სანახავი აღარაფერი იქნება, ცხადია, ადრე თუ გვიან, ესავის მომხიბვლელი გარეგნობაც მობეზრდება მაყურებელს და მოითხოვს სანახაობის ახალ ულუფას – უფრო ცხარეს და მეტი ოსტატობით შეკმაზულს! ასეთია ბუნება დოყლაპია, მაგრამ უძღები მაყურებლისა, რომლის დაკმაყოფილება მარტო ესავს შეუძლია, ოღონდ ცოცხალ ესავს, ლეთარგიული ძილიდან გამოსულსა და ფეხზე მყარად მდგომს! ვინ იცის, როგორი იქნება ხელახლა დაბადებული ესავი გამოცვლილი სხეულითა და დაზიანებული ტვინით? ნუთუ, წყალში გადაიყრება ამდენი ფული და შრომა? იქნებ, პირიქით, ასმაგად ანაზღაურდება გაწეული ხარჯი?

ახალი ესავი ძველი ქარიზმით – ამაზე მხოლოდ ოცნება შეიძლება! მაგრამ ემახსოვრება კი ესავს ვისი გორისაა? აკი, პეტერბურგელი პროფესორი პრეაბრაჟენსკიც ამტკიცებს, რომ ჰიპოფიზი არის დახურული კამერა, რომელიც ადამიანის პიროვნებას განსაზღვრავსო...

* * *

თითქოს ყველაფერი წინასწარ განსაზღვრული იყო. არანაირი ფორსმაჟორი და შემოქმედებითი ქაოსი. არანარი ცვლილება სატელევიზიო ბადეში. რეკლამა რომ დასრულდა, ეკრანზე ესავის მშვიდი, ფერმკრთალი სახე გამოჩნდა. პალატის იდეალურ სიქათქათეში უწყვეტად იღვრებოდა აგვისტოს ნათელი, რომელსაც ჰარმონიულად მოჰყვებოდა უდახვეწილესი ბგერითი ტალღები მოცარტის მუსიკის სახით. ჯერ პალატას, შემდეგ კი ეთერის საშუალებით მრავალმილიონიანი აუდიტორიის ოთახების სახით მთელ ქვეყანას ავსებდა „ფიგაროს ქორწინების“ ჰანგები, რომლის ხარისხიანი ჩანაწერი დაუღალავად და გამორჩეული გულისხმიერებით გადადიოდა ესავის ერთი პლეილისტიდან მეორეში, ერთი CD-დან მეორეში, ერთი ფლეშ-მეხსიერებიდან მეორეში... იცვლებოდა გემოვნება, თანმიმდევრობა, მთელი სიაც კი, მაგრამ ცხრილის სათავეში ყოველთვის იყო ცნობილი რუსი ბასის ნამღერი ფიგაროს არია. რა გასაკვირია და, ამჯერადაც რუსი ტენორი მოუწოდებდა ესავს:

«Мальчик резвый, кудрявый, влюбленный,
Адонис женской лаской прельщенный,
Не довольно ль вертеться, кружиться,
Не пора ли мужчиною быть?»

და სწორედ აქ მოხდა გაუთვალისწინებლი რამ, რომლის ახსნა ვერ შეძლო ვერც „სუბიექTV“-ის ყველაფრის მცოდნე ტექნიკურმა პერსონალმა, ვერც გერმანიიდან საგანგებოდ მოწვეულმა ინჟინერმა, რომელმაც ვერანაირი ხარვეზი ვერ აღმოაჩინა „ზენჰაიზე-

რისა“ და „სონის“ უმაღლესი ხარისხის აუდიოსისტემაში. არადა, ჩაიხვია, როგორც ძველმა ნემსიანმა პრაიგრივაწელმა ვინილის დაკაწრული და დეფორმირებული ფირფიტა.

...Не довольно ль вертеться, кружиться,
Не пора ли мужчиною быть?
...Не довольно ль вертеться, кружиться,
Не пора ли мужчиною быть?

...და ასე მთელი ერთი წუთისა თუ წუთნახევრის განმავლობაში!

ვერ გაარკვიეს, რა მოხდა, რა დაემართა ტრაიკასტერის პულტს, როგორ დაიკარგა კამერების მართვაზე კონტროლი და რანაირად მოხდა, რომ მთელი ერთი წუთის განმავლობაში, კადრში ჩანდა მხოლოდ ესავის გაქვავებული სახე, რომელიც ფიგაროს არიის ფონზე ნელ-ნელა ივსებოდა სისხლით და იწყებდა ფეთქვას ისე, თითქოს უჯერებდა და ემორჩილებოდა თმაშევერცხილ რუს მომღერალს, რომელიც ამუნათებდა, დასცინოდა და გულში ჩამწვდომი ხმით ჩასჩიჩინებდა, ესავ, გეყოფა მაიმუნობა, ადექი, რას წევხარ, კაცი არ ხარ, გაიღვიძეო...

და ესავმაც გაიღვიძა!

თვალებმა აირეკლეს ჰაიდეფინიშენის კამერები და სტედიკამით მოძრავი წვერებიანი ტიპი გასხივოსნებული დეილაითის განათებით. ამუშავდა პულტი, აღდგა კავშირი კამერებთან და აუდიოსისტემასთან.

– სიჩუმე! – იყვირა მიკროფონში პროდიუსერმა, – ყველა კამერა ესავზე მუშაობს!

სიჩუმე ცოტა ხანს გაგრძელდა, მაგრამ ამ თითებზე ჩამოსათვლელ წამებში მიხა წკვარამიამ ყველა ფრჩხილის დაკვნეტა მოასწრო. აქ და ახლა, ამ პალატასა და ამ წამებში წყდებოდა მისი, ესავის, ტელევიზიისა და სამშობლოს ბედი!

„სამყარო ორ ნაწილად იყოფა“, ფიქრობდა მიხა წკვარამია, „იდეალური, მკაცრად დემარკირებული და დელიმიტირებული საზღვარით, რომელიც გადის ტელევიზორის ეკრანის გლუვსა და სიფრიფანა ზედაპირზე. არადა, ამ სამყაროებს შორის ისეთი დიდი სხვაობაა, როგორიც შეიძლება იყოს მწყემსსა და ცხვრებს შორის, მხედართმთავარსა და ჯარისკაცებს შორის, წმინდანებსა და ცოდვილებს შორის! წარმოდგენაც კი ძნელია: მწყემსი იქცეს ცხვრად! მხედართმთავარი ჯარისკაცად! წმინდანი ცოდვილად! ესავი მაყურებლად!.. რა შეიძლება იყოს მაყურებელზე საცოდავი და უბადრუკი? მაყურებელს სჯერა ყველაფერი, რასაც ესავი ეუბნება და არ სჯერა არაფერი, რასაც თვითონ, თავისი თვალით ხედავს! ესავი იქცეს მაყურებლად, ამაზე დიდი უსამართლობა წარმოუდგენელია!“

– მეტი სინათლე! – დაიძახა პროდიუსერმა.

სინათლის ძლიერ ნაკადთან ერთად, ჭერიდან ამწეზე დამაგრებული კამერა დაიძრა და ესავის პირდაპირ, ხელის გაწვდენაზე გაჩერდა. ერთი ხანობა დაყოვნდა და ის იყო, უკან უნდა დაეხია, რომ ეთერში გაისმა ესავის უმდიდრესი ბანი, სიტყვებსა და საგნებისათვის მეტი საზრისის მიმცემი ხმა:

„აიღო რებეკამ თავისი უფროსი შვილის, ესავის, ძვირფასი ტანისამოსი, სახლში რომ ჰქონდა, და ჩააცვა იაკობს, თავის უმცროს შვილს. ხელები და უბანლო კისერი კი თიკნის ტყავით დაუფარა. უთხრა იაკობმა მამამისს: ესავი ვარ, შენი პირმშო. გაგიკეთე, რაც მთხოვე. წამოჯექი და ჭამე ნანადირევი, რომ მაკურთხოს შენმა სულმა. და მიუახლოვდა იაკობი მამამისს, ისაკს. მან ხელი შეავლო და თქვა: ხმა იაკობის ხმაა, ხელები კი ესავის ხელებია!. და ვერ იცნო იგი, რადგან იყო მისი ხელები, როგორც ხელები ესავისა, მისი ძმისა, ბალნიანი და აკურთხა იგი“.

ესავი იდაყვებს დაეყრდნო და საწოლზე წამოჯდა. მეორე კამერაში გაიხედა და ფონად შემოსულ მუსიკის რიტმში უფრო ხმამაღლა განაგრძო:

„ეს მე ვარ ესავი, ვინც დედამ გაწირა და ძმამ მოატყუა, ვისი კურთხევაც მიითვისეს, ვინც გაძარცვეს და უსამართლოდ დაჩაგრეს ისევე, როგორც ბევრი თქვენგანი – კაცი, ქალი, მოხუცი, ახალგაზრდა, დიდი და პატარა! ერთ მხარეს ჩვენ ვართ, მეორე მხარეს ისინი – მძარცველები, ფარისევლები, ქურდები, რომელთა შესახებ უფალი ჩვენი იესო ქრისტე ამბობს, ქურდი მხოლოდ იმისთვის მოდის, რომ მოიპაროს, მოკლას და მოსპოს, ხოლო მე მოვედი, რათა იყოს სიცოცხლე და ჭარბადაც იყოს! არავის ჰქონდეს იმედი, რომ რამეს დამალავს და შერჩება, რამეთუ ყოველთა რომელთა აღიღონ მახვილი, მახვილითა წარწყმდენ. აკი, ძველი სიბრძნეც გვეუბნება, განყიდენ სამოსელი და იყიდენ მახუილიო, მაგრამ ესავს მახუილის ყიდვა არ სჭირდება, ესავის მახუილი გრძელი და ძლიერი ხელებია, რომელსაც ვერავინ დაემალება, რომელიც ყველას მისწვდება! დიახ, მე ესავ ჭუუაძე ვარ! თქვენ უყურებთ „ესავის ხელებს“ და გაფრთხილებთ, ვერსად დამემალებით! ხელებს ვაფათურებ ყველგან და ყველაფერში! დავბრუნდებით რეკლამის შემდეგ!“

– დაბრუნდა! – ძლივს ამოთქვა ნანახით გაოგნებულმა პროდიუსერმა და გენდირექტორს გახედა.

მიხა წკვარამია კი მზერას ვერ წყვეტდა მკვდრეთით აღმდგარსა და განახლებულ ესავს – ლაზარესა და, შეიძლება ითქვას, ჩვენთვის წამებულ იესოსაც კი! იჯდა გაოგნებული და ვერ ამჩნევდა, რომ ფეხი ედგა გუბეში, რომელიც წარმოქმნილიყო პალატის თავზე მდებარე მოშლილი ონკანიდან.

წყალი გაივლიდა იატაკს, სართულების გამყოფ ბეტონის პანელებს და ჭერზე წვეთებად დაყოვნებისა და დამსხვილების შემდეგ ემატებოდა ქვემოთ გაჩენილ გუბეს, დაცემისას კი გამოსცემდა ისეთ ხმას, კაცი იფიქრებდა, ვიღაცის უხილავმა ხელმა გიგანტური საათის მექანიზმი აამუშავაო. ალბათ, ასეც იყო: სამყაროს ყველა საათმა, მექანიკური მოწყობილობებისათვის დამახასიათებელი მოჩვენებითი სიდინჯით, ხელახლა დაიწყო ესავისთვის დროის ათვლა...

დათო ქარდავას თხრობის ფიზიკა

დათო პაიჭაძე

დათო ქარდავას შეუძლია წეროს ყველაფერზე. ეს არის არა დასკვნა, არამედ დასაბუთებული შთაბეჭდილება, მიღებული მისი ტექსტებისგან. ცხადია, „ყველაფერი“ აქ ნიშნავს „იმას, რაც მოეგუნებება“. შევეცდები ავხსნა, რატომ შეუძლია წეროს ყველაფერზე, რასაც განიზრახავს ან შეეჭიდება.

ჰო, „შეუძლია წეროს“ გულისხმობს, რომ შეუძლია წეროს კარგად. აი, კარგად წერა რა არის, ცოტა წვრილად უნდა ვთქვა.

დათო ქარდავას წერითი მეტყველება სადა და მკაფიოა. არ მიმართავს სტილიზაციას, იშვიათია სიტყვა, რომელიც თვალს ან სმენას მოგჭრის, მის ნაწერს არც რაიმე განსაკუთრებული მელოდიკა აქვს, არც საგანგებო ინტონაცია, არც მოულოდნელი აქცენტები. წინადადება არასოდეს არის ძალიან მოკლე ან ძალიან გრძელი. თხრობის რიტმი საშუალოზე ოდნავ სწრაფია. ავტორი მდიდარია სიტყვათა მარაგით, მაგრამ თვალში ამ სიმდიდრეს არ გჩრის: თუ მკითხველს „მხედველობა“ უვარგა, ისედაც შეამჩნევს. ასევე არასოდეს არის პრიმიტიული.

დათო ქარდავა ნიმუშია, როგორ ეხმარება მწერალს ჟურნალისტის პროფესია და საბუნებისმეტყველო განათლება. მის ტექსტებში – სულერთია, ეს იქნება მხატვრული თუ არამხატვრული პროზა, მოკლებული, ვიმეორებ, სტილისტურ ელვარებებს – ყველაფერი ემორჩილება და ემსახურება ერთ მიზანს: მოგვითხროს ამომწურავად. ჟურნალისტიკაში თხრობის სისრულეს განსაზღვრავს უნარი, გაწვდე მრავალ წყაროს, შეაჯერო და გაანაწილო ინფორმაცია, გამოჰყო ერთიმეორისგან რელევანტური და ნაკლებად მნიშვნელოვანი, მიუჩინო ტექსტში კუთვნილი ადგილი. მაგრამ ჟურნალისტიკა ზღუდავს ასპარეზს ამ უნართა გემოზე გამოვლენისათვის: ის ითხოვს, რომ მოკლე დროში, მოკლე ფართობზე დაეტიო. დათო ქარდავაც, როცა ჟურნალისტობს, ეტევა. მაგრამ როცა ვრცელ ტექსტს წერს, ის იქცევა თითქმის ეპიკოს ავტორად.

საქმე მხოლოდ იმას არ ეხება, რომ დათო ეპიკურ ჟანრში მუშაობს – თხზავს მოთხრობებს და ვრცელ ნარკვევებს (თუმცა, ენა არ მიტრიალდება, მის წიგნებს ეს ოდესღაც კარგი, დღეს კი საბჭოთა კონიუნქტურით გამოხრული სახელი ვუწოდო). გინდა ტუალეტებზე წერდეს, გინდა მტკვრის ისტორიაზე, ის იწესებს „ეპიკურ დისტანციას“ წარსულში აღსადგენ მოვლენებთან. ჟურნალისტის მიუკერძოებლობა (და როგორც ჟურნალისტი, დათო ქარდავა/ჯიმშერ რეხვიაშვილი სწორედ ამ იშვიათ სახეობას, მიუკერძოებლებს მიეკუთვნება) გვაიძულებს მისი ტექსტების კითხვისას გავთავისუფლდეთ კონტექსტუალური ხორცმეტისაგან – აბა, ვის მხარეზეა ავტორი?! – და თავად, ჩვენი სურვილისა თუ გემოვნების კვალად ვიფიქროთ ან არ ვიფიქროთ, რა სურდა ეთქვა მწერალს. ამ შემთხვევაში ვგულისხმობ დათო ქარდავას დოკუმენტურ პროზას, უწინარესად მის ბოლო წიგნს მტკვარზე, რომელიც უამრავ შინაარსობრივ შენაკადს უყრის თავს – XX საუკუნის 10-იანი წლების გაზეთში სარეკლამო განცხადებით დაწყებული, თბილისის ქალაქის საბჭოს საოქმო ჩანაწერებით გაგრძელებული და შუა საუკუნეების არაბი ავტორითა თუ მეოცე საუკუნის ქართული პოეზიით დამთავრებული...

ზუსტი, კეთილსინდისიერი, ინფორმაციული და მრავლისმომცველი – ასეთია დათო ქარდავას ნაწერები. ფიზიკოსის, ბუნებისმეტყველის ვნება, ჩემი აზრით, სწორედ სიზუსტის, უტყუარობისადმი მისწრაფებაში იკითხება. მას, როგორც ჟურნალისტს, პროფესიული წესიერების ეს ელემენტები საუნივერსიტეტო განათლებიდან აქვს წამოღებული. საკუთრივ მწერლის ოსტატობა კი მკითხველს ეხმარება, წუთითაც არ მოსწყინდეს თხრობა, სადაც თითოეული ამბისა და ციტატის წყაროს მოიხმობენ. როცა მკითხველისკენ მტკვარზე ბევრად ფართო ინფორმაციული ნაკადი მოედინება, იქ სტილითა თუ წერის მანერით ლეგიტიმური თავმოწონების ადგილი ეგებ აღარც რჩებოდეს. ამ დროს გჭირდება თავდაჯერებული და სანდო ადამიანი, რომელიც დაგეხმარება გაუმკლავდე ამ ნაკადს. დათო ქარდავაც ზუსტად ასეთია – სანდო და მშვიდი. წერაშიც და ცხოვრებაშიც.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ხეები და ადამიანები

ჯიმშერ რეხვიაშვილი

ფიქრობს ხმელი წიფელი თავის თავზე, წარსულზე,
აწმყოსა და მომავალზე...“
(ვაჟა-ფშაველა, „ხმელი წიფელი“)
„ნეტა მართლა თუ ეყურება ხეს კაცის?“
(ნოდარ დუმბაძე, „ხაზარულა“)

ადამიანი დიდი ხანია, აღარ ცხოვრობს პირველყოფილ ბუნებაში, თუმცა, ცხადია, მისი ქვეცნობიერი კვლავ ინახავს იმ ინფორმაციას, რომელიც ისტორიაში გადაბარგებამდე დაუგროვდა. ალბათ ამის გამოა, რომ ტყეში დაბრუნებისას, ადამიანს უჩნდება არარაციონალური, სრულიად უსაფუძვლო შიში, თითქოს ისტორიასთან ერთად უკვალოდ გაქრა მისი კულტურულობა, განსწავლულობა, ბუნების კანონებზე დამყარებული ცოდნა-გამოცდილება და მათ ნაცვლად ეძალება პრეისტორიული ადამიანის გრძნობები – გაუცნობიერებელი, არამოტივირებული შიშები, რომ ტყეში შეიძლება დაიკარგოს, გადაეყაროს ნადირს, ავაზაკს... შეიძლება გაიტაცოს (მოაჯადოვოს) ავმა სულმა ანდა სულაც უკვალოდ გაქრეს! ტყეში ხომ ყველაფერი იდუმალებითაა მოცული – სიჩუმეც, ხმაურიც, სიბნელეც და სინათლეც კი, რომელმაც ფოთლებსა თუ წიწვებს შორის გამოაღწია...

და რას გრძნობს ხე, რომელიც მოსწყდა თუ მოსწყვიტეს ტყეს და ცხოვრობს ადამიანთა შორის, ანუ ისტორიაში და არა ბუნებაში?

ტყეების ერთგვარ უმცროს ძმებად, შორეულ ნათესავებად შეიძლება მივიჩნიოთ ქალაქად გაშენებული კორომები, სკვერები და ბაღები, მაგრამ მათ გარდა ასევე გვხვდებიან ცალკე მდგომი ხეებიც – სევდიანები, მედიდურები, უცნაურად მიმზიდველები და იმავდროულად საშიშებიც კი თავიანთი იერითა და ხასიათით, რომელიც მარტოობასა და არაბუნებრივ გარემოში გაიტოტა და დაიკოჟრა.

ალბათ, ასეთი იყო თბილისის ერთ-ერთ ეზოში ლამის საუკუნის წინ მდგარი ხე, რომელმაც ბორის პასტერნაკზე იმდენად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ მწერალმა ის თავის დიად რომანშიც კი „გადარგო“:

„ბიჭი ყველაზე მეტად ერთმა უცნაურმა თითებგაფარჩხულმა ხემ გააოცა, რომელიც იმავე ეზოში იდგა, სადაც სტუმრობდნენ. ერთი უშველებელი ტროპიკული გოლიათი იყო, სპილოს ყურების მსგავსი ფოთლებით, რომელიც იცავდა ეზოს სამხრეთული მცხუნვარე მზისაგან. ნიკა ვერაფრით შერიგებოდა იმ აზრს, რომ ის ხე მცენარე იყო და არა ცხოველი.“

ასეთი მარტოხელა გოლიათები, უკიდეგანო ვარჯებითა და სტადიონისხელა ჩრდილებით, შეიძლება შეგვხვდეს როგორც ქალაქად და სოფლად, ასევე თვალუწვდენელ მინდვრებში ანდა მობიბინე ყანების შუაგულში, სადაც მოულოდნელად ამოზიდულები, თავიანთი ხანგრძლივი და დიადი მარტოობით მეტ შინაარსსა და სილამაზეს სძენენ როგორც გარემოს, ასევე ადამიანების ყოფასა და ყოველდღიურ ცხოვრებას. ამ ხეებს ფიზიკურის გარდა,

სხვა განზომილებაც აქვთ. ეს ხეები უფრო მეტია, ვიდრე ზოგადად მცენარეები, რომლებიც გავლენას ახდენენ ჰავაზე, იცავენ ნიადაგს ეროზიისაგან და იძლევიან საკვებს, სითბოს და საშენ მასალას. ეს ხეებიც, ადამიანების მსგავსად, ისტორიაში ცხოვრობენ და მათი არსებობაც შეიძლება იყოს კულტურული მემკვიდრეობის ნაწილი. დამეთანხმებით, მცენარეზე მეტია თელავის ათასწლოვანი ჭადარი, წინანდლის ცნობილი ცაცხვის საუკუნოვანი ხე (რომელშიც, ლეგენდის მიხედვით, ალექსანდრე ჭავჭავაძის შვილიშვილი, სალომე, დაიმალა ლეკების შემოსევის დროს), მარტყოფის ისტორიული (ბეჟანიშვილების) კაკლის ხე და ა.შ. – ყველა ამ ხეს აქვს თავისი მდიდარი ისტორია, რომელიც, ხშირ შემთხვევაში, მჭიდროდაა გადახლართული ადამიანის (ადამიანების) ბედთთან და ისეთივე სევდიანია, როგორიც ადამიანების ცხოვრება.

გალაკტიონის ფიჭვი, კლდიაშვილის ცაცხვები...

პოეტი ვახტანგ ჯავახაძე (გალაკტიონის ცხოვრებისა და შემოქმედების თვალსაჩინო მკვლევარი) მოგონებების წიგნში „ლექსიდან ლექსამდე“ იხსენებს გალაკტიონის მიერ დარგული ფიჭვის სევდიან თავგადასავალს, რომელიც დაიწყო შორეულ 1936 წლის 5 მარტს, როცა ყოფილ კირკის ქუჩა N4-ში ერთი წლის წინ აშენებული სახლის წინ რამდენიმე ფიჭვი დარგეს, მათ შორის ერთ-ერთი (შესასვლელიდან მარცხნივ) თავისი აივნისა და ფანჯრების წინ საკუთარი ხელით დარგო „თვით პატივცემულმა გალაკტიონ ტაბიძემ“ (უბის წიგნაკში ჩანაწერი გაკეთებულია დაუდგენელი პირის მიერ).

ვახტანგ ჯავახაძის თქმით, თითქმის ოცი წლის შემდეგ 1952 წლის 9 მარტს გალაკტიონმა

ამ ფიჭვის შესახებ უბის წიგნაკში ისევ ჩაწერა: „ამ ბაღში არის ჩემს მიერ დარგული ფიჭვი, რაც მას თავს გადახდა, პირდაპირ ასაწერია“.

როგორც ჩანს, ამ ხეს გალაკტიონის სიცოცხლეში ბევრი რამ გადახდა, მაგრამ, უნდა ითქვას, რომ გალაკტიონის ფიჭვმა დრამატიზმით სავსე ცხოვრება განვლო პოეტის გარდაცვალების შემდეგაც. აი, რას წერს ვახტანგ ჯავახაძე:

„მარჯანიშვილის ხუთი ნომრიდან ჩემი კაბინეტის ფანჯრები პირდაპირ შეჰყურებდნენ მარჯანიშვილის ოთხი ნომრის ფანჯრებს და მე ძალაუნებურად ყოველდღიურად ვესალმებოდი ნაცნობ ფიჭვს, რომელსაც ჩემს მეტი აღარავინ იცნობდა. ოთხმოცდაათიანი წლებიდან – საბჭოთა კავშირის მარტივ მამრავლებად დაშლის შემდეგ – გამომცემლობა, რომელიც წელიწადში 400 წიგნს გამოსცემდა, თითქმის გაუქმდა და მე საკმაოდ დრო მრჩებოდა, ხშირად შემეთვალიერებინა პოეტის ბიოგრაფიის ეს უკანასკნელი ერთადერთი ნაშთი, ვინაიდან გალაკტიონის ბინა გაიყიდა. მალე ყოფილი კირკის, ყოფილი ჟორესის და ბოლოს მარჯანიშვილის ქუჩა გააფართოეს და ერთ მშვენიერ დღეს ხეების მოჭრას შეუდგნენ. მე სასწრაფოდ დავურეკე მწერალთა კავშირის მდივანს, რომელმაც ქალაქის აღმასკომში გადარეკა და მაშინვე გამოცხადდნენ ოფიციალური პირები, რომლებსაც ფიჭვის ისტორია ვაუწყე და ასე გადარჩა ყველაზე დაჩაგრული ერთადერთი ფიჭვი – გალაკტიონის ფიჭვი.“

მაგრამ ხის თავგადასავალი ამით არ დასრულებულა. ვახტანგ ჯავახაძის გადმოცემით, 1999 წლის 5 მარტს მარჯანიშვილის ოთხ ნომერში გალაკტიონის მემორიალური მუზეუმი უნდა გახსნილიყო. წინა დღეებში შენობის ფასადი გაალამაზეს, ქუჩა გაასუფთავეს და სახლის წინ სკვერში ყვავილები ჩარგეს.

კვლავ ვახტანგ ჯავახაძეს მოვუსმინოთ: „ყოველივე ამას მშვიდად ვათვალირებდი. უცებ თვალი მოვკარი: ორი ღონიერი მამაკაცი ნაჯახებით მიადგა ფიჭვს. უმალ პოეტის სრულიად უცნობი ორი სტრიქონი გამახსენდა: „როგორ შემეძლო არ დამეთვალა, რამდენჯერ სცემდა ტყეში ნაჯახი“. და მაშინვე კიბეებზე დავეშვი, ქუჩა გადავჭერი და შევუტიე. არ დამიჯერეს და უფროსი მოვიკითხე. ჩავიტანე ჩემი „უცნობი“ (წიგნი გალაკტიონის ცხოვრების შესახებ), იმ უფროსის „ვოლგის“ საბარგულზე გადავშალე და 1936 წლის 5 ნოემბრის ჩანანერი წავუკითხე: „კირკის ქ. 4 სახლის ეზოში ერთი ძირი ფიჭვის ხე (შესასვლელიდან მარცხნივ) დარგულია თვით პატივცემულ გალაკტიონ ტაბიძის ხელით“. ამჯერად მეორედ გადავარჩინე გალაკტიონის ფიჭვი.“

თუმცა, მოგვიანებით, როგორც ვახტანგ ჯავახაძე წერს, ფიჭვმა გახმობა დაიწყო და მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა.

უფრო მძაფრი და დრამატზმით სავსე (თუმცა შედეგიანი) იყო კიდევ ერთი დიდი მწერლის, რუსეთის მეფის არმიის პოდპოლკოვნიკ დავით კლდიაშვილის ბრძოლა საუკუნოვანი ცაცხვების გადასარჩენად.

„პირონიტში (სოფელი თურქეთში, ისტორიული ლაზეთის ტერიტორიაზე, ხოფასთან ახლოს) დარაჯები მყავდა დაყენებული, რომ ხელი არ ეხლოთ იმ მშვენიერი ცაცხვებისთვის, ზღვის პირს რომ მშვენებით ამართულიყვნენ“ – ასე იხსენებს თავის მემუარებში ცნობილი მწერალი პირველ მსოფლიო ომში გადამხდარ ერთ ეპიზოდს, რომლის შესახებ უფრო ვრცლად მოგვითხრობს ივანე არჯევანიძე (1916-1918 წლებში კავკასიის ფრონტზე სრულიად რუსეთის ერობათა კავშირის და რუსეთის წითელი ჯვრის საზოგადოების თანამშრომელი) წიგნში „დავით კლდიაშვილის ახლოს“, რომლის მიხედვითაც პირონიტის ეტაპის კომენდანტი პოდპოლკოვნიკი კლდიაშვილი წინ აღუდგა პოლკოვნიკ მიხეილ ვერდერევსკის (ბათუმ-ტრაპიზონის დამაკავშირებელი სარკინოგზო მაგისტრალის პროექტის ავტორისა და სამუშაოთა ორგანიზატორის) სურვილს, გაეკაფა „ადგილობრივი ლაზების მიერ სამღვთოთ მიჩნეული და საფუტკრედ დანიშნული, მშვენივრად გაშლილი ათასწლოვანი ცაცხვები“.

არჯევანიძის გადმოცემით, როცა მესანგრენი ცაცხვებს ნაჯახებით მიადგნენ, მათ წინ დაუხვდნენ კლდიაშვილის ჯარისკაცები. სამხედრო ხელმძღვანელობამ (გენერალმა ლიახოვმა) პოდპოლკოვნიკ კლდიაშვილის ეს მოქმედება მძიმე სამხედრო დანაშაულად სცნო, ეტაპის კომენდანტის თანამდებობიდან გადააყენა და ბათუმში გამოიძახა საველე სასამართლოს წესით გასასამართლებლად, თუმცა მწერალს ბედმა გაუღიმა – სულზე მოუსწრო თებერვლის რევოლუციამ.

„ამგვარად, ათასწლოვანი ცაცხვები – ბუნების ეს უძვირფასესი ძეგლი, ველურ გაკაფვას, ხოლო დიდი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, დავით კლდიაშვილი დაღუპვას გადარჩნენ“, ვკითხულობთ ივანე არჯევანიძის მიერ დატოვებულ მოგონებების წიგნში.

რა ჰქვია საქციელს, როცა 50 წელს გადაცილებული კაცი (შერყეული ჯანმრთელობით) სასწორზე დებს სამსახურს, კარიერას და თავის სიცოცხლესაც კი? როგორ ხდება, რომ დღეს მხოლოდ იმის გამო, რომ რაღაც მორიგი უსახური შენობა ჩავაკვეხოთ ქალაქის სხეულში, დაუნდობლად ვიმეტებთ ასწლოვან ხეებს, რომელთა ჩრდილში არა თუ მხოლოდ ჩვენ მშობლებს, არამედ უფრო შორეულ წინაპრებს უვლიათ და უოცნებიათ? როგორი უგძნობი უნდა იყო, რომ ვერ დაინახო და დააფასო ქალაქში გახარებული ხეების სილამაზე და ამაგი? ვერ დააფასო მათი ჩრდილების, მათი სიგრილისა და ხმაურის იდუმალება? ანდა, როგორ ვერ უნდა იგძნო ხიფათი და ვერ წარმოიდგინო საშინელება – ხეებისგან დაცლილი ქალაქი თავისი მოშიშვლებული მოედნებით, მტვრიანი ქუჩებით და გავარვარებულ სახლებში გამოკეტილი მოქალაქეებით?

დაუჯერებელია, მაგარამ ყოველგვარი სინანულის გარეშე ვჩეხავთ როგორც სკვერებს, ასევე ცალკე მდგომ, ე.წ. „პიროვნება-ხეებსაც“, არადა იყო დრო, ცხარედ კამათობდნენ იმაზე, თუ რომელი ხეებით (ჭადრებით, კედრებით, ფიჭვებით...) შეევსოთ მოტიტვლებული მთაწმინდის კალთები და ქალაქის ქუჩებს ჩაყოლებული გრძელი ტროტუარები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭადარს არ სწყალობდა ცნობილი ბოტანიკოსი, აკადემიკოსი ნიკო კეცხოველი, რომელიც კედრის გაშენებას უჭერდა მხარს, ჭადარზე კი ამბობდა, ბუსუსებს ავრცელებს, სურდოს იწვევს, დიდი ზომისაა და ქალაქში უხერხულობას ქმნისო, თუმცა აკადემიკოსის მიერ მოტანილი ეს არგუმენტები გადაწონა ქვეყნის მაშინდელი პირველი პირის, კანდიდ ჩარკვიანის „ოდამ“ მიძღვნილმა ჭადრის დიდებულებას:

„ჭადარი – მონუმენტური სილამაზის გარდა – სიგრილისა და ჟანგბადის უშრეტი წყაროა, რასაც ჩვენი ცხელი, ძნელად გასანიავებელი, ხეობაში ჩამჯდარი ქალაქისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. წიწვოვანი ჯიშებიდან თბილისში ფართო გავრცელება ჰპოვა ჰიმალაის კედარმა.

მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ქალაქის ქუჩებში, როგორც წესი, ფოთლოვანი ჯიშები ირგვება და ეს შემთხვევითი არ არის. ქუჩაში ხეების შპალერმა ზაფხულობით ჩრდილი უნდა მოგვცეს. ეს არის მისი ყველაზე ხელშესახები ფუნქცია.

კედრის ვარჯი ისეთი ფორმისაა, რომ კარგ ჩრდილს მისგან ვერ მივიღებთ, ხოლო თუ ქვედა ტოტები არ შეაჭერით, ტროტუარზეც ვერ ივლით. მეორე და უფრო არსებითი ნაკლი ამგვარი გამწვანებისა კი ის არის, რომ კედარი ზამთარშიც, როცა მზეა საჭირო, ქუჩებს, სახლებს, ასე თუ ისე, მაინც ჩრდილავს და აბნელებს. სულ სხვაა ფოთლოვანი ხე, კერძოდ ჭადარი. ის ზაფხულში ხშირ ჩრდილს იძლევა, ზამთარში კი, ფოთლების დაცვენის გამო, მზის სხივებს ხელს არ უშლის. ფიგურალურად რომ ვთქვათ, ქუჩაში დარგული ფოთლოვანი ხე ჰგავს ქოლგას, რომელიც ზაფხულში გაშლილია და მზისგან გვიცავს, ზამთარში კი დაკეცილია და მზეს არ გვიჩრდილავს.“

რა გასაკვირია და ამ არგუმენტების გამოქვეყნების შემდეგ თბილისში ლამპიონების ნათება და ჩაქრობა მხოლოდ ჭადრებშიღაა შესაძლებელი. ჭადრები კი, შესაძლოა, მართლაც ბევრს უქმნის დისკომფორტს, მაგრამ განა რა იქნება მტკვრის სანაპირო ანდა რუსთაველის გამზირი მათი ჩრდილისა და ფოთლების შრიალის გარეშე? ვინ იცის, იქნებ რუსთაველის გამზირის იმ საიდუმლოს გასაღებიც, რომლის შესახებ აკადემიკოსი ვახტანგ ბერიძე წერდა, გიგანტური ჭადრების მწკრივშია დამალული?

„მაინტერესებდა, რატომ იყო ყოველთვის მეტი ხალხი გამზირის იმ მხარეს (იმ ტროტუარზე), რომელიც მთაწმინდისკენაა, მიუხედავად იმისა, რომ ორივე თეატრი, სამივე კინოთეატრი, მუზეუმი და გალერეა მეორე მხარეს მდებარეობდა“, წერდა ვახტანგ ბერიძე 1987 წელს გამოცემულ „მოგონებებში“, – „რატომ იყო იმ ხალხმრავალ მხარეს განსაკუთრებით ბევრი ხალხი მაინც ერთ გარკვეულ მონაკვეთზე – ბესიკის ქუჩიდან ჭავჭავაძის ქუჩამდე... და სულ მთლად გაუგებარი რამ – რატომ იყრიდა უამრავი ჩიტი თავს მხოლოდ იმ ხეებზე, რომლებიც ოფიცერთა სახლის წინაა და იქ ჰქონდათ გამაყრუებელი ჟივილ-ხივილი, სხვაგან კი არსად სჩანდნენ.“

ცხადია, ჩიტებიც და ადამიანებიც გრძნობენ დიდი ხეების, მით უფრო „პიროვნება-ხეების“ სილამაზესა და მიმზიდველობას. ისიც უნდა ითქვას, რომ ტყეში, სკვერში, ქუჩაში, ეზოში მდგომ თითოეულ ხეშია ჩაბუდებული ასეთი „პიროვნება-ხის“ პოტენციალი, მაგრამ მათ გასაფურჩქნად ზრუნვა და სიყვარულია საჭირო.

ალბათ როგორც ხალხზე ზრუნვაა შეუძლებელი ცალკე აღებულ ერთ ადამიანზე ზრუნვის გარეშე, ასევე შეუძლებელია ბუნებაზე ზრუნვა ცალკე აღებული ერთი ხის გარეშე, იმ ხის გარეშე, რომლის თავგადასავალიც ხშირ შემთხვევაში ადამიანისაზე შინაარსიანი, ლამაზი და სევდიანია. ერთისას ვიტყვი, წიფლისას, რომელიც სახლის წინ, ეზოდან ასე 50 მეტრში გვედგა და იყო მარტოხელა და იმდენად დიდი, რომ დილით დაწყებული წვიმა მის ძირში საღამოს თუ ჩააღწევდა, ხოლო კენწეროზე შემომჯდარ ყვავს ვერც ყვირილით დააფრთხობდი და ვერც რუსული გლუვლულიანი სანადირო თოფით. ჩრდილსაც იმხელას იკეთებდა, რომ მთელ სოფელს იტევდა თავის ფრინველიან-საქონლიანად... უზარმაზარი მერქანი სულ ერთიანად დაგრეხილი, ჯანსაღად მოთეთრო და ხავსით აჭრელებული ჰქონდა. ერთი სიტყვით, ნამდვილი სიცოცხლის ხე იყო – კიბე ცასა და მიწას შორის, რომელსაც, ყველასათვის მოულოდნელად, ერთ მშვენიერ დღეს, ბიძაჩემი აუხირდა. ქარში უცნაურად ირხევა, სეჭვო ხმებს გამოსცემს, გული უნდა ჰქონდეს დამპალი და მეშინია, არ წაიქცეს და სახლი არ დაანგრიოსო. ვერაფრით გადაათქმევინეს, ვერაფრით ააღებინეს ხელი და სულ მალე ნაჯახებითა და ბენზოხერხებით შეესივნენ სოფლის ძლიერი კაცები. რამდენჯერმე გაუწყდათ ჯაჭვი, ნაჯახის ტარმაც უმტყუნათ, მაგრამ უკან აღარ დაიხიეს და ბოლოს, როგორც იქნა, წააქციეს სრულად ჯანმრთელი, ქვასავით მკვრივი და მოწითალო გულიანი გოლიათი. წაქცეულიც დიდებული იყო, ვერტიკალურად აშვერილი ტოტებითაც კი ცას სწვდებოდა, მაგრამ დაცემულსა და ფესვებსგადაჭრილს წინააღმდეგობის გაწევა აღარ შეეძლო. როგორ კი წიფლის ადგილას გაჩენილ უზარმაზარ სიცარიელეს თვალი მოსწყვიტა, სოფელი წაქცეულ წიფელს შეესია და სულ მალე სიცოცხლის ზეიმი და ბუნების მშვენება მჭვარტლიანი ბუხრის ლუკმად – შეშად აქცია. მახსოვს, მთელი წელი ხე არ მოჭრილა სოფელში, ტყიდან ფიჩხი არ გამოტანილა, ჩვენც გვარიანად ვაგიზგიზეთ ბუხარი იმ ზამთარს, მაგრამ ვერაფერი მოვუხერხეთ იმ ტკივილამდე მწველ სიცივეს, რომელიც უდანაშაულო წიფლის მკვლელობამ დაგვიტოვა გულში. წლები გადის, მაგრამ ამ ფანტომურ ტკივილს არაფერი შველის: დღემდე მტკივა გული იმის გამო, რომ ვეღარც ამ წიფელს ვნახავ, ვეღარც გარდაცვლილ ბიძაჩემს და ვეღარც აფხაზეთს, სადაც ჩემი წიფელი იდგა ასე ლამაზად და მისი წაქცევის შემდეგ სხვაც ბევრი სევდიანი ამბავი მოხდა...

რადიო თავისუფლება,
23 თებერვალი, 2015 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

Heiner Müller



ჰაინერ მიულერი

ჰაინერ მიულერი დაიბადა 1929 წელს ეპენდორფში, გარდაიცვალა 1995 წელს ბერლინში.

გერმანელი დრამატურგი, თეატრის რეჟისორი, პოეტი, ესეისტი, გერმანული თეატრის ისტორიაში ბერტოლდ ბრეხტის შემდგომ უმნიშვნელოვანესი ფიგურა.

1947 წლიდან იყო გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის წევრი. 1959 წელს მას მიენიჭა თომას მანის სახელობის პრემია. ამ წლებში ის გერმანიის ყველაზე თვალსაჩინო დრამატურგად ითვლებოდა, თუმცა 1961 წელს ცენზურის მიერ მისი პიესის „ხიზანი ქალი ანუ ცხოვრება სოფლად“ აკრძალვამ სოციალისტურ პარტიასთან ურთიერთობა გაუფუჭა და ამავე წელს გდრ-ს მწერალთა კავშირიდან მისი გარიცხვის მიზეზადაც იქცა.

1966-67 წლებში მიულერი ბენო ბეონთან ერთად ბერლინის ცენტრში (უბანი ბერლინ-მიოე) მდებარე „გერმანულ თეატრში“ მუშაობდა პიესებზე „მშენებლობა“ (მისი ინსცენირება გდრ-ს მთავრობის მიერ აიკრძალა) და „ოიდიპოს მეფე“. 1970 წლიდან თეატრ „ბერლინერ ანსამბლის“ ლიტერატურული განყოფილების ხელმძღვანელი იყო. 70-იანი წლებიდან დაიწყო დასავლეთ გერმანიის თეატრებთან თანამშრომლობა. მისი დრამები დაიდგა მიუნჰენში, ბოხუმში, ესენში. სულ უფრო იზრდებოდა მწერლის მსოფლიო პოპულარობა, რამაც გდრ-ს მთავრობა აიძულა, მისდამი ტაქტიკა შეერბილებინა: 1975 წელს ბერლინის თეატრ „ფოლკსბიუნეში“ დაიდგა მიულერის პიესები „ბრძოლა“ და „ტრაქტორი“. ამავე წელს მას ლესინგის სახელობის პრემია მიანიჭეს.

1976 წლიდან მიულერი „ფოლკსბიუნეს“ ლიტერატურული განყოფილების ხელმძღვანელად მუშაობდა. 1984 წლიდან გახდა გდრ-ს ხელოვნებათა აკადემიის წევრი, 1986 წლიდან კი – დასავლეთ ბერლინის ხელოვნებათა აკადემიისაც. 1985 წელს მას გერმანულენოვანი სამყაროს ყველაზე პრესტიჟული ლიტერატურული ჯილდო, ბიუჰნერის სახელობის პრემია მიენიჭა, 1986 წელს კი გდრ-ს მწერალთა კავშირში აღადგინეს. 1990 წელს მიულერი გდრ-ს ხელოვნებათა აკადემიის თავმჯდომარედ იქნა არჩეული.

1995 წელს მიულერი თეატრ „ბერლინერ ანამბლის“ სამხატვრო ხელმძღვანელად დაინიშნა. ამ თეატრის სცენაზე მან დადგა თავისი უკანასკნელი და უმნიშვნელოვანესი სპექტაკლი, რომელსაც ბერტოლდ ბრეხტის პიესა „არტურო უის კარიერა“ დაედო საფუძვლად.

მიულერის დრამების უმრავლესობა ძველბერძნული ტრაგედიების, შექსპირის, ბრეხტის, შოდერლო დე ლაკლოს, საბჭოთა მწერლების ნაწარმოებთა ძალზე მწვავედ და თავისუფლად დამუშავებულ თანამედროვე ვარიანტებს წარმოადგენს.

ჰაინერ მიულერის ნევროტული პოეტიკა

ლაშა ბულაძე



ჰაინერ მიულერზე ლაპარაკისას მისი მოღვაწეობის კონტექსტი უნდა გავითვალისწინოთ – აღმოსავლეთ გერმანია, აღმოსავლეთ ბერლინი, ბერტოლტ ბრეხტის შემდგომი პერიოდი, ჯერ ზონებად დაყოფილი და შემდეგ კედელამოშენებული გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა.

ჰაინერ მიულერის რიტორიკა კომუნისტურია, თუმცა, არა ტრადიციული, არამედ უფრო ევროპული გაგებით. მიუხედავად ამისა, მას ბერლინში მაინც იტანენ. დემოკრატიული რესპუბლიკის ხელმძღვანელებს ძალიან უჭირთ შეზღუდონ – მისივე მაშტაბურობის გამო. პიესებს ბევრჯერ შეეხო აკრძალვები. არ მოსწონდათ მიულერის სოციალური კრიტიციზმი, მისი ექსპერიმენტები, ურთიერთობა დასავლელ ხელოვანებთან. მიულერი ახერხებდა, ყოფილიყო პოლიტიკურად კრიტიკული. ის ეხმარებოდა დისიდენტებს, დისიდენტური იყო „ბერლინერ ანსამბლის“ თეატრი, რომელიც ბრეხტმა დააარსა და შემდეგ მიულერი იქ სამხატვრო ხელმძღვანელად მუშაობდა.

„გედეერის“ ცენზურასთან ზუსტად ისევე უწევდა ურთიერთობა, როგორც, ზოგადად ხელოვანებს, იგივე საბჭოთა კავშირში, კერძოდ ლავირება და ოინების მოფიქრება, რათა მისი ტექსტი მკითხველამდე თუ მაყურებლამდე მისულიყო. მიუხედავად ამ წნეხისა, მიულერისადმი დამოკიდებულებაც იყო ორმაგი, როგორც საერთოდ ახასიათებდათ საბჭოთა ლიდერებს. მაგალითად, სტალინურ პერიოდში გამოვიდა ჟდანოვის მოხსენება, სადაც ფორმალიზში, ფაშიზმში, ნაციონალიზმში და ათას სახიფათო „იზმში“ დაადანაშაულეს შოსტაკოვიჩი, ახმატოვა, ზოშჩენკო და სხვები, თუმცა, პარალელურად მათ პრემიებს აძლევდნენ. ასეთი მიდგომა არანაკლებ ნევროტულია ხელოვანისთვის. ასეთი იყო ჰაინერ მიულერის და მანამდე ბრეხტის ცხოვრებაც.

ჰაინერ მიულერის შემოქმედება იმდენად ზედროული, უცნაური და ექსპერიმენტალურია, რომ არ არის კონკრეტულ ეპოქასთან მიბმული, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე კონკრეტულ პიესას მეორე მსოფლიო ომზე. თუმცა, ესეც ძალიან საინტერესოა, რადგან, სამწუხაროდ, ომის თემა ევროპაში აქტუალობას არ კარგავს.

ჰაინერ მიულერი ერთგვარად აგრძელებს ბრეხტის ტრადიციას, თავის მხრივ კი ბრეხტი, როგორც დრამატურგი, არის კარგი გადამკითხველი. ბრეხტისეული პიესები (ზოგიერთი მათგანი) არის ცნობილი დრამატურგიული ტექსტების ინტერპრეტაცია, დაახლოებით ასე: „მოდი, წავიკითხოთ შექსპირი ბრეხტთან ერთად“. იგივე ითქმის შექსპირზეც. შექსპირის „ჰამლეტს“ წინ უძღვის ბევრი სხვა „ჰამლეტი“ თუ „მეფე ლირი“, უბრალოდ მისი ყველაზე კარგი და გენიალურია.

ჰაინერ მიულერიც ცნობილ ტექსტებს ინტერპრეტირებს. პიესით „ჰამლეტი-მანქანა“ მიულერი თავისი თვალსაზიერიდან კითხულობს „ჰამლეტს“, მას რამდენიმე ჰამლეტიც კი ჰყავს პიესაში. ასევე, პიესა „მედეა- მასალა“, სადაც მედეა ერთ მონოლოგში მთელ თავის ბიოგრაფიას ჰყვება, იასონთან ერთად გაქცევით დაწყებული – შვილების მკვლელობით დამთავრებული.

ჰაინერ მიულერს გამოარჩევს მისი პოეტიკაც: ის ძალიან პოეტურია. მიულერის ენას დამღუპველი, ნევროტული სილამაზე აქვს.

და ყოველთვის ძალიან საინტერესოა მისი სცენური ინტერპრეტაციები, რადგან ეს პოეტიკა არ არის სცენისგან მოწყვეტილი. ჰაინერ მიულერი არ არის კაცი, რომელიც სახლში წერს და მერე მიდის თეატრში ტექსტის სცენასთან ადაპტირებისთვის. მისი ყველა სიტყვა არის ცოცხალი და სცენური სწორედ იმის გამო, რომ ეს სიტყვები პირდაპირი თუ გადატანითი მნიშვნელობით, თეატრის კედლებში იწერება.

ჩაიწერა თეა თოფურიამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰაინერ მიულერი

ავტოპორტრეტი ღამის ორი საათი 1959 წლის 20 აგვისტო

საბეჭდ მანქანას უზიხარ. ფურცლავ
სათავგადასავლო რომანს. და იცი
თავიდანვე რა ხდება ბოლოს:
რომ სენატორის მკვლელი აშკარად
წვერმოშვებული ცრუსახიანი რეფერენტია.
ახალგაზრდა სერჟანტს კი უყვარს
ადმირალის ქალიშვილი და
სიყვარულით პასუხობს ქალიც.
შენ მაინც გვერდსაც არ ტოვებ ისევ.
ხანაც თვალს მოჰკრავ მომლოდინე
ცარიელ ფურცელს, საბეჭდ მანქანას.
მაშასადამე ჩვენ ეს აგვცდება. საქმეა ესეც.
გაზეთი წერდა: რომ რომელიღაც
სოფელი სადღაც დაბომბეს ისე,
რომ გაასწორეს მიწასთან ლამის.
სამწუხაროა, თუმცა შენ ეს რაში გეხება.
სერჟანტი ცდილობს, რომ აიცილოს
მზაკვრული კიდევ ერთი მკვლელობა
და ადმირალის ასულის (პირველ!)
კოცნას ირიდებს, სამსახური სამსახურია.
დაღუპულთა რაოდენობა არ იცი რადგან
გაზეთს ვერ აგნებ, უკვალოდ გაქრა.
იქვე, შენ გვერდით შენი ცოლი
ოცნებობს პირველ სიყვარულზე.
გუშინ კი თავის ჩამოხრჩობა სცადა უიღბლოდ.
ხვალ გადაიჭრის ვენებს ალბათ,
ან ვერ გაიგებ, კვლავ რას ჩაიდენს.
თვალწინ მიზანი ხომ ელის მაინც.
რასაც უთუოდ მიაღწევს კიდეც,
ასე თუ ისე, გული ტევადი სასაფლაოა.
განახლებულ გერმანიაში ისე საშინლად
დაუწერიათ ფატიმას ძველი ისტორია
რომ სასაცილოდ აღარც კი გეყო.
წამების სწავლას იოლად შესძლებ,
ვიდრე წამების ზუსტად აღწერას.
მკვლელი მახეში გაება ბოლოს.
სერჟანტი ხელში იგდებს პრემიას.
ახლა ინებე და დაიძინე.
ხვალ ახალი დღე თენდება ისევ.

გუშინ მზიან ნაშუადღევს

მკვდარი ბერლინის გავლით როცა შინ ვბრუნდებოდი
ჩაფიქრებული რომელიღაც უცხოეთიდან
საოცარი მოთხოვნილება გამიჩნდა უცებ
რომ ჩემი ცოლი საფლავიდან ამომეთხარა
ნიჩბებით მიწა მე თვითონვე რომ დავაყარე
და დამეხედა რაღა შერჩა მისგან სამარეს
ძვლები თვალით რომ არ მინახავს მე არასოდეს
ამეღო მისი თავის ქალა წარმომედგინა
სახე რომელსაც არ ამხელდა იმ ნიღბის მიღმა
და სიკვდილამდე განუყრელად რომ ატარებდა
მკვდარ ბერლინსა თუ სხვა ქალაქთა ქუჩაბანდებში
როცა ემოსა ჩემი ცოლის ცოცხალი ხორცი.
მე არ დავნებდი ამ საოცარ მოთხოვნილებას
პოლიციის და მეგობართა ჭორების შიშით.

1969წ.

საპონი ბაიროითში

დანიელ ბარენბოიმს[1]

უფროსებისგან ბავშვობისას მსმენოდა ხშირად:
კონცენტრაციულ ბანაკებში ტყვე ებრაელთა
ნეშტისგან თურმე ფაშისტები ხარშავდნენ საპონს
მას შემდეგ საპონს და საპნის სუნს ვერ ვეგუები
ახლა ვდგამ **ტრისტანს** და ვბინადრობ ბაიროითში.
ახალი სახლის ისეთ სუფთა ცინცხალ ბინაში
რომ არნახული სისუფთავე სუფევს გარშემო.
მიჩენილი აქვს ყველა საგანს მისი ადგილი:
დანებს და კოვზებს ჩანგლებს ქვაბებს ტაფებს და თეფშებს
ფინჯან-ლამბაქებს და საწოლებს ორი კაცისთვის.
შხაპი, MADE IN GERMANY, მკვდარს გააცოცხლებს.
კედლებს ამშვენებს ყვავილები, ალპური კიჩი.
წესრიგი სახლის ეზოშიაც უმალ იგრძნობა
მწვანე მინდორიც მოვლილია, ქუჩაც წყნარია
ქუჩის გადაღმა საიმედო HYPOBANK-ია.
პირველად როგორც გამოვაღე ფანჯრები მეცა
საპნის სურნელი.
ბაიროითში სახლიც ბაღიც საპნის სუნით
გაჟღენთილიყო.
ახლა კი ვიცი, შევღაღადე მძიმე სიჩუმეს
რას ნიშნავს მოხვდე ჯოჯოხეთში და თან არ იყო
მიცვალებული ანდა მკვლელი. და აი ახლა
აქ დაიბადა **ოსვენციმი** ამ საპნის სუნში.

1992 წ.

1 დანიელ ბარენბოიმი – (1942წ.) ისრაელელი დირიჟორი და პიანისტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

409-ე ჩანაწერი

შენი სიმღერა, რომ ვიცოცხლოთ, თუკი ვერ გვშველის,
სიკვდილს ხომ მაინც გაგვიადვილებს

ბრენტანო[1]

ზეცა მადლიან, კარგ დღეს გვპირდება
და გაზეთების კითხვით იწყება
სასტუმროს ბარის სიმყუდროვეში
ერთ-ერთი სიკვდილს გადარჩენილი
აღწერს სისხლისღვრას
რამდენი გვამის ქვეშ ვეგდე ვიცი?
ვძრწოდი ვაითუ გადარჩენილი
გაირხეს ვინმე ან დაიკვნესოს
ჩემზე ხელდახელ ზედ დამხოგილმა
ისინი უმალ ცხრილავდნენ ყველას
ვინც კი იძვროდა ანდა გმინავდა
საბედნიეროდ მკვდარი იყო
ყველა სულდგმული
ბედნიერებამ თავისი საბნის
სიგრძეზე უნდა გაჭიმოს ფეხი
ვცოცხლობდეთ, რადგან გვამია ყველა
– აი, ოცნება კაცობრიობის
უქმი დროჟამი დღე დღევანდელი
მე მომდევნო დღის ხახაში მაგდებს
აქსელ მანთეი[2] მკვდარია უკვე
კომედიების წერა ჩვენ გვმართებს
ადამიანთა მღვრიე წუმპეში
ტელეეკრანის წინ გატრუნული
სვებედნიერი იდიოტების
გარემოცვაში გვიწევს სიცოცხლე.
წუხელ მესიზმრა რომ აქტეონი[3]
ვიყავი თითქოს და შვიდი ქალი
მსახიობი ქალის კვალდაკვალ
გაშმაგებული მომდევდა ტყე-ტყე
და ველ-მინდვრებით
გაქცეულები ვთელავდით ირგვლივ
ყვავილებს ბალახს და ნადირობდნენ
ისინი ჩემზე მავთულის ყულფით
თავს ვაბეზრებდი უკვე მეგობრებს
კითხვა-კითხვებით ჩემი ახალი პიესის ირგვლივ
ვერ ჩავწვდი მითხრა ყველაზე ზრდილმა
დანარჩენები არჩევდნენ დუმილს
ცოლმა კი მკითხა **გჭირდება შენ ეს**
კოლექციონერ და მონადირე
გერინგთან[4] ერთად ვახშმობს გრუნდგენსი[5]
და ჰანს ოტტოს[6] კი ურყევ კომუნისტს
სიმღერის მუღამს უხსნის სარდაფში
მესვეური გესტაპოელი
მე ვარ არტისტი და არა ხალხი
ამბობს ჰამლეტი
როცა ლაერტი პოლიტიკოსობს
თავადვე უწყის როგორ წარმართოს
ნამდვილ მკვლელებთან საუბარი
გამომდინარე ხელოვნების
სიყვარულიდან
ვაპირებ ხანგრძლივ ძილს მივცე
თავი
ესაა მისგან უკანასკნელად რაც მოისმინეს
ჰამლეტვალენშტაინს[7] მისმა მკვლელებმა
გადაუმტვრიეს წვივები რადგან
კუბო ცხედრისთვის მოკლე აღმოჩნდა
ჩვენი ჰამლეტნი კი შეეხიზნენ
პლატონის მღვიმეს მაგალითისთვის
დავასახელოთ თუნდ ალტჰუსერი[8]
ცოლს კომუნისტი კარგახანია
უკეთებს მასაჟს
რადგან ჯიუტად არ იწონებდა
ქმრის ფუძემდებლურ სკეფსისს რომ მუდამ
ეწადა, როგორც იუწყებოდა
ეკოლ ნორმალის კედელის გრაფიტი,
ყოფილიყო ის ხელოსანი
ო დედავ დედავ
რა ჩაიდინე
თუნდ პაზოლინი
მომეცი შენი უკანალი
პელოზი[9] **აკი**
მე მოვისურვე შენი ბინაური
უკანალი ძევ იტალიის
შენ მეძავი ხარ მალბოროსი
კოკა კოლასი
მომეცი გესმის შენი ბინაური
სისხლიანი ქორწილი
ისეთი კლასით მერმისს რომ იტევს
მხრებზე აქვს დაღი ტატუირება
კაპიტალისგან
რიჟრაჟი ღამის ღამე რიჟრაჟის
მერე პელოზი რთავს გადაცემას
და ავტო თავის მეპატრონეს შეეჯახება
შენ იტალიას შეუერთდი
ახლა პაოლო[10]
ანდა ავიღოთ წმინდა მარტინი,
ოჩოპინტრე და ბაღის ჯუჯა
რომლებიც ფიურერს ელოდებიან
ტყავის შორტებში
....მისი ნატიფი ხელის მტევნები –
იასპერსი[11]
იქ მის შვარცვალდში სადაც კაფკამ
მარადიულმა ურიამ ნახა
მონადირე გრაკხუსი[12] მკვდარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდოსტატი გერმანიიდან
გარდაცვალება რომ ვერ ისწავლა
ხელებს რომ ითბობს თავისივე
ცხოველთა სისხლში
წმინდა მარტინმა იცოდა მაინც
რომ მას შემდეგ რაც იორდანეს
კვეთს შუახაზი
არის უფსკრული არის ხმელეთიც
ცხოვრება კი – ერთი ნახტომი
რადგან ღვთაება გარდაიცვალა
მისი ობოლი ანგელოზები
ფრთებს აღარავის მიაბარებენ
მისი ჩონჩხი კი კოსმოსს ევლება
სასტუმროს ბარში შეზარხოშებულ
სტუმარს ოდნავ მოუწყენია
ოფიციანტ ქალს დასვენების დღე
რადგან ეკუთვნის
მას შეუძლია იჯდეს დახლთან და
თან მოუსმინოს სტუმრის მონაყოლს
როგორ მოუკვდა ცოლი სიმსივნით
შემდეგ ძაღლებზე გაისაუბრეს
მე ჩაუჩაუს ჯიშის მომწონს
ეუბნება ოფიციანტი
რადგან საოცრად პატარეგია
ჯანდაბას ყველა
სად დაიკარგა ჩემი სასმისი
გაჰყვირის მთვრალი
I HATE DOGS
THEY TOOK MY TIME WHEN I LIVED
WITH MY WIFE
AND SHE`S DEAD NOW AND THE DOGS
TOOK MY TIME[13]
გუშინ ვიხილე თეორემა
მე შევეწირე ამ საზოგადოებას
ამბობს დაღლილი კაპიტალისტი ვაგზლის ბაქანზე
რა დასასრული ელოდება კაცობრიობას
ფული სავსებით თუ დაიღალა
მეძავი ბიჭი უკვე ბაქანზე იხდის შიშვლდება
არარაობის წიაღ მოსურნე მოგზაურთ შორის
სამყარო უკვე აღწერილია
და აღარ რჩება ლიტერატურას
ადგილი მეტად
ვინ მოიხელთებს ბოლორითმას
ბარის სკამზე ამაღლებული
სულ უკანასკნელ თავგადასავალს
ჰქვია სიკვდილი
მე ისევ მოვალ და ჩემ გარდა
ერთი დღე მოვა ოქტომბერში
კოკისპირული წვიმის თანხლებით.

ბადენ-ბადენი 1995 წლის ოქტომბერი

კომენტარები

1. **ბრენტანო, კლემენს** – (1778-1842წწ.) გერმანელი მწერალი და პოეტი.
2. **აქსელ მანთეი** – (1945-1995წწ.) გერმანელი თეატრის მხატვარი.
3. **აქტეონი** – ძვ. ბერძნ. მითოლოგიის პერსონაჟი; მითის მიხედვით აქტეონი ნადირობისას წააწყდა მობანავე ქალღმერთ არტემიდას; იმის მაგივრად, რომ კრძალვით გარიდებოდა, თვალთვალი დაუწყო ქალღმერთს, რისთვისაც სასტიკად დაისაჯა, არტემიდამ იგი ირმად გადააქცია და ორმოცდაათმა მონადირე ძაღლმა დაგლიჯა.
4. **გერინგი, ჰერმან** – (1889-1946წწ.) ფაშისტური გერმანიის ავიაციის მინისტრი.
5. **გრუნდგენსი, გუსტავ** – (1889-1969წწ.) გერმანელი მსახიობი და რეჟისორი.
6. **ოტტო, ჰანს** – (1901-1977 წწ.) ოტტო ბორგმანი, გერმანელი კინოკომპოზიტორი, მას ეკუთვნის ჰიტლერიუგენდისთვის დაწერილი ჰიმნის მუსიკა.
7. **ჰამლეტვალენშტაინი** – ორი პიროვნების სახელით შედგენილი კომპოზიტი: ჰამლეტი, უ.შექსპირის დრამის გმირი და ვალენშტაინი, ფრ. შილერის დრამატული ტრილოგიის გმირი, ოცდაათწლიანი ომის განთქმული მხედართმთავარი, ალბრეხტ ფონ ვალენშტაინი (1583-1634წწ.).
8. **ალტჰუსერი, ლუი** – (1918-1980 წწ.) ფრანგი ფილოსოფოსი.
9. **პელოზი, ჯუზეპე** – 17 წლის იტალიელი ახალგაზრდა, პაზოლინის მკვლელობაში ეჭვმიტანილი.
10. **პაოლო** – იგულისხმება პაზოლინი.
11. **იასპერსი, კარლ, თეოდორ** – (1883-1969წწ.) გერმანელი ფილოსოფოსი, ფსიქიატრი, ფსიქოლოგი, ეგზისტენციალიზმის მთავარი წარმომადგენელი.
12. **მონადირე გრაკხუსი** – ფრანც კაფკას მოთხრობის პერსონაჟი.
13. **ინგლისური ტექსტის თარგმანი:** –

(ვერ ვიტან ძაღლებს
დროს მართმევდნენ
ცოლი რომ მყავდა
ახლა მკვდარია იგი და მაინც ისევ მართმევენ
დროს მე ძაღლები).

გერმანულიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო
ლულუ დადიანმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

პაულ მ. ვაშკაუ

მოსაზრებები ჰაინერ მიულერის ფენომენის შესახებ

ჰაინერ მ.



ხშირად იჯდა თვითმფრინავში, აღმოსავლეთიდან
დასავლეთში და დასავლეთიდან აღმოსავლეთში რომ მიფრინავდა.

სიგარებს ეწეოდა, ვით კუბელი კასტრო
და თავისი ჰამლეტ-მანქანების შუალედებში სვამდა ვისკის –
შექსპირულ ბანგით მოწამლული და უძველესი
ღვთაებით მოჯადოებული.

მარტოხელა კოვბოისავით, ხშირად მდუმარედ
იდგა სალუნის ბართან მავან მკვლელთა მხარდამხარ
და თვალს სილიკონისტანიანი
სტრიპტიზის მოცეკვავისკენ აპარებდა,
რომელიც მისთვის ელექტრას როლს ასრულებდა.
გერმანიის პოლიტიკურ სისტემებსა და
შემზარავ ზღაპრებს შორის – ეს მისი ჰეროინი გახლდათ! –
მოქნილი გველივით იკლაკნებოდა.

ნაკვთები თვით ისტორიამ გამოუქანდაკა,
თხრილებით დაღარული მიდამოს მსგავსი და
ტელეეკრანისა და კამერებისთვის შექმნილი.

კარგახანს მეგონა, გაზქურაში თავშეყოფილი ქალი
სილვია პლათი იყო, მაგრამ მისი ცოლი ყოფილა.

საბოლოოდ კი მაინც დადგა იმ მხეცის ჟამი,
გული შიგნიდან რომ გამოუხრა და დაუფლითა.

ის ხშირად იჯდა თვითმფრინავში, აღმოსავლეთიდან
დასავლეთში და დასავლეთიდან აღმოსავლეთში რომ მიფრინავდა.
ერთხელაც იმ საფრენ ბილიკზე დაეშვა,
სასაფლაოს რომ უწოდებენ.

(2001)

0. ჰაინერ მიულერის ფენომენი

მაშ, ასე, მიულერი. ეს სიგარების მწეველი. ვისკის მსმელი. ჟურნალისტების მიკროფონების წინ მორიდებული ჩახველებით ყელს რომ იწმენდს და ინტერვიუსთვის ემზადება. ორ სამყაროს შორის მოტორტმანე კაცი. ბარის დახლთან მდგომი. ჰელენდორფში, თავის ბეტონისკედლებიან ბინაში საბეჭდ მანქანასთან მჯდომი. ის ტვინის ღრმა კუნჭულში საიდუმლო დავალებას მალავს: მსოფლიო დრამატურგიული თემატიკა მიულერისეულ თემატიკად გარდაქმნას. ახალგაზრდობაში ტყავის ქურთუკოსანი – ბრეხტის კვალდაკვალ. ის კიდევ იმ მომენტში წარმომიდგება, როცა უფროსი რეჟისორი გამოიძახებს: მაშინ გზაში ფორიაქობს და იმის წინასწარ ამოცნობას ცდილობს, თუ რა მოთხოვნებს წაუყენებენ. ან რა ნოტაციებს წაუკითხავენ. რა ახა-

ლი მიმართულებით გადაისვრიან და რამდენად ასცდება მიზანს. სრულიად მოულოდნელად პერუს შორეულ უდაბნოში ამოჰყოფს თავს, ხელში თავისი დასაკეცი ჰამლეტ-მანქანით, რომელმაც ევროპის გარეთ შეიძლება კატასტროფა გამოიწვიოს, რადგან იქაურობისათვის სრულიად უცხოა.

1. პაზოლინის „აკატონე“

...ის წელიწადი, როცა ჰაინერ მიულერთან ერთად კინოში ვიყავი და პაზოლინის „აკატონე“ ვნახე, სწორედ ის წელი იყო, როცა მან ჩემი აღქმის არეში პირველად შემოაბიჯა.

იმხანად დასავლეთ ბერლინში, შოორბერგის რაიონში მდებარე კინოთეატრმა „არსენალმა“ სამოცი წლის ჰაინერ მიულერს შვიდი ფილმი „აჩუქა“ – ისინი 1988 წლის ზაფხულში იქნა ნაჩვენები, როცა ბერლინი ევროპის კულტურის დედაქალაქად დასახელდა. კინოთეატრის პროგრამაში ეს სერია საერთო სათაურით იქნა მონიშნული: „ჰაინერ მიულერის მიერ შერჩეული ფილმები.“ ჰაინერ მიულერის გვარსახელი აფიშაზე ისეთი ვეება შრიფტით ეწერა, რეჟისორების გვარები კი ისე მცირეთი, რომ მიულერის მიერ შერჩეული ფილმები კაცს მისივე გადაღებული ეგონებოდა. ჰ. მ. აქ არაფერ შუაში იყო და არა მგონია, ეს მისთვის სასიამოვნო ყოფილიყო, თუმცა, შეიძლება, ვცდებოდე კიდეც.

ჰოდა, ერთი შეხედვით ისე ჩანდა, თითქოს ფილმ „აკატონეს“ რეჟისორიც ჰ. მ. ყოფილიყო. მეუცნაურა. არ ვიცოდი, მიულერს ფილმებიც თუ ჰქონდა გადაღებული, თანაც, იმავე სახელწოდებისა, რაც ცნობილ რეჟისორს. თუმცა, ეს სრულებით არ გამკვირვებია, რადგან სწორედ იმ პერიოდში წიგნის მაღაზიების ვიტრინები ჰ. მ.-ს წიგნების ყდებით იყო აჭრელებული, რომლის სახელწოდებები შექსპირის დრამებისას ემთხვეოდა. ცხადია, მიულერისეულ სათაურებს ქვესათაურებიც ახლდა, მაგალითად: „გადაკეთებული შექსპირი“, ანდა „ტექსტები ფაბრიკიდან“, მაგრამ მათ შორის ისეთი ყდებიც გამოერეოდა, რომლებზედაც ცალსახად შექსპირისეული სათაურები ეწერა და, თუკი ქვეშ კიდევ რაიმე მინაწერი იყო, ის ისეთივე წვრილი შრიფტით დაებეჭდათ, როგორითაც თაღლითი პარტნიორები ბეჭდავენ კონტრაქტში საჩოთირო პუნქტებს.

სეანსზე ძალიან ცუდი დასწრება იყო: დარბაზში სულ რაღაც შვიდი თუ ცხრა კაცი იჯდა. როგორც ჩანს, სარეკლამო ხრიკმა არ გაამართლა: კინორეჟისორი მიულერი მაყურებლისთვის უცნობი აღმოჩნდა. ფილმის შერჩევისას ჰ. მ., როგორც ჩანს, მხოლოდ პირად გემოვნებას კი არ დაეყრდნო, არამედ იმაზეც მიგვითითა, რომ მას და პაზოლინის საერთო ფესვები და პოლიტიკური შეხედულებები აქვთ. მაშ, ასე: დარბაზში შვიდი-რვა, დიდი-დიდი, ცხრა მაყურებელია. მათ შორის – მე და ჰ. მ. და მოხდა ის, რაც მოხდა: ის, მიულერი, და მე, ვაშკაუ, მესამე რიგში ერთმანეთის გვერდიგვერდ აღმოვჩნდით.

როცა მაყურებელი ასე ცოტაა, ადამიანებმა თითქოს დისტანცია უნდა დაიცვან, მაგრამ აქ პაზოლინისა და მიულერის ფანატთა ერთგვარი სექტა შეიკრიბა, ამიტომ არც ის იქნებოდა გასაკვირი, ყველანი ერთურთის გვერდით რომ დავმსხდარიყავით. შესაძლოა, უმრავლესობა სწორედ იმ იმედით მივიდა კინოთეატრში, ჰ. მ.-ს ახლოდან ვნახავო. ქალაქში უსათუოდ გავარდებოდა ხმა, რომ ჰ. მ. ამ „მიულერიულ“ კინოჩვენებებს პირადად დაესწრებოდა. მაგრამ, მიუხედავად ყველაფრისა, უშუალოდ ჰაინერ მიულერის გვერდით ჩემ გარდა არავინ დამჯდარა. ჩვენ ორნი, ცალ-ცალკე მოსულები, მესამე რიგში ვისხედით. ჩვენ წინ არავინ იჯდა. დანარჩენები უკანა რიგებში განიფანტნენ. ცხადია, მთლად გვერდიგვერდ არ ვმსხდარვართ, ერთურთისაგან საკუთარი უსარგებლობით გატანჯული ორი სავარძელი გვაშორებდა, მაგრამ დღევანდელი გადასახედიდან ეს მაინც ჰაინერ მიულერის გვერდით ჯდომის, ჰაინერ მიულერთან ერთად კინოში ყოფნის ტოლფასად აღიქმება.

ჩემი ჰ. მ.-ს გვერდით ჯდომა, როგორც ჩანს, სწორედ მესამე რიგმა განაპირობა, რომელიც ახლომხედველობის გამო კინოში ყოფნისას მუდმივ ადგილად ავირჩიე. თუმცა, გამოგიტყდებით, იმ საღამოს შემოსვლისთანავე რომ შემენიშნა მესამე რიგში ჰ. მ., ჩვეულებას ვუღალატებდი და სხვაგან დავჯდებოდი. მაგრამ დარბაზში სეანსის დაწყებამდე სულ ცოტა ხნით ადრე შემოვედი და სწრაფი ნაბიჯით გავემართე მესამე რიგისკენ. საცაა, ფილმი უნდა დაწყებულიყო და მეც სასწრაფოდ დავიკავე განაპირა ადგილი. როცა დავჯექი, მესამე რიგი სრულებით ცარიელი იყო.

კინოთეატრის თანამშრომელმა ის-ის იყო, დახურა დარბაზის კარი, რომ საპირფარეშოდან, რომელიც ეკრანის მარჯვნივ მდებარეობდა, კაცი გამოვიდა, ზედმიწევნით რომ ჰგავდა ჰაინერ მიულერს. ყოველ შემთხვევაში, ისევე გამოიყურებოდა, როგორც ჰაინერ მიულერი უკანასკნელი ათი თუ ოცი წლის განმავლობაში: მუქი კოსტუმი ეცვა, სახეც ჰაინერ მიულერისას მიუგავდა, შავი სათვალე ეკეთა. მოვიდა, წინ ჩამომიდგა, მორიდებულად ჩაახველა და ბოდიში მომიხადა. მეც წამოვდექი და მესამე რიგის იმ ადგილისკენ გავატარე, რომელიც ჩემთვის უხილავი რაღაც ნიშნით მანამ დაეკავებინა, ვიდრე მე დარბაზში შემოვიდოდი. ფეხზე წამოდგომისას კარგად რომ დავაკვირდი, ჩემგან ორი სავარძლის მოშორებით საზურგეზე გადაფენილი შარფისებრი ნაგლეჯი დავლანდე – დიახ, ჰაინერ მიულერს სავარძელზე შარფი დაუტოვებია, თუმცა არც ვიცი, შეიძლება წინდა ან ცხვირსახოციც ყოფილიყო.

ავდექი. ჰაინერ მიულერის პირისპირ ვიდექი. ის კი ჩემ პირისპირ. მასზე თვალშისაცემად მაღალი ვიყავი და ზემოდან დავყურებდი. ჰაინერ მიულერმა ვიწრო რიგში გაჭირვებით ამიარა გვერდი. სულ ოდნავ, შეუმჩნევლად, მაგრამ საგრძნობლად შევეხეთ ერთიმეორეს. ისევ ჩაახველა და, როგორც იქნა, დაჯდა. დარბაზში შუქი ჩაქრა. დაიწყო ფილმი. პიერ პაოლო პაზოლინის „აკატონე“.

2. ჰამლეტ-მანქანა – რობერტ უილსონის ინსცენირება 1987 წელს ბერლინის თეატრალურ ფესტივალზე ლენა შტოლცეს მონაწილეობით

კინოში ფილმის გამო წავედი. ჰ. მ. მაშინ მაინცდამაინც არ მაინტერესებდა, მას, როგორც ავტორს, ჯერ წესიერად არ ვიცნობდი. 1987 წელს კი ბერლინის ფესტივალზე მდინარე ჰალეს ნაპირზე მდებარე თეატრში (დღეს რომ „ჰაუ 2" ჰქვია) ვნახე რობერტ უილსონის მიერ გრანდიოზულად დადგმული „ჰამლეტ-მანქანა", რომელშიც დიდებული ლენა შტოლცე მხცოვან ოფელიას ანსახიერებდა.

ოთხმოციან წლებში ახალგაზრდა ვიყავი, თეატრის სამყაროში თანდათან ვიკვლევდი გზას და ამ წარმოდგენას მხოლოდ და მხოლოდ ლენა შტოლცეს გამო დავესწარი, რომლის სამსახიობო ნიჭსაც უდიდეს პატივს ვცემდი. როდესაც თვითონ ავტორი ხარ, დრამატურგი, მაშინ სხვა დრამატურგის შემოქმედების შესწავლა და გააზრება მუდამ საკუთარი თავის შესწავლასაც ნიშნავს. კავშირების, საერთო ფესვებისა თუ მოტივების გამონახვა ლაბირინთში გზის გაკვლევას ჰგავს და, ასევე, ბიოგრაფიის სიღრმეში ჩაყვინთვასაც უდრის. ამ დროს გარდუვალად ჩნდება ფიქრი და მოსაზრებები იმის თაობაზე, თუ რას ნიშნავს ზოგადად წერა. როდის და როგორ იწყება მწერალი? რას ნიშნავს პოეტურ-დრამატული ტექსტი და რა მნიშვნელობას იძენს ის თეატრში?

ხშირად სიტყვასა და ტექსტს ისე ვიყენებთ, თითქოს მისი სათქმელი თავისთავად ცხადი იყოს. სხარტი, მოხდენილი გამოთქმა ხშირად ისე გვხიბლავს, რომ მასში ჩადებულ აზრს სრულებით აღარ ვაკვირდებით. დღეს კი სწორედაც დროა, იმას ჩავწვდეთ, რაც სიტყვათა შუალედებში, სიტყვიერი სივრცის მიღმაა დამალული. უწიგნურობა დღეს უკვე აღარ ნიშნავს უცოდინრობას: ბგერები, ხმაური, დუმილი – ინფორმაციის მატარებელ ნიშნებს შორის ჩაკარგული ეს ელემენტები გონებისათვის არანაკლებ ფასეული სანავიგაციო ინსტრუმენტებია სამყაროს შეცნობის პროცესში, ჩვენ მას დროის ლაბირინთსა და, განსაკუთრებით კი, თეატრის სამყაროში გზის გასაგნებად ვიყენებთ.

3. 1988–89. ლიტერატურის გმირები

დავბრუნდეთ იმ წელიწადში, როცა მიულერს პირველად გავეცანი. ასო-ნიშანთა თვალუწვდენ უდაბნოში მიულერის სახელი უსათუოდ გამოიკვეთებოდა. თუმცა ჰ. მ. მაინც არ მაინტერესებდა, ის ლიტერატურის ჩემეულ მრისხანე გმირებს არ მიეკუთვნებოდა. ესენი იყვნენ რაინალდ გიოცი, როლფ დიტერ ბრინკმანი, თომას ბერნჰარდი. გარდა ამისა, იმხანად ფილოსოფიურ ფაკულტეტს ვამთავრებდი და აქტიურად ვთანამშრომლობდი ჟურნალ „მინერვასთან", რომელიც, ჩვენივე განსაზღვრებით, „თვითგადარჩენისა და ფილოსოფიის საკითხებს" ეხებოდა და ჯერაც ძლიერად განიცდიდა 80-იანი წლების ფრანგული პოსტმოდერნული აზროვნების გავლენას. ჟურნალის მესვეურნი საგანგებოდ გავემგზავრეთ საფრანგეთში, რათა ვირილიოს, ბოდრიარს, ლიოტარს, დელიოზს და სხვებს შევხვედროდით და მათთვის ინტერვიუები ჩამოგვერთმია.

წარმოიდგინეთ, ამ სრულიად განსხვავებული ლიტერატურული ინტერესების ფონზეც კი ყოვლად შეუძლებელი აღმოჩნდა ჰ. მ.-სთვის გვერდის ავლა, რადგან ის ყველგან იყო. როგორც კი ამა თუ იმ ნიშს მიაგნებდი და შენეულად დაიგულებდი, მიულერი უკვე ამ ნიშში დაგხვდებოდა. გრიმების ზღაპრის პერსონაჟი ზღარბივით კი არა, კურდღელს სირბილში რომ ეჯიბრებოდა და აქოშინებულს მხართეძოზე წამოწოლილი ხვდებოდა, არამედ მტაცებელი მხეცივით. პოეტურ-დრამატული მტაცებელი კი იყო, მაგრამ მაინც უდავოდ მტაცებელი: რასაც კლანჭებით დასწვდებოდა, ყველაფერს რომ ნთქავდა, მიულერის პროდუქტად გადაამუშავებდა და კვლავ უკან ამოანთხევდა. ძალზე მარტივი გაგებით, ზოგადად მწერლის საქმიანობაც სწორედ ეს გახლავთ: მასალის მოპოვება, გამოცდილების დაგროვება, თემა-მოტივების მოპარვა და მრავალჯერადი მექანიკური დამუშავების შემდეგ უკან ამოფრქვევა. თუკი ეს პროცესი ერთხელ დაიძრა და, იდეალურ შემთხვევაში, ამა თუ იმ საზოგადოებრივი შუამავლისკენაც გაიყვანა საღინარი, მაშინ მას ველარაფერი შეაჩერებს. წერა და შედეგის საზოგადოებისათვის მიწოდება ერთგვარ მოთხოვნილებად, მანიადაც გადაიქცევა, რასაც ხშირად მწერლის შინაგანი სწრაფვები და აზრებიც ეწირება.

სწორედ ამ პროცესსა და ავტორის საწერ მექანიზმად გარდასახვას მივუძღვენი ჩემი ესე სახელწოდებით „ადაპტირებული მემანქანე", რომელშიც ჰაინერ მიულერის „ჰამლეტ-მანქანას", ალექსანდერ კლუგეს „ბრძოლის აღწერასა" და ოსვალდ ვინერის მეგარომან „შიდა ევროპის გამოსწორებას" ვეხები.

ტექსტის დონეზე ეს ნაშრომი ჩემი ყველაზე ინტენსიური მიახლოება გახლდათ ჰაინერ მიულერთან, როგორც მწერალთან, როგორც მოსიარულე ძრავასთან, როგორც ექსპლუატირებულ მანქანასთან. რადგან უეჭველია, რომ მისი „ჰამლეტ-მანქანა" ის დრამაა, სადაც მიულერი ყველაზე კონკრეტულად წერს საკუთარი თავის, როგორც საბედისწერო პოლიტიკურ ვითარებაში მოყოლილი, ორ სამყაროს შუა გამოკიდული შემოქმედის შესახებ.

დრამაში თვით მიულერი ჰამლეტის როლის შემსრულებლის პირით ამბობს: „მე საწერი მანქანა ვარ... ჩემივე თავის პატიმარი ვარ. ჩემი მონაცემებით კომპიუტერს ვაპურებ. მონაცემთა ბაზა ვარ. ჩემი ფიქრები ჩემი ტვინის ჭრილობებია. ჩემი ტვინი ერთი დიდი ნაიარევია. მინდა მანქანად ვიქცე."

ლაკანის თქმით, „მანქანა უბრალოდ ცოცხალი არსების ანტიპოდს როდი წარმოადგენს." მანქანის სრულიად ცალსახა დანიშნულება იმას ცხადჰყოფს, რომ ის შეიქმნა, როგორც დროის, ამ უდიდესი საიდუმლოს ხორცშესხმა და რომ მის გარეშე ცხოვრება აღარ ძალგვიძს.



მიულერის ტექსტებს ის დადებითი პრაქტიკული მხარე ჰქონდა, რომ ზოგადი პოლიტიკური თემებისათვის გამოსადეგი ციტატების ფართო არჩევანს იძლეოდა. ხშირად ეს მისი საკუთარი კი არა, მის მიერ ნანგრევებიდან ამოკრეფილი და ოდნავ გადასხვაფერებული აფორიზმები გახლდათ. ამის ამოცნობა მხოლოდ ბევრი კითხვის შემდეგ ხდება შესაძლებელი. თუმცა, ვინც კერძო საკუთრების ფანატიკოსი არ არის და სხვისი ციტატის მითვისებას ქურდობად არ თვლის, ჯერ კიდევ ლოტრეამონის მიერ გამოყენებულ ამ მეთოდს მიესალმება და სიხარულით შენიშნავს, რომ მასა და ნაწარმოების ავტორს ერთი და იგივე ლიტერატურა აქვთ წაკითხული.

4. მიულერი როგორც ტიპი

უმრავლესობის მსგავსად, მიულერში მეც, პირველ რიგში, ტიპს, პიროვნებას ვაფასებდი. მწეველს. მსმელს. მრავალმნიშვნელოვანი დუმილის დიდოსტატს: მისნაირი უდრტვინველი დუმილი სხვა არავის შეეძლო. იცოდა, ადრე თუ გვიან რაიმე ბრძნულ კითხვას დაუსვამდნენ და ისიც ბრძნულ და დაშიფრულ პასუხს გასცემდა.

მუდამ საეჭვოდ მეჩვენებოდა ის მომენტი, რომ ვიღაც თითქოს გამუდმებით იდგა მისი უსაფრთხოების სადარაჯოზე. ამდენი გამონათქვამი თუ ფრაგმენტი ნებისმიერ აქტუალურ ლიტერატურულ თუ პოლიტიკურ თემაზე. ამდენი ინტერვიუ – ურთიერთგამომრიცხვი მოსაზრებების მიუხდავად უცვლელად ნატიფი, ფრთხილი და, ამავდროულად ისე საოცრად ჭკვიანური, რომ ამ ადამიანს, როგორ ჩანს, მართლაც ხელშეუხებელ ავტორიტეტად აქცევდა.

იქნებ საქმე აქ ისეთ უნარშია, რასაც ჰ. მ.-სნაირი დრამატურგი, თუკი გდრ-ში ცხოვრება სურდა, უმაღლეს დონეზე უნდა დაუფლებოდა. მეტიც, ეს უნარი კი არა, ოსტატობა გახლავთ, რაც მხოლოდ ერთეულებს ხელეწიფებათ. ეს ვითარებაზე მორგებისა და თვალთმაქცობის უდიდესი ხელოვნებაა, რომელიც საინფორმაციო საშუალებების სამყაროში გადასარჩენად აუცილებელ საშუალებად, ხელისუფალთაგან თავდაცვის იარაღად იქცა. ეს ხანგრძლივი მოქმედების იარაღია. მიულერის ინტერვიუები საუბრის შედევრებია და, ამავდროულად, არცერთ ხელისუფლებას ხოტბას არ ასხამს. მათში ბრძოლის ველები, სასწაულები, ღია ჭრილობებია ასახული. თუკი მიულერის იარაღი ოდესმე ისვრის, ის ამ გასროლას საიმედოდ გამაგრებული პოზიციიდან აწარმოებს.

მიულერი იმხანად ჩვენში აღშფოთებას იწვევდა – ჩვენშიმეთქი, რომ ვამბობ, ჟურნალ „მინერვას“ ვგულისხმობ, 1987-91 წლებში სუბკულტურული ტექსტების ერთადერთ ბეჭდვით ორგანოს რომ წარმოადგენდა. მაგალითად, ასეთი ფაქტებით: ის საჯარო ლექციით გამოვიდა პრესტიჟულ კაფე „მარაში“; ლექციაზე დასწრება 10 მარკა ღირდა. ეს თანხა დღეს თუ უბადრუკ 5 ევროს შეადგენს, მაშინ ის ლამის 100 ევროს ტოლფასად გვესახებოდა.

დასავლეთ ბერლინში ჰ. მ.-ს თანდათან მკითხველზე მეტი გულშემატკივარი და თაყვანისმცემელი გაუჩნდა. მათ შორის არცთუ ცოტა ქალბატონი იყო. მიულერი მოდაში შემოვიდა. ვინც ამას მანამდე ვერ ამჩნევდა, მისი სიკვდილისა და დაკრძალვის დღეებში მაინც შენიშნავდა. გაოცებით ვადევნებდი თვალს მის ურიცხვ მეგობარს, რომლებსაც არც მისი წიგნები წაუკითხავთ, არც თეატრში დადიოდნენ, აი, მიულერის დაკრძალვაზე კი უკლებლივ გამოცხადდნენ სასაფლაოზე. მიულერის დაკრძალვა ნამდვილი სენსაცია გახლდათ! ამგვარი რამ გერმანიაში საერთოდ თუ არა, დიდი ხნის განმავლობაში არ მომხდარა. ამგვარი ფაქტი მხოლოდ საფრანგეთში, კამიუს, სარტრის თუ სიმონ დე ბოვუარის გარდაცვალებასთან დაკავშირებით მახსენდება. იმ დღეებში ტელევიზიაც თითქმის უწყვეტად გადმოსცემდა მიულერის საჯარო გამოსვლებისა და სპექტაკლების ჩანაწერებს. ახლა აღარ მახსენდება, თუ რამდენ ხანს გასტანა ამ საყოველთო მონუსხულობამ. ერთსღა ვიტყვი: მიულერის გარდაცვალება იმ მასშტაბის მოვლენა იყო, რომელშიც ყველას სურს მონაწილეობის მიღება. ასეთ თავყრილობებზე კი ხშირად ახალი ნაცნობობები იწყება ხოლმე. ეს ხომ ადამიანურია, მეტისმეტად ადამიანური.

ჰ. მ. საკმაოდ ადრე მიხვდა, რა საჩოთირო ვითარებაშიც ამოჰყო თავი. შიშითა და ზიზღით გაიაზრა თავისი საგანგებო სტატუსი, როგორც დასავლურ-აღმოსავლური ავტორისა; ასევე თავისი განსაკუთრებული პრივილეგიები, და ამ ყოველივეს უზუსტესი ლიტერატურული განმარტებაც მისცა. მისთვის მიუღებელი იყო მისი პიროვნების ცალსახა, საყოველთაო აღიარება. მაგრამ რა ექნა? მის ასაკში შეუძლებელი იყო იმის მსგავსი რამ, რაც ბრინკმანმა ჩაიდინა 1969 წელს, როდესაც ხელოვნებათა აკადემიაში „მეტაფორათა ავტომატის ჯერი“ წარმოადგინა. იმ ორაზროვანი და მყუდრო მდგომარეობიდან გამოსვლა მისგან მეტისმეტად დიდ ძალისხმევასა და ძვირ საფასურს მოითხოვდა. ურთიერთსაპირისპირო ბანაკების მხრიდან ერთსულოვანი აღიარება ალბათ ის ფასეულობაა, სიბერეს განსაკუთრებით რომ ეძვირფასება. ბრძენი მისანი, თანამედროვეობის კრიტიკოსი, ვისაც კამათი აღარავისთან უწევს, ვისი სიტყვაც წარმოთქმისთანავე

ქვად იქცევა – ამგვარი როლი მან დიდი ხანია, რაც მოირგო და აღწერა კიდეც და მე მას არაფერში ვდებ ბრალს.

„აეროპორტთა მარტოსულობის ჰაერს ვისრუტავ,
ვარ პრივილეგირებული,
ჩემი ზიზღი პრივილეგიაა და მას
კედელი, ეკლის გისოსი და ციხე იცავს.“ (ჰ. მ.)

სხვათა შორის, უილსონისეული დადგმის თეატრალურ ბუკლეტებში მიულერი წერს, „ჰამლეტ-მანქანა“ შეიძლება ერთგვარ პამფლეტად იქნასო გააზრებული, იმ მომაკვდინებელ ილუზიას რომ უტევს, თითქოს ჩვენ სამყაროში ვინმეს უდანაშაულოდ დარჩენა შეეძლოს.

5. წმინდა ძროხა

ნუ დაგვავიწყდება, რომ ჰაინერ მიულერის შემთხვევაში საქმე სწორედ წმინდა ძროხასთან გვაქვს. წმინდა ცხოველის დაკვლა აკრძალულია, მას მხოლოდ ეფერებიან. წმინდა ძროხა ხელშეუხებელია და მისი დაკვლის ნებისმიერი მცდელობა წინდაწინაა მარცხისათვის განწირული. ოღონდაც, ესაა: წმინდა ძროხა არ იწველება. აღარც ხარს აღაგზნებს. ის ერთგვარ ინვენტარს, ალიბის წარმოადგენს. ამგვარად წმინდა ძროხა ხელისუფლების თანამზრახველია და ნებისმიერ დროს შეიძლება მის მიერ საკუთარი სიმართლის დასტურად იქნას წარმოდგენილი. დავუშვათ, რომც მოხერხდეს წმინდა ძროხის დაკვლა, ის საკუთარ თავს ტერმინატორივით აღადგენს, რის შემდეგაც უწინდელზე უფრო უვნებელი და წმინდა გახდება და უფრო მეტ დიდებასაც მოიხვეჭს.

ჰაინერ მიულერმა წმინდა ძროხის სტატუსი სამოცი წლის ასაკში დაიმკვიდრა. ჯერ კიდევ მაშინ, როცა ქვეყანა ორად იყო გაყოფილი, მიულერი გერმანელ, ზოგადად გერმანელ მწერლად იწოდებოდა. ყველა ტელეარხზე მისი სახე ფიგურირებდა. არამხოლოდ ავტორი, არამედ აკადემიის პრეზიდენტიც გახლდათ. ჭეშმარიტად, არავინ იყო მასზე უფრო მეტად გერმანელი.

6. გზავნილი გერმანელ ხალხს

ჰაინერ მიულერის ცხოვრებაში უდიდეს ტრაგედიად, ვფიქრობ, ის იქცა, რომ მისმა გზავნილმა გერმანელ ხალხამდე ვერ მიაღწია. მან ეს ყველა სასცენო მარცხზე უფრო მტკივნეულად აღიქვა. 1989 წლის ნოემბრის დღეებში, როცა ბერლინის კედელი ჯერ კიდევ იდგა, ჰაინერ მიულერი გერმანელი ხალხისადმი მიმართვით უნდა გამოსულიყო.

დრამატურგი ჰაინერ მიულერი ალექსანდერპლაცზე, აღმოსავლეთ ბერლინში, დიდი უნივერმაღის წინ მოწყობილ ტრიბუნაზე იდგა ულრიჰ მიუესა და იმ ისტორიული დღეების სხვა, აწ უკვე მივიწყებულ მონაწილეთა მხარდამხარ. ორატორები მარტივი ფრაზებით განუმარტავდნენ ხალხს, თუ როგორ უნდა გაგრძელებულიყო ცხოვრება. რა უნდა გაკეთებულიყო. რა იყო დაუშვებელი. ხალხი ამ მარტივ ფრაზებს აღტაცებით უგდებდა ყურს და მათი აზრი ესმოდა.

დადგა ჰაინერ მიულერის ჯერი. მასაც უნდა განემარტა გერმანელი ხალხისადმი, თუ როგორ წარიმართებოდა მისი მომავალი. მიულერი მომზადებული იყო, ხელში ფურცელი ეკავა. მიკროფონთან მივიდა და ჩაახველა. წამიერი დუმილის შესავალიც გააკეთა. იცნობდა განა გერმანელი ხალხი მას, ჰაინერ მიულერს? სურდა განა ამ ადამიანის მოსმენა, ვისი შავი კოსტუმი და სათვალე უწინდელი ხელისუფლების ელიტასთან სიახლოვეზე მიანიშნებდა? იცოდა, ჩახველებით ვერაფერს გახდებოდა. უნდა ელაპარაკა. რადაც არ უნდა დაჯდომოდა, უნდა ელაპარაკა. მიკროფონში, გარკვევით, მარტივი ფრაზებით. ხალხი მხოლოდ მარტივ ფრაზებს აღიქვამს. ისეთ ფრაზებს, რომელთა გაგონებაც სურს. რომლებიც რაიმეს აღუთქვამენ. მაგალითად, საოცნებო მომავალს. კეთილმოწყობასა და თავისუფლებას. მსოფლიოში მოგზაურობის შესაძლებლობებს. ამგვარ დაპირებებს ტაშით მიესალმება.

ჰაინერ მიულერს სურდა, გერმანელი ხალხისათვის მიემართა. მაგრამ, სამწუხაროდ, თავის ფურცელზე საოცნებო მომავალი არ აუსახავს. გადამწყვეტი წამი, წუთი, სიმართლის თქმის დიდი მცდელობა. სიმართლე სიტყვებში კი არა, მათ შუალედში, მათ მიღმა, ჩახველებაში იყო. ჰაინერ მიულერი მიკროფონთან მივიდა და ორიოდე წამის შემდეგ უკან დაიხია. სიტყვით არ გამოსულა. რასაც ის ხალხს ეტყოდა, იმას ხალხი სტვენითა და უკმაყოფილებით შეხვდებოდა. მისი სიმართლე ბრბომდე ვერასოდეს მიაღწევდა. და საერთოდ, რას აკეთებდა ის, ჰაინერ მიულერი იქ, იმ წუთებში? რა უნდოდა? ნუთუ მართლაც გერმანელი ხალხისადმი მიმართვა ჰქონდა განზრახული? რა აბსურდია.

სინამდვილეში ჰაინერ მიულერმა, რა თქმა უნდა, რაღაც ილაპარაკა. სულ რამდენიმე წინადადება, ძალიან მოკლედ. ეს ის სიტყვები იყო, რისი მოსმენაც ხალხს არ სურდა და რასაც გულგრილად შეხვდა.

მახსენდება ჰაინერ მიულერის სიტყვები: „ათი გერმანელი, რა თქმა უნდა, ხუთ გერმანელზე უფრო სულელი აღმოჩნდება.“ რა მართალია!

2009

სიტყვა, წარმოთქმული ბერლინში, კაფე „მიულერში“, ჰაინერ მიულერისადმი მიძღვნილი ფესტივალის დღეებში.

გერმანულიდან თარგმნა თამარ კოტრიკაძემ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძოლა

მოქმედი პირები

გრძელი დანების ღამე

ა
ბ

მე მყავდა ერთი თანამებრძოლი

1-ლი ჯარისკაცი
მე-2 ჯარისკაცი
მე-3 ჯარისკაცი
მე-4 ჯარისკაცი

ოგივატელის ქორწილი

კაცი (ქმარი)
ქალი (ცოლი)
მათი ქალიშვილი
ჰიტლერი

ყასაბი და ქალი

კაცი (ქმარი)
ქალი (ცოლი)
ათეულის მეთაური
მყიდველი ქალი
მყიდველი კაცი
მოიერიშე რაზმელები

ზენარი ან უბიწო ჩასახვა

კაცი
ქალი
ახალგაზრდა ქალი
მოხუცი ქალი
SS-ელი 1
SS-ელი 2
წითელი არმიის მეთაური
წითელი არმიის 2 ჯარისკაცი

****

გრძელი დანების ღამე

ა:
როდესაც ღამე რაიხსტაგის დაწვის დღედ იქცა,
ყველამ უწყოდეს:
– მაშინ კარებში ჩემი ძმა იდგა და
მე ხელი არ გავუწოდე.

ბ:
მე ძმა ვარ შენი..

ა:
გეთანხმები, ძმა ხარ შენ ჩემი.
და თუკი ძმა ხარ, ჩემ წინაშე რატომ მოხვედი,
ჩვენიანების სისხლში გასვრილ ხელებით კრულით.
სამგზის სიკვდილით განისჯება ცოდვის მოქმედი,

ბ:
ეგ მინდა, ძმაო, მაგისთვის ვარ აქ მე მოსული.

ა:
შენ ძმას მიწოდებ. ჩვენს ძმობას კი ჰქვია წარსული.
ჩვენ შორის ჩადგა მჭრელი დანა ანუ ღალატი,
და ამ მახვილის გამომჭედი შენ ხარ ხარატი.

ბ:
მე ის ვარ, ვისაც სისხლიანი აქვს უკვე ხელი,
გამოიმეტე, ტყვია ჩემთვის ცოდვისგან მხსნელი.
ხომ ხედავ თავად, რად მაქციეს, როგორ მაწამეს.
მინდა მსხვერპლივით შევეწირო ამ წყეულ ღამეს.

ა:
თქვა ეს ძმამ ჩემმა, ვინც არ იყო უკვე ძმა ჩემი,
არამედ – დაღი სამარცხვინო, საფრთხე, გამცემი.
შეუბრალებლად აწამებდნენ მას სარდაფებში,
და ახლა მრეში, ილუკმება უკვე მათ თეფშში.
ჭრილობები კი სისხლმდენია ჯერ მისმიერი,
ჩემს მაგიდაზე ახლა მისი დევს რევოლვერი.
შენვე ისროლე.

ბ:
არ შემიძლია ძმაო, თორემ ვიკრავდი ტყვიას.
ის აღარა ვარ, რაც ვიყავი.

ა:
მე ვერ გიშველი.

ბ:
არ დაივიწყო, ერთი დედის ვართ ჩვენ შვილები.

ა:
დაბრუნდი უკან, დამიჯერე, შეძლებ ადვილად.

ბ:
შენ გვერდით იყო ფაბრიკაში ჩემი ადგილი.

ა:
ხარატის ხერხს რომ დაეფლითე მაშინ, მინდოდა,
უნდა მცოდნოდა ის, რაც შენგან გამოვიდოდა.

ბ:
საყოველთაო გაფიცვაზე ავყევ ცდუნებას,
და ბრანდენბურგის ბჭესთან ჰაილ-ს ვაგუგუნებდი;
ვიდექ შენთან და სიმართლეს კი ფორმით ვმალავდი.

ა:
ხაკისფერია ფორმა შენი – ცხადი ღაღადი.

ბ:
სიმართლეს ჩემსას გაჩვენებ და თავს გავიმართლებ.
სამი კვირაა დამაკისრეს როლი ქაღალდის,
და ჩვენი მტერი ზედ მაწერდა თავის სიმართლეს.

იხდის პერანგს. მკერდზე აქვს სვასტიკის დაღი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

და შენი ძმა კი, მოღალატე კაცად მონათლეს.
ა:
რას ელოდები.
ჰქმენ საქმე შენი უმალ, ძმაო, თან მონდომებით
უყურე, როგორ მანამებენ, „მარგი“ საბაბით,
ასე თუ ისე, არ ვარ ძაღლი თქვენთვის სადაგი.
ბ:
როგორ აქცევენ, მინდა გითხრა, კაცს სასტიკ ძაღლად.
ა:
ვხედავ და გატყობ. ყველაფერი იწვნიე ნაღდად.
დაბრუნდი ტყავში. დგას გნიასი ნაგაზთა ხროვის,
და დაითრიე შენი წილი ნადავლი მძორის.

პაუზა. ისმის ქალაქის ხმაური.

ბ:
უბრად დავტოვე მე გესტაპოს ბუნკერი ბნელი.
თუმცა, გარეთაც ვერ ვიხილე მე დღის ნათელი.
თქვენ უცხოსავით ჩამიარეთ გვერდზე გულგრილად.
პერანგქვეშ თუმც არ შემშრობოდა სისხლი, სამხილად.
თქვენთვის ვიტვირთე თავსატეხი, მე დამრჩა ვრცელი,
უკვე პირთამდე დაძეძგილი, ნაგავსაყრელი.
როცა ბუნკერში ხელმეორედ ისევ დავბრუნდი,
სამკვირიანი ყოფნის შემდეგ, გავშინაურდი.
ჩექმამ შეცვალა ჩამორთმევა ყასიდად, ხელის.
მეც მიახლებდნენ, თუკი ასვლა ეწადათ ზევით,
თითქოს ჯაშუში ვყოფილიყავ და არა ყმა მე.
პროლეტარული ღირსებისთვის რად გინდა რამე.

იცვამს ხაკისფერ პერანგს.

ეს შენაძენი პერანგი კი, ხაკისფერია,
– ძაღლს მუდამ ახლავს საკუთარი ტყავი ტიალი –
კარუსელი კი, გამალებით მარჯვნივ ტრიალებს,
ჩექმები ბზინავს, თავი მოგწონს და არ ხარ მარტო,
იქნევ ხელკეტს და ირგვლივ მსხვერპლთა ყვირილი
გართობს.

ეს ასე იყო. ჩავუკვირდი თავს ძირეულად.
გრძელი დანების ღამე კითხვას დაგისვამს ამ დროს –
ვინ იქნებაო საბოლოოდ ვისით ძლეული.
ერთიც მე ვარ და ის მეორეც ასევე მე ვარ.
რომელიღაც კი ზედმეტია, ვინ იტყვის მრე ვარ.
დასწვდი რევოლვერს, აღასრულე, რაც მე არ ძალმიძს,
რომ კაცი მერქვას გარდაცვლილი და არა ძაღლი.
ა:
როცა გმინავდნენ ბუნკერებში ჩვენიანები
და ბერლინელებს ჩეხდნენ უღვთოდ გრძელი დანები
მოვკალ ძმა ჩემი, მოღალატე დაუნანები.

მე მყავდა ერთი თანამებრძოლი

ოთხი ჯარისკაცი. თოვლი.
1-ლი ჯარისკაცი:
მტერს, მეგობრებო, მინდა გითხრათ, უკვე ვერ ვხედავ.
მე-2 ჯარიკაცი:
ეს შიმშილია.
მე-3 ჯარისკაცი:
ნამქერია, გიმრუდებს ხედვას.
მე-4 ჯარისკაცი:
მტერია ყველგან, თან საომრად დაგეშილია.
მე-2 ჯარისკაცი:
მშიერი კუჭით,
ერთადერთი მტერი მყავს მხოლოდ.
მე-4 ჯარისკაცი:
ამით რის თქმა გსურს, ამოღერღე, აჰყევი მოლოხს?
მე-2 ჯარისკაცი:
ოთხი კვირაა, არ მინახავს თვალით მე ხორცი.
3-ე ჯარისკაცი:
ცხენის ერთ ძვალში მთელ სამეფოს მივართმევ ხონჩით.
მე-4 ჯარისკაცი:
გერმანიისთვის ვშიმშილობთ ჩვენ, კარგა ხანია.
მე-2 ჯარისკაცი:
ნუთუ სულ ოთხნი წარმოვადგენთ აქ გერმანიას.
მე-4 ჯარისკაცი:
ზედმეტი უკვე, მგონი, ერთი ჩვენთაგანია
მე-2 ჯარისკაცი უმიზნებს მე-4-ს:
კმარა. ასეა
მე-4 ჯარისკაცი:
ყოფა ჩვენი თმენით სავსეა.
თანამებრძოლი მეგობრები ვართ ჩვენ ჯერ ისევ.
მე-2 ჯარისკაცი:
და რასაც ერთი მოისაქმებს, მეორე იხმევს.
მე-4 ჯარისკაცი:
ოთხ ცარიელ კუჭს, რა თქმა უნდა, სჯობს სამი სავსე,
ერთგულებაა ჭეშმარიტი ღირსების ფასი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე-3 ჯარისკაცი თავს უქნევს:
ერთი ყველასთვის.
მე-2 ჯარისკაცი:
საკითხავია, ვის შეხვდება წილხვედრი ნავსი.
მე-2, მე-3 და მე-4 ჯარისკაცები უმიზნებენ ერთმანეთს.

1-ლი ჯარისკაცი:
მე დავუძლურდი, ვერ ვატარებ უკვე იარაღს.

მე-2, მე-3 და მე-4 ჯარისკაცები იხსნიან იარაღებს და ერთმანეთს შესცქერიან. პაუზა.

მე-4 ჯარისკაცი:
მე გადმომეცი,
მე ვატარებ, ისე იარე.
1-ლს ართმევს თოფს, ესვრის და კლავს.
მე-4 ჯარისკაცი:
ყველაზე სუსტი წევრი იყო და იგი უკვე
უქმნიდა საფრთხეს, საბოლოო ჩვენს გამარჯვებას,
ამიერიდან ცეცხლს შეუნთებს ჩვენს გაკაჟებას.
მე-2, მე-3, მე-4 ჯარისკაცები შეექცევიან 1-ელს.
სიმღერა „მე მყავდა ერთი თანამებრძოლი."

ოგივატელის ქორწილი

კაცი:
ჩემო კარგებო, 12-ს ხუთი აკლია წუთი,
დროა, რომ მოვკვდეთ,
სასხლეტს უნდა გამოვკრათ თითი,
მივბაძოთ ფიურერს, აკი მოგვცა ჩვენ მაგალითი,
ხვალ გაიშლება ჩვენს ქალაქში მტრების კარავი
და სამარცხვინო სიცოცხლე კი არ სურს არავის.
ქალიშვილი:
მე მსურს.
კაცი:
ახლავე ეგ სიტყვები უმალ გადათქვი.
თორემ უარგყოფ, მოგიკვეთავ და გულს ვიჯერებ.
ეს გერმანელმა დიაცმა თქვა?.. ვერ დავიჯერებ.
ქალიშვილი:
გამაგდე მამა.
კაცი:
ეგ სასჯელი გერგება წამლად.
ეს რომ არაა ჩემი შვილი, ნამდვილად ვიცი,
ქალო, თქვი ვისთან მიღალატე, არ მინდა ფიცი.
ქალი:
აქვე, ადგილზე მინდა მოვკვდე, დავეცე მკვდარი.
კაცი:
მწამს, მოესწრები.

მიმართავს ქალიშვილს: შენ კი მითხარი,
ჩემთვის სათქმელი თუ დაგრჩა რამე.
ქალიშვილი:
მაქვს – მამა,
მინდა გარეთ გასვლის მომცე უფლება.
კაცი:
უნდა შეგეძლოს საკუთარ თავს სავსებით ფლობდე,
ადამიანი ცხოველს ამით აღემატება.
შენს გარეთ გასვლას, არ დავუშვებ, უნდა იცოდე.
მაშინ რაღა თქვან ჩვენმა გმირმა ჯარისკაცებმა,
ვინც ბევრ სხვა რამეს შეელია და თქვა უარი.
შენში ყეფს ქვენა ინსტინქტები, შენ შეუვალი
უნდა დარჩე, ასე მითქვია. ამიტომ – ქალო
მომეცი თოკი – შეგკრავ, ფეხი არ მოიცვალო.
ქალიშვილი ყმუის. ხმა გაკმინდე და აქ დაჯექი.
ქალიშვილი:
მამა თუ მიჭირს.
კაცი:
მაგასაც ვნახავთ.
მიმართავს ცოლს:
ავუკრათ პირი ამ ქალბატონს, მომეცი სწრაფად
ეგ პირსახოცი, – ამით საქმე გავიიოლე.
ჰიტლერი მოკვდა, ღალატია ახლა სიცოცხლე.
რევოლვერს საფეთქელთან მიადებს ქალიშვილს და გამოკრავს სასხლეტს, გასროლის ხმა არ ისმის.
წყეულიმც იყავ, დატენა სულ დამვიწყებია.
გადატენის იარაღს და კლავს ქალიშვილს.
მწამს ნებისმიერ ფასად მაინც გაცლა სჯობია.
ქალი: ყვირის არაა.
კაცი: ნუ ყვირი, უნდა შეეგუო, გაჩუმდი, კმარა.
გწამდეს ფიურერი: გაწითლებას არჩიე მოკვდე.
გმირულ სიკვდილზე მშვენიერი რა უნდა მოხდეს.
უმალ იმქვეყნად აღმოჩნდები. მეც უნდა მოგყვე.
ესვრის და კლავს ცოლს, მიიბჯენს რევოლვერს საფეთქელზე, მოიცილებს, ჩასცქერის ლულას, შემდეგ – დახოცილ ცოლ-შვილს, გამობრუნდება, ისევ მიიდებს საფეთქელთან იარაღს, ისევ ჩამოუშვებს და ა.შ.
ჰიტლერი გადმოდის თავისი ფოტოსურათიდან. ესალმება.
ჩემი ფიურერი. იგია, იგი. მიცახცახებს უკვე მუხლები.
ჰიტლერს უმალავს რევოლვერს. ჰიტლერი ემუქრება თითით.

სად არის ჩემი რევოლვერი. ვიცი როგორაც ვიმოქმედებ, კვლავ ვიმუხტები.
შეაბრუნებს ჰიტლერის პორტრეტს. ჰიტლერი ქრება.
იქ, დასასრული სადაც იყო, იშვა საწყისი.
ვინც მარტო დარჩა, ძლიერია ყოვლის მაქნისი. გადის.

ყასაბი და ქალი

ხაკისფერი პერანგით მიღწეული წარმატებული ცხოვრება

პატარა ქალაქის საყასბო. კაცი იხდის ყასბის სამოსს და იცმევს მოიერიშეთა სამხედრო ფორმას. ქალი ჩამოართმევს ტანსაცმელს და აწოდებს სამხედრო ფორმის აღჭურვილობას.

ქალი: რაც მოიერიშეთა რიგებში ხარ, ერთი მშვიდი წუთიც კი არ მაქვს.
ორასი გრამი ხორცისათვის ქუჩიდანვე იწყება რიგი, და ყველას უწევს
მომქანცველი მძიმე ლოდინი.
კაცი: მას შემდეგ, რაც მე მათ შევუერთდი, ვერ ავუდივართ
მყიდველების მომსახურებას. თორემ კაუჭზე ხორცს საერთოდ ვერც
დავლანდავდით. და ცარიელი იქნებოდა შენი საწოლიც, არ ვარ მართალი?
რუხ შინელს ნაღდად სჯობს ხაკისფერი.
ქალი: ვერაფერს ვიტყვი.
კაცი: იხატავს შუბლზე სვასტიკას. ქალს ხელში სარკე უჭირავს.
ქალაქთან ახლოს, მდინარესთან, პატარა ტევრში, მტრის
ბომბდამშენი ჩამოვარდა, ამერიკელია პილოტი.
ქალი: თქვენ, რა თქმა უნდა, შეიპყრობთ.
კაცი: რა ვიცი, აბა.

მოიერიშეთა რაზმი მარშირებს

გერმანული ტყე. მოიერიშეთა რაზმი მარშირებს. კულისებში ისმის გერმანული ფაშიზმისათვის დამახასიათებელი ხმაური: საუბარი, ჰაილ-ის შეძახილი, ბრძოლა მდინარე ზაალთან, ბროლის ღამე, ომი.
ჰაინცი გაზრდილია / ბოლომდე ტყვიამფრქვევთან იდგა / ზიგფრიდი მოვა ჩემს შემდეგ /გუშინ წერილი მოვიდა / სამჯერ გაუკეთდა ნაღვლის ბუშტის ოპერაცია / აღმოსავლეთში ვერაა საქმე კარგად / ჩემს უფროს ქალიშვილს ნიშნობა აქვს, ჯიბეზე ხელს ხომ არ გაიკრავდი / ბოლომდე ტყვიამფრქვევთან იდგა / ეს ჩემს შესაძლებლობას აღემატება / გუშინ წერილი მოვიდა / შენ თქვი აღმოსავლეთ ფრონტზე ვერაა საქმე კარგადო / შესვი ჩემი ლუდი, ერთს კიდევ მოიტანენ, წითურთმიანი / მაგას უთუოდ მოვახერხებ / ოღონდ ჩემს ცოლთან სიტყვა არ დაგცდეს /ეს თუ იცი: ებრაელი მიდის ბორდელში. მასპინძელი ეუბნება: ახლა ზევით ვერ ახვალთ,

იქ გებელსია. ებრაელი ამბობს / დაყოფა შეჩერება / მაგას თავისი ცხიმი აქვს / უკანალი გამოაჩინე / თავი მოიჭერი / ნახევრად დაიწვა / ალბათ ზანგი იყო / ებრაელების გამოა ყველაფერი...
პაუზა, ისმის მხოლოდ დაჭრილი პილოტის კვნესა.
ათეულის მეთაური: ეს შენ გეხება საბესტ, ყასაბი შენ ხარ.

ამერიკელის საყასბო. მეყასბე და ქალი. მყიდველები.
მყიდველი ქალი: ჩემმა ქმარმა დამავალა გადმოგცეთ, რომ გულითადი, კეთილი სურვილებით გილოცავთ, ბატონო საბესტ, დამსახურებულ ჯვარს. ბატონი საბესტი ფრონტზე რომ ყოფილიყო, რუსებისგან ბიფშტექსს მოამზადებდა... სამი შნიცელი.
მყიდველი კაცი: კაცებიც ხომ სჭირდება სამშობლოს, ფრაუ საბესტ.
ქალი: ჩემი ქმარი ავადაა, თორემ აქ ნამდვილად არ იქნებოდა. ღორის ხორცი?
მყიდველი კაცი: იცინის. ამერიკელის.

მეყასბის სიზმარი

ცხოველის და ადამიანის შიგნეულობა, / (შინაგანი ორგანოების ტყე.) სისხლის წვიმა. პარაშუტზე ჰკიდია ადამიანზე დიდი ზომის თოჯინა, რომელიც ვარსკვლავებიანი დროშითაა შემოსილი. ტახის ნიღბიან მოიერიშეთა უნიფორმაში გამოწყობილი პირები ესვრიან თოჯინას ჯერ ერთმანეთის მიყოლებით, შემდეგ კი ერთდროულად. ნატყვიარებიდან იყრება ნახერხი. (სროლის ხმა არ ისმის, რადგან მაყუჩი ახშობს.) როცა თოჯინა დაცარიელდება, ჩამოგლეჯენ თოჯინას პარაშუტიდან და ნაფლეთებად აქცევენ. ტახის ნიღბიანების როკვა. ნაფლეთებს ისინი გათელავენ და ნახერხს შეურევენ.
ქალი:
აპრილში ღამით გასროლის ხმამ გამომაღვიძა,
ცეცხლის ციმციმი ანათებდა ცარიელ საწოლს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მივხვდი მაშინვე, ალბათ იგი მკვდრის კვალს დაადგა
ამერიკელის, რადგან რუსი ახლოვდებოდა.
ვფიქრობ, უთუოდ სადღეისოდ სჯობს, ასე იყოს,
ხვალ რუსი უკვე აქ იქნება, უკეთესია,
ცოლი კი არა, ქვრივი გერქვას, იმ კაცის, ვისაც,
ყოველდღიურად დანების ქვეშ უწევს ცხოვრება.
ავდგები მაინც: რა უნდა ვქნა მე ქმრის გარეშე
ვერ შევინახავ საყასბოსაც, საკლავს ვინ დაკლავს
ხორცის ჩატვირთვა-გადაზიდვაც კაცის საქმეა,
ბავშვებზე ზრუნვაც მევალება. კაცი წყალს მისცემს
იოლად თავს, თუ სასიკეთოდ ვერას გააწყობს,
მე კი აქ ვდგავარ, სამი შვილით და მიხარია,
ახლა ფეხმძიმედ რომ არა ვარ, რადგან ის დროა,
როცა არავინ გაგიმართავს ხელს სამოწყალოდ.

პერანგის ამარა მყის გამოვეკიდე მას მდინარისაკენ,
სახლის გასაღებიც არ დამვიწყებია, კარებიც ჩავრაზე
და სირბილისას კი, თავს ვეკითხებოდი:
რად გარბიხარ-მეთქი,
დაბრუნდი უკან და, ცოტა ხნით შეჩერდი, მოხდება,
რაც გველის,
შენ ხომ არ მოგიკლავს ის ამერიკელი,
მოხდა ეს ნებსით თუ მოხდა უნებლიეთ,
ქმარს ადევს ეს ცოდვა
და თუკი ახლა მას კიდეც დაეწევი, ამით რას მოიგებ.
თუ დააგვიანებ და ვერ დაეწევი, ამით რას დაკარგავ.
თითქოსდა ფეხები მე არ მეკუთვნიან,
კვლავ შეუჩერებლივ გარბიან, გარბიან.
შემდეგ კი მომესმა, ის ხისტ ლელქაშებში გზას
როგორ იკვლევდა,
ღრმად მიაბოტებდა, ბორძიკით ათრევდა მოკიდულ
მკვდარ სხეულს,
თან ასე ვფიქრობდი: ცურვა რომ არ იცის, კარგია,
მოელის
სიკვდილი იოლი. შემდეგ კი შორიდან ისმოდა ღრიალი,
ალბათ იხრჩობოდა.
ან რა უნდა ექნა მაშინ, სროლის გარდა. შემდეგ კი
საყასბოს
საქმეც გაიჩარხა, მოიერიშეთა ნაკადი მოაწყდა,
სისხლი კი ბუზებს ხომ მაშინვე იზიდავს. ისიც მართალია:
ამჯერად უეცარ მკვლელობის შემდეგ მას არ უნდა
ერბინა
სრულ ქანცგაწყვეტამდე, რათა ერთ ღამეში ქვრივად
არ ვექციე,
რადგან ჩვენ კარს უკვე რუსი მოსდგომია.
ამერიკელი რომ ტყვიით არ მოეკლა, ჰქონდა კი უფლება,
რადგან მას ბრძანება ჰქონდა მიღებული, ომი კი ომია.
ვის უნდა სცოდნოდა სხვა დრო დადგებოდა,
ბალახი წამოზრდას ვერც კი ასწრებდა,
რომ ერთი გამარჯვება
მეორეს მოსდევდა.
ჰოდა, აი, ახლა, დრომ რომ მოაწია, სწორედ ახლა კვდება.
ეს უნდა დამთავრდეს. მე რაღა მაჩერებს,
ხელებით ვაკავებ,
ფეხებს რომ არ წამცდეს და არ გავექანო მის
გადასარჩენად.
ის ჩემი ქმარია. მეც ხომ ვერ მოვკვდები,
რადგანაც ვცხოვრობდი
ჩემს ქმართან აქამდე, გამორიცხულია.
მე მისთვის ნიადაგ მზრუნველი ცოლი და
მშველელი ვიყავი,
ჩვენი საყასბო და ოჯახის მიხედვა, მებარა ბავშვები
და ამასთანავე, როცა ისურვებდა ფეხებსაც გავშლიდი
და რას დავემგვანე. ხელებზე კოჟრები, მუხლები უხეში.
ჩემი უკეთესი წლები ჩავლილია. ვის რა დავუშავე.
მან ცურვა არ იცის. უნდა მივეშველო და ამოვიყვანო.
ძალა რომ არ მეყოს, თან რომ ჩამითრიოს,
შვილებს რაღა ვუყო,
თანაც შეიძლება თუ გადავარჩინე, სიკვდილით დასაჯონ.
და რაღა მე მერგო მძიმე არჩევანი. თუმც, ახლა,
მე მგონი, უკვე გვიანაა,
ირგვლივ სიჩუმეა. სროლა ძლიერდება. რუსია უთუოდ.
სჯობს აღარ ვიცოდე მე აღარაფერი.
ისევ შინ მივბრუნდე,
ვიდრე გათენდება. თევზები პირსაც კი არ დააკარებენ.
როცა იპოვნიან, ვიტყვი, არ ვიცოდი თითქოს არაფერი.
ჯერ იქნებ არ იყოს გვიანი, წავალ და
წყლიდან ამოვიყვან.

წყალში ჭიდილი

მე იგი მოვკალი. ჩვენ ორში ერთ-ერთი უნდა
მომკვდარიყო.
წყალი უჩემოდაც ზუსტად ხომ იგივეს მოიმოქმედებდა.
ახლა კი მე ის ვარ, ვინც გეზი უჩვენა და გზას გაუყენა.
თუნდაც მამაკაცი კისერს რომ მაცლიდეს,
ჩუმად უნდა ვიყო.
ბავშვები მოვიდნენ და აქვე არიან. მკვდარი კი მკვდარია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბერლინი 1945. სარდაფი. ჩემოდნებზე ზის ორი ქალი.
კაცი შემოდის:
აქ დგას რუსი. აქვე დგანან SS-ელები.
ქუჩის კუთხეში საყასბო სულერთიანად გადამწვარია.
გემრიელი ლორი რა დასანანია.
ისმის ბრძოლის ხმაური. ერთი ჯარისკაცი შემოიჭრება, სამხედრო ფორმას შემოიგლეჯს ტანზე.
ჯარისკაცი: თქვენ თუ დაინახეთ რამე?
დუმილი.
კაცი: ამ საქმეს უდის სახელმწიფო ღალატის სუნი.
ჯარისკაცი: სამოქალაქო ტანისამოსი
მჭირდება სასწრაფოდ.
კაცი: მიმართავს ახალგაზრდა ქალს.
ჩადი, გახედე, რუსი აქეთ თუ მოემართება.
ახალგაზრდა ქალი ფორთხვით ამოდის სარდაფიდან. დუმილი. ახალგაზრდა ქალი უკან ბრუნდება.

ახალგაზრდა ქალი: მოდის.
კაცი ჯარისკაცს ქურთუკს გადაუგდებს.
კაცი: ერთი ზეწარიც.
მოხუცი ქალი: ჩემსას ვერ მოგცემთ.
ჯარისკაცი: მოხუც ქალს მიმართავს.
შენი ზეწარი, თუ შეგცივდა, ქალბატონო,
ხომ ვერ გაგათბობს.
მოხუცი ქალი: SS-ელები, გამოკიდებულ
ზეწარს თუ მოჰკრავენ თვალს,
ჩვენც დაგვკიდებენ.
კაცი: ესეც მართალია. ახლა კი შენ თავს თვითონვე
უნდა უშველო.
ისმის ბრძოლის ხმაური.
ჯარისკაცი: თანდათან აქეთ რომ მოიწევენ,
SS-ელები როდი არიან.
კაცი: თუმც შენ, მეგობარო, სიმამაცე ხომ
ნასწავლი გაქვს.
მაშ, დაგვიმტკიცე, რაც ისწავლე. ქალბატონო,
მოგვაწოდე ზეწარი.
ქალები გადასცემენ ზეწარს. კაცი კი გადააწოდებს ჯარისკაცს.
ჯარისკაცი: კარგი, გავაკეთებ, რაც ასე გწადიათ.
კაცი: მიდი, იჩქარე.
ჯარისკაცი გადის გარეთ, თან მიაქვს ზეწარი და
უკან ხელცარიელი ბრუნდება.
ორი SS-ელი შემოდის სარდაფში დაფხრეწილი ზეწრის მიწაზე თრევით.
SS-ელი – 1: აბა, რას ხედავ, მეგობარო?
SS-ელი – 2: ორ სახელმწიფო მოღალატეს.
SS-ელი – 1: უმიზნებს ავტომატს მეგობარს:
ორს?
SS-ელი – 2: ხელებს მაღლა წევს:
ოთხს.
SS-ელი – 1: რას ამბობს კანონი სახელმწიფ მოღალატეზე?
SS-ელი – 2: ბოროტი ჩაცინებით ჯიბიდან იღებს თოკს.
თოკს იმსახურებსო.
კაცი: თქვენ, ბატონებო, ჩვენ გაგვიშვით. აი, ეს იყო.
უთითებს ჯარისკაცზე.
ჯარისკაცი კი კაცისკენ იშვერს ხელს:
მე ის გავაკეთე, რაც მაგას სურდა.
მოხუცი ქალი: ჩვენ არაფერიც არ გვინდოდა.
ისმის ბრძოლის ხმაური. SS-ელები დაეძგერებიან ჯარისკაცს და მიათრევენ გარეთ. ჯარისკაცი ყვირის.
ახალგაზრდა ქალი: გესმით, როგორ ყვირის.
მოხუცი ქალი: არა, უკვე აღარც ისმის.
კაცი: ქურთუკს მოვიტან.

კაცი სარდაფიდან გაძვრება და მალევე ბრუნდება უკან.

რუსი მოგვადგა. SS-ელები გარბიან.
ქურთუკი უკვე გაუხდიათ.

წითელი არმიის ორი ჯარისკაცი და მათი მეთაური შემოდიან სარდაფში. ჯარისკაცებს შემოაქვთ დეზერტირის ცხედარი და ზეწარზე დაასვენებენ.

მეთაური იხდის ჩაფხუტს:
ჰიტლერი „კაპუტ“ დამთავრდა, ახლა მშვიდობაა.
ჯარისკაცებიც იხსნიან ჩაფხუტებს.
ვაჟია?
კაცი: ვაჟია.
მოხუცი ქალი თანხმობის ნიშნად თავს გამეტებით იქნევს.
მეთაური: ხლებ. (хлеб)

ერთ-ერთი ჯარისკაცი აძლევს მოხუც ქალს პურს. მეორე ჯარისკაცი ასევე იღებს ჩანთიდან ერთ პურს, მუხლზე გადაიმტვრევს და უწილადებს პირველს. მეთაური და ჯარისკაცები მხედრული სალმით ტოვებენ სარდაფს. ცოცხლად გადარჩენილები არად აგდებენ ცხედარს და იწყება ბრძოლა პურისათვის.

გერმანულიდან თარგმნა ლულუ დადიანმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

2 პოეზია

დავით ყანჩაშვილი

სიჩუმის სიმღერა

განა სიჩუმე ერთნაირი არის ყოველთვის,
როგორც სიკვდილი, ერთგვაროვნად, ისიც არ დგება,
სხვებთან სიჩუმეს სხვანაირად ამბობ და შენთვის –
უფრო შიგნიდან, უფრო მძიმედ და გედარდება –

რომ ამ დუმილში გადამდები გახდნენ დღეები,
ერთმანეთს ჰგვანან, შენ კი მათგან გარეთ გადიხარ
როგორც კარებში, გააბიჯებ და მოიხურავ
ზურგს უკან დუმილს, როგორც სიტყვას, ვერ ნათქვამს დიდხანს.

განა სიჩუმე გამუდმებით ერთ სათქმელს ამბობს,
ერთ რამეს ნიშნავს, ისმინება ან ერთნაირად,
ხანდახან ღამის მარტოობას ბალიშში ალბობს,
ხან აგიტაცებს, გაგრძნობინებს თავს ღმერთნაირად.

განა გადაგვაქვს ერთმანეთში რამე სიტყვებით,
რომლებსაც ვეძებთ სუნთქვის შეკვრით, განცდების ფსკერზე
რომ მოყვე, ჯერ ჩვენ სიჩუმეზე როგორ ვიწექით,
მერე პირიქით, სიჩუმე რომ ჩამოწვა ჩვენზე.

და ბოლოს გიწევს რომ დუმილით ელაპარაკო,
ვინც დაგრჩა იმათ, გინდა უთხრა რომ არ გაოცდნენ –
რომ არ არსებობს ის სიჩუმე, სიტყვით რომ ვერ თქვა,
არც ის სიჩუმე, მოყოლისას რომ არ გამოგრჩეს.

როცა ადამიანს უშვებ ცხოვრებიდან

როცა ადამიანს უშვებ ცხოვრებიდან –
მარტო არ მიდის.
თან იმდენი რამე მიაქვს, რაც შენია,
ნახევარიც კი არ რჩები.
როცა ადამიანს უშვებ ცხოვრებიდან –
შენც მიდიხარ.
იმ ადგილსაც კი არ ტოვებთ, სადაც იდექით.
ინაწილებთ, ისიც თან მიგაქვთ...
აქ სხვები ველარ დადგებიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინაიდან ეს ადგილი
არ იყო სახლი,
არც ქუჩა და მითუმეტეს არ იყო სადმე...
ეს ადგილი ის საერთო სუნი იყო, რომელიც გქონდათ,
საცხოვრებლად ერთმანეთში რომ გადახვედით
და ცალ-ცალკე არსებობაც შეწყვიტეთ ბოლოს...

როცა ადამიანს უშვებ ცხოვრებიდან,
უნდა ჩაალაგო ჩემოდანში სიყვარული, ტკივილი და მარტოობა
და საცხოვრებლად საკუთარ თავს დაუბრუნდე.
იმ ძველ კედლებს, რომლებსაც ვერ ცნობ,
რომელიც შენი კი არ არის, არამედ სხვისი,
ვისაც ოდესღაც იცნობდი და გადაგავიწყდა...
ჩნდება შეგრძნება, რომ სტუმრად ხარ, და ეს საწოლიც,
ეს ნაწერებიც, ფოტოებიც შენი კი არა
იმისია, ვინც ოდესღაც მიატოვე და გაიზარდე,
ახლა კი ცდილობ, დაუბრუნდე,
დაპატარავდე
და წარსულში გადასახლდე,
სადაც ეცემა იმ შესაძლო მომავლის ჩრდილი,
რომელსაც ველარ შეეფარები.

როცა ადამიანს უშვებ ცხოვრებიდან,
თან იმდენი რამე მიაქვს,
შენს თავსაც კი არ გიტოვებს... არამედ უცხოს.
და აღარ იცი, რა სიტყვები უნდა უთხრა,
ანდა ერთად როგორ იცხოვროთ...

როცა ადამიანს... როცა ადამიანს უშვებ ცხოვრებიდან,
უნდა გაუყო, საგზალივით გაატანო – ყველაფერი
ნახევარი გულის ჩათვლით.
და თან გახსოვდეს,
რომ გასაყოფი, ნახევარის ნახევარი გულიღა გაქვს დარჩენილი,
თუკი გზაზე ვინმე შემოგხვდა.

როცა ადამიანს უშვებ ცხოვრებიდან,
წარსული ზრდას იწყებს,
ის პატარა ბავშვივით დარბის შენ წინ
და თანდათან ტანს ისე იყრის,
მთელ აწმყოს იკავებს.

არასოდეს არ მთავრდება ის, რაც იყო,
ადრე თუ გვიან მთავრდება ის, რაც ჯერ არ მომხდარა, რაც უნდა მომხდარიყო.
ის, რაც იყო, გრძელდება და მეორდება
ყოველ ნაბიჯზე.
თან სახეს იცვლის.

წარსულს ასეთი თვისება აქვს –
შეუძლია, იყოს მომავალზე ამოუხსნელი
და ის, რაც იყო, ყოველ ჯერზე სხვანაირად გიამბოს და იყოს ნამდვილი
და ყოველი მოყოლისას ეს ამბავი არასოდეს ჰგავდეს თავის თავს.

როცა ადამიანს უშვებ ცხოვრებიდან
შენ ვერ დარჩები –
წახვალ შენი გზით... ამავე დროს გაჰყვები მასაც...
და ასეთმა ნახევარმა უნდა იცხოვრო.

როცა ადამიანს უშვებ ცხოვრებიდან,
როცა ადამიანს უშვებ ცხოვრებიდან
და გგონია, რომ მარტო მიდის.

აი, ასე ვკვდებით

აი, ასე ვკვდებით, თვინიერად და დამყოლად
ვიცინით, სამახსოვრო ფოტოებს ვიღებთ,
ვმღერით, ვსვამთ და დავწანწალებთ,
ღამით ვარსკვლავების ქვეშ ვდგებით,
ცალ თვალს ვხუჭავთ და მთვარეს თითს ვაფარებთ,
მზის სხივებს ხელებზე ვისვამთ,
რომლითაც დღის მანძლზე ერთმანეთს უნდა შევეხოთ,
წყალში ვდგებით ტერფებამდე და ზღვაზე დავაბიჯებთ,
ვეწევით და რგოლებს ვუშვებთ,
აი, ასე ვკვდებით, სიცილით და უდარდელად
თან თადარიგს ვიჭერთ,
ფოტოებს ვიღებთ, ვარჩევთ, რომელი გავადიდოთ,
მიწას ვეძებთ, სადაც ჯერ ზემოდან უნდა ვიცხოვროთ, მერე პირიქით.
ადგილებს ვიყოფთ, ჩემი ადგილი უფრო დიდია,
ფეხშიშველი დავაბიჯებთ, წინდაწინ ვეჩვევით,
აი, ასე ვკვდებით, ვსვამთ, დავწანწალებთ და მიწას ვეჩვევით,
წვიმაში ვყოფთ სხეულებს, ფეხებს გუბეებში ვაბაკუნებთ
და ღმერთზე ვლაპარაკობთ, რომელიც ჩვენში ჯერ ისევ ცოცხლობს
და ფოტოებშიც შეიძლება დაინახო, თუ დააკვირდი,
რომლებსაც ვიღებთ,
რომლებიც ჩვენ შემდეგ იცოცხლებენ კიდევ დიდხანს,
რომ მოყვნენ, როგორ ლაღად ვკვდებოდით.
და როდესაც ერთმანეთს მივუწვებით
და მოვა წვიმა, რომელიც ვეღარ დაგვასველებს
და მოვა თოვლი, რომლშიც არ შეგვცივდება
და იკაშკაშებენ ვარსკვლავები, რომლებიც ჩვენთვის აღარ მოწყდებიან
და დაგვფარავენ შემოდგომის ფოთლები, რომლებშიც ვეღარ ჩავეფლობით ფეხებით,
იქნებიან ფოტოები, ფოტოებში ვიქნებით ჩვენ.
სადაც ჯერ ვკვდებით,
წვიმაში, თოვლში, შემოდგომის ფოთლებში, ვარსკვლავებში, მზის ხივებში,
ვკვდებით და ვიცინით
ვკვდებით და გვიხარია
ვკვდებით საოცრად.
და რა მშვენიერია კვდომა, რა მშვენიერია სიკვდილთან მიახლოება,
როდესაც რამდენიმე ნაბიჯში დგახარ,
და შეგიძლია ყველაფერი განიცადო, ყველაფერი ჩაიდინო, სიყვარულის ჩათვლით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიგითი როლი

ვდგავარ სცენაზე,
ათასფერადი ნათურები თვალს მიჭრელებენ.
ვგრძნობ, რომ დარბაზში გასუსულებს
მზერა ჩემკენ მოუპყრიათ.
არადა...
მე მათ ვერ ვხედავ,
კაცმა რომ თქვას, რა საჭიროა?
თითქოს მდინარეში შიშველი ვიბანდე
და ბუჩქებიდან სოფლის გოგოები
მიცქერდნენ შიშითა და კითხვის ნიშნებით...
ტექსტს ვიმეორებ:
– არ არსებობს უაზრო სიტყვა,
თუმცა, ხშირია უაზროდ ნათქვამი!

ვდგავარ სცენაზე,
გატრუნული ვადევნებ თვალყურს,
თუ როგორ კლავენ მთავარ გმირს, ევას,
მისი მამა და ძმები,
ბასრი დანის კისერზე დასმით.
რადგანაც გუშინ, ქორწილის ღამეს
თეთრ ზეწარს
მეწამული ლაქა ვერ დაამჩნია.
ოჯახს ღირსება შეუბღალა
და ღმერთს სინდისი...

ვდგავარ სცენაზე,
ასე ნანატრ წითელ სითხეში მიდგას ფეხები.
ჩემი მეუღლის ცივი სხეული
გაყინულ სახით მე შემომცქერის,
როგორც დარბაზი.
რას მოელიან?!
იმ ბოლო აკორდს, როცა გულში ვხავი თუ ვბღავი.
– მე ვერ შევძელი!
ვინ მოუფიქრა ეს სახელი ჩემს უკაცობას,
იმპოტენცია?!!
საშინლად ჟღერდა,
არ დავიჯერე,
საწყალი ევა...
მე მომათხოვეს,
მოვაკვლევინე,
როგორ დავუშვი?!

ვდგავარ სცენაზე
და ტაშს გვიკრავენ გადარჩენილი
ნაღდი ევები...

მე შევასრულე კიდევ ერთი, რიგითი როლი.
ნეტავი რამე თუ გაიგეს,
რაც აქ დაიდგა?
ან რას დავეძებ,
გავიარეთ,
სხვა სპექტაკლისთვის მამზადებენ გრიმიორები.

წვიმდა

წვიმდა და მორღვეული ჭერიდან
ჩამოსული წყალი გუბდებოდა,
ეზოში,
კიბეზე,
კარებთან,
საკუთარ პირში
და გულმოდგინედ შლიდა,
სადარბაზოში ლოთების წაბილწულ კედლებს
და წარწერებს, მიწერილს
წითელი თუ ვერცხლისფერი საღებავით...
დასანანია,
არაფერი გამაჩნდა მოსათხრობი და გასატანი,
მოუმზადებელი შევეგებე გამდინარე წყალს...

მე მივდიოდი უმისამართო ადგილას.
მსურდა ზარის დარეკვამდე
გაეღოთ ჩემთვის კარები
და ეკითხათ,
შაქრით თუ უშაქროდ
დავლევდი ჩაის?

წვიმის წყალმა აავსო ყველა ჭურჭელი.
აბაზანიდან მეზობელთან ჩააღწია
წვრილ-წვრილ ზოლებად.
დაალბო ელექტროსადენები
და გადაიქცნენ პოტენციურ მკვლელებად,
იმ შემთხვევისთვის თუ შუქს აანთებდნენ
ბნელსმიჩვეულნი მაცხოვრებლები
(რისი ალბათობაც საკმაოდ მცირეა)...
არ გაუმართლათ, წვიმის წვეთებს,
რომ არ დაეგვიანათ,
ფიფქებად მოვიდოდნენ
და უფრო დიდ პატივსაც მიაგებდნენ
ქოლგაგაშლილი მოგზაურები.

წვიმდა
და ადიდებულ მდინარეს მიჰქონდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალაქის ნახევარი ან ოდნავ მეტი...
შენობები და ხის ჩრდილები
ცდილობდნენ, შეხებით განშორებას ერთმანეთთან
და ყველაფერს წვიმას აბრალებდნენ,
სხვა რაღა ექნათ?!
მე კი ვიდექი ყველა ხიდზე
და ვუსმენდი ათასი ამბის მომსწრე კედლებს,
რა ადვილად გათქვეს ბინადართა ინტიმური დეტალები,
მომსწრე გავხდი, როგორ უღალატა ადამიანობამ ადამიანურს...

წვიმდა
და სხვა რა უნდა მომხდარიყო,
რა უნდა მექნა,
ჰოდა, ვუსმენდი, გარინდებული.
ყველა ხიდზე, თუ სანაპიროზე
მე ვიდექი...
ცნობისმოყვარე ადამიანი...

* * *

მუყაოსგან შეკერილი ჩემი გვირგვინი
მარადისობისკენ სწრაფვის გამომხატველობითი ფორმაა...
დამპალი სხეული ვერ სცდება მის საზღვრებს
და არ ცდილობს გაქცევას.
ჩემი სული კი
ცის ქვეშ დამწყვდეული ჯინია,
რომელიც სამ სურვილს უსრულებს ღმერთს
(თუ კვლავაც ცოცხალია):
დაბადებას, ტანჯვას, გარდაცვალებას...

სინჯარიდან კოლბაში და კოლბიდან კვერცხუჯრედამდე
გრძელი გზა გაიარა ჩემმა მეზობელმა,
რომელსაც არ ვიცნობ,
მაგრამ ვიცი მისი სურვილის შესახებ,
ვიცი, რომ მას უნდა მღვდლობა
და ცათა სასუფეველი
და მცირეოდენი შემოსავალი,
რაც მასში წარმოშობს მოტივაციას,
სდიოს ცისარტყელას
და განგმიროს, როგორც გველეშაპი წმინდა გიორგიმ...
ნეტავ ვინ ეტყვის, რომ ის არასრულფასოვანია?!
ისე, მაინც გაიგებს ქრისტეს შობამდე...

P.S. ჩემი ფიქრები უბრალოდ გაიფანტნენ,
რისი დაჭერაც მოვასწარი, სწორედ ის დავწერე...
ჩემს ოთახში არაფერი შეცვლილა შარშანდელს მერე,
ისევ სიცარიელე...
ერთი სურვილიღა დარჩა...
დუმილი...
და ყველა მხდალი სამალავიდან
თავად გამოვა...

* * *

ვნებათა დემოტივაცია აქტიურობის ფაზაში
გვაფიქრებს სინამდვილეზე...
თუ რატომ გვტკივა ასე სიბნელე!
ჩვენ ხომ „კერასინკის“ თაობა ვართ,
ბურუსში ჩასახული ნაბიჭვრები
და პირველი სხივები,
რაც ჩვენმა სველმა სხეულმა აირეკლა,
იყო „ილიჩის“ ნათურის ბრწყინვალება,
რომელიც ისეთივე წარმავალი აღმოჩნდა,
როგორც ტკივილი შარშანდელ ნატყვიარის.
სუსტები ბედს ხშირად ძლიერებამდე მიჰყავს,
ასეც ხდება...

ლექსის დასაწყისი
მხოლოდ დაულაგებელი ფიქრებია.
მას არ მოჰყვება ღრმა ფილოსოფიური
შეგონებანი
და არც (მ)ჭირდება...
შუა ნაწილი არის საერთო,
ჩემი თაობის „ჰომოთა“ ბიოგრაფიაში,
მივხვდი, რომ არ ღირს ტექსტთან თამაში.
მსურს, რომ დაბნელდეს ყველა სახლი, ქუჩა,
ქალაქი.
საჭიროა, შევაჩვიოთ თვალი მომავალს,
უარესის მოლოდინით უკეთესი ხელიდან
გაგვისხლტა!
ბოლო ჩაკრაც უქმად გავხარჯეთ,
რაღა აზრი აქვს ჯვრის შემოვლებას,
თქვი, მხოლოდ ამინ,
მაგრამ გახსოვდეს, ესეც არ გაჭრის,
წარსულის თესლო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

კატო ჯავახიშვილი

კაცი



ვიწრო არ იყოს და გაწყდეს.
არ იყოს ვიწრო და გაწყდეს.
თოკი კი არა და
გზა კი არა და
ღამე კი არა და
კაცი.
წელი არ ჰქონდეს და მოწყდეს.
არ ჰქონდეს წელი და მოწყდეს.
დროს კი არა და
ხმას კი არა და
კაცს კი არა და
– მანძილს.

და ოდეს გზები დაიღალონ, დაიღალონ გზები ოდეს-
მე ზურგი ჩამოვიხსნა, კენჭებივით დავყარო ძვლები-
დან კირი ჩამოვფხიკო – უბათქაშო სურვილები. მანდე
კედლებად დავიწყება. მორყეული რიკულები. მქონდეს
თევზების მონატრება – უხერხემლო მოლოდინი. ძებნის-
გან წყალი დაგელიოს, შავთვალწყალში ჩააგდო ბადე –

ქარი არ იყოს და ჩადგეს.
არ იყოს ქარი და ჩადგეს.
ქალში კი არა და
კაცში კი არა და
ბავშვში კი არა და
– ხეში.
არ მაჩენდე და გავჩნდე.
არ მაჩენდე და ჩავრჩე.
დროში არა და
გზაში არა და
ქარში არა და
შენში, –

რომ ოდეს გზები დაიღალონ, დაიღალონ გზები, ოდეს-
თუ თევზი არ ამოჰყვეს გზაწვრილისკენ მოქნეულ ბადეს
თუ გზაზე ვიწრო იყოს, ვიწრო იყოს და გაწყდეს
        რომ დაიძინო ცოცხალივით, დაუფქვავი ხორბლის გზებზე. გქონდეს
თვალი და ვერ ხედავდე. გქონდეს ტანი და ვერაფრით ვერ ძრავდე.
ოდეს თუ ტვირთიც კი არ იყოს, კაციც კი არ იყოს, თავიც კი არ იყოს,
რომ გწამდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიტოვებულთათვის

აქ ჯვარდაწერილები ჩამოსხდებიან ხოლმე.
ბაჯაღლოს რგოლებს დააბზრიალებენ
კაბა-პენუარებს საკიდებზე დაკიდებენ
აბრეშუმის საცვლებს დახლებზე დაყრიან
და საკუთარ ჯვარდაუწერელ თავებს ელოდებიან.
ვის აღარ ნახავთ აქ:
„შემდგარ“ ცოლებსა და „ქარაფშუტა“ გოგოებს
კარგ კულინარებსა და „ბელარუჩკებს“
ძალაუფლების მოყვარულებსა და მორჩილებისთვის დაბადებულებს.
რას აღარ ნახავთ აქ:
რძლისთვის გადანახულ ბრილიანტის საყურეებს
სადედამთილოს ბებიის მონარჩენ საკაბეს
პირველი ღამისთვის საგანგებოდ შეკერილ საღამურს
ტანზე ცხელი თითებივით ამოცოცებულ ვალდებულებებს
სარეცხისფხვნილშერჩენილ წინდებს
პირდაფჩენილ ქვაბებს
ჯვარდაწერილი სიყვარულის მოლოდინებსა და იმედგაცრუებებს
ღამისთევებსა და შენდობებს
ღალატებსა და პატიებებს
წასვლებსა და დარჩენებს.
შემოივლიან ჯვარდაუწერლებიც და ქაფქაფა ყავის სუნს შემოიყოლებენ.
შემოივლიან და ჯვარდაწერილებს თავისუფლების სანაცვლოდ
ბაჯაღლოს რგოლებს გამოსტაცებენ.
შემოივლიან და კაბა-პენუარებს საკიდებიდან ჩამოხსნიან.
წლებისგან შელახულ აბრეშუმის საცვლებს გაჭირვებით მოირგებენ
და საკუთარ თავებს მლაშე ნამცხვარივით ჩამოღეჭავენ.
ვის აღარ ნახავთ აქ:
ატმისლოყებიანებსა და ცხოვრებისგან დაჩაგრულებს
სიყვარულით დაბრმავებულებსა და ანგარებისთვის სიყვარულში მყოფებს.
საკაბეებზე მონადირეებსა და მოლოდინისგან გადაღლილებს.
ჩამოსხდებიან ჯვარდაწერილების სევდიან ამბებში ჯვარდაუწერლები და
დახლზე იმ უსაშველოდ გრძელ ღამეებს დაყრიან,
საკუთარ თავებსაც რომ გადაუმალეს.
რას არ ნახავთ იქ:
სიყვარულის დღეზე მირთმეული თაიგულის გამხმარ ფურცლებს
ათასჯერ დახეულ და გადაწებებულ ფოტოებს
ორისთვის გაშლილ სანთლებიან სუფრას
მონარჩენ შეხვედრებს
ყურთბალიშიდან გადმოვარდილ ძილს
ღამეულ შიშებს
ღამისთევებსა და შენდობებს
ღალატებსა და პატიებებს
წასვლებსა და დარჩენებს.

მე ვფიქრობ, ღამეულ ძიებებზე და
მე ვფიქრობ, ყველა მიტოვებულ ქალზე და
მე ვფიქრობ, ყველა ლოდინისგან გადაღლილზე და
მე ვფიქრობ, ყველა გზააბნეულზე და

ეროვნული ბიბლიოთეკა

გზაში დაკარგულებზეც ვფიქრობ და
იმათზეც, ვინც საკუთარი თავი ვერც დაიცვა
ვერც შეიყვარა
ვერც დაიბრუნა
რადგან დრო უცვლელია
ის დგას
ეს ჩვენ დავდივართ ჩვენს და სხვების ამბებში დაუსრულებლად
და მე ვფიქრობ ყველა გაუმართლებელ სიყვარულზე
და ყველა საგზლად გადანახულ ღამეზე
და ყველა საბედისწერო შეხვედრაზე ვფიქრობ, რადგან
ცხოვრება ხშირად ისეთი არაა, როგორი ფორმულაც ჩვენ გამოვიყვანეთ
და ხშირად ის სულ სხვა გზებს გვთავაზობს და
მე ვფიქრობ ზუსტად ამ ფორმულებს აცდენილებზე
რომლებმაც საკუთარ თავებს კიდეც დაუშავეს
რომლებმაც საკუთარი თავები კიდეც არ დაინდეს
რომლებმაც საკუთარი თავები კიდეც დაკარგეს
და მაინც,
მე ვფიქრობ, ყველა მიტოვებულ ქალზე,
ჯვარდაწერილზეც და ჯვარდაუწერელზეც
იმათზეც, ვინც ამ მიტოვებას ჩემსავით გადაასწრო და
საკუთარი კაცი თავადვე მიატოვა,
მანამ ის გადაასწრებდა და მიატოვებდა და
მე ვფიქრობ საკუთარ თავზეც,
რომელმაც შემდგარი ცოლობიდან ქარაფშუტა გოგოობამდე
ყველა გზა გამოიარა და
მე ვფიქრობ, პირდაფჩენილ ქვაბებში
წვეთ-წვეთობით ჩასხმულ სიყვარულზე
რომელიც ასეთი ცოტა იყო
იმისთვის, რომ სიყვარული ყოფილიყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სუნთქვა

გული სინათლით სავსე დღეებით –
ცა ვარსკვლავებით გადალამბულა...
ჩემ ბნელ სიზმრებში ცხელ ბაგეებით
სუნთქვა შენს სუნთქვას არ გადაბმულა.
მერე გადივლის ჩემ გულზე ზღარბი,
ველის შროშანი, მთელი პრერია.
მაქვს ცისარტყელის მაღალი წარბი,
სიტყვებიც – რაც არ დამიწერია...

შეხვედრის შეუძლებლობა

გულში კვლავ არის სიმაღლის და ნათლის კუნჭული,
ვარსკვლავების და შენი მკერდის ამომბურცველი,
ახლა ვარდების ბაღში ვდგავარ თვალდახუჭული,
ახლა ვარდიდან ჩამოვარდნას ლამობს ფურცელი.

ცრემლით ივსება თვალის გუგა, ვხედავ კურცხალით,
ბრმა მერცხალივით მეჯახება მიჯნურთ ნათება,
მივდივარ ჩუმად, მამასავით ბედდაუმცხრალი,
მთვარეა გარეთ და ქარების მიჩუმათება...

მივდივარ ჩუმად, მთვარესავით სხივგაბურდული,
ჩიტის ჩრიტინი ბნელ ღამეში გულს მესახება,
შენს ვარდების ბაღს უმძიმესი ადევს ურდული,
შენს გულს ჩაესმის ვარსკვლავების ყრუ შეჯახება...

ჩურჩული სიბნელეში

რა კარგი არის სიცარიელე,
აქ ხომ ვერავინ შემეცილება...
არც მისალმება მომიწევს გრილი,
არც თვალზე ცრემლი, არც გაცილება.
გულში ფიქრების ჩუმი რიალი,
მხოლოდ ეს არის ჩემი უფლება.
სულ არ მაღელვებს სოფლის წრიალი,
ცა იწმინდება, თუ იქუფრება.
როგორც იები მარტივი – ციდა,
მინდა სიტყვებიც მარტით ელავდნენ.
რა დიდი გზაა მარტო კაციდან
სიზმარში ნანახ წარმოდგენამდე.
რა კარგი არის რომ ვერ ვიძინებ,
სიბნელეს დიდი ხმა ემატება.
როცა თვალებში სხვას შესციცინებ,
ჩემს გულში ელავს შენი ნათება...



ეროვნული ბიბლიოთეკა

ადრეული ზამთარი

მეგობრის ხსოვნას

ზამთრის წინ ვარდი რომ იკოკრება
და ანათებენ ყვითლად გოგრები,
გულში სხივების ცდილობ მოკრებას,
თვალნათელ ბავშვებს ემეგობრები.

სერზე გადიფრენს საფლავის ყვავი,
ენაჭარტალა და მესოფლია.
შენ კი გახარებს სიმინდის ხვავი,
სავსე მტევნებიც შენი ოფლია.

დილით აღარ ჩანს დავითოული,
ბნელ ველზე დგახარ სანთელჩამქრალი,
შენ წინ ყელამდე არის თოული,
ფეხქვეშ ვარდება დიდი ნაპრალი.

შენთვის არასდროს მოვა მაისი,
ვარდებს არავინ აგიბრიალებს,
შენ გიცდის მხარე არარაისი,
იქ სისხლი წვეთავს, დანა პრიალებს.

ქარი ვარდებზე ცდილობს დაშვებას,
ვტირი, ბავშვები რომ არ გამშვენებს,
ჰე, მეგობარო ჩემი ბავშვობის,
შენი ფანჯარაც ამოაშენეს...

ძილი

აქეთ თვალგახელილი ცრემლიანი ბრმებია,
აქეთ შენი სიცოცხლე სიკვდილს დაუბრებია,
მიმოდიან ტალღები – ჩუმი საუბრებია,
ინთებიან ვარსკვლავნი, ინთებიან, ქრებიან.
ვარდებისკენ ქარები ისევ გადიხრებიან,
ვხედავ ბავშვის კულულებს და მის ავსიზმრებიან
ძილში ალვა იჭრება, მყინვარები დნებიან,
გრიგალი და სინათლე ერთად დაიძვრებიან,
თითქოს არც კი ყოფილან, არც ვის დასიზმრებიან...

სიცოცხლის ექო

სანამ ეს გული სანთლად ანათებს,
სანამ ფანჯრიდან ჩანს ბეგონია,
მამისგან იღებს ბავშვი ბარათებს,
სიცოცხლე მისი ექო ჰგონია.

გახედავს ბაღებს, სიზმარამხდარი,
უცნაურია ვარდის სინედლე,
ღრუბლიანი ცის შუბლი ჩამტყდარა,
ვარსკვლავებიდან მოჩანს სინათლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3 პროზა

ადგილი

მარიკა მამალაძე

წვიმდა გადაუღებლად. კაოს არ გადაუფიქრია, საწვიმარი მოიცვა და გარეთ გავიდა. ქოლგა არ უყვარდა, ფიქრობდა, რომ ქოლგა მხოლოდ ქალს უხდებოდა. სასაფლაოზე რომ ავიდა, უკვე სამი საათი იყო. მოფარებულში ელოდნენ. მესაფლავეც იქვე იდგა.

– გვინდა – უთხრა მაღალმა კაცმა შავებში. მოკლედ და გადაჭრით.

– ფასზე შევთანხმდეთ, სხვა არაფერი – წვიმას ფეხსაცმლის ლანჩაში შეეღწია. სხვა ფეხსაცმელი რომ ჩაეცვა, აჯობებდა.

– ფასი მითხრეს, მისაღებია. თან ექვსადგილიანია... ნამდვილად მთლიანად ყიდით?

– კი. მთლიანად – უპასუხა და შავებში ჩაცმულ კაცს კონვერტი გამოართვა. გახსნა, გადაითვალა. თვლას რომ მორჩა, თავი დაუკრა, იმდენია, რამდენზეც შევთანხმდითო. კონვერტი იქვე დააგდო, ფული კი ჯიბეში ჩაიდო.

– ჩემი საქმე არაა, ცუდად არ გამიგო... მაგრამ მაინც, მინდა გკითხო... რატომ აკეთებ ამას, ფულის გამო? – შავებში ჩაცმულმა კაცმა იცოდა, რომ ექვსადგილიანი ნაკვეთის უფრო ძვირად გაყიდვა თავისუფლად შეეძლო. მართალია, ფასი თვითონ შესთავაზა, მაგრამ მან სამი ადგილის ფასი იგულისხმა, კაომ კი ფასი სიმბოლურად დაამრგვალა და ექვსივე ადგილის მიყიდვა მოინდომა.

– არა, ფული არაფერშუაშია. საფლავი არ მჭირდება – უპასუხა კაომ და ფეხსაცმელში ჩაღვრილი წვიმის წყალი ააჭყლაპუნა.

– მესმის, მაგრამ იქ ხომ შენიანები არიან დასაფლავებულები.

– არა უშავს – უპასუხა მკვახედ და მესაფლავისკენ მიტრიალდა.

შაოსანმა კაცმა გაიფიქრა, რომ ყველაზე დიდი სირცხვილი და უბედურება სწორედ ეს იყო, რაც შეიძლებოდა ადამიანს დამართოდა. მკვდრის უმიზეზოდ გადამარხვა და საფლავის გაყიდვა. რატომ იქცეოდა ასე, ვერ გაეგო. ჩემი საქმე არ არისო, ბევრჯერ შეუძახა თავს, სანამ კითხვას გადაწყვეტდა, მაგრამ მაინც ვერ მოითმინა. დაწყევლილ საფლავებზეც სმენოდა, მაგრამ სხვა გამოსავალი არ იყო. მის საგვარეულო საფლავს სწორედ რომ ის ადგილი ესაზღვრებოდა, რაც იყიდა. თავდაპირველად მხოლოდ სამი ადგილის შეძენა სურდა, მაგრამ როცა უთხრა, ან მთლიანად იყიდი, ან არაო, სხვა გზა არ ჰქონდა.

შაოსანი კაცი წავიდა. კაოს არ უკითხავს, ვის მარხავდა. ფულის დასტას ჯიბე შეესქელებინა და სველი ჯიბის კონტურებს მესაფლავის თვალები სევდიანად შესცქეროდნენ. თავით ნიჩაბს დაყრდნობოდა და გაუხეშებული ხელით სიგარეტს აბოლებდა.

– ზეგისთვის სჭირდებათ. ასაფლავებენ. ამიტომ დღესვე უნდა ამოვთხარო – უთხრა კაოს მესაფლავემ და ნახევრად მოწეული სიგარეტი ტყლაპოში ჩააგდო.

– ამოთხარე.

– მე ჩემი საქმისა კი ვიცი, მაგრამ...

– ჰო, გისმენ, რა მაგრამ?

– მერე რა უნდა უყო, იცი?

– ჯერ არაფერი ვიცი. მოვიფიქროთ – უპასუხა კაომ და ქაღალდზე დაწერილი ტელეფონის ნომერი მიაწოდა – რომ მორჩები, დამირეკე.

– შენი საქმისა შენ იცი. დროზე მოიფიქრე, თორე აბა სად უნდა გააჩერო, ხო არ შევინახავ?!

– ჰო, არ შევინახავ, მაგრამ სად წავიღო, არ ვიცი.

– სად უნდა წაიღო და უნდა დამარხო! შენ ადგილი აარჩიე, აქაც ბევრია, თუ გინდა.

– არ ვიცი. აქ არ მინდა. არ ვიცი – იფიქრა, გიჟიაო, მამის, ბებიის და ბაბუის საფლავს თხრის და ის კი არ იცის, სად უნდა წაიღოსო. საფლავზე მისული იმ დღემდე არავინ ენახათ, ამიტომაც იყო მიტოვებული და მოუვლელი. მყიდველმა დაიჟინა, უნდა ვიყიდოო და ჯერ გვარით ეძებეს, მერე კი, ახლობელი პოლიციელის დახმარებით სამსახურში მიადგნენ კაოს... საქმე არ იცდიდა.

– სოფელში გადაასვენე. არ გაქვს სოფელი? – უთხრა მესაფლავემ, როცა დარწმუნდა, რომ კაომ მართლა არ იცოდა, რა უნდა ექნა.

– კი – დაეთანხმა და წამოვიდა. წვიმას გადაეღო, მაგრამ ისევ ელავდა. ტელეფონი რეკავდა. წვიმს და ზარის ხმა არ მესმისო, გაიფიქრა და გაეცინა. კიდევ სამჯერ დაურეკეს. მეოთხეზე უპასუხა. სახლში იყო.

– ჰო, მირეკავდი?

– კარი გამიღე, კარებთან ვდგავარ! – თეჯი იყო.

გაშლილი ქოლგა შესასვლელში დადო. საწვიმარი საკიდზე დაკიდა. თმა მაინც დასველებოდა, გაიშალა, ბოტები გაიხადა და სახლის ფეხსაცმელი ჩაიცვა.

– რა ტალახიანია აქაურობა. ტყეში იყავი? – პასუხს არ დალოდებია, ცოცხი აიღო და დაგვას შეუდგა.

– არა, სასაფლაოზე – იფიქრა ხუმრობსო. თეჯიმ იცოდა, რა სჭირდა კაოს და იმიტომ მივიდა. არ იცოდა, რომ კაოს სხვა რამეც სჭირდა და ეგონა, მხოლოდ გაფანტული სკლეროზის ბრალი იყო მისი უხასიათობა... შემთხვევით გაიგეს. საერთო მეგობრის დაბადების დღეზე. სუფრაზე იყვნენ, აღმოჩნდა, რომ იქ იყო ექიმიც. კაო ცოტას სვამდა, გენეტიკა არ უწყობდა ხელს. დედა ვერ განიკურნა, მამა ლოთობით არ მომკვდარა, მაგრამ ფხიზელი რომ ყოფილიყო, ნამდვილად შეამჩნევდა, რომ მინდორში კი არა, ლიანდაგზე ეძინა და ეგებ არც დაეძინა იქ. დალევა არ უყვარდა. წყენდა, ვერ ირგებდა, სიმბოლურად სვამდა, ისიც ჰა-ჰა, სამ ჭიქას. იმ დღესაც ასე იყო, მესამე ჭიქა ასწია, რაღაცის თქმას ცდილობდა.

– აი, ამ... – თქვა და გაჩერდა – ჭიქითო – მიაძახა ვიღაცამ – ჰო, აი ამ ჭიქით, მინდა მანდილოსნების – თქვა და ისევ გაჩერდა – სადღეგრძელოო, ახლა უკვე ერთხმად შეახსენა რამოდენიმემ... ამის მერე იყო დიდი პაუზა, მერე ისტერიული სიცილი და ბოლოს ტირილი. იფიქრეს, რომ ბევრი დალია, ცუდად არისო. რა არ იფიქრეს, მხოლოდ იმ ერთადერთმა სტუმარმა გამოიცნო, რა სჭირდა კაოს და მომდევნო ხუთშაბათსვე გაუმხილა პალატაში: „ვშიშობ, რომ ეს გაფანტული სკლეროზია“.

სკლეროზი იცოდა, რაც იყო, მაგრამ მის დაავადებას ცოტა რამ თუ ჰქონდა საერთო იმასთან, რაც მხოლოდ ასაკში ემართებათ და ისიც მხოლოდ 65 წლის მერე. იყო რამდენიმე თვის დეპრესია, მერე აგრესია, მერე თავის მიშვება და გადავარდნა. ახლა კი თითქოს არც არაფერი იყო. თეჯი იყო ქალი, რომელთანაც დროდადრო ცხოვრობდა და სხვა არაფერი. ახლა კი თითქოს მხოლოდ თეჯის სასიკეთოდ მოწყობილიყო ყველაფერი, ვიზიტებს უმატა, რეკვას, შეკითხვებს. კაოს ყველაზე მეტად თეჯი აწუხებდა და თუ რამეს ნანობდა, იმასაც, რომ მისმა მდგომარეობამ თეჯის საქციელებს შეასხა ფრთები.

– მაინც როგორ იტყუებ თავს. ხომ ხვდები, რომ რაღაცნაირად გაგახარა კიდეც ამ ყველაფერმა – უთხრა წინა საღამოს, როცა ის ცდილობდა კაოს დარწმუნებას, რომ საქმე არც ისე ცუდად იყო და შეიძლებოდა დაავადების შეჩერება, ბრძოლა.

– თავი დამანებე, შენ თავს მიხედე, ადვილია ხომ ყურადღების გადატანა?! საზრუნავ ობიექტზე ვითომ დარდი და ნერვიულობა.

– რატომ ამბობ ასე. რატომ ხარ ასეთი მკაცრი და სასტიკი... მესმის რომ ასეთი ხარ. მესმის, მაგრამ... – უნდოდა, სხვა რამეც ეთქვა, მაგრამ იცოდა, რომ იმაზე საუბარი, რაც კაოს არ სურდა, არ შეეძლო. იყო თემები, რომელსაც არ უნდა შეხებოდა, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მიაჩნდა, რომ პრობლემა სწორედ ულაპარაკობა იყო.

თეჯის აღარ გაუგრძელებია. ერთი ამოხედა, რამე როცა სწყინდა, იმ მზერით, და წავიდა. გულის სიღრმეში იცოდა, რომ კაო მართალი იყო. ზოგჯერ ისეთი მოსაწყენი და ერთფეროვანია ცხოვრება, რომ არაფერი გრჩება ხელმოსაჭიდი, გარდა იმისა, რაც იცი, რომ ის არაა, რაც გინდა. მაგრამ სხვაც რომ არაფერია, იმას ეპოტინები. თეჯის საუკეთესო წლებს ჩაევლო და კაოსაც აღარ ერქვა ბიჭი. დიდი ხანი იცნობდნენ ერთმანეთს, ათი წელი. თავდაპირველად სულ სხვა რამის გასაიოლებლად ხვდებოდნენ ერთმანეთს, სხვის გამოჩენის მოლოდინში. კაო უკვე არაფერს ელოდა და იცოდა, რომ ეს მხოლოდ ოცნება იყო, რომლის გარეშე ცხოვრება ეგებ უფრო კომფორტულიცაა. თეჯის კი უკვე გაეგო, რომ სხვის ლოდინს და ძებნას ისევ კაოსთან ყოფნა სჯობდა... ამიტომაც მოსწონდა რაღაცით ის მდგომარეობა, რომელშიც აღმოჩნდა: კაოს სჭირდებოდა და რახან სჭირდებოდა, უკვე ყველაფერი იცვლებოდა.

ახლა კაოს მხოლოდ უნდა ელოდა და ცოტაც უნდა აეტანა თეჯის მზრუნველობა, შემწვარი კატლეტები, ზედმიწევნით დაუთოვებული პერანგები, დაწკრიალებული სახლი, ჯაზი რადიოში დილიდან საღამომდე და ღამით კი ერთად ძილი. ეს ყველაფერი ძველ თეჯის არ ჰგავდა. კაოს არ სჯეროდა, რომ ადამიანი იცვლებოდა. ასეც რომ ყოფილიყო, შეცვლილი თეჯი ახლა უკვე აღარ სჭირდებოდა. არაფერი სჭირდებოდა.

– რა აზრი აქვს ამ ყველაფერს, მაინც დამავიწყდება – უთხრა და ტახტზე წაკოტრიალდა. თეჯიმ ტანი პირსახოცით შეიმშრალა და ფეხები სკამზე შემოალაგა.

– მე მემახსოვრება, მე მჭირდება. ნუთუ არ შეგიძლია ჩემ გამო ეცადო, მოინდომო.

– შენ კი ჩემ გამო მოითმინო... ჯერ გავხდები ხეიბარი, მერე ლაპარაკიც დამავიწყდება, ბოლოს სუნთქვაც.

– გაჩერდი! მაქამდე დიდი დროა. ხომ გითხრეს, წლების ამბავია. დიდი ხნის ამბავი. არავინ იცის, ვის რა და როდის მოუვა. უბრალოდ, უნდა დაიცვა მკურნალობა. დროულად დალიო წამლები.

– აჰა, კი... მაცივარში ლუდია, მომიტანე!

– არ შეიძლება. ხომ იცი?! – კაო ადგა, მაცივარი გააღო და ლუდი გამოიღო. თეჯიმ წაართვა. კაომ ხელი ჰკრა. თეჯი წაბარბაცდა. ბოთლი დავარდა. აიღო. გახსნა. თეჯიმ სახლის ჩუსტები გაიხადა. ბოტები ჩაიცვა. ქოლგა გაშალა და წავიდა.

ექვს საათზე დარეკა მესაფლავემ. ბნელდებოდა. სამი კუბო ხელმეორედ დაელუქათ და სატვირთოზე დებდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

– ფოტოებს რა ვუყოთ? – ჰკითხა მესაფლავემ, როცა მიხვდა, რომ წაღებას არ ფიქრობდა.

– რა ფოტოებს? – ვერ გაეგო კაოს.

– აი ამას, ამ კაცისას – უთხრა და მამამისის სურათი აჩვენა, ჩარჩოში ჩასმული – აბა, ის ორი ქვაზეა და ქვას კიდე აქ ხომ არ დატოვებ. იმათია – ქვებიც სატვირთოზე შემოდეს, ჩარჩოში ჩასმული ფოტო კი ხელში დაიჭირა.

გზაშიც წვიმდა. ნელა მიდიოდნენ. სატვირთო უკან, თვითონ კი წინ. მარტო იყო. მინის საწმენდი სწრაფად მოძრაობდა, მაგრამ გზა მაინც არ ჩანდა. სოფელში რომ ჩავიდა, გვიანი იყო. სოფელი დუმდა, ისევე როგორც სასაფლაო. შარაზე სამი კაცი ნახა, ლუდს სვამდნენ. მუშები იყვნენ, ტაძრის მშენებლობიდან. კაომ დახმარება სთხოვა. უარი არ უთქვამთ. გაჰყვნენ. სასაფლაო შემაღლებულ ადგილას იყო, მდინარის გადაღმა. ხიდზე სატვირთო ვერ გავიდოდა, ამიტომ ხელით ატარეს კუბოები. მძიმე არ ყოფილა.

– ეგებ დილამდე მოგვეცადა – უთხრა მუშამ, როცა ბოლო გზა მოლიეს – ვეტყოდით აქაურებს და თითო ჭიქას წაუქცევდნენ.

– არა, ახლა სჯობს. დედის სოფელია, ამათ არ იცნობენ – უპასუხა კაომ, რომელიც იქვე, ვიღაცის საფლავის მოაჯირზე ჩამომჯდარიყო. აღარ შეყოვნებულან. ერთს ფანარი ეჭირა, ორი კი თხრიდა. რიგრიგობით დაფლეს. ჭიქაც თვითონვე წაუქციეს. რომ მორჩნენ, თენდებოდა.

– ოჰ, ამდენი რა საჭიროა – უთხრა ერთ-ერთმა, როცა კაომ ფული მისცა.

– საჭიროა. ეს მათი ფულია და არა ჩემი – უპასუხა და იმათაც თავპატიჟი აღარ გამოიდეს.

– თუ რამე დაგჭირდა, აქვე ვართ – უპასუხეს და კარგად გადახდის გამო კმაყოფილება დაეტყოთ სახეებზე.

– არ დამჭირდება – მიაძახა და თვალს მიეფარა.

სოფლის სახლის კარი წლები იყო, არავის შეეღო. დედას ჩაჰყავდა იქ ბავშვობაში. კარგად ახსოვდა, თითქოს იმაზე უკეთაც კი, რაც გუშინ იყო. მახსოვრობის დაქვეითებაც მისი სენის ბრალი იყო, კარგა ხნის წინ შეემჩნია, რომ რაღაც მომენტები სრულიად ქრებოდა მისი გონებიდან და თეჯის კი ეგონა, რომ თავს იკატუნებდა. საყვედურობდა, ებუტებოდა. არ ახსოვდა, ორი საათის წინ რა იყო, ის კი, რაც ბავშვობიდან ახსოვდა, არ ავიწყდებოდა და ზოგჯერ ეგონა, რომ დროთა განმავლობაში უფრო კარგად იხსენებდა. დეტალებში, მკაფიოდ. ახსოვდა დედმამის საძინებელი ოთახი და მისი პატარა ლოგინი, დედის თავთან მიდგმული. დედას ხელი ჰქონდა გადმოყოფილი და საჩვენებელი თითი თავისი პატარა ხელით ეჭირა, სანამ ეძინა. ალბათ წლისაც არ იყო. ახსოვს, როგორ შეწვა სამზარეულოში მამამ ხორცი და მერე როგორ მიირთვა. თვითონაც უნდოდა, მაგრამ ლაპარაკი არ იცოდა. გაგებით კი გააგებინა, „ცხელია"-ო ასე უთხრა მამამ და არ უწილადა. ეგებ იყო კიდეც ეს ყველაფერი, ან ეგებ თავად გამოიგონა. დედა ამბობდა, რომ მამა მხოლოდ ორი წელი ცხოვრობდა მათთან ერთად, მერე კი წავიდა. აღარ უნახავს. მასზე ფიქრობდა, როგორც მამაზე კი არა, არამედ იმ კაცზე, ვინც დედამისთან ცხოვრობდა, დედაზე იქორწინა. არ მოსწონდა ის კაცი.

დედას ჰქონდა გრძელი თმა, არ უყვარდა უმაკიაჟოდ სიარული. მღეროდა ჯაზს საღამოობით ღამის კლუბებში და ამიტომაც უყვარდა გრძელი კაბები და მძივები. განათებულ სცენაზე დიდი და მაღალი ჩანდა, ბოლოს კი იმხელა იყო, რომ მას ხელისგულზე იტევდა, როცა საწოლიდან აყენებდა ან ჰაერზე გაყავდა. დედა სულ იცინოდა, მაშინაც კი, როცა მოიწყენდა და ამას მხოლოდ თვალები ამხელდნენ. სვამდა ყოველ საღამოს და ეს არავის აწუხებდა მისივე გულის გარდა. ბოლოს იმდენი ქნა, რომ ლოგინად ჩავარდა და ორ თვეში კი ისე დაპატარავდა, რომ სულ წავიდა. მაშინ კაო 29 წლის იყო და მხოლოდ ერთს ნატრობდა: გასვენებაში მამა არ მისულიყო.

იცოდა, რომ დედას სხვაც ჰყავდა. ის სხვა ერთხელ მივიდა სახლში, დიდი თაიგულით. კაო მაგიდის ქვეშ შეძვრა და იქიდან სტუმრის წასვლამდე არ გამოსულა. დედამ ორჯერ დაუძახა. მას მერე არავინ მისულა.

– ნეტა სადაა ახლა. როგორ არ უნდა ნახვა – იტყოდა დედა. მამაზე ფიქრობდა მხოლოდ მაშინ, როცა დედა ახსენებდა. ამას რომ იტყოდა დედა, აუცილებლად რომელიმე ჯაზურ ფრაზას წაიმღერებდა. ბოლოს კი ასე ამბობდა: „რა ქნას, მისი ბრალი არ არის. შენ არ უნდა გაბრაზდე". როცა წამოიზარდა, დედას სთხოვა, აღარ ელაპარაკა მამაზე. მამას ერქვა რობი, და რაც არ უნდა ცუდ ხასიათზე ყოფილიყო, როცა ეს სახელი ახსენდებოდა, სულ ეცინებოდა. რობი, ალბათ რობიკო, რობინზონი – ფიქრობდა და სიცილს ვერ იკავებდა. ალბათ ამიტომაც არ სძულდა და ამიტომაც არ ნიშნავდა არაფერს მისი საფლავი... მხოლოდ ადგილს, სადაც ის ესვენა – არსებობის კვალს, რომელიც ისეთივე შეუმჩნეველი და უმნიშვნელო იყო, როგორ სხვების ცხოვრება. მიდიოდა შორ გზაზე სამი კუბოთი და არაფერს გრძნობდა, მხოლოდ ცდილობდა, ყველაფერი დროულად მოესწრო, ისე, რომ არ შეეწუხებინა კოლოფებში მოთავსებული ცხედრები. იმას აკეთებდა, რაც მემკვიდრეობით ეკუთვნოდა მიხედა ერთადერთ ქონებას, რობისგან დატოვებულ ექვსადგილიან სასაფლაოს.

მას მერე, რაც გაიგო რომ ავად იყო, სულ სხვანაირი გახდა ყველაფერი. დუნე ცხოვრება ჰქონდა, მაგრამ რაღაცას მაინც ელოდა. სასიამოვნო ცვლილებებს. ყველაფერი კი პირიქით მოხდა – საუარესოდ შეიცვალა. ავადმყოფობის ელდა ისე სწრაფად მოედო, რომ ისედაც უშინაარსო ცხოვრებამ ფორმა დაკარგა. დღეში სამჯერ აბებს სვამდა და ამიტომ ზუსტად ერთსა და იმავე დროს იღებდა. აქამდე ისე ცხოვრობდა, როგორც დინება წაიყვანდა, ახლა კი მხოლოდ მკურნალობის რეჟიმში. არჩევანი მცირე იყო, საბოლოო ჯამში კი იქ მივიდოდა, სადაც მკურნალობის გარეშეც მიდის ადამიანი. ასე მხოლოდ დროს იგებდა, მიშვების შემთხვევაში კი შანსი ჰქონდა, სურვილებისთვის ეგდო ყური და აჰყოლოდა. რა სურდა, არ იცოდა და არც ის, თუ როგორ. მუშაობის განსაკუთრებული ხალისი არც არასდროს ჰქონია, ამიტომ, სწორედ იმ დილით,

პოლიციელი და შაოსანი კაცი რომ მიადგნენ, განცხადება დაწერა და სამსახურიდან წამოვიდა. სამსახურიც ხომ იმისთვის სჭირდებოდა, დრო რომ გაეყვანა. დრო, რომელიც არ იცოდა, როგორ დაეხარჯა და ამიტომ უდროობას მოუცლელობას აბრალებდა და არა უშინაარსო სურვილების აუსრულებლობას. ვერ მიხვდა, რა უნდოდათ მისგან უცნობებს და რა სასაფლაოზე საუბრობდნენ. დიდხანს დასჭირდათ ახსნა. უარი არ უთქვამს და თანხმობაც იმიტომ განაცხადა, რომ როგორც უარის, ისე თანხმობის აზრს ვერ ხედავდა და რახან სხვები ხედავდნენ, ამიტომაც არჩია მათ ნებას დაჰყოლოდა.

რობიზონი რომ გარდაიცვალა, იმავე დღეს გაიგო... კარზე დაუკაკუნეს და მაცნეც მოვიდა. დედას ძველი ნაცნობი. მიხვდა, რომ ცუდი ამბავი მოხდა მის თავს, მაგრამ რადგან დედა აღარ იყო და მასაც არაფერი სჭირდა, ამიტომ მშვიდად შეხვდა სტუმრის მონაყოლს.

– რობიზონი გარდაიცვალა – თქვა და გაჩერდა – პანაშვიდზე თუ მოგინდა წასვლა, მისამართს მოგცემ – უთხრა ქალმა, რომელიც ცდილობდა დეტალებში მოეყოლა, რა მოუვიდა რობის.

– ბოლო დროს სულ აურია. სვამდა. წერას თავი დაანება. მეგობრებს გაერიყა. იმ დღეს მივედი, მინდოდა ჟურნალისთვის დაეწერა მოთხრობა. ვეღარ ვწერო. რა აზრი აქვს წერასო, ასე მითხრა. ვიცოდი, რომ ცუდად იყო. მაგრამ ვერაფერი შევძელი. თავს არ მოიკლავდა, ამის არავის გვჯერა, პასუხისმგებლიანი ადამიანი იყო...

– ალბათ – უთხრა კაომ და ეცადა რობის სახის გახსენებას. არ გამოუვიდა. ახსოვდა ტაფა, თეფში, კერძი, ხორცის შიშიხინი, კაცის ხმა... სახე არა. რობის სახე არ ჰქონდა თითქოს.

– რობი და მე კლასელები ვიყავით, დედაშენი კი ჩვენზე სამი წლით უმცროსი იყო – ქალს ნაირა ერქვა. დედა ხშირად დადიოდა მასთან. ეგებ იქ იმიტომ დადიოდა, რომ რობი ენახაო, იეჭვა კაომ.

– სამწუხაროა. მაგრამ წასვლა არ მომინდება. ამის საჭიროებას ვერ ვხედავ.

– მესმის, შვილო. რთულია. მაგრამ... – უნდოდა ეთქვა, მაგრამ მაინც მამაა შენიო – დედაშენს ძალიან უნდოდა... – დაიწყო და არ დაამთავრებინა.

– რა უნდოდა დედას? დედას სხვის მაგივრად ვერ მოუნდებოდა.

– კი, კი, მართალი ხარ, შვილო. მესმის. მაგრამ რობიზონი, აცხონოს ღმერთმა მისი სული, არაჩვეულებრივი ადამიანი იყო. მეგობარი. კარგი მეგობარი. მის მოთხრობებს თუ ოდესმე წაიკითხავ, მიხვდები.

– ალბათ. მადლობა რომ გამაგებინეთ.

– კი, შვილო. მაინც ბოლო გზაა და ეგება გადაიფიქრო. ბოლო გზაზე გაცილება არ დაამადლო – არაფერი უპასუხა. ლიფტამდე მიაცილა. სათქმელი დედის ხათრით შეიკავა და კიდევ იმიტომაც, რომ თუ რამის თქმა სურდა, მხოლოდ მამისთვის, ის კი აღარ იყო. ბოლო გზაზე გაცილებას რომ სთხოვდნენ, მხოლოდ სხვათა დასანახად იყო და სხვა არაფერი. რაც არ უნდა კარგი მწერალი ყოფილიყო რობი, კაო ვერასდროს გაუგებდა.

სოფლის გზამ ძალიან დაღალა. უჩვეულოდ გრძელი დღე გამოდგა. გამთენიისას ჩაეძინა. უფრო სწორად კი მაშინვე ჩაეძინა, როგორც კი სახლში მივიდა. იმ ლოგინში დაწვა, ადრე დედას რომ ეძინა. ალბათ სულ სამი საათი თუ გამოუვიდა მოსვენება. მამლის ყივილმა გააღვიძა. მამლის ყივილისთვის უკვე გვიანი იყო, მაგრამ რას გაუგებ მეზობლის მამალს. მეზობლად ვინ ცხოვრობდა, აღარ ახსოვდა, მაგრამ როგორც კი სახლიდან გამოსული ქალი დაინახა, მიხვდა რომ მარიამი იყო. დღის შუქზე თუ ახალ თვალზე დანახული სახლი და ეზოც იმაზე პატარა მოეჩვენა, ვიდრე ეგონა. მარიამი მხოლოდ ერთი წელის მანძილზე ახსოვდა, ალბათ სადღაც ოცი წლის წინ იყო, ბებიასთან რომ გამოგზავნეს მშობლებმა დასასვენებლად. მარიამი ხეებზე ძვრებოდა კარგად და ბებიას ტყემლის კრეფაში ეხმარებოდა. წითელ ტყემალს შუაცეცხლზე დგამდნენ დიდ „ჩახანაში“ მოსახარშად, მერე კი მოხარშული ტყემალი საწურზე გადმოჰქონდათ და ხეხავდნენ. კურკებს ცალკე ყრიდნენ, მასას კი ისევ ცეცხლზე დგამდნენ, რომ კვლავ ედუღა.

იქაური ჰაერის ბრალი იყო, რომ უჩვეულოდ ადრიანად მოშივდა. როცა ადგა, პირველი საათი იყო. დუქნისკენ დაეშვა. ნაწვიმარზე ტალახი ახორხლილიყო და წებოიანი ქაღალდივით იყო ბილიკები. ძროხები საბალახო გზას უკვე დადგომოდნენ, ნაკელი და სველი მიწა ერთმანეთში აზელილიყო. კატასავით ცდილობდა გავლას, მაგრამ არ გამოუვიდა. დუქანი თითქმის ცარიელი დახვდა. ვილაცამ თავი დაუკრა და „ვიზიარებ, ღმერთმა აცხონოსო“, ასე უთხრა. უკვე ყველას გაეგო. გზაზე ვინც შეხვდა, სამძიმარი უთხრა, ერთმა უცნობმა ქალმა ისიც შეუთვალა, საღამოს გამოვალთ, თუ არ შეგაწუხებთო. სახლის მილაგებას რომ მორჩა, ხუთი საათი იყო და რადგან სახლი მიალაგა, ქალაქში წასვლაც გადაიფიქრა. დილიდან ათჯერ დაერეკა თეჯის და რადგან თეჯისგან შორს იყო, გადაწყვიტა ცოტა ხანს მაინც დარჩენილიყო სოფელში, მიუხედავად იმისა, რომ იცოდა, სოფლელები მასთან მისვლას აპირებდნენ. შვიდ საათზე მივიდნენ, მწკრივად თავდახრილები. ღვინოც თვითონ მიიტანეს და მხალიც.

– ღმერთმა ნათელში ამყოფოს, კარგი კაცი იყო, უყვარდა აქაურობა – თქვა ერთმა და ამით მორჩნენ. ხელი ჩამოართვეს და გავიდნენ. ალბათ რაღაც აერიათო, იფიქრა კაომ და მეტად იმ ფიქრს აღარ ჩაჰყოლია. რობის სოფელში ვინ ნახავდა, ან როდის მოახერხებდა სიარულს, იქაურებს კი არა, მას არ ახსოვდა.

სოფელში ყოფნა ადვილია, როცა არაფრის შეცვლა გინდა. ნებდები. ამიტომაც რჩებიან სოფლად მოხუცები, ახალგაზრდები კი მხოლოდ ზაფხულობით ჩაივლიან. კაოსაც მოწონდა სოფლად ზაფხულში. მდინარეში ბანაობა, ტყეში ხეტიალი, სათევზაოდ სიარული, შუაცეცხლთან ჯდომა, სოფლის კაცების მოსმენა, ჭინკებზე რომ ჰყვებოდნენ, მთაში დათესილი ყანების ყურება

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ჭალაში დამალობანას თამაში. ეს ყველაფერი ისე ახლოს იყო და ამავდროულად ისეთი შორეული, რომ თითქოს ტყეს ტყე აღარ ერქვა და ჭალას – ჭალა. კაო ისევ კაო იყო, მაგრამ იმ ბავშვისგან, ცხოვრება რომ უხაროდა, სულ აღარაფერი შერჩენოდა. ახსოვდა, როგორ იწყენდა, როცა ბავშვები მიდიოდნენ, ზაფხული მთავრდებოდა, დედას კი სულ ბოლოს მიჰყავდა ქალაქში. აუტანლად სევდიანი იყო იმ დაცარიელებული ადგილების ყურება, სადაც ცოტა ხნის წინ ბევრნი ერთად თამაშობდნენ. ლაღობდნენ. ხალისობდნენ. ყველაფერი შეიცვალა, ყველაფერმა ჩაიარა. იმ მოხუცებს ჰგავდა, სახლის წინ რომ ისხდნენ მთელი დღე სკამებზე და თითქოს სხვა არაფერი უნდოდათ, უძრავად ჯდომა და ერთ წერტილში ყურება. როცა კი ახლოს ჩაურბენდი ან ჩაუვლიდი, შენკენ მოტრიალდებოდნენ და რაიმე უმნიშვნელოს გკითხავდნენ – რა გქვია, ან რამდენი წლის ხარო – სხვა არაფერი. ბავშვიც დროულად პასუხობდა, მალე რომ გასცლოდა, მოხუცი კი ფიქრს აგრძელებდა. მხოლოდ მოხუცებს შეუძლიათ ასე, მისტიურად, თან აქ იყვნენ და თან კიდე სადღაც. შორს. არ იყვნენ.

დილით ადრე დგებოდა, ისე ადრე, რომ უკვირდა. ღამით კი კარგად ეძინა, რაც უკვე დიდი ხანია, აღარ მომხდარა. მარიამის მამალი ისევ უდროოდ ყიოდა, მარიამს კი მატყლი გამოეტანა მზეზე გასაშრობად. ხელში საბერტყი ჯოხი აღარ ეჭირა, ლეიბს კერავდა. სოფლის ქალს არ ჰგავდა. როცა მიხვდა, რომ აქ მასავით დროებით არ იყო ჩასული და კარგა ხანია, დაედო ბინა, ურთიერთობის სურვილი გაუჩნდა. კონტაქტის. იცოდა, რომ ქალმაც შენიშნა, მაგრამ რადგან არ გადმოუძახა, თავად აღარ შეუწუხებია. იმისგან ელოდა მისვლას. „ჯერ ყველაფერი კარგადაა, სიარულიც შემიძლია და კარგადაც ვხედავ. ეგებ არც არაფერი მჭირსო“ – ფიქრობდა კაო და სჯეროდა, რომ სანამ სოფელში იქნებოდა, არაფერი მოუვიდოდა. კარგი იყო ასე ცხოვრება, როცა არც სამსახურში იყო წასასვლელი, არც არავისთვის უნდა ეთქვა სალამი და დაესვა ყველაზე უშინაარსი შეკითხვა – „როგორ ხარ?“. შეკითხვაზე უფრო მეტად რთული პასუხის გაცემა იყო, რომელიც ხშირად ფორმალურია და იმას პასუხობ, რასაც სხვები – კარგად, არა მიშავს, ნელა-ნელა, ნორმალურად. ყველაზე ხშირად ის არ იცი, როგორ ხარ და რატომ ასე გაუგებრად. არც ის იცი, როგორ გინდა რომ იყო, ამიტომაც ამბობ – კარგად ვარო. კაომ იცოდა, რომ იყო ავად და ახლა ჰქონდა მიზეზი, ეთქვა, ცუდად ვარო.

ორი კვირა არც დაღლას გრძნობდა და არც ტკივილს, მერე კი ყველაფერი ერთად იგრძნო. ეჩვენებოდა, რომ მარცხენა ფეხი გაუშეშდა. თეჯი ისევ ისე განაგრძობდა რეკვას და სხვებიც ალაგ-ალაგ. უფრო ხშირად სამსახურის ხალხი, ამბის მოკითხვა უნდოდათ, ცნობისმოყვარეობა აწუხებდათ, რატომ წავიდა ასე უეცრად სამსახურიდან, ისე რომ არავისთვის უთქვამს, არ დამშვიდობებია. ზარებს არ პასუხობდა. ბოლოს ტელეფონიც გამორთო. დაისვენა. სამი დღე რომ სახლიდან აღარ გამოვიდა, საღამოხანს ჭიშკრის გაღების ხმა გაიგო და ოთახში მსუბუქი ნაბიჯებით შემოვიდა ქალი კალათით.

– გამარჯობა – თქვა მარიამა და კალათი ლოგინთან დადო.

– გამარჯობა, მარიამ – უპასუხა კაომ.

– სამი დღეა, არ გამოსულხარ და მეც მოვედი. ადგები?

– ავდგები – უპასუხა კაომ და მარიამი სამზარეულოში გავიდა. კალათიდან საჭმელი გადმოალაგა. მჭადი, ყველი, ბოსტნეული... მაგიდაზე ლამაზად დაალაგა. ჯვარედინად. მერე განჯინაში შენახული ჭურჭელი ჩამოალაგა.

– დიდი დრო გავიდა – უთხრა კაომ.

– კი. ვიცოდი, რომ გახსოვდი.

– არ შეცვლილხარ.

– შენ კი ძალიან შეიცვალე – უპასუხა მარიამმა და სალათს მწვანილი მოაჭრა – ჩემი ბაღჩისაა.

– რამდენი ხანია, აქ ხარ?

– დიდი ხანია. ძალიან დიდი ხანი.

– მომიყევი... – კაომ არაფერი იცოდა მარიამზე. მხოლოდ ერთხელ ენახა შემთხვევით უნივერსიტეტის ეზოში. არ მისულა. მარიამი მარტო არ იყო, ხელი ჩაეკიდა მიახლოებით მისივე ასაკის სტუდენტისთვის და რაღაცას ეჩურჩულებოდა ყურში.

– ახლა არა. სხვა დროს. – უპასუხა მარიამმა და სუფრა აალაგა.

იმ დღის მერე ყოველდღე აკითხავდა. ერთად სადილობდნენ. კაო ცდილობდა, გაეგო მარიამის ამბები. როგორ ცხოვრობდა. რატომ დატოვა ქალაქი, რატომ გადმოსახლდა მიყრუებულ სოფელში. მარიამი დუმდა. კაო კი ვერაფერს ჰყვებოდა, რადგან ფიქრობდა, რომ არც არაფერი ჰქონდა მოსაყოლი, ყველაფერი ბანალური და უინტერესო იყო. მაგრამ როდის გახდა ცხოვრება ასეთი მოსაწყენი და არაფრისმთქმელი, ვერ გაეგო... ალბათ მას მერე, რაც დედა აღარ იყო. სცენაზე მდგარი ყოველ საღამოს გრძნობით მღეროდა. არ იყო ყალბი. სხვანაირი ხდებოდა გარემო, როცა ის სცენაზე იდგა. იცვლებოდა, სხვაფერდებოდა – მისი ბგერის და ფრაზების მსგავსად. სიყვარულითა და სინაზით ივსებოდა ჰაერი. კაოს უყურებდა, მას უძღვნიდა. მაგრამ იყო რაღაც სხვაც... იყო კაოში ვიღაც სხვა, დედა მხოლოდ მას არ უყურებდა.

როდის გახდა დედის ცხოვრება მისი და როდის დათმო დედამ ცხოვრება მისთვის, არც ეს იცოდა. არ ფიქრობდა, რომ უბედური ქალი იყო, ასეთს არ ჰგავდა. იმის წარმოდგენა, რომ შეიძლებოდა, დედას ვინმე ჰყვარებოდა, გულს უკლავდა. აი მაშინაც, სახლში რომ უცნობი მივიდა თაიგულით... მაშინაც, როცა ნატრობდა რომ გასვენებაში რობი არ მისულიყო. ეს არ იყო მამის წინაშე განცდილი პროტესტი ან პოტენციური მამის გაჩენის არნდომა. კაოს მოსწონდა დედა მარტო. ყველაზე დიდი ეგოიზმის გამოვლინება იყო მისი მხრიდან იმ აზრის არდაშვება, რომ შესაძლებელია, დედამ მის გამო დათმო სხვა ბედნიერება. უფრთხილდებოდა. ან ეგებ პირიქით იყო ყველაფერი... ისე მიიწება, შეიხორცა თავისი ერთადერთი ვაჟი, რომ წარმოუდგენელი იყო სხვანაირად. დედა აღარ იყო და კაოს ცხოვრების ამაოება უფრო მეტად შესამჩნევი გახდა... თეჯი. თეჯი იყო კრებსითი ქალი. იცნობდა დიდი ხანი, მაგრამ სიყვარული

არ შეეძლო. როგორ შეიძლება გიყვარდეს პროთეზი, როცა იცი, რომ სწორედ იმიტომაა საჭირო, რომ ის შეგიცვალოს, რაც აღარ გაქვს და არც იქნება.

ზამთრის სუსხიან დღეს ამსგავსებდა მთელ მის ცხოვრებას, როცა სიცივის გრძნობისგან გათოშილს სუნთქვაც კი გეყინება. უძრაობისგან ქვავდები და მოგონებები, რომლებიც შესაძლებელია, მართლაც გქონდა აგიზგიზებულ ბუხართან გასახსენებლად შემონახული, აღარ გაქვს, დაგავიწყდა. დედა ყინულის დედოფალს ჰგავდა, ლამაზი და მოხდენილი, ღიმილს ფანტელივით არიგებდა... არ ჰქონდა სხვა სახე ან გამომეტყველება გარდა ერთისა, ისევე, როგორც თოჯინას, ისევე, როგორც უგრძნობ ქალს. მხოლოდ ღიმილი და გადაკისკისება. სიმღერისას კი სულ სხვა იყო და ეს სხვაც მხოლოდ მისი ხმა და სხვა არაფერი, სახე ისეთივე.

– ზეგ ზამთარი მოვა – უთხრა მარიამმა ერთ დღეს, როცა კაო მდინარიდან დაბრუნდა. თხილის ტოტისგან ანკესი გაეკეთებინა და დაჭერილ თევზს ეზოს ონკანთან ასუფთავებდა. – ახლა სულ სიცივეები დაიჭერს. ბუხრის ამინდები გველის აწი. ბუხრის და ცეცხლზე შედგმული ლობიოსი.

– მარიამ, როგორ არ მოგწყინდა ზამთარში მარტო გამოკეტვა და ლოდინი? როგორ გაძელი მარტომ ცამეტი წელი? – ჰკითხა მარიამს, სინამდვილეში კი დედისთვის უნდოდა, რომ ეკითხა. გაფანტული სკლეროზი მწარე ხუმრობა იყო, ისეთივე, როგორც კოჭლისთვის წყვილი ფეხსაცმელი. რა სჯობდა: რომ ხსომებოდა თუ არა? ალბათ სჯობდა, რომ არა – ამიტომაც სჭირდა ის, რაც სჭირდა.

– ლოდინი? რას ველი ნეტა... არც არაფერს. არაფერს ველი, იმიტომ, რომ ყველაფერი იყო და უკვე ვიცი, რასაც ელის ადამიანი.

– რას ელის ადამიანი? – დედა არაფერს ელოდა. მარტო იყოო და იმიტომო, ფიქრობდა კაო. ისე, მარტო, როგორც ყველა ქალი, რომელსაც გვერდით არ ჰყავს საყვარელი მამაკაცი ან როცა არავინ უყვარს... ან გვერდით ჰყავს ის მამაკაცი, რომელიც არ უყვარს.

– ადამიანი ელის მიზეზებს, პირობებს, მდგომარეობას, რომ თავი ბედნიერად იგრძნოს.

– განა ეს ცუდია? განა სხვას რას უნდა ელოდო. ესაა აზრი – მარიამს არ უპასუხია. სადილად არ დარჩენილა. საქმე მოიმიზეზა, სუფრა გააწყო და წავიდა. კაო მიხვდა, რომ მისდაუნებურად რაღაც ისეთი თქვა, რამაც იმოქმედა. სოფელში ცოტა საუბარი იციან, მაგრამ რასაც ამბობდნენ, კაომაც იცოდა.

ბოლოს ბებიასთან ჩამოსული მარიამი კაი ხნის წინ ენახათ საქმროსთან ერთად. იმის მერე აღარ ჩამოსულა, იმიტომ რომ სახლი დაუკეტავთ, ბებია კი გარდაცვლილიყო. მარიამი გათხოვილიყო, გაეჩინა შვილები – ქალი და ვაჟი. მერე ზუსტად არავინ იცოდა, რა მოხდა, მაგრამ ფაქტია, რომ ქმარ-შვილი ერთი გზით წასულა, მარიამი მეორეთი და უკვე ცამეტი წელი არავინ ენახათ მასთან ჩასული. მარიამი არც არაფერს ამბობდა და არც სოფელში ეკითხებოდნენ. ბევრი რამ იცოდა მარიამმა და კაო არც კი ეჭვობდა, რომ სცოდნოდა, მიხვდებოდა რომ „სხვა“ დედას არ იცნობდა. ბოლოს მარიამმა კაოს სახლში ნახა რობისთან ერთად. ეზოში საუზმობდნენ. მარიამს მამალი გამოექცა და მის უკან გადმოსარეკად ეზოში გადმოვიდა მეზობლთან. იყო ორი ქალის შემხვედრი უსიტყვო მზერა და დედის ვედრება, რომ არ გაეთქვა.

დედას ჰქონდა საიდუმლო და თან ჩაიყოლა. რობიმაც იცოდა ის, რაც დედამ იცოდა, მაგრამ კაოსთვის თქმის უფლება არ მიუცია, ამიტომ რობიც ისე მოკვდა, რომ არაფერი უთქვამს. კაოს ხელში ეჭირა რობის სურათი და ვერანაირ საერთოს ვერ პოულობდა საკუთარ თავთან. არადა ეგონა, რომ მამას ჰგავდა, რადგან დედას ჰგავდა არაფრით. ის ორი წელი, როცა მამაც უნდა ხსომებოდა, რადგან დედა ახსოვდა, ვერაფერს ახსენებდა ტაფაზე შემწვარი ხორცის გარდა და ეგებ ეს ერთი ეპიზოდიც საკმარისი უნდა ყოფილიყო იმის მისახვედრად, რაც იმ ორმა, მისი მშობლები რომ ერქვათ, იცოდნენ, მან კი არა. პირველად ცხოვრებაში იგრძნო რომ რაღაცას უმალავდნენ და ამ რაღაცას უკვე ჩაევლო. დაიგვიანა. აქამდე არასდროს მონდომებია რობიზონის წიგნების კითხვა, ახლა კი სოფლის სახლში თაროზე შემოლაგებული და ჩამწკრივებული რომ ნახა, მტვერი გადაუწმინდა და კითხვა დაიწყო.

„ჩემს ერთადერთ და ყველაზე დიდ სიყვარულს სახსოვრად მისი მონა-მორჩილისგან“ – იყო წარწერა რობის რომანზე და თარიღი იყო სულ რაღაც ჩვიდმეტი წლის წინანდელი. ასეთივე წარწერები იყო სხვა წიგნებზეც, ზოგი ათი, ზოგიც კი ოცი წლის წინანდელი. გამოდიოდა, რომ კაოს არ ენახა მამა ორი წლის მერე, დედა კი რობის ხვდებოდა. ალბათ ნაირამაც იცოდა მათი პაემნების ამბავი. რადგან დედა წიგნებს სოფელში ინახავდა, გამოდიოდა, რომ დედა რობის იქაც ხვდებოდა. ეს მაშინ ხდებოდა, როცა რაიმე მიზეზით სოფელში მიდიოდა კაოს გარეშე. ასეც რომ ყოფილიყო, კაო ვერაფრით მიმხვდარიყო, თვითონ რატომ რჩებოდა თამაშგარე მდგომარეობაში. ნუთუ კაცს, რომელსაც საყვარელი ქალის ნახვა სურდა და ხვდებოდა კიდეც, არანაირი სურვილი არ ჰქონდა, შვილი ენახა?

– ისინი აქ ერთად იყვნენ ხოლმე, ხომ? – ჰკითხა კაომ მარიამს, როცა ის ორი დღე აღარ გამოჩნდა და თავად მივიდა. ღამე იყო. არ ეძინა. თხილს ტეხდა.

– თხილის დამტვრევაში დამეხმარე, ნამცხვარი უნდა გამოვაცხო – უპასუხა მარიამმა, თითქოს კითხვა არ გაუგია.

– მარიამ, გთხოვ, მარიამ! ყველაფერი მითხარი – ევედრებოდა კაო და თვითონაც არ იცოდა, რატომ ეცინებოდა, ზუსტად ისე, როგორც დედამისს.

– წამლებს რომ არ სვამ, ხომ ხვდები რომ უფრო აჩქარებ პროცესს?! – მარიამმა სატეხი გვერდზე გადადო და კალთაში მოქუჩებული თხილი გახურებულ ტაფაზე დაყარა.

– რა იცი შენ, მე რა მინდა! – დაიყვირა კაომ და კუთხეში დაყრილ დასატეხ თხილს ფეხი გაჰკრა. მარიამი ისევ მშვიდად იდგა. ტაფას ატრიალებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

– მე ვიცი, შენ რაც გინდა, ვიცი, რასაც ეძებ – უთხრა ისე, რომ არ მოტრიალებულა – საფლავების დარდი გაქვს. გათხრილი და მერე აქ ჩამოსვენებული მიცვალებულების, რომლებიც შესაძლებელია არაფერ შუაში არიან და შეიძლება ყველაზე მეტად ვიზეც არ უნდა ბრაზდებოდე ცხოვრებაში – რობია.

იგრძნო მკვეთრი ტკივილი სახსრებში და თავბრუსხვევა. თითქოს ძვლები ემტვრეოდა. წაბარბაცდა. მერე წაიქცა. გონს რომ მოეგო, სავარძელში იჯდა, ფეხი კი სკამზე ჰქონდა შემოდებული. მარიამს თხილი უკვე მოეხალა და ახლა ფქვილში ჰქონდა ხელები ამოთხვრილი.

– წყალი დალიე და ეგ აბიც მიაყოლე – უთხრა, როცა გონს მოეგო – წამალი უნდა დალიო, იმიტომ გემართება ეგრე – დაემორჩილა. დალია. ცოტა ხანს ჩუმად იყვნენ. მერე კი უმწეოდ იგრძნო თავი და ტირილი აუვარდა, ისეთივე, როგორიც, შესაძლებელია, დედამ იცოდა, მაგრამ მას კი არასდროს ენახა, როგორ ტიროდა დედა. მარიამმა ცომის ზელა დაამთავრა და ხელი დაიბანა.

– ვიცი, რომ შენ იცი. ვიცი, რომ შესაძლებელია, მეც ვიცოდე, მაგრამ მინდა, რომ შენ მითხრა, შენ მომიყვე. მარიამ, გთხოვ მარიამ! ჩვენი ბავშვობის ხათრით – კაო აღარ ტიროდა, მაგრამ ცრემლები მაინც თავისით სდიოდა. მარიამმა ღუმელის ცხელი ტაფა გამოიღო, კარაქი მოუსვა, მერე ფქვილი მიმოფანტა, მომზადებული ცომი ზედ დააზილა და უკანვე შედგა ქურაში.

– შენ რომ სიმართლის ცოდნა გდომებოდა, ერთხელ მაინც წაიკითხავდი რობის რომანებს, მოთხრობებს. წაიკითხავდი და ყველაფერს გაიგებდი. გულის სიღრმეში შენ ამის ცოდნა არ გინდოდა. ვინც შენ გინდოდა, დედა იყო და სხვა დანარჩენი უმნიშვნელოა. თქმას არ ვაპირებ, ამას შენ უნდა მიხვდე. ერთ დღესაც წაიკითხავ და თავად მიხვდები... ნამცხვარს ვაცხობ და დღეს ბოლო დღეა ჩემი აქ ყოფნის. მივდივარ. სამუდამოდ. უკან არ დავბრუნდები... – თქვა მშვიდად. კაოს ისევ არ უყურებდა. მარიამის წასვლა არ უნდოდა... სანამ მარიამთან გადავიდოდა, სწორედ რობის წიგნს კითხულობდა. იქ ეწერა პატარა ბიჭზე...

– გახსოვს, სამი დღის წინ რომ წამოვედი შენი სახლიდან?

– მახსოვს – უპასუხა კაომ და იცოდა, რომ მარიამის მოსმენის დრო იყო. მოუყვებოდა იმას, რისი ცოდნაც თავიდანვე უნდოდა.

– ვიცი, რომ მაშინ უნივერსიტეტის ეზოში შენ იყავი. ბიჭი, რომელსაც ხელჩაკიდული მივყვებოდი, ჩემი ქმარია. მერე გაგვიჩნდა შვილები და იმაზე მეტ ბედნიერებას, რაც მე მქონდა, სხვა ვერ ინატრებდა. დღემდე ვერ ვხვდები, რა მოხდა მერე, რა დამემართა, თითქოს ვერ ვიგუე. თითქოს გაუსაძლისი იყო ამდენი სილამაზის ერთდროულად დატევა, ტარება, მოთმენა. ვუყურებდი ჩემს ლამაზ, მხიარულ შვილებს და თითქოს ისინი ჩემები არ იყვნენ. ვუსმენდი მათ მამას და თითქოს არასდროს მყვარებია. ყველა გრძნობა და სიამე სადღაც გაქრა. თავს ვაძალებდი, დილით ადრე ვდგებოდი, მეუღლეს სადილს ვუმზადებდი, ბავშვები სკოლაში მიმყავდა, თმას ვუვარცხნიდი, ვაბანავებდი, ძილის წინ ვკოცნიდი. ყველაფერს ვაკეთებდი იმისთვის, რომ თავი კარგად მეგრძნო და როცა მივხვდი, რომ ეს ის ცხოვრება არ იყო, რომელიც მე მინდოდა, სახლიდან წამოვედი. მივატოვე ისინი და აქ დავსახლდი. თავდაპირველად მეგონა, რომ ცოტა ხანს გაგრძელდებოდა, უბრალოდ რთული პერიოდი იყო და მალე უკან მოვიტოვებდი. მაგრამ ასე არ მოხდა. რაც დრო გადიოდა, უფრო და უფრო ვეჩვეოდი მარტოობას, უფრო და უფრო ვივიწყებდი მათ. ბედნიერებაც ისეთივე ძნელი ასატანია, როგორც უბედურება. პასუხისმგებლობის გრძნობაა ყველაზე დიდი ტვირთი ცხოვრებაში... როცა მივხვდი, რომ ჩემი ქმარი მათ არაფერს მოაკლებდა, წამოვედი. წამოვედი, იმიტომ რომ ყოველი დაძინებისას, ჭკუიდან გადავყავდი იმ ფაქტს, რომ მე მათი დედა ვიყავი, მე ისინი უნდა დამეცვა, მე უნდა მესწავლებინა, გამეზარდა, მეთქვა რომ არასდროს გახდებოდნენ ავად, არ მოკვდებოდნენ, არ იქნებოდნენ უბედურები, იმიტომ რომ მე არ დაუშვებდი ამას, მე არ მივცემდი ამის ნებას... მე კი ამის ძალა არ მქონდა. მე რომ ეს დამეჯერებინა, შვილებს ხომ არ გავაჩენდი. გავაჩინე კი იმიტომ, რომ თავად მეშინოდა, თავად ვცდილობდი გადარჩენას. ამიტომაც მინდოდა გათხოვება, ვიცოდი რომ ერთ დღესაც შეიძლებოდა სიყვარულსაც გაევლო... და იმ დღეს, როცა ყველაფერი განელდებოდა, მე არ ვიცოდი როგორ შევხვდებოდი. სანამ დავრწმუნდებოდი, რომ ეს დროებითი კრიზისი არ იყო და დაბრუნების იმედი მქონდა, შვილებს ვურეკავდი. ქმარსაც ეგონა, რომ გადამივლიდა და ხელი არ შეუშლია. იმაზე ტკბილი მოსასმენი არაფერი იყო, როგორიც მათი ხმებია, მაგრამ მე არ შემეძლო. ტკივილს მაყენებდა. მათ ხმებთან მინდოდა და ესეც არ შემეძლო. თითქოს მათ მე ცხოვრება გამიყალბეს, წამართვეს... გესმის, არ შემეძლო, ბედნიერებასაც გაძლება უნდა. ბედნიერებაც იცვითება დროთა განმავლობაში. შვილის სიტკბოსაც ეგუები და ქმრის გულგრილობასაც... რასაც ვერ ეგუები, შენი თავია. შენი თავი. ამიტომ წამოვედი. მე არ ვიყავი მზად. შემეძლო მეთმინა და ისევე განმეგრძო, როგორც ადრე, მაგრამ ესეც ისეთი რთული იყო, რომ... მახსოვს, როგორ ვიდექი ხიდთან, როგორ მინდოდა ამ ტანჯვის დასრულება. არა, სულაც არ მეშინოდა. გადავხტი... გადამარჩინეს. იმ დღეს ჩემი შვილის დღეობა იყო. ყველაზე ბედნიერი დღე მის ცხოვრებაში. მე არ შემეძლო სიხარულის გაზიარება, მე არ შემეძლო მათთვის არაფრის მიცემა, იმიტომ რომ ცარიელი ვიყავი და სიცარიალე მკლავდა... შენ მთელი ცხოვრება განსჯიდი მამას, რომელმაც მიგატოვა. მე მესმის მამაშენის. შენც გაუგებდი, რომ გესმინა. განა ის უფრო ცუდად არაა, ვინც ვერ იტევს, არ შეუძლია, ვიდრე ის, ვინც ითხოვს და იცის, რა უნდა, რა სჭირდება... ხვალ ჩემი ქალიშვილის დღეობაა. ბევრი დრო გავიდა, 13 წელი. აქაურობამ და მარტოობამ ბევრი რამ მასწავლა. გამაძლიერა. უკვე ვიცი, რომ მზად ვარ. ვიცი ვინ ვარ. ვიცი, რომ არაა აუცილებელი ვინმე იყო. აზრს ეძებდე. თავს ეძებდე. მე ვარ დედა, რომელმაც ისინი მიატოვა და დედა, რომელიც მათ დაიბრუნებს. აუცილებლად დაიბრუნებს. და თუ მკითხავენ, სად ვიყავი ამდენი ხანი, რატომ არ ვიყავი მათ გვერდით,

როცა ვჭირდებოდი, ვუპასუხებ, რომ დამნაშავე ვარ, მაგრამ სხვანაირად არ შემეძლო.

მარიამი საუბარს მორჩა. გაზქურიდან ნამცხვარი გამოდგა, აივანზე გადგა გასაგრილებლად. მერე კრემი ფორმაში ჩაასხა და ნამცხვარი მორთო. კაო ისევ უძრავად იჯდა. გრძნობდა ტკივილს სახსრებში და აჩქარებულ გულისცემას. მარიამზე არ იცოდა, რა უნდა ეფიქრა, მის წინ იდგა ქალი, რომელიც უვლიდა ეზოს, ცხოველებს. ყოველდღე ასადილებდა და როგორც შეეძლო ზრუნავდა მასზე. ის არ იყო მარიამის შვილი ან ქმარი, არ განსჯიდა. იცოდა, რომ მარიამის წასვლის შემდეგ რაღაც შეიცვლებოდა და ყველა მამლის დაგვიანებული ყივილი ფიქრებში წაიყვანდა. მარიამის წასვლა არ უნდოდა, მარიამი კი აუცილებლად წავიდოდა.

– სახლს, ცხოველებს რას უპირებ? – ჰკითხა კაომ. მარიამს გაეცინა. იცოდა, სინამდვილეში რასაც გულისხმობდა კაო. იმას, რასაც კაო ფიქრობდა, ვერ იქნებოდა მისი იქ დარჩენის მიზეზი.

– ამ საღამოს დავკალი მამალი...

მარიამმა დაკლა მამალი. კაოს კი ვერ წარმოედგინა მარიამი ცულით ხელში მამალს რომ თავს წააცლიდა. არ იცოდა, რას იფიქრებდა იმ დროს, როცა უთავო მამალი აფრთხიალდებოდა. ალბათ მერე გემრიელი ბულიონიც გააკეთა ბაღჩის მწვანილებით...

– შენთან დილით ვაპირებდი გადმოსვლას. სადილის დატოვებას... თუ უკეთ ხარ, მომეხმარე. სახლი დავკეტოთ – სახლში შუქები ჩააქრო. ონკანები შემოაწმა. სამზარეულო დაგავა. ლამაზი ფეხსაცმელი ჩაიცვა და გარეთ გამოვიდა. კაოსთან ცოტა ხანს შეყოვნდა.

– რთულია, მაგრამ ტკბილი ამავდროულად. ბოლოს მწარეც კი ტკბილია. ასე ყოფილა – უთხრა და წავიდა.

უკვე დილა იყო, კაომ წიგნის მონიშნული ადგილიდან კითხვა განაგრძო... ბიჭი იყო ერთი ლამაზი ქალის შვილი, რომელსაც ცეკვა უყვარდა. ქალს თურმე სულ სხვა ჰყვარებია და მუცლის სიდიდეს ბევრი ლაპარაკი რომ არ გამოეწვია, ცოლად გაჰყოლია მის მეგობარს. მეგობარს ქალი ყოველთვის უყვარდა და მზად იყო იმისთვისაც, რომ ბავშვი მისად გაესაღებინა. გვარიც მიუცია და ერთადაც უცხოვრიათ... მაგრამ სულ სხვანაირად მომხდარა ყველაფერი. ქალთან ქორწინებამ და თამაშმა აზრი დაკარგა. ქალს ისევ ის უყვარდა და კაცი რაც უფრო ცუდად ექცეოდა, მისკენ უფრო მეტად მიუწევდა გული. ერთ დღესაც სახლიდან წამოსულა რობი. სხვაზე შეყვარებულ ქალთან ზედმეტად ეგრძნო თავი და კიდე იმიტომაც, რომ ის სხვისი შვილი სულ იმ კაცს აგონებდა, მის ცოლს რომ უყვარდა. ის კაცი, ვინც მის ცოლს უყვარდა, არც შვილს ცნობდა და არც ქალს, მაგრამ ამასაც არ ჰქონდა მნიშვნელობა... არ ეწერა, ვინ იყო ბავშვის ნამდვილი მამა, არც ის ეწერა, რას ელოდა დედა. ეგებ ეს იყო ის სიმართლე, კაო რომ ეძებდა, ან ეგებ, ეს იყო ის გამართლება, რობის რომ სურდა, სჭირდებოდა. ამას უკვე არ ჰქონდა აზრი, იმიტომ რომ კაოც არსებობდა და რობის წიგნებიც. არჩევანი დიდი იყო...

მარიამის წასვლამ ბავშვობის არდადეგები გაახსენა, სულ ბოლოს რომ მიჰყავდა დედას ქალაქში, მას კი ცარიელ სოფელში ყოფნა უჭირდა. მარიამთან პირიქით იყო, ყველაზე ადრე მიჰყავდათ, ჯერ კიდევ რომ ბევრი ბავშვი თამაშობდა, ერთობოდა მის გარეშე. მარიამმა არ იცოდა, რომ ასე სჯობდა, გზაში დარდი და სინანული, კაოსავით გვიან წაყვანას, როცა იცი მარტო დარჩენის ფასი. მარიამმა ერთად ყოფნის სიამოვნება იცოდა, ამიტომაც მიდიოდა პირველი თვითონ, სანამ სხვა წავიდოდა.

იმ ერთადერთ წელს, როცა ერთად ისვენებდნენ, კაომ ტყემლის ხეს კიბე მიადგა და მარიამთან ავიდა. მარიამს ერთი კალათა უკვე აევსო და ახლა მეორეს გავსებას ლამობდა. ხიდან კიბით არ ჩამოსულა, ტოტმა ვერ გაუძლო, ჩამოტყდა და ფეხი ხის ქერქზე გაეკაწრა. ბებიას რომ არ გაეგო, კაომ სახლიდან სპირტი გადმოიტანა და ფეხზე წაუსვა.

– ეხლა გეტკინება – გააფრთხილა მარიამი, სანამ სპირტიან ბამბას ფეხზე დაადებდა. მარიამმა თვალები დახუჭა. ხმა არ ამოუღია, მოითმინა. თვალი ისევ დახუჭული ჰქონდა, კაომ რომ აკოცა.

– ქორწილამდე მომირჩება – უთხრა მარიამმა. როცა მშობლებმა მოულოდნელად, დროზე ადრე წაიყვანეს, მთელი გზა კაოზე ფიქრობდა. ვერ დაემშვიდობა. სათევზაოდ იყო წასული ბიჭებთან ერთად. იმ დღეს ოქროსფერწინწკლებიანი კალმახი დაიჭირა და მარიამს კი ვერ აჩვენა. დაცარიელებულ სოფელში ყოფნა იმიტომ უჭირდა, რომ მარიამზე ფიქრობდა. მაშინ პატარები იყვნენ, მაგრამ ბავშვობაც ხომ იმიტომაა, რომ ის, რაც ამ დროს ხდება, მხოლოდ ამ დროში რჩება. არ დარდობდა, რომ ახლო წარსულზე მეტად და მკაფიოდ ის დღეები ახსოვდა, როცა ვერ ხვდებოდა, რომ ყველაზე კარგი დრო იყო და უკეთესი მომავლის მოლოდინში სწრაფად გაზრდას ნატრობდა. თითქოს იმ მოგონების გარდა არც არაფერი იყო. სხვა ყველაფერი ქრებოდა და იკარგებოდა.

ტელეფონს დიდხანს ეძებდა, ბოლოს კი იქ იპოვა, სადაც თავიდანვე უნდა ეძებნა, ლოგინის გვერდით, ტუმბოზე. სოფელში ჩამოსვლიდან ექვსი თვე იყო გასულიყო, მარიამის წასვლიდან კი სამი. „ალბათ ყველაფერი კარგად აქვსო“ – ფიქრობდა კაო მარიამზე და ბედნიერი იყო. სხვაზე ფიქრით მოსული ბედნიერება, მაშინ როცა ეს შენ სულაც არ გეხება, იმის ნიშანია, რომ ცხოვრებას უბრუნდები. სოფელში კარგად იყო, მაგრამ კიდევ იყო რაღაც სხვა. სხვა, რაც ისევ ელოდა და თუ ელოდა, ე. ი. ღირდა კიდეც ლოდინი...

– რომელი ხარ? – უპასუხა ქალის მძინარე ხმამ ტელეფონში, რომელიც ჯერ ვერ გამორკვეულიყო.

– თეჯი. ვცადოთ. მე ვეცდები. შენთვისაც და ჩემთვისაც. ვნახოთ, რა გამოვა – თეჯის არ უკითხავს, სად იყო ამდენი ხანი და რატომ არ ჩანდა. არ პასუხობდა. იცოდა, რომ სხვანაირად არ შეეძლო და ამიტომ აზრი არ ჰქონდა არაფრის კითხვას. მთავარი იყო, რომ ბრუნდებოდა.

– თანახმა ვარ – უთხრა თეჯიმ და გაეღიმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ექიმი

თორნიკე გოგნიაშვილი

კარდიოლოგი გეგეშიძე ყოველ საღამოს სტუმრობდა ვერის დუქანს. ყოველი სამუშაო დღის შემდეგ იქ ისვენებდა თანამშრომლებთან ერთად. ქალაქში სახელგანთქმული პროფესორი იყო და ყველგან პატივს სცემდნენ, ყველას უხაროდა მისი დანახვა. განსაკუთრებით, დუქნის მზარეულს, არტემ კარაპეტიანს. არტემი ძველი ვაჭარი იყო, ერთი თაღლითი და ძუნწი სომეხი, რომელსაც უამრავი ადამიანი ჰყავდა გაბრიყვებული და მოტყუებული. თავი რომ ვერსად შეაფარა და ეკლესიამაც არ მიიღო, დუქანში დაიწყო მზარეულად მუშაობა. ხელი კი კარგი ჰქონდა, კარგად უმასპინძლდებოდა კლიენტებს. უკმაყოფილო არავინ წასულა. არასოდეს მიუღია დუქნის მეპატრონეს შენიშვნა არტემის გამო. ერთი ხანობა აქაც დაიწყო თაღლითობა გადამდგარმა ვაჭარმა და გაგდებაც დაუპირა მეპატრონემ, მაგრამ ხალხი ვერაფრით შეეგუა ახალ მზარეულს, ვერაფრით მოიწონეს ახალი კერძები და დარჩა კიდეც არტემი.

იმ დღეს ადრე შემოვიდა გეგეშიძე დუქანში. რამდენიმე მეგობარიც მოიყოლა და ფანჯარასთან მდგარ მაგიდასთან დაჯდა. არტემი ჩვეულებისამებრ ღიმილით შეეგება ნაცნობ სტუმარს. მოუყვა, რა აწუხებდა და დაპირებებიც მიიღო. ერთ დღეს ფეხებიდან თმის ღერამდე გამოიკვლევდა არტემს და გვარიანადაც უმკურნალებდა. მზარეულსაც უხაროდა და მხიარული სახით განაგრძობდა თავის საქმეს. მიმტანს არც აცლიდა მის მაგიდასთან მისვლას. თვითონ მირბოდა და საგანგებო ლანგრით მიჰქონდა საჭმელ-სასმელი.

მეგობრებმა რამდენიმე ბოთლი ღვინო გაათავეს და სიმღერა წამოიწყეს. მერე გეგეშიძემ გიტარა მოითხოვა და უარი რომ მიიღო, ცოტათი დაღონდა. სანამ ესენი არ დაიშლებიან, გიტარას ვერ გამოვიტანთ, სხვებიც მოითხოვენ მერეო – ჩასჩურჩულა არტემმა პროფესორის ერთ-ერთ მეგობარს და ისევ განაგრძო თავისი საქმე.

შებინდებისას ხალხი უფრო შეემატა დუქანს. გეგეშიძის ყურადღება ერთმა გოგონამ მიიპყრო, რომელსაც მოკლე, შინდისფერი კაბა და შავი მაისური ეცვა. ეტყობოდა, რომ პირველად იყო ასეთ ადგილას, ძალიან ღელავდა, წამდაუწუმ კაბის ბოლოზე იკიდებდა ხელს და, რაც ძალა ჰქონდა, ექაჩებოდა ქვევით. ის გაშტერებული უყურებდა არტემის ვერცხლისფერ ნაჯახს, რომელიც ხორცის პატარ-პატარა ნაკუწებს აქეთ-იქით ისროდა. გოგონა ცდილობდა, არავის შეემჩნია, არავის ყურადღება არ მიექცია, მაგრამ არ გამოუვიდა. გეგეშიძე თვალს არ აცილებდა მას. არტემმა შენიშნა ეს ყველაფერი და ცოტა შეფიქრიანდა კიდეც, უფრო ღონივრად განაგრძო ხორცის დაჭრა, ეტყობოდა, გული მოსდიოდა სანუკვარ მეგობარზე.

გეგეშიძე სკამიდან წამოდგა და არტემთან ახლოს მივიდა. „ვინ არის ეს გოგონა?“ იკითხა და სიგარეტი ამოიღო ჯიბიდან. „არ ვიცი, არასოდეს მინახავს“ – არტემი თავაუღებლად პასუხობდა. თვალებში აღარ უყურებდა პროფესორს. გეგეშიძე გოგონას მიუახლოვდა, მან იუცხოვა უცხო მამაკაცის უცნაური ჟესტი და უკან დაიხია. მთვრალი მეგობრები მშვიდად უყურებდნენ გეგეშიძის საქციელს, როცა მან გოგონას წელზე მოხვია ხელი. არტემიც უყურებდა ხალხის გაკვირვებულ მზერას, მას ვერ გაეგო, რა შეიძლებოდა დამართნოდა ყველასათვის საყვარელ, მშვიდ ექიმს, რომელსაც უამრავი ადამიანი ჰყავდა დახსნილი სიკვდილის საცეცებისგან.

გოგონამ იკივლა და ჭიქას წაატანა ხელი. უნდოდა დაერტყა, მაგრამ ვერ შეძლო. გეგეშიძე არ ანებებდა თავს. ძალა რომ იგრძნო, ფეხებზე დაუწყო მოფერება, უჯიშო ძაღლივით ლოკავდა მის სახეს, ხალხი კი გაქვავებული იჯდა და უყურებდა საოცარ სანახაობას. არავის დასცდენია სიტყვა. მთვრალი კაცებიც კი არ წამომდგარან, მათაც კი არ ეყოთ გამბედაობა, წამით მაინც გაემართლებინათ იმ სადღეგრძელოების თუნდაც ნახევარი, რომლებიც დალიეს.

ექიმის მეგობრები იცინოდნენ, გოგონა კი ტიროდა. ტიროდა და, როგორც შეეძლო, ითავისუფლებდა თავს თეთრხალათიანი მამაკაცისგან. არტემის მზერას არ სჭირდებოდა დიდი გარკვევა და განსჯა, ყველაფერი ნათელი იყო. დღესავით ნათელი. ის გეგეშიძეს მიუახლოვდა და გამეტებით მოუქნია ნაჯახი.

გოგონა დუქნიდან გაიქცა, ხალხი კი ისევ უემოციოდ უყურებდა, როგორ მიგორავდა წითელ იატაკზე პროფესორი გეგეშიძის თავი.

ლუტეცია

უნდა ვაღიარო, რომ ყველაფერთან შეგუება ძალიან მიჭირს. მათ შორის, საკუთარ თავთანაც. ვფიქრობ, რატომ ხდება ეს და პასუხი ვერ მიპოვია. არ ვიცი, რა უნდა მოხდეს იმისათვის, რომ ჩემ გარშემო არსებული სამყარო ლამაზი გახდეს. არავინ და არაფერი მომწონს თითქმის... ჰო, «თითქმის» იმიტომ ვთქვი, რომ არის ერთი რაღაც, უფრო სწორად ვიღაც, ვინც ყველაფერს ისე გრძნობს და ხედავს, როგორც მე. მასაც, ისევე როგორც მე, სძულს მხიარული ადამიანები. ისინი ძალიან დიდ ბოროტებას მალავენ გულში. მათ შეუძლიათ დაუფიქრებლად გამოგჭრან ყელი, მიზერული მიზეზის გამოც კი. მხიარული ადამიანი ყოველთვის ბედნიერებაზე ფიქრობს, ბედნიერება კი დანაშაულია. რელიგია ცდება, როდესაც ცოდვას სხვა საგნებსა და მოვლენებში ეძებს. ყველაზე დიდი ცოდვა ამ მიწიერ სამყაროში,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწორედ ბედნიერების განცდაა. იქიდან იბადება ეგოიზმი, შური, მრუშობა, კაცთმოძულეობა და სხვა უამრავი მხეცი, რომელიც სისხლს სწოვს ადამიანს. ტალახისგან შექმნილი უტვინო არსებები ვერც კი აცნობიერებენ, რომ მათ გარშემო არსებული ყველა უბედურება, რაც კი ოდესმე დასტყდომიათ თავს, სწორედ ბედნიერების მოსაპოვებლად დაწყებულმა ბრძოლამ გამოიწვია. მათი პატარა ტვინები ნაკელით არის სავსე და ვერ წვდებიან ჭეშმარიტების ხეს, რომელსაც მოურწყველობისგან ფესვები თითქმის სულ გაუხმა. ჭეშმარიტებას ზოგი რელიგიაში ეძებს, ზოგი ფილოსოფიაში, ზოგიც მედიცინაში და კიდევ, ვინ იცის, სად აღარ. არ არის იგი არსად, სადაც თქვენი ჭუჭყიანი ტვინებით გგონიათ, რომ არის. ის მხოლოდ სიზმრებში ჩნდება და სიფხიზლის ჟამს ისევ ბნელ საკანში ბრუნდება. ის სიზმრებშია მხოლოდ. მხოლოდ ირეალურ სივრცეში და არსად სხვაგან.

შემოდგომის ერთ დღეს ჩემმა მეგობარმა კახეთში დამპატიჟა შაბათ-კვირის გასატარებლად. მე არ მიყვარს ტრანსპორტი, მაგრამ მაინც წავყევი. მეგობრისადმი სიყვარული უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე ის სიძულვილი, რომელსაც მგზავრობისადმი ვგრძნობ. ის ძალიან დამღლელი და შემაწუხებელია. ფეხით სეირნობას არაფერი სჯობს.

ჩავედით თუ არა, დედამისმა სუფრა გაგვიწყო, წესისამებრ. ოჯახის უფროსმა ახალი ღვინო გამოიტანა და მეზობლები შეკრიბა, ჩემი თავი გააცნო, ჩემი შვილის მეგობარიაო – ასე უთხრა. მათაც თავიდან თბილად მიმიღეს, ყველაფერს მე მიწყობდნენ თეფშზე, რაც კი ხელთ მოხვდებოდათ, ლამის საპურე და სატყემლეც გადმომიდეს, ხელსახოცში გახვეული. მე ძალიან მახარებდა კახელების ასეთი საქციელი და გული სიამაყით მევსებოდა. ვფიქრობდი, რომ მათ ყველაზე მეტად ვუყვარდი იმ წუთას. მეგონა, მე ვიყავი იმ ოჯახის და ზოგადად იმ კუთხის ყველაზე ღირსეული წევრი. ჰო, მიხაროდა მათი ასეთი საქციელი, მიხაროდა, მაგრამ პირს ვერაფერს ვაკარებდი. არ მინდოდა ჭამა, დალევაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტი იყო. მსურდა, ისე ვმჯდარიყავი სავსე მაგიდასთან, ცარიელი თეფშით და მეყურებინა, როგორ შეექცეოდნენ ჩემი ახალი მეგობრები ჩემს წილ საკვებს. ისეთი განცდა მეუფლებოდა, თითქოს მე ვუმასპინძლდებოდი მათ, თითქოს ჩემს წილს ვუთმობდი და ამით ვპასუხობდი იმ სიყვარულზე, რომელსაც ისინი იმეტებდნენ ჩემთვის.

ცივმა სასმელმა მათ გულებში ხანძარი უცებ ჩააქრო. ისინი ისე გამოჩნდნენ, როგორც ფერადი კენჭები დამშრალ მდინარეში. ტალახისტვინიანები, ღორებს დაემსგავსნენ. ძალიან მალე დაკარგეს ყველაფერი ის, რაც მანამდე შექმნეს.

ერთ-ერთი მათგანი დაინტერესდა, თუ რატომ არ ვეკარებოდი არაფერს, განსაკუთრებით კი ღვინოს. მე ვუპასუხე, რომ უბრალოდ არ მინდოდა. მან ისევ გამიმეორა კითხვა, მე ისევ იგივე ვუპასუხე. მერე მან ჩემს მეგობარს გახედა და ირონიულად ჩაიცინა. ახლაც მახსოვს მისი ულვაშიანი სახე, ის რაღაცით ჰგავდა ბელადს და უფრო კი ნიცშეს. მანაც დაკარგა ღმერთი! არ ვიცი, რა წყეული ეცა, ლაპარაკი ვერ შეაწყვეტინა ვერავინ. ის მე მიყვიროდა, შენიშვნებს მაძლევდა, ჭკუას მასწავლიდა. მერე ლანძღვაზე გადავიდა. ყველაფერი მიწოდა, რაც თავში მოუვიდა აზრად.

მე ხმა არ ამომიღია, მაგიდიდან ჩუმად ავდექი და მარანში შევედი. იქ ცოტა ხანს მდუმარედ ვიდექი, ცრემლის რგოლი ყელში მეჩხირებოდა და სუნთქვის საშუალებას არ მაძლევდა. ცოტა რომ დავმშვიდდი, თითზე დანა დავისვი და ღვინის ბოცასთან მივედი. ის ნახევრად დაცლილი იყო, ცარიელი ჭურჭლის გვერდით იდგა, თაროებთან. მე იმ ბოცაში სისხლის რამოდენიმე წვეთი ჩავუშვი და სავსე კასრებთან დავდგი. გამოტრიალებას ვაპირებდი, რომ იატაკზე წითელი სითხე შევნიშნე. მაშინვე ტილოს დავუწყე ძებნა. თავში ათასი აზრი მიტრიალებდა, ხან ვფიქრობდი რომ სიშლეგის მძაფრი შემოტევა იყო ეს ყველაფერი, ხან კი მეგონა, სწორედ იმას ვაკეთებდი, რაც ჩემმა მეგობარმა დაიმსახურა. მან არ დაიცვა ჩემი სული. დიახ, მან მხოლოდ ხორცის გასაძღომად დამპატიჟა თავის ბუნაგში. ის ისე იჯდა იქ, თითქოს კი არ მლანძღავდნენ, სახარებას მაზუთხინებდნენ. მან ერთი სიტყვაც კი არ თქვა ჩემს დასაცავად, ერთხელაც არ შეიკრა წარბი, როცა მე მაგინებდნენ. ალბათ იკითხავ, რატომ არაფერი ვუთხარი იმ ულვაშიან სატანას. თქმაზე მწარე ჩემი სისხლით შეზავებული ღვინის სმა არ იქნებოდა?!

მათ სამი დოქი დაცალეს, ჩემი ადგომის შემდეგ. სამივეჯერ მე ჩამოვასხი. სამივეჯერ შემოცურდა საზიზღარი ფიქრი ცნობიერების მდინარეში. მე თავის მოკვლა მსურდა. მინდოდა, დანით გამომეჭრა ყელი. ქუჩაშიც კი გავედი, ისეთი ადგილის საპოვნელად, სადაც ვერავინ დამინახავდა, მაგრამ ვერაფერი ვნახე. ვგრძნობდი, ბედისწერას ვუყვარდი. ჰო... მე მას ვუყვარდი, მიუხედავად ჩემი გარეწრობის. მიუხედავად ჩემი ავადმყოფური ხასიათის. მან ერთადერთმა მიმიღო და შემიფარა. მაგრძნობინა, რომ ადამიანები საკუთარი ფიქრით კი არა, ქმედებით ფასდებიან. ფასდებიან ისევ ადამიანების მიერ და მათ დაფასებულს ირჩევს თავად ბედისწერაც. ის ხომ ღმერთი არ არის, გაიგოს, რა იმალება შენი საქციელის მიღმა. ის იმას ხედავს, რასაც შენ. ისიც იმას გრძნობს, რასაც შენ გრძნობ ყოველდღიურად. მე ერთ რამეს ვხვდები, ადამიანებს ღუპავთ ღმერთობის სურვილი. დიახ, ისინი იხრჩობიან საკუთარ ფურთხში, როცა არაქათგამოცლილნი, წყვეტენ სხვისთვის ტაძრების აგებას. ალბათ ხშირად გაგიგონიათ ტალახისთავიანებისგან ასეთი რამ: ღმერთო, ოღონდ ჩემს შვილს არა და მე... ყოველგვარი განსაცდელი! ისინი ვერ აცნობიერებენ, რას შესთხოვენ უფალს. მათ სურთ უზენაესმა თითოეულ მათგანში ჩადოს იესოს ძალა. თითოეულს ღმერთკაცობა სწყურია. ისინი მუხლმოდრეკილნი ლოცულობენ ტაძარში ამისათვის. წირვებს ესწრებიან, სან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თელს ანთებენ, მარხულობენ და მოელიან სანუკვარი ნატვრის ასრულებას. ჰო... მერე გადის დრო და უკვირთ, ღმერთი რომ წყრება და მათ ნაცვლად ისევ მათ შვილებს სჯის. ტალახისთავიანები ფიქრობენ, რომ სხვისი ცოდვისა თუ განსაცდელის გადაბარება დაამშვიდებთ მათ. მათ სჯერათ, რომ ღირსეული მშობლები იქნებიან, თუ შვილებისათვის თავს გასწირავენ. ვერ ხვდებიან, რომ ბედნიერებისათვის დაწყებული ბრძოლის მსხვერპლნი ხდებიან თავად.

საღამოს, როცა ყველა წავიდა, მე და ჩემი მეგობარი ოთახში მარტონი დავრჩით. მე სიტყვაც არ დამცდენია იმ ყველაფერზე, რაც სუფრასთან მოხდა. ის ისე იჭერდა თავს, თითქოს დიდი მიზეზი უნდა მქონოდა კარგ ხასიათზე ყოფნის. მან მკითხა კიდეც, რატომ ვიყავი გუნებაწამხდარი. მე ვუპასუხე, რომ დავიღალე, მან გაიცინა. გაიცინა და კედლის საათში გაკვეხებულ ისრებს შეხედა. „დიდი დრო გავიდა“ თქვა და მერე იატაკს დაუწყო ყურება. გრძელი ხელები მუხლებზე შემოედო, წელში მოხრილიყო, წითურ თმას ნერვიულად უსვამდა თხელ თითებს, ტიფიანივით ცახცახებდა, სკამზე ვერ ისვენებდა. მე ვფიქრობდი, რომ განიცდიდა რაღაცას... მას წართმეული ჰქონდა ფიქრის უნარი, ძაფებით დაბმულ თოჯინას ჰგავდა, ნაჭრის საგანს. მე ყველაფერს ვხვდებოდი, მას ტირილი უნდოდა.

– იტირე! – ვუთხარი და ფანჯრისკენ შევტრიალდი.

– რა?! – გაიოცა მან.

– ჰო იტირე. გელოდები, მიდი, იტირე. – მან ჩემს სახეს შეხედა.

– გიჟი ხარ?! – ცოტა ხნით გაჩუმდა და მერე ისევ განაგრძო. – მე დავინახე, რაც გააკეთე! კართან ვიდექი!

– იტირე, მიდი! – ვუმეორებდი ჯიუტად.

– ავადმყოფი ხარ შენ! მეზიზღები! – მას არ ვძულდი, უბრალოდ საკუთარი თავის ეშინოდა. ეშინოდა, რომ ოდესმე ისიც ჩემნაირი გახდებოდა.

– იტირე რა, გთხოვ! ჰა, მიდი იტირე, გელოდები. იტირე, თორემ დაიხრჩვები. მასე ბევრს დამართნია. – ვგრძნობდი, რომ მისი ემოციების მართვა შემეძლო და ეს ძალიან მომწონდა.

– გინდა, რომ მოგკლა?! რაც გააკეთე, მაგის გამო, იცი, რომ მოსაკლავი ხარ?! – ის ადგა და საყელოში ჩამავლო ხელი. უნდოდა დაერტყა, მაგრამ ვერ გაბედა. მე ადგილიდან არ გავნძრეულვარ, ბგერა არ დამცდენია, უსულო საგანივით ვიყავი ერთ ადგილას გაშეშებული. ის კი თვალებში მიყურებდა და ცდილობდა ეგრძნობინებინა, რა მოსდიოდა იმ სიყვარულს, რომელსაც ჩემ მიმართ გრძნობდა. იგი ქვიშის სახლივით იშლებოდა თითქოს.

– დალიე შენც?! – ძლივს გავბედე სიტყვის დაძვრა.

– ნაბიჭვარი ხარ!

– დალიე?!

– არა, რა თქმა უნდა! – ჯიბიდან ღილაკიანი დანა ამოვიღე და მაგიდაზე დავდე. მე ვიცოდი, რაც ხდებოდა მის თავს. ისიც ვიცოდი, რომ მისი თითოეული სიტყვა ისეთივე ყალბი იყო, როგორც მისი სიძულვილი ჩემდამი. არ მინდოდა, რაიმე ბრალი მქონოდა მის ტანჯვასთან, ამიტომ ოთახი დავტოვე. მას დავუტოვე ჩემი უსაყვარლესი ნივთი, რომელიც დედამ მაჩუქა იუბილეზე და კიდევ რაღაც. ის რაღაც იყო ენერგია, ძალა, რომლითაც იმართება ყველა საგანი თუ მოვლენა, რომლის მართვაც თავად გსურს. მას არ სჭირდება ღმერთი იმისათვის, რომ ილოცოს. მას ისედაც ჰყავს მფარველი საკუთარი სინდისის სახით. ის არ არის მკრეხელი ჩემგან განსხვავებით, ის არ ფიქრობს სიკვდილზე და არ უყვარს ყოველ დილით სასახლეებით სავსე შენობასთან ჩავლა. ის არ მგავს მე, მაგრამ მაინც მეგობრობს ჩემთან. ნეტავი რატომ? მე ვუყვარვარ მას. დიახ! ამიტომაც დალია ის სასმელი. ლუტეცია ჩემი სისხლით იღებავს ყოველ დღესასწაულზე თმას. ის მხოლოდ ჩემი ნეკნის ნაწილი არ არის, ის ძალაა, რომელსაც სურს, მმართოს. გამოუვა ნეტავ? ალბათ გამოუვა, რადგან მე თავად მივეცი ამის ნება.

მე და ლუტეციამ რამოდენიმე თვეში დავიწერეთ ჯვარი. ეს დღე ყველაზე ულამაზო და უცნაური იყო ჩემს ცხოვრებაში. ის შავი კაბით მოვიდა ტაძართან. მაშინ ნაცნობი შეგრძნება წამოვიდა სხეულში, ვგრძნობდი, რომ სახე მეცვლებოდა და ხორბლისფერი კანი დნობას იწყებდა მთვარის შუქზე. მე საკუთარი თავის ცნობა მიჭირდა, ვფიქრობდი, რომ ყველა დანაკარგს შეავსებდა ეს ქალი. და მაინც, რატომ იყო ასეთი სევდიანი? ვეკითხებოდი თავს. ის იცინოდა და თვალს არ მაცილებდა.

ეზოში რამოდენიმე ადამიანი იყო მხოლოდ, მღვდელი, მეჯვარეები, ლუტეცია და ის. ის ულვაშიანი მამაკაცი, რომელიც კახეთში ვნახე თვეების წინ. არ ვიცი, რატომ მივამსგავსე იგი ცაცხვის იმ ხეს, რომელთანაც იდგა. მკვდარი ფოთლები მის მტვრიან ფეხსაცმელს ფარავდნენ, ზუსტად ისე, როგორც ტალღა ფარავს ზღვაში შესული ქალის ნაპირთან დატოვებულ კაბას. მე ვხედავდი, რომ მას კლარნეტი ეჭირა ხელში. ტაძარში შევედით თუ არა, მდუმარე ინსტრუმენტს სული ჩაბერა და მუსიკამ ფოთოლივით დაიწყო ხის ტოტებიდან ვარდნა. ეს იყო მელოდია, რომელმაც ხალიჩასავით აკეცა გზა და დატოვა მხოლოდ ცარიელი სივრცე, სიჩუმისგან გაბრუებული. ამ სივრცეში ერთი შენობა იდგა მარტო, ტაძარი, რომელსაც დიდი ეზო ჰქონდა. ჩვენ მალე ქვებად ვიქცეოდით და კედლის ჩამოშლილ ნაწილს შევავსებდით. ეს ხმა შეცვლიდა ყველაფერს. ეს ხმა გაათეთრებდა ლუტეციას ღამისფერ კაბას და სიცოცხლის ფერებით შემოსავდა მას. მსურდა მუხლებზე დავმდგარიყავი და ლოცვა დამეწყო. არ ვიცი, მომისმენდა თუ არა ღმერთი, არ ვიცი, იქნებოდა თუ არა იქ, სადაც მეგონა, რომ იყო, არ ვიცი, რა მოხდებოდა შემდეგ, უბრალოდ მინდოდა, მელოცა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4 კრიტიკა & ფოლკლორი

„საქართველოში დალევა ხომ ნაღდი ჯაზია“, ჰოდა, ეს რომანიც ნაღდი ჯაზია

ლელა კოდალაშვილი

ასეც ხდება ხოლმე, რომ როცა ერთი, ფერთა განსაკუთრებული გამისა და კომპოზიციის ტექსტი იქმნება, ავტორი რაღაც ხნის განმავლობაში ვერ ელევა მიგნებულ მიმართულებას და ცდილობს, მაქსიმალურად ამოწუროს თავი ამ კუთხით. მე მგონია, რომ სწორედ ასე მოხდა ზურაბ ქარუმიძის ახალი რომანის, „ჯაზის ყვავილობის“ შემთხვევაში, რომელიც თავისუფლად შეიძლება გამოვაცხადოთ წინა რომანის, „მელია-ტულეფიას“ ერთგვარ მემკვიდრე ტექსტად. ეს სტატუსი მას სიუჟეტის ქრონოლოგიის გამოც ეკუთვნის და მხატვრულ-ჟანრობრივადაც, თუმცა, საქმე, ცხადია, სულ სხვა „ინტრიგების“ და სიახლეების მატარებელ მასალასთან გვაქვს, ვიდრე ეს „ტულეფიას“ შემთხვევაში იყო.

ალბათ ყველას გახსოვთ „მელიას“ ირგვლივ ატეხილი სკანდალი, რაც, რა საოცარიც არ უნდა იყოს, სულაც არ უკავშირდებოდა თვითონ რომანს. უფრო სწორად, რომანის სიუჟეტი ბრბოს განხილვის საგანი მას მერე გახდა, რაც მისი ავტორის დიპლომატიურ თანამდებობაზე დანიშვნა დააპირეს. რა კურიოზულიც არ უნდა იყოს, ფაქტი ისაა, რომ ტექსტის მიმართ წაყენებულმა უბირმა ბრალდებებმა თუ სხვა გარემოებებმა, ავტორის თანამდებობაზე დანიშვნა შეუძლებელი გახადა, თუმცა, ეს ანტიპიარი, დიდი ნერვების და ემოციების დახარჯვის ფასად, რომანს მაინც წაადგა. რადგან მანამდე თუ ქარუმიძე ე.წ. ინტელექტუალთა ვიწრო წრის საკითხავი მწერალი იყო, ამ სკანდალის მერე მის წიგნზე, მართალია, წაუკითხავზე, სანტექნიკოსებიდან დაწყებული, ფუნთუშების გამყიდველებით დამთავრებული, ყველა ალაპარაკდა. რას ვიზამთ, საწუთროს ამ უკუღმართობას მიჩვეული ვართ – მწერლის პოპულარობა შეიძლება მისმა ნაწერმა კი არა, ნებისმიერმა სხვა რამემ განაპირობოს, რაც, საბოლოოდ, ადრე თუ გვიან, მაინც ტექსტებამდე მიიყვანს ხალხს. თან, თუ შიგადაშიგ ავტორის მიმართ პიკანტური ეპითეტები – „უხამსი“, „პორნოგრაფისტი“, „ონანისტი“ ფიგურირებს, ჩვენი საზოგადოების ღრმად მიძინებული (ა)მორალისტური ბუნებაც აქ იღვიძებს და საკუთარი ვერგანხორციელებული ეროტიკული მითების ბურუსში გახვეული, სომნაბულური ბოდვებით „ამკობს“ მწერალს.

მოკლედ, „მელია-ტულეფიას“ წყალმაც ასეთი ქაოსის ფონზე ჩაიარა და ამასობაში, როგორც მოგახსენეთ, დაიბადა ახალი რომანი – „ჯაზის ყვავილობა“, რომელიც, ეს-ესაა, გამომცემლობა „აზრმა“ დასტამბა. სახელწოდების ცხად ეტიმოლოგიურ რემინისცენციებზე აღარ



ეროვნული ბიბლიოთეკა

შევჩერდები და ქარუმიძის რომანების ზემოთ ნახსენებ მსგავსება-ნათესაობაზე ვიტყვი ორ სიტყვას...

თავის დროზე ვწერდი, რომ „ტულეფიამ“ ქართულ სალიტერატურო სივრცეში მანამდე გამოუყენებელი დეკორაციების, ლიტერატურული მოტივების, სოციოლოგიური წიაღსვლების, მისტიკის, ისტორიის, კომპოზიციური ხერხების, ცოტა არ იყოს, ეკლექტური ნიმუში გადაგვიშალა-მეთქი. იქ პერსონაჟია ოთხი სხვადასხვა ეროვნების ადამიანი, რომელიც ექცევა ევროპაში უკვე დაბერებული, საქართველოში კი ახლადფეხადგმული ბოჰემურ-მოდერნისტული დინების ნაკადში. იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს ისევე, როგორც ეს ოთხი პერსონაჟი, ასევე მასთან ერთად ქვეყნის ხელისუფლება და ხელოვანთა ბომონდი – ერთი სამყაროა. თითქოს ყველა ერთად – მხატვარი, პოეტი, მუშა, ოფიციანტი, რევოლუციონერი, ჩინოვნიკი, კომერსანტი – დაძრულა და ერთი დიდი, მისტიკური რიტუალის ჩატარება განუზრახავს-მეთქი. იქ მთავარი პერსონაჟი არის ეპოქა და მისი სუნთქვა. ავტორი, ლამისაა, აკრობატულ ილეთებს იყენებს, რომ მკითხველამდე სწორედ მთავარი რამ – მეოცე საუკუნის ოციანი წლები მოიტანოს.

„ჯაზის ყვავილობა“ სწორედ ამ მოდელს აგრძელებს და ავითარებს. მოქმედება კი 20-იანი წლებიდან 50-იანი წლების საქართველოში ინაცვლებს იმდროინდელი ისტორიული მოვლენების ფონზე. თხრობისას ისე ბუნებრივად ზავდება ისტორია და ფანტაზია, როგორც ვისკიში ჩაყრილი გაზირებული ყინულის კუბები, დალევისას ენის რეცეპტორებზე რომ შეგაგრძნობინებთ ფენოლურ ტონებს. კვლავ გვხვდება გრადაციული, სრიალა გადასვლები ისტორიული პერსონაჟებიდან მხატვრულ გმირებამდე, მონაცვლეობა რეალურად მომხდარი ამბებისა და ავტორის წარმოსახვის. რაც ყველაზე მთავარია, 1956 წლის ყველასათვის ნაცნობი სისხლიანი მოვლენები და მის ირგვლივ არსებული დროის არეალი სულ სხვა მისტიკური შრეების ფონზე იწყებს გაცოცხლებას. დემონსტრანტები, სტილიაგები, ოკულტიზმი, მედიტაციები, კაგებეს თანამშრომლები, ამერიკული დაზვერვა, და, რაც მთავარია, ჯაზი – ყველაფერი ეს საბოლოოდ ერთგვარ ფანტასმაგორიულ ორომტრიალში ექცევა და ამ ფონზე მიდის ფინალისკენ. რომანი არის ემოციურად მკვეთრად დამუხტული და აი, ასეთ ფორმულირებას გავაკეთებდი: თუ პირველ რომანზე ვთქვი, რომ ეს იყო ერთგვარად 20-იანი წლების „ტანცმაისტერის“ მიერ შექმნილი ქორეოგრაფიული ნიმუში, მეორე არის უკვე ერთგვარი ჯაზური კომპოზიცია.

წინა რომანთან კავშირს ამძაფრებს ზაქრო კარმელი, ერთ-ერთი პერსონაჟი ზემოთ ნახსენებ ოთხთაგან, რომელიც უკვე დაბერებული, ეზოთერიკულ-ეროტიკულ სამყაროშია ჩაძირული, ხოლო ლეგენდარულ შამბალას თითქოს ტიბეტიდან საქართველოში გადმოუნაცვლება. წარმართული კულტურის „ნახევარქრისტე“, ტაია შელია კი რომანის პერსონაჟად გვევლინება მოჯადოებული კაგებეს ფონზე, ჯაზისა და ამერიკული დაზვერვის კოქტეილში. უშიშროებას აქვს ინფორმაცია, რომ ამერიკული საიდუმლო სადაზვერვო ოპერაცია „ჟასმინი“ ჯაზური მუსიკის მეშვეობით ქვეყნის მოსახლეობაზე ფსიქოლოგიურ ზეწოლას ლამობს. რა გროტესკულად და დაუჯერებლადაც არ უნდა მოგვეჩვენოს დღეს ეს ამბავი, ყველას გვახსოვს არცთუ შორეული წარსული, როცა ჯაზი, როკი და სხვა დასავლური



თუ ამერიკული „შხამებით“ კვება აკრძალული გვქონდა საბჭოთა მოქალაქეებს. რომანის ოპტიმისტური აბსურდი კი ის არის, რომ „ჟასმინთან“ და ჯაზთან მებრძოლი უშიშროების კაპიტანი, ვენორი ქარცხავა საბოლოოდ ჯაზური მაგიის მუხლმოყრილი ფანატი და მსხვერპლიც კი შეიქნება. რაც მეტად გადადის თხრობა დრამატიზმში, მით მეტად შემოდის ავტორისეული გროტესკი, ირონია, როგორც ყველა ტრაგედიის საშველი და ზემდგომარეობა.

რომანში მოთხრობილი ამბავი, როგორც ასეთი, მომნუსხველია, და მძაფრი, მისტიკით შებურვილი სიუჟეტის მოყვარულებს თავს წააკითხებს. თავბრუდამხვევია ისტორიულ-მეცნიერული, ინფორმაციული ნაკადი, რომელიც მკითხველის ემოციურ რეცეპტორებზე მხატვრული ტექსტის ტოლფას ეფექტს ქმნის. ავტორი სხვადასხვა სტილურ ხელწერას მიმართავს და ამ თამაშით ცვლის რიტმს, ტემპს, ენას, თხრობის მანერას და უსასრულოდ იმპროვიზირებს.

იმპროვიზაცია – ეს სიტყვა შემთხვევით არ მიხსენებია, რადგან, როგორც ამას წინათ ფეისბუკზე დავწერე, „საქართველოში დალევა თუ ნაღდი ჯაზია“ (ზ. ქარუმიძე), ეს რომანიც ნაღდი ჯაზია. არა იმიტომ, რომ რომანის სათაურში ეს იტყვა ფიგურირებს, ან იმიტომ, რომ სიუჟეტში ჯაზის კლასიკოსებს უკრავენ, არამედ მხოლოდ უმართავი თხრობის მანერის, ჯაზისთვის დამახასიათებელი დისონანსური „აკორდების“ გამო, რომელიც პარალელური სიუჟეტების თხრობისას „ჩაესმის“ მკითხველს,

კაგებეს კაპიტან ვენორი ქარცხავას ბოდვითი ჩვენებების, უსასრულო ფანტასმაგორიის გამო, რომელიც, მე ვიტყოდი, რომ ავტორის მხრიდან ზომიერების დაკარგვის ერთ-ერთი უმთავრესი ნიმუშია ამ რომანში. საერთოდაც, თუ ნაკლი ვახსენეთ, ბარემ იმასაც ვიტყვი, რომ ზომიერების ზუსტი ბალანსის დაცვა ტექსტში ქართველი ცნობადი სახეების უშველებელი სპექტრის შემოტანითაც დარღვეულია. შექმნილია საგანგებო, გათვლილი ქაოსი, სადაც პანტა-პუნტით ცვივიან ნაცნობი სახელები და გვარები, სიმღერები, კინოფილმები – ყველა და ყველაფერი ერთმანეთშია აზელილი, რაც თხრობას მეტისმეტად ამძიმებს, ტვირთავს და რაღაც მომენტიდან მომაბეზრებელსაც კი ხდის. რომ არა ეს დისბალანსი, დრამატურგიულად ყველაფერი საინტერესოდ მიდის – რომანის სივრცე თითქოს ერთ უშველებელ მოედნად ქცეულა, სადაც ისე, როგორც ბეკეტის ერთ ძალიან სტატიკურ, მაგრამ ემოციურად დინამიკურ პიესაში, აქაც სამსჯავროს წინაშე უნდა წარდგეს ეს ამდენი ადამიანი, რომელიც იმ ფრაგმენტითაა წარმოდგენილი, რომელიც ძირითადად წინა საუკუნის თაობის ადამიანებს განსაკუთრებულად მძაფრად ახსოვთ. რაღაც მომენტში გიპყრობს განცდა, რომ რომანს კი არ კითხულობ, ერთ დიდ, უშველებელ ორგიას უყურებ, ან მიუზიკლს, სადაც მასობრივი სცენების დროს ასეულობით პერსონაჟი ერთდროულად ასრულებს ცეკვის მხოლოდ მისეულ მოძრაობას. აქ კი, არ შეიძლება არ ვთქვა ავტორის კინემატოგრაფიული ხედვის შესახებ, რომელიც კიდევ უფრო თვალნათლივ „მელია-ტულეფიაში" წარმოჩნდა და „ჯაზის ყვავილობაში" მეტი პერსონაჟის ფონზე ქაოსური სცენების კინემატოგრაფიულად გადაწყვეტის უდალაგებულესი ნიმუში მოგვცა.

ისევ დავუბრუნდები ამ შეფასებას – რომანს, როგორც ჯაზურ კომპოზიციას. განსაკუთრებით ტექსტის მეორე ნაწილს, სადაც სიტყვაც და დრამატურგიაც თავისუფალია ყველანაირი კლიშედან, რაც კი ლიტერატურაშია დაწესებული. შესაძლოა, არ მოგეწონოთ, ავტორს გადაჭარბებასა და გაზვიადებაში დასდოთ ბრალი, მაგრამ თავისუფლებისკენ ლტოლვის სიმცირეში თქვენ მას ვერ გამოიჭერთ.

როგორც ვლადიმერ ნაბოკოვის რომანში, „ლუჟინის დაცვა" ამბის დრამატურგია ვითარდება საჭადრაკო სვლების კომბინაციებით, ასევე „ჯაზის ყვავილობა" დაწერილია, უფრო სწორად, შესრულებულია ჯაზური იმპროვიზაციით და მხოლოდ მის კანონებს, ანუ კანონებს უკანონობის შესახებ ემორჩილება.

სადაც ავტორი ჭეშმარიტ თავისუფლებას ეზიარება თავისი განწყობით, იქ მისი თხრობა ძალდაუტანებელი და მსუბუქია, ხოლო სადაც იწყებს ფიქრს, როგორ გათავისუფლდეს უფრო მეტად, როგორ დაგვახვიოს თავბრუ და აგვირიოს თავგზა, იქ ნაკეთობის და მკითხველის მიმართ კოკეტობის კვალი ეტყობა ტექსტს. საერთოდაც, ქარუმიძეს მოსწონს კოკეტობა მკითხველის წინაშე. თავისთავად ამაში ცუდი არაფერია, რადგან ამ მანევრს ის, როგორც ერთგვარ ობლიგატოს, ისე იყენებს. ერთი ისაა, რომ ხანდახან ბუნებრიობა ღალატობს ხოლმე.

აქ ყველაფერი ერთადაა – სულიერი და მიწიერი სამყარო, სულები და ადამიანები, შესაძლებელი და შეუძლებელი, წარსული და მომავალი აწმყოსთან ერთად. აქ დროც და საიქიოსა და სააქაოს შორის ზღვარიც წაშლილია. მხოლოდ ტაქტილური შეგრძნებებია დარჩენილი ჩვენთვის, რათა ეს ყველაფერი ზუსტად აღვიქვათ და მკითხველური „პალპაციით" ვიგუმანოთ, სად არის ისტორიის მტკივნეული ნაწილი, სად ავტორის ფანტასმაგორია და სად პერსონაჟთა ბოდვითი ჩვენებები.

ამ წიგნის წაკითხვის მერე იწყებ ფიქრს. 50-იანი წლების საქართველოს ხომ, ასე თუ ისე, ვიცნობთ და მთელი საბჭოთა მარაზმიც 90-იანელთა თაობას ბავშვობაში მაინც საკუთარ ტყავზე განუცდია. ამ თემაზე უამრავი ფილმი გვინახავს და უამრავი წიგნი წაგვიკითხავს. და რა არის ასეთი გაცვეთილი მომენტების გაცოცხლების დროს მწერლის მისია – დაგვანახოს საკითხი სულ სხვა რაკურსიდან. ქარუმიძეც სწორედ ამას აკეთებს – იმას, რაც გვგონია, რომ კარგად ვიცით, ახალი ქვესკნელიდან ახალი მიკროსკოპული ინსტრუმენტებით გვაჭვრეტინებს და კეროლის თეთრი კურდღელივით გვიხსნის სულ სხვა სამყაროს გასაღებს, რომელზეც არასოდეს გვიფიქრია. გასაღებია ისიც, რომ ასეთი მიდგომით კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით – ნეგატიურ ისტორიულ პროცესებში ყოველთვის დუღს განვითარება, ყოველთვის მოიაზრება ყვავილის თესლივით სადღაც სიღრმეში მღვივარი სიცოცხლე, რომელიც თავის დროზე სწორედ ასე აღმოცენდა და დაიწყო ჩვენი დამტვერვა. ის, რაც დღევანდელ თაობას, როგორც ნორმა, აქვს, სწორედ იმ ჯურღმულებში გაბმული უხილავი თუ ხილული ქსელებისა და ლაბირინთების ქსოვისა და ხლართვის ნაყოფია. ამ რომანით ჩვენ ვხვდებით, როგორ მივუდგეთ ისტორიას მისტიციზმის ჭრილში, რომ ლევიტაცია, ექსტაზი, მედიტირება – ეს რეალობის მეორე და საგულისხმო მხარეა. მითები ხანდახან კონკრეტულ ამბებს ქმნიან, და არა – პირიქით.

ზურაბ ქარუმიძის მწერლური სამყარო პოსტმოდერნისტული ველია. ის უკვე ზუსტად ფლობს ოსტატობის ხარისხს და ამ ველზე ყოველი მკვეთრი მოძრაობა ახალი „ნაღმის" აფეთქებით შეიძლება დამთავრდეს. უკვე აფეთქებულ ორ ნაღმში მის აქ მოხსენიებულ ორ რომანს ვგულისხმობ. არ ვიცი, თვითონ ფიქრობს თუ არა ტრილოგიაზე, მაგრამ მე მგონია, რომ მესამე ნაღმი სწორედ 90-იანი წლების საქართველო შეიძლება იყოს, რომელიც ასევე გადაღეჭილი თემაა და სწორედ აქ არის საჭირო ის ჯადოსნური ჯოხი, რომლის მეშვეობითაც ამ მწერალმა რეალობის ახალი ჯურღმულები შეიძლება გაანათოს. ეს, ცხადია, ჩემი პირადი სურვილია, თუმცა კი, ერთგვარი მწერლური ლოგიკის გათვალისწინებით გაჩენილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„სიზმარ ნახ პაპათ ბერიზემ“ – ბენვზე გადარჩენილი ლექსები და ამბები

თეა თოფურია

„მამუკაი ვარ მოლექსე, ნაცვალაურ მაქვ გვარია“, – გრძელი ლექსის ბოლოსკენ ავტორი თავის სახელსა და გვარსაც ამბობს. ხალხს თავს ასე თუ დაამახსოვრებინებ, სხვაგვარად შენს ლექსს ერთი მთის იქით უკვე სხვაგვარად იტყვიან, შემდეგი მთის იქით, ვინმე ნაკლებად თუ მეტად ნიჭიერი კიდევ ერთ სტროფს მიამატებს და საბოლოოდ, თუ ლექსმა ბეჭდური ქაღალდის ეპოქას მიაღწია, მას ბოლოს „ხალხური“ მიეწერება.

ლექსები, ამბები, თქმულებები, თავმოყრილი ენათმეცნიერების ინსტიტუტის დიალექტური კორპუსის ბაზაში, უმეტესად აი, ასეთია – „ხალხური“. ეს ამბები თავიდან იმის გამო გროვდებოდა, რომ მომავალ თაობებს ქართული კილოების ნიმუშები დარჩენოდათ. ყოველთვის ხომ არ იქნებიან ადამიანები, რომლებიც ასეთი წინადადებებით ილაპარაკებენ: „ქისტებ დასცემიან მათურასა, სარქიათ საქონ წაუსხამ“...

დიალექტური კორპუსი დღემდე აგროვებს ამ ხმებს მთელ საქართველოში და მის გარეთ. მარინე ბერიძე, რომელიც ენობრივი მონაცემების კომპიუტერული დამუშავების განყოფილების ხელმძღვანელია, ამბობს, რომ ზღვა მასალა დაუგროვდათ. ფერეიდანში, ტაოკლარჯეთში, ხევსურეთში, გურიაში... ჩაწერილი ხმები თბილისში კომპიუტერში შეაქვთ და სპეციალურ ვებგვერდზე იყრის თავს. ლამის ყველა სოფელში სხვადასხვა დიალექტზე ლაპარაკობენ, კიდევ „უარესი“ – ყველა ადამიანი ინდივიდუალურია და თავისებურად უქცევს.

ამ ტექსტების ლინგვისტური მნიშვნელობა ერთია და მათი შინაარსი კიდევ სხვა. რას ჰყვება ეს ხალხი? ხალხი, რომელიც უმეტესად ცხრა მთას ამოფარებულ სოფელში გაიზარდა და იმედიც არ ჰქონდა, რომ მათთან ვინმე მიკროფონით ხელში მივიდოდა. ძირითადად ასეა, ან ლექსს იხსენებენ, ან ზღაპარს, თუ ვერცერთი ვერ მოიგონეს, საკუთარ ამბავს ჰყვებიან, ხშირად არანაკლებ საინტერესოს.



„ერთ მათურელ დედაკაცის ნატირალ რაიმ ვიცი. ქისტებ დასცემიან მათურასა, სარქიათ საქონ წაუსხამ. ორას ძროხაშიითა ერთ ჴბუა დამრჩალა გომურშია, აი ბატკანეები, ქორფეები, აისეებიღა მაჟჰშჩომიან. სარქია გამაზდგომია მარტუაი. კირაადამ არ დაჟშველებიან მათურელნი. ჩოჴის ბოლოთზე გაჟმბია ი თეთრუაი, არ უშვავისი ქმარი. მთას რო გადასულან, სარქიას უთქომ: მე რაადღა მწირავთო აქაო, მენც წამიყვანეთო. მაშინავ

თოფ დაუკრავ ქისტებსად' მაუკლავის. გაუგავ სოფელსა,
რომ მაუტანავ ი სარქიაი, მაშინ უტირნავ ი დედაკაცსა:
ცათამც მეხ დასცა მათურელთაო,
პაპალიასად' ჯარიასაო,
მაგათ მამიკლეს სარქიაიო,
მაგათ დამხურნეს თავზე ცანიო...“

გამოცემა: საუბრები ფშაურ კილოზე (თებრო გოგოლაური) www.corpora.co

ცხვარი მთის მარჩენალი იყო, ლექსებში ხშირად გვხვდება. ზევით რომ მამუკა ნაცვალაური ვახსენე, ისიც იმ ამბავს ჰყვება, როგორ დაეცნენ საქონლის სადგომებს დაღესტნელები. ლექსი გრძელია და დეტალური. აქ მხოლოდ ნაწყვეტს მოვიტან:

„სიზმარ ნახ პაპათ ბერიზემ: წყალმა წაართვა ცხვარია.
მწყემსებს ამთხილებს ბერიზე, თავს არ დაგვეცეს მტერია;
წამლით დაავსო მასრანი, თოფს დაუპირა ტალია.
ორშაბათს დაღამებაზედ ჩეთმაში თოფის ჴმანია.
მათურელთ ბინებს დაეცნეს, ბაკებს გაუღეს კარია,
სუ ერთმანეთში დაუცავ ექვსი ათასი ცხვარია...
– თოფო დედისძმისეულო, იმედი მაქვის შენია,
ჴორცი ჭამე, ძვალი კვნიტე, მტრის ამომყარე ჯავრია!..
თოფი დაგვიკრეს ბერიზეს, სისხლის გადმოშჩქეფს ღვარია.
სახელოანო ფშაველო, ირემო, დასხენ რქანია...
ექვსი შესწირა მწყემსებსა: სულეთს უზიდეთ წყალია!
ოთხი შესწირა თავის თავს: იყავით ჩემი ყმანია!
ორი შესწირა ძაღლებსა: უკეთეთ სალაფავია!
მტერმა გაგირეკ, ბერიზევ, სამი ათასი ცხვარია.
ნუ შესწუხდები, ბერიზევ, ბევრ ცხვამ იყარა ჯავრია –
სამოც დაღისტნელმ დაყარა ჩეთმის მინდორში ძვალია“.

გამოცემა: თუშური კილო (თედო უთურგაიძე) www.corpora.co

რა თქმა უნდა, მხოლოდ ცხვრის გამო არ იბრძოდნენ. იყო გაცილებით მძიმე და რთული დღეები, რომელიც შემდეგ უფრო გრძელ და უფრო კარგ ლექსებში იჩენდა თავს. ამ ლექსში ავტორი თავის სახელს და გვარს არ ახსენებს, სამაგიეროდ სხვებისას ამბობს, აქ პრიორიტეტი მათი სახელების დამახსოვრებაა.

„გურგენმა ჭინჭარაულმა ზეზვაცს ჴელი დახკრ მჴარზედა;
– დაბერებულხარ ცოტაცად, თეთრ გამოგრევი თმაზედა.
გემრივლად პური შეჭამეს ლაშარ გიორგის კარზედა.
გურგენი ჭინჭარაული ზეზვამ გაიკითხ განზედა:
– ძმანი ხართ, უნდა მოგვემჴრნეთ თათრებსთან ომობაზედა“.

გამოცემა: თუშური კილო (თედო უთურგაიძე) www.corpora.co

და კიდევ სხვა ომი, რომელი – არ ჩანს, ვინმე გიორგი ბრძოლაში დაიღუპა, სხვამ კი ეს ამბავი გალექსა. ლექსი ძალიან ძლიერია. მძიმე დღეები ხშირად შედევრებს ტოვებენ.

„ომია ივრის პირზედა,
სისხსა სწვიმს, მაღლა დარია
შენი სიკვდილით, გიორგი,
ცას დარეკილა ზარია,
ხუთშაბათს ფშავში გაიგეს,
დადგა დიდ ცოდვა-ბრალია.
შავეთში უკლოთ გაიგეს
გაჴსნეს სამოთხის კარია,
მოდი, დაბრძანდი, გიორგი,
მაართვეს ოქროს სკამია,
ექიმსაც დაგაყენებენ,
რო მორჩეს ნატყვიარია,
ღელეს ატირდა თამარი,
ლაშარს – ლაშარის ჯვარია,
მაჴჭვადა თავის ლურჯასა
წელზე შაიჴსნა ჴმალია:
ე მაგის მალექსებელსა
სუყველყნითა მქონ გზანიო,
ან ხანჯარ გამამიგზავნეთ,
ან თათრის ნარტყამ ჴმალიო,
მე კი ვჯერდები ყველასა,
თუნდ იყოს ქალმის ჯღანიო“.

გამოცემა: თუშური კილო (თედო უთურგაიძე) www.corpora.co

ეს ყველაფერი გმირებზეა, სხვადასხვა ლექსებში ასეთებს სამოთხის კარს უღებენ და შიგ შეჰყავთ. მთაში ასე „იციან“ – საიქიოს კარი აქვს „კარიმც გაგიღო შავეთოო, მჴარნიმც მაჩვენა ძმისანიო“ (გამოცემა: საუბრები ფშაურ კილოზე (თებრო გოგოლაური) www.corpora.co). მაგრამ არიან ანტიგმირებიც, რომელთაც ასევე აქვთ ლექსში ადგილი, უფრო სამასხარაოდ, მაგრამ მაინც.

„ჴევსურს დეეწვასო ჯვარ-ხატიო, სუ საქმე აქვის გამწყრალიო,
სამჯერ ადგება, დაჯდებაო, სასმელ რო ედგას სამ ჩაფიო,
დააქვისო ბედისკვერაიო, რახან თოვლ მუა, ზამთარიო,
სად რა მაასწრობს ქარბუქიო, სად რა დაარჩობს ნაქარიო.
– მემრე დადიან, ეძებენო, ჩვენ ოდინ ოჟა სად არივ?
– ეშმაკებ დალალებულანო, უდგა ერთ სიცილ-ხარხარიო“.

გამოცემა: საუბრები ფშაურ კილოზე (თებრო გოგოლაური) www.corpora.co

და კიდევ ერთი, უვარგის ქმარზე:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მახარობელი მოვიდა: ქალო მოგიკვდა ქმარიავ! სამახარობლო გავიღე, თორმეტი შიშაქ ცხვარიავ, იმასაც არა დავუჯერდი, გამოუდგ ნიშაკ ჴხარიავ.

გამოცემა: თუშური კილო (თედო უთურგაიძე)
www.corpora.co

ხშირად ადამიანები თავადაც ხდებოდნენ ხალხურები, თავისდაუნებურად, სულ რომ არ უნდოდათ, ისე. ხალხმა მათი ლექსები და საქმეები იცის, მაგრამ ამის მიღმა ავიწყდებათ, როგორები იყვნენ სინამდვილეში, რაზე ბრაზდებოდნენ, რა ეცვათ, რა ეხურათ, რა ჩვევები ახასიათებდათ. ახსოვთ მათ, ვინც მოესწრნენ, მაგალითად სამსაონ ციმაკურიძეს, რომელსაც აკაკი წერეთელის მოგონებაც შეეძლო, მთელი მისი ოჯახის და კუდალა ხარისაც.

„მე აკაკისთან აღზდილი ვარ. ათი წლის რო ვიყავი, მას უკან იქ ვიყავი სულ. აკაკი და მისი რძალი – დავით წერეთლის ცოლი ცხოვრობდენ ცალკე. ვასიკო როა წერეთელი, მისი დედა ცხოვრობდა ცალკე.

მე ვიყავი დავით წერეთლის ცოლთან. ერთათ იყვენ სუყოველთვინ. მარიამი ქვიოდა აკაკის რძალს. პირველში ბოვშათ ვიყავი. დავდიოდი იმათ მამულში. აქ აბანოზე ვიყავი ხომე.

აკაკი მოვიდა ერთ მშვენიერ დღეს თავის რძალთან. დეიწყეს კარტის თამაში. მოუგო შვიდ-თუმან-ნახევარი მარიამს. მეტი ფული იმას აღარ ქონდა და არც ეთამაშა ნისიათ. ერთი ღორი ქვყამდა გასაყიდელი. ვაფასებდით სამთუმან-ნახევარს. აკაკიმ უთხრა: მეთამაშე მაგ ღორზეო. მოუგო ისიც, მერე დეიწყო სიცილი აკაკიმ: რა ჭყივილით წევიყვან მაგ ღორსაო. გააბრაზა.

წევიდა იმ ღამეს. მეორე დილას გამოუგზანია ბიჭი და დოუბარებია: ააჭყივლე იქა და გააბრაზე ჩემი რძალიო. თავათ წამოსულა და, ახლოს ვენახი იყო, იქ დამჯდარა.

უყურეფს, როგორ აჭყივლეფს ბიჭი ღორს. აკაკი ჯის და იცინის. გამოუვარდა მარიამი ბიჭსა: რას აყვირეფ მაგ გოჭსაო! წაათრიეო! მაშინ გამოჩითა აკაკი და დოუძახა: მოდი, ახლა კუდალა ხარზე მეთამაშეო! აბრაზებდა ასე. მალა კ'არ წაჩხუბებულან, მარა ახელებდა".

გამოცემა: ზემოიმერული კილოკავი (ქეთევან ძოწენიძე)
www.corpora.co

„ძალიან კარქი კაცი იყო" – ამ სიტყვებით კი ფარუზ კიკოლოვი რაფიელ ერისთავს იხსენებს.

რაფიელ ერისთავი, ჩემო შვილო, ქალაქში მუშაობდა თავი საქმეზედა. მე ვიყავი მეზვრეთ იმ დროდ. თითონ იმაჲ ვაჟი არა ჲყვანდა, ოთხი ქალი ჲყვანდა და სიძეები. ძალიან ტკბილი კაცი იყო. იმისგან წყეინობა თავი დღეში არ გამოიდოდა.

ერთხელა, კრეფი დროსა, მნახა მარტოკანა, ვაშლებ ვკრეფამდი, და მითხრა: შვილო, მაგრე კრეფა არ იქნებაო: ამ ნაყოფმა კიდენაც უნდა დაისხასო და, ამაჲ რო ყუნწიანათა ჲკრეფამთ, აღარ დაისხამსო, – დაგვარიგა რა! რა თქმა უნდა, კარქი იყო ესა. ის თავი დღეში ადამიან ვერ აწყეინემდა. იყო ცოტახან. მამრე, მე მყვანდა ექვსი თვი ბიჭი და საცეხველაში მეწვა და მოიდა და თქო: ეგ რა არიო? – და: ბავშვია-მეთქი.

– აბა, გადაჲხადე პირსახოციო, ვისიაო?

– ჩვენია-მეთქი. თან შაგვეხათრა, შაგვრცხვა. მამრე ბავშვ უთხრა: გაიზარდეო.

მამრე იყო კარქა ხანი ქალაქშია და წამოიდა. ი მოსავალი შვილებ გაუყო ოთხათა და მოსავალიც იმათ მაიხმარეჲ. ემ მამულეფში ჩვენა ვმუშაომდით. ნუგზარ ერისთავ ვეძახოდით, ის აქცემდა ყურადღებაჲ. აი, თუ რომ რამე დაქვჭირდებოდა, ჭიგო ან სხვა რამა, ის მოქვცემდა ხომე.

მამრე, რაფიელი რო ქალაქში გარდაიცვალა, მაიტანეს აქა ხელისხელათა. ორი ამფიონი მოჲდევდა ისრე: ერთში იმი რამეები ეწყო – ქუდი და რამეები, ერთშიც იმი მენდლები, თითონა კი ხელისხელ მაიტანეს, აქ დაასაფლავეს. მე აგურემ ვაწოდებდი, იგრე ამააშენეჲ. აი, აქ იყო დასაფლავებული, ყველაწმინდა როა, აქა ჭიდილი იმართებოდა ხომე დროები გასატარებლათ. თითონ ეთქო: აქ დამასაფლავეთო. აი, ხო გაგიგიათ, ლექსი როა: ჩემი სამშობლო ის არიო, საცა გავჩენილვარო.

ძალიან კარქი კაცი იყო, დანანება იცოდა, მიხედვა ხალხისა. შამწეობაჲ აძლემდა ხალხსა. მუშები რო არ ამაივლიდნენ ზვრიდანა, მზარეულ დაუძახემდა: ღვინო დაალეინეთო! შაბრალება ჲქონდა ხალხისა. მუშა რო დეენახა უქუდოთა, დაუძახემდა და ფულ მიჲცემდა: აჰა, იყიდე ქუდი და დაიხურეო! ეხლა შკოლა რო არი, იქა ცხოვრომდა რაფიელი, მაგრამ თითონ კი არა, იმი შვილები. რაფიელის სახლი კიდენა ქვეით არი, იმაჲ ხის სახლი ედგა. ქვეშა მარანი ჲქონდა და მაღლა კიდენა ხის სახლი.

ჰოდა, რაფიელი რო მოკვდა, დიდმარხვა იყო. ესა, შვილო, ორმოჲდარვა-ცხრა წლის წინათ იქნებოდა. ორნაირი ხარჯი იყო მაშინა: სამარხოცა და სახსნილოცა. ცხვრებიც ბევრი დახოცეჲ, სად იშოიდნენ სოფლი ხალხში იმოდენა ჭურჭელ!, საკლავებიც ბევრი დეეხოცნათ. ჩამოსულები იყვნენ სუყველაყა მხრიდან ხალხი. მამრე გამააცხადეჲ და სუყველაყა კაცმა თითო ჯამი და ხელადა წაიღეჲ.

გამოცემა: ქართული ენის კახური დიალექტი
(გრიგოლ იმნაიშვილი, არამ მარტიროსოვი) www.corpora.co

„ბრძანება შენი! მაჭახლიდამ ვარ, აკრიის სოფლიდამ" – ეს ახლანდელ თურქეთშია. ულფან ქოსე (მოფრინაძე) ავგაჰის ამბავს ყვება. ავგაჰი ჩვენებურად ნადირობაა. ნადირობის ისტორიებზე შეიძლება ცალკეც ბევრი დაიწეროს. აქ ყოველთვის რაღაცას აზვიადებენ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამატებენ, ფუთავენ ან შეიძლება, პირიქით, აშიშვლებენ. მახვილი თვალი უნდა გქონდეს, მიხვდე ამ ულრან ტყეში სად მთავრდება ფაქტი და სად იწყება გამონაგონი.

„მაჭახელში ტყე არი. შიგან ჯაბანი არი. „ნადირი" არ ვიტყვით. დათვი არი, ღორი არი, ტურა, მაჩვი, სხუა ჯაბანი. თათარძენა არი, კატას გავს, ხიდამ ხეზე გუუხტება, ყავი! ტავშანიც არი. „კურდღელი" არ ვიტყვით, არ ვიცით. „ნადირობა" არ ვიტყვით, რას ქვია? „ავგაჰი" ვიტყვით. ავგაჰი წევალთ. ღორებ, გელებ მოვკლავთ თოფებით. იშტა იმათ მოვკლავთ.

ავგაჰი ყოჩაში თოვლში ყოლაჯა, თოვლში ვერ გარბიან წეველით ათი კაცი მოდრეკილას. მოდრეკილაი მერეთის წინედამა კაი ტყე არი. ნაძვი ძირში დათვის კუალი მისულიყო. მეგრემ სამი არიან. ჩემ ემიაშვილმა ერთი თოფი მომცა: ედი, ესროლე დათვებსაო. იმ ნაძვიძირიდამ დათვებმა ასე გადმოხტენ. ჩუენ მოვკლათო. კაი თოფი არ მომცა. თოფი კაი რომ არ იყო, გეველი იქით, დავასე თოვლში. უთოფო წეველ. ეველით ნაძვი ძირში.

დათვმა გამომესხრიკა, დეეკავა'ნა ჩემი თავი. ქუეიდამ ჩემ ემიაშვილმა ესროლა. ერთი მოკლა, ორმა გეიქცენ. გალმით გუუწრა, ისინიც მოკლა. ჩამუელით ქუეით. თოფი ხმაზე კიდენ ამდგარიყვენ დათვები ბუნაგიდამ. იმ დღეს რვა დათვი მოვკალით. დათვის ტყავ მევტანთ, სახლებში არი".

გამოცემა: ჩვენებურების ქართული (შუშანა ფუტკარაძე)
www.corpora.co

მართლა დახოცეს თუ არა რვა დათვი (აქედან ერთმა უთოფოდ), გადამოწმება ალბათ მართლა შინ მოტანილი ტყავით თუ შეიძლება, თუმცა, ვისაც ამის შესაძლებლობაც არა აქვს, უბრალოდ, სიტყვაზე უნდა ვენდოთ. ზოგადად კი ასეთ ამბებში ყველაფერი ბევრად იმაზე იდეალურადაა, ვიდრე ცხოვრებაში – მონადირეები მამაცები და კეთილშობილები არიან, ნადირი – დიდი და საშიში.

დათვი მტერიც არის და სარჩოც. მისი ბუნება მამაკაცებს კარგად ჰქონდათ შესწავლილი. ყოველთვის არ გაგიმართლებს, ყოველთვის ვერ მოხვალ სახლში რვა ტყავით ხელში. გაბრო აბაიძე ჰყვება, რომ დათვის მოსანადირებლად ისეთ ადგილას უნდა ჩაწვე, ყველა მხრიდან ნიავი გიბერავდეს, რათა ცხოველმა სუნი არ იკრას. თვითონ დათვს თბილი ბუნაგი უყვარს, ქვეშ ხავსით, ცარიელ მიწაზე არ დაწვება:

„მთაში გადადის დაწოლის დროს. რაც გინდა დიდი თოვლი მოიდეს, მაინც გადავა იქით, ბინა საცა ეგულება, გამზადებული აქვს ბინები მაგათ. ძველს გამოხვეტავენ, ახალს შეიტანენ და მერე წავა საჭმოზე და იმ ბინას... იმ ბინაში ცხვა დათვი არ შევა, იმიტომ რო, ეხლა, კაცო, დაწოლის დროს რო სწავიდეს ისა და ის პატრონმ რო მაატანოს, ის იქ სად მაივდენს, მერე რო გამოიდეს კიდენ, სადღა ეძებნოს ბინა. იმას წინასწარავ უნდა ხქონდეს ყველას თავ-თავისი ბინები".

www.corpora.co

დიალექტურ კორპუსში ვეფხვისა და კაცის მეგობრობის ამბავიცაა შემონახული და კიდევ ყოვლად გაურკვეველი მხეცის ამბავიც, რომელიც რამდენიმე შეზარხოშებულმა გურულმა ისე აკუნა, ვერც თვითონ და ვერც სხვამ ვერ გაიგო, რა ცხოველი და ნადირი იყო. ეჭვი მაქვს, ვერც თქვენ გაიგებთ:

„ვახსენეთ ჯუმათის მონასტრის წმინდა იაკინთეს მადლი და გუუდექით გზას. ვიარეთ, ვიარეთ და მივაწიეთ ჯოჯოხეთას ტყის პირზე. ნელისპირი თოვს. ქარი თოლს არ ფანტავს. ჩევისაფრეთ ზოგმა იქით და ზოგმა აქით.უუშვით ძაღლები. არ გასულა ათი წუთი, რომ მორბის, მუაქ ხეი, მიწა, თაი, ბარი, ეწერი, ზეგანი. ისკუპა და გადახტა. აწი არ მეტყვით რა ფერის იყო? ფერი: ჭრელი, წითელი, ყვითელი, ალისფერი, მიხაკისფერი, იაგუნდის, წინწკლებიანი, ნაცრისფერხაზიანი, მოშავმწვანო ზოლებიანი. დეებღრიჯა პირისახე, დეეშტომა თვალები ოჩხამურის ჭინკასავით. არიქა, ბიჭო! – დეიძახა მაჭუტაძემ და ეცა მან. ამეიდვა ქვეშ. მიეშველენ გოგიელა, მახარბელა, ვახუშტელა, სარაფიონა, კვირიკეი, მარა ყველა თითოულათ ამეიდვა ქვეშ. არიქა, ბიჭო, თუ ვარგხარო შენო! – დამიძახა მე. დამიძახა თვარა, მივარდი; მივარდი, მომვარდა; ვეცი, მეცა; გადავატრიალე, გადმომატრიალა, წავაქციე, წამაქცია; მევიქნიე, მომიქნია. და ბოლოს შევახტი ჯირეკზე, მარა გადამასკიპარჭულა განზე. მაგრამ, როგორც მარჯვე, დავდექი ფეხზე. მერე, რომ მეცეს კიდომ, იგი ხანია, ევიწიე, გადავასკიპარჭულდი კისერში, ამევიღე ხანჯალი და გამუუსვი კისერში და გადავალურსვიე თვალები".

გამოცემა: გურული დიალექტი (გრიგოლ იმნაიშვილი)
www.corpora.co

მე – ბარკალი და ჩალაღაჯი, მაჭუტაძეს – კიმკიმი და საფეთქელი, – შაქრო ჭელიძე ამბავს ასე ამთავრებს. ეს დაახლოებით ჭირი – იქა, ფქვილი – აქაა. უბრალოდ ამ შემთხვევაში ჭირი საფეთქელი გახდა, ფქვილი – ჩალაღაჯი. უკვე ვთქვი, ყველა სოფელში ამბავს თავისებურად ჰყვებიან და ამ სოფლის ყველა მკვიდრიც სხვადასხვანაირად ამბობს სათქმელს. ამიტომაც არის ეს ამბები გურულების მონადირებული მხეცივით გამოუცნობი და სხვადასხვანაირი: ჭრელი, წითელი, ყვითელი, ალისფერი, მიხაკისფერი, იაგუნდის, წინწკლებიანი, ნაცრისფერხაზიანი, მოშავმწვანო ზოლებიანი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

5 ახალი თარგმანები

ჩესლავ მილოში – პოზიცია

(ფრაგმენტები ცხოვრებიდან და წერილებიდან)

„არავის პოლონეთში, არც მაშინ, 1939 წლის სექტემბერში, და არც შემდგომ, არ სჯეროდა ჰიტლერის საბოლოო გამარჯვების. პოლონელთა ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია იმის ძლიერი რწმენა, რომ უფალი ღმერთი პირადად ჩაერევა ისტორიულ მოვლენებში და სამართლიანობის მხარეს დადგება. ამიტომ ბოროტება მარცხისთვისაა განწირული. სწორედ ამ რწმენით პოლონელები არაერთხელ გადაშვებულან უიმედო ბრძოლაში, მარცხი უწვნევიათ და გაკვირვებულნი დარჩენილან, რომ ღმერთს მათთვის დახმარება არ აღმოუჩენია. თუმცა, არც ამას შეურყევია საბოლოო გამარჯვებაში მათი იმედები“.

„ერთმა ებრაელმა დედაბერმა რუმინეთის საზღვარზე პურის პატარა ნატეხი გამომიწოდა და შემეკითხა, ეს უიმედო ომი რატომ წამოიწყეთო. მე ვერაფერი მოვიფიქრე, გარდა იმისა, რომ მეპასუხა – ღირსების დასაცავად-მეთქი. მას სახე მწარე ღიმილმა დაუმანჭა და წარმოთქვა: „ჰმ, ჰმ, ღირსება, ღირსება, ათასობით დაღუპული ბავშვი, ქალი, ესაა ღირსების დაცვა?!“.

„ვარშავის აჯანყებამ ლონდონის ემიგრაციული მთავრობის ბრძანებით იფეთქა და იფეთქა მაშინ, როდესაც წითელი არმია პოლონეთის დედაქალაქს უახლოვდებოდა, ხოლო უკან დახეული გერმანელები ჯერ კიდევ არ გასცილებოდნენ ქალაქის გარეუბნებს. ეს იყო ბუზის აჯანყება ორი ტიტანის წინააღმდეგ. ერთი ტიტანი მდინარის იქით იდგა და ელოდა, თუ მეორე როდის მოგუდავდა ბუზს“.

ვარშავის აჯანყება მილოშმა პოლონეთის დედაქალაქში გაატარა. შემდეგ ის თავისი მეგობრის, ეჟი ტუროვიჩის მიწვევით კრაკოვში ჩავიდა და მის გარეუბანში დასახლდა. 1946 წელს მილოში მეგობრების დახმარებით აშშ-ში წავიდა. ის ჯერ ნიუ-იორკში, პოლონეთის საკონსულოში მსახურობდა, ხოლო ამავე წლის ოქტომბრიდან ვაშინგტონში, პოლონეთის საელჩოს კულტურის ატაშე გახდა. 1948 წელს მილოში უკვე საელჩოს მეორე მდივანია. ამავე პერიოდში პოეტი პარალელურად აქტიურადაა ჩართული პოლონეთის ლიტერატურულ ცხოვრებაში და კრიტიკულ წერილებს წერს.

„ვფიქრობ ჩემს ცხოვრებაში ერთ-ერთ საკვანძო მომენტად იქცა ერთი საღამო და ღამე. ეს მოხდა 1949 წელს ვარშავაში, სადაც მე შტატებიდან შვებულებაში ჩავედი. მაშინ მე ვტრიალებდი მაღალ საზოგადოებაში, ელიტაში, რომელიც ქვეყანასაც მართავდა და დროის კარგად გატარებასაც არ იკლებდა. იმ ღამეს, უფრო სწორად, დილაადრიან, ასე ოთხი საათისათვის, სახლში ვბრუნდებოდი. მართალია, ზაფხული იყო, მაგრამ ცივი დილა გათენდა. ამ დროს ჯიპი დავინახე, რომლითაც პატიმრები გადაჰყავდათ. ბადრაგს ტყავის ქურთუკები ეცვა, ხოლო პატიმრებს – კოსტუმები, რომელთა საყელოებიც აეწიათ და სიცივისაგან კანკალებდნენ. აი, მაშინ კი მივხვდი, თუ რა საქმეში მიხდებოდა მონაწილეობის მიღება“.

1950 წელს მილოში პარიზში, პოლონეთის საელჩოში გადავიდა სამუშაოდ. მისი ოჯახი კვლავ აშშ-ში რჩებოდა. მილოშს არ უნდოდა პოლონეთში დაბრუნება, რადგან ეშინოდა, სამუდამოდ იქ არ დაეტოვებინათ. ახალი წლის დადგომას ვარშავაში შეხვდა. აქ მას დიპლომატიური პასპორტი ჩამოართვეს, რომელიც მოგვიანებით პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ჩარევით დაიბრუნა. პოეტმა 1951 წლის იანვარში შეძლო პარიზში გამგზავრება, სადაც თებერვლის თვეში პოლიტიკური თავშესაფარი ითხოვა. ცხოვრება ლიტერატურის ინსტიტუტში დაიწყო და პოლონურ ემიგრაციულ ჟურნალ „კულტურასთან“ თანამშრომლობდა. სამშობლოში ის მოღალატედ გამოაცხადეს.

„უარვყავი... პრივილეგიები და კეთილდღეობა. ვუწყოდი, ვირჩევდი სიძნელეებითა და გაჭირვებით სავსე ცხოვრებას. შევეგუე იმ აზრს, რომ პურის ფული მხოლოდ ყოველდღი-

ური მძიმე ფიზიკური შრომით უნდა მეშოვა. ვიცოდი ასევე, რომ ჩემი გვარი გაქრებოდა სამშობლოში გამოსული წიგნების და ჟურნალ-გაზეთების ფურცლებიდან და არ იარსებებდა ისეთი ცოდვა, რომელსაც პოლონური ლიტერატურის ოფიციალური საჭეთმპყრობელები მე არ მომაწერდნენ. ამ ნაბიჯზე წასვლა, რომლის შედეგადაც ჩემს პოეტურ მიღწევებსაც ჯვარი დაესმებოდა და ჩემს ლიტერატურულ სახელსაც ხაზი გადაესმებოდა, იგივეს ნიშნავდა, რასაც მეექვსე სართულიდან პირდაპირ სანაგვეზე გადახტომა... ამ ნაბიჯის გადადგმა მე მაიძულა ერთმა, თუმცა საფუძვლიანმა ვითარებამ, – დარწმუნებული ვარ, რომ ადამიანი არ უნდა ცრუობდეს...

პოეტის უპირველესი მოვალეობა სიმართლის თქმაა. თუკი ის, ვისაც უდიდესი ღვთიური ძალა, სიტყვის თქმის უნარი აქვს მომადლებული, დათანხმდება მეფის კარის დაქირავებული მასხარის როლს, მაშინ ვინღა შეასრულებს სიმართლის მთქმელის ღირსეულ ფუნქციას, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში პოეტთა მოვალეობაა?!"

„შესაძლოა ამოცანა, რომელიც, როგორც მე ვფიქრობ, წილად მხვდა, აღემატება ჩემს ძალებს, მაგრამ მიუხედავად ამისა, მე მაინც არ შევწყვეტ ჩემი პოეტური მოვალეობის აღსრულებას და ვინ იცის, იქნებ ჩემმა კალამმა შეძლოს გარკვეულწილად მაინც შურიც იძიოს იმ პოლონელებისა თუ რუსების ტკივილის გამო, რომლებიც თავიანთ უახლოეს ადამიანებს დასტირიან. შესაძლოა, დავმარცხდე. მაგრამ მხოლოდ ერთი ცხოვრება მაქვს და არ შემიძლია მისი გაფლანგვა ისეთ დიალექტიკურ მსჯელობებზე, რომელთა მიხედვითაც შიში ადამიანური თვისებაა, ხოლო დაბეზღება – ღირსება" (პარიზი, 1951 წლის მაისი).

„რაღაც-რაღაცების გაგება ჩემს ძალებს აღემატება. იალტის შემდეგ პოლონეთი ისეთ სიტუაციაში აღმოჩნდა, რომ 24 მილიონი ადამიანი იძულებულია „ითანამშრომლოს ხელისუფლებასთან", რომელსაც ცნობენ დასავლელი მოკავშირეები...

რა გამიკეთეს პოლონელებმა? მათ ამერიკის ხელისუფლების წინაშე წარადგინეს აბსურდული დასმენების მთელი დასტები. ამის თაობაზე მე ამერიკელებისაგან შევიტყვე. ამას კი შედეგად ის მოჰყვა, რომ ვერ ვიღებ ვიზას, 1950 წლის გაზაფხულის შემდეგ ვერ ვნახულობ ოჯახს, ასევე არ მინახავს ახლადდაბადებული მეორე ბიჭი. ჩემი ცოლი ორ პატარა ბავშვთან ერთად შიმშილით მოკვდებოდა, რომ არა ჩემი ამერიკელი მეგობრები... ცოლს მივწერე ჩემი სურვილი, შვილებს ასწავლოს პოლონური, გააცნოს პოლონეთისა და ლიტვის ისტორია, მოუთხროს მდინარე ნევიასის შესახებ, რომლის პირასაც მე გავიზარდე, მაგრამ მათ ისიც უნდა იცოდნენ, თუ რა დამართეს პოლონელებმა მათ მამას" (1952 წლის 7 იანვარი).

1953 წელს ჩესლავ მილოშმა ცოლ-შვილი საფრანგეთში ჩაიყვანა. ისინი პარიზის გარეუბანში დასახლდნენ. ამ პერიოდში მილოში აქტიურად თანამშრომლობს ჟურნალ „კულტურასთან".

„ცოტა დააკლდა, ამ პატარა პოლონელმა კაცუნებმა თავის ქალა არ ამხადეს. განა ტყუილად არ უყვარდა ისინი დოსტოევსკის... პოლონელები, რომლებთანაც აქ ვმეგობრობთ, მხოლოდ ჟურნალი „კულტურა" და რამდენიმე თავადია. მათ გარდა ძალზე ვერიდები ამ საშიშ ხალხს".

წერილი პოლონელი კომუნისტებისადმი:

„1957 წლის ზაფხულში კრაკოვის ლიტერატურულ გამომცემლობასთან ჩემ ორ წიგნზე: „რჩეული ლექსები" და რომანი „ისსის დაბლობზე" (ეს ავტობიოგრაფიული ნაწარმოები ნათელა გავაშელიშვილმა თარგმნა ქართულად, დაბეჭდა გამომცემლობა „ინტელექტმა". ა.გ.) კონტრაქტი გავაფორმე. თუმცა, ამ წიგნებს დღის სინათლე არ ღირსებიათ, რადგან მათი გამოცემა არა ცენზურამ, არამედ ცენტრალურმა კომიტეტმა აკრძალა... ამ ბოლო ხანს გამოსულ ენციკლოპედიაში ერთადერთი მე ვარ იმ მცირე რაოდენობის უცხოეთში მცხოვრებ ავტორთაგან, რომლის გვარის გასწვრივაც მიწერილია: „პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მტერი". ვერ გეტყვით, ეს რას ნიშნავს... განა პოეტთან ბრძოლა სასაცილო და დამამცირებელი არაა?.. 1949-1955 წლების ტერორმა ახალგაზრდებში ჩემი ლექსების გავრცელება ვერ შეაფერხა. ჩემი ბრალი როდია, რომ XIX საუკუნის მეფის მოხელეების მსგავსად, თქვენც ცდილობთ, არ გაგეპაროთ პარიზიდან გამოგზავნილი პოლონური ხელნაწერები..."

ჩესლავ მილოშმა აშშ-ს ბერკლის უნივერსიტეტის მიწვევა მიიღო ლექციების წაკითხვის თაობაზე და 1960 წელს ოჯახთან ერთად კალიფორნიაში გაემგზავრა. 1961 წელს პოეტი ამ უნივერსიტეტში სლავიანური ლიტერატურის პროფესორის თანამდებობას იკავებს.

„როგორი სიმბოლურია დედამიწის მეორე ნახევარსფეროში გამგზავრება... პოლონეთში ჩემი გვარი ყველაზე მეტადაა აკრძალული. პირდაპირ საკვირველია, როგორი სასტიკნი არიან ჩემ მიმართ. ყველა ემიგრანტი ავტორის ხსენება შეიძლება, ჩემ გარდა... არადა, მე მხოლოდ პოლონეთი მაინტერესებს. იქ მინდა

წასვლა, მაგრამ არ წავალ – თუ რატომ, ეშმაკმა უწყის... არავინ აღარ მწერს, თითქოს სრულიად შევწყვიტე არსებობა. ჩემში მძლავრობს სკეპტიციზმი და იქნებ შევწყვიტო კიდეც პოლონურად წერა და ბეჭდვა“.

„პოლონური რასა სრულიად უუნაროა რაიმე სახის შემოქმედებისათვის, პოლიტიკისათვის, ვაჭრობისათვის, მრეწველობისათვის, რელიგიისათვის, ფილოსოფიისათვის, მას მხოლოდ მიწის დამუშავება და მათემატიკური ლოგიკა ძალუძს... ვიღაც შემეკითხა, ასეთ რელიგიურ ქვეყანას, როგორიც პოლონეთია, მისტიკოსები თუ წარმოუშვიაო. მე ვუპასუხე, მართლმადიდებლური სამყაროსაგან განსხვავებით, – არცერთი-მეთქი“ (ბერკლი, 1967 წელი).

„XX საუკუნის ყველა პოლონელ მწერალს ტანჯავდა კითხვა: თუ შეიძლება წერდე პოლონურად და დიდი მწერალი გახდე? არაა ეს იმის მსგავსი კითხვა, თუ შეიძლება წერდე ნორვეგიულად და დიდი მწერალი გახდე? რადგან აქ საქმე ეხება არა ნორვეგიელ თუ პოლონელ მკითხველთა რაოდენობას, არამედ იმ წინააღმდეგობას, რადაც სამყაროსა თუ ადამიანის ბედზე დაფიქრებისას გადაიქცევა ხოლმე „პოლონური საკითხი“

„არ დავბადებულვარ პოლონეთში (მილოში, მიცკევიჩის მსგავსად, ლიტვაში დაიბადა. ა.გ.), არ აღვზრდილვარ და არ ვცხოვრობ აქ, მაგრამ პოლონურად ვწერ. ვფიქრობ, ეს არც უნდა იყოს გასაოცარი, თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ ყველაზე დიდი პოლონელი პოეტი (მილოში მიცკევიჩს გულისხმობს. ა.გ.) არასოდეს არც ვარშავაში და არც კრაკოვში არა ყოფილა, – და რომ მან ლიტვა აირჩია თავის მუზად.“

1980 წლის დეკემბერში მილოში ლიტერატურის დარგში ნობელის პრემიით დააჯილდოვეს. პოლონეთში 1981 წლის ივნისში ჩავიდა, – პირველად ბოლო 30 წლის განმავლობაში. აქ მას პოლონეთის მწერალთა კავშირის №1 წიგნაკი მისცეს და ლუბელსკის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორად აირჩიეს. მწერალი გდანსკის გემთსაშენს ეწვია და ლეხ ვალენსას შეხვდა.

ნობელის დაჯილდოების ცერემონიალზე წარმოთქმული სიტყვის ფრაგმენტი:

N° d'enregistrement 16 130/67.0 9114

Le Directeur de l'Office Français de Protection des Réfugiés et Apatrides

CERTIFIE

que Mr. MILOSZ Czesław

demeurant à MONTGERON (S.& O.)

né (e) le 30 juin 1911

à SZETEJNIE (Lithuanie)

fils (fille) de Aleksander MILOSZ

et de Weronika, née KUNATT

est réfugié (e) polonais

et qu'il (elle) est placé (e) sous la protection juridique et administrative de l'OFFICE.

Ce CERTIFICAT est valable :

du 20 déc.1957 au 19 déc.1960

Paris, le 20 décembre 1957

Le Directeur.

Signature de l'intéressé

APATRIDES 500 FRANCS

ment ne dispense pas son titulaire de la carte de séjour.

„ვარ პოლონური ლიტერატურის ნაწილი, რომელიც შედარებით ნაკლებად ცნობილია მსოფლიოში, რადგან თითქმის გადაუთარგმნელია სხვა ენებზე. თუ მას სხვა ლიტერატურას შევადარებთ, შეგვიძლია ვიგრძნოთ მისი უცნაურობა. ეს რაღაც იდუმალი ძმობის სახეობაა, რომელსაც ახასიათებს გარდაცვალებულებთან ურთიერთობა, სადაც სიცილი და ტირილი, პათოსი და ირონია ერთმანეთის მიმართ თანაბარი უფლებით სარგებლობენ. მღელვარე ისტორია, ყოველთვის რაღაცაზე მიმანიშნებელი, ამ საუკუნეში, ისევე, როგორც უწინ, მძიმე განსაცდელში ხალხის მხარდამხარ იდგა. პოლონური პოეზია იატაკქვეშეთში ტრიალებდა, აზიაში, აფრიკასა და ევროპაში, საკონცენტრაციო ბანაკებსა თუ ჯარისკაცთა ბარაკებში იწერებოდა...

წარმოვადგინო თქვენ წინაშე ასეთი ლიტერატურა, – ეს ნიშნავს მორჩილად და მოკრძალებულად ვიგრძნო თავი იმათ მიმართ, ვინც უკვე აღარაა ამქვეყნად. მე მრჩება იმის იმედი, რომ ის პატივი, რომელიც მე მომაგო შვედეთის აკადემიამ, ჯილდოა ასევე მათთვისაც, რომლებიც მე აქ შემომიძღვნენ და რომელთა უხილავი აქ არსებობაც მძიმე წუთებში მამხნევებდა“.

წერილი ეჟი გედროვიჩს, ჟურნალ „კულტურის“ რედაქტორს:

„ვიღებ რა ასობით წერილს პოლონეთიდან, ვხვდები რა პოლონელებს პარიზსა თუ ენ არბორში, ვგრძნობ, რომ სიამოვნებისაგან კანი მებურძგლება. წერილები პოლონეთიდან, განსაკუთრებით ახალგაზრდებისაგან, მოწმობს იმ საფუძვლიან ცვლილებებს, რომელსაც იქ აქვს ადგილი და რომელიც იმას ეფუძნება, რომ პოლონეთი თანდათან ისეთი ქვეყანა ხდება, როგორადაც ის თავის საფუძვლებში ყოველთვის გვევლინებოდა.“

„ძალიან უხერხულობაში მაგდებს ის ამბავი, რომ ჩემგან პატრიოტი პოეტის, ბარდის, სახალხო მთქმელის შექმნას ცდილობენ. მე ამ როლისათვის მზად არა ვარ. მიუხედავად იმისა, რომ უბრალოდ კონკრეტული ისტორიული პირობების გათვალისწინებით ვწერდი ისეთ ლიტერატურულ ნაწარმოებებს, რომლებშიც როგორც საზოგადოების შუამავალი, გარკვეულ მოსაზრებებს გამოვთქვამდი.

მოულოდნელი იყო ასევე New York Times-ის მიერ ჩემი „პოლონეთის დიასპორის უმთავრეს პოეტად“ მოხსენიებაც. ამგვარი რამ ჩემთვის ძალზე მიუღებელია. ეს სიმართლეს არ შეესაბამება, მისი დამახინჯებაა! ეს ასე როდია. თუ დიასპორად მოიხსენიებენ უდიდეს პოლონურ გეტოს დასავლეთში, მე არა ვარ ამ დიასპორის პოეტი...“

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარიზის პენ-კლუბში წარმოთქმული სიტყვიდან:

„შეგვიძლია გარკვევით ვთქვათ: „სოლიდარობა“ მასიურ მოძრაობად მხოლოდ იმიტომ იქცა, რომ საზოგადოებრივი მოთხოვნების ეროვნულ მოთხოვნებთან შერწყმა შეძლო. XX საუკუნის ევროპას მემარჯვენე მოძრაობაზე დაფუძნებული სახე აქვს. „სოლიდარობაში“ მოხდა ამ სახის შეცვლა რომანტიზმის ეპოქის დემოკრატიული ხასიათით ან პარიზის კომუნის სულისკვეთებით. ეს უკანასკნელი, როგორც ცნობილია, არა მხოლოდ რევოლუციური, არამედ პატრიოტული მოძრაობაც იყო. ყოველი პოლონელი პოეტი, და მე აქ გამონაკლისი როდი ვარ, როგორც მილიონობით პოლონელი, კარგად გრძნობდა მიმდინარე მოვლენების უდიდეს ისტორიულ მნიშვნელობას...

ბედნიერია პოეტი, რომელსაც ცხოვრებაში თუნდაც ერთხელ მაინც მიეცა იმის საშუალება, მოეშორებინა განმარტოებული ინდივიდუალიზმის უღელი და ხალხში, როგორც თანასწორი თანასწორთა შორის, ისე გარეულიყო. მხედველობაში მაქვს იზოლაციისადმი შინაგანი წინააღმდეგობა, რაც შეუძლებელია ძმობის შეგრძნების გარეშე. ეს ბედნიერება მე 1981 წელს პოლონეთში ვიზიტისას განვიცადე.

ერთმა ამერიკელმა კოლეგამ, რომელმაც „სოლიდარობის“ პერიოდში მოინახულა პოლონეთი, მითხრა, რომ მან აქ ნახა უაღრესად უჩვეულო მოვლენა: ქვეყანა გაუცხოების გარეშე. და არც შემცდარა. ჩანდა, რომ ხალხს შიში უკუეგდო, ის შიში, რომელიც ათეულობით წლის განმავლობაში ბარიერად იყო აღმართული, როგორც ადამიანებს შორის, ისე ადამიანსა და სახელმწიფოს შორის. მე ბედნიერი ვიყავი ასევე იმით, რომ ჩემმა მოთხოვნამ თაყვანისცემისა, შესაძლოა პოეტის ერთ-ერთმა ყველაზე ღრმა მოთხოვნამ, ლეხ ვალენსას სახით თავისი საგანი იპოვა. „შენ ჩემი ბელადი ხარ-მეთქი“ – ვუთხარი მას და მაშინ გავაცნობიერე, რომ ცოტა როდია, თუ რომელიმე ქვეყანაში მუშაკაცი მთელი ქვეყნის ბელადი გახდება“ (პარიზი, 1982 წლის 27 თებერვალი).

მოხსენებებიდან:

„როდესაც ადამიანი მრავალი წელი უცხოეთში ცხოვრობს, ყველაზე ძნელი საკუთარი ინდივიდუალობის შენარჩუნებაა. რაც შემეხება მე, ჩემ წინაშე არასოდეს დამდგარა საკითხი, თუ ვინ ვარ, ვინაიდან ჩემი მიკუთვნებულობა პოლონური პოეზიისადმი ჩემთვის ყოველთვის ნათელი და გარკვეული იყო...

მადლობელი ვარ ჩემი ბედისა, რადგან ხომ შეიძლებოდა ვერ მოვსწრებოდი იმ დროს, როდესაც ჩემი წიგნები პოლონეთში გამოვიდოდა. ვრწმუნდები რა იმაში, რომ მათზე მოთხოვნა იყო, ქედს ვუხრი პოლონურ პოეზიას, ვინაიდან სწორედ მან დამიცვა ემიგრაციაში ბერწი სასოწარკვეთილებისაგან, ძალზე ძნელი და მტკივნეული მარტოობისაგან, რომელსაც არავის არ ვუსურვებ“ (კრაკოვი, 1989 წლის 2 ოქტომბერი).

„თქვენ ძალზე დაძაბული ყოველდღიური ცხოვრებით ცხოვრობთ, მე ასე არ შემიძლია, მით უფრო, რომ პოლონეთი ჩემთვის მოულოდნელობითაა სავსე...

რისი მეშინია? ძველი ავადმყოფობისა: რომ ხალხს არ დაეუფლოს ნაციონალიზმის ცდუნება, რომელიც უთვალავ კონფლიქტს წარმოშობს და მრავალ იმედს ასამარებს. მეშინია ასევე პლურალიზმის, რომელიც ეფუძნება მტრულ დაყოფას კლასებად, რასებად, აღმსარებლობებად. უპირველეს ყოვლისა კი მაფიქრებს იმის ბედი, რაც ჩემთვის ყველაზე ახლობელია – ბედი პოლონური კულტურის, რათა ის ფეხქვეშ გათელილი არ აღმოჩნდეს“.

„როდესაც პოლონეთში ჩამოვდივარ, საოცარი შეგრძნება მიპყრობს, ერთი მხრივ, ღრმა იდენტურობისა, ხოლო მეორე მხრივ, – გაუცხოების. ორმაგი გრძნობა. ეს კი ძალიან ცუდია. ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ხეიბარი ვიყო. მაგრამ ხეიბარი რომ არ ვიყო, იქნებ უფრო ცუდად მეწერა? არ ვიცი“.

1992 წელს ჩესლავ მილოშმა ლიტვის საპატიო მოქალაქეობა მიიღო. ხოლო ერთი წლის შემდეგ პოლონეთში გადავიდა სამუდამო საცხოვრებლად. 1994 წელს ის აქ „თეთრი არწივის ორდენით“ დააჯილდოვეს.

„ვფიქრობ, უნდა დავეთანხმოთ იმ აზრს, რომ პოლონეთს არასოდეს ჰქონია ისეთი ისტორიული შანსი, როგორიც დღეს აქვს. ვიმედოვნებ, რომ ქვეყანა აიცილებს ისეთ საწამლავს, – ნაციონალიზმის საწამლავს, რომელიც ყველგან მოქმედებს. მე ოპტიმისტი ვარ ამ მხრივ... როდესაც ვფიქრობ ცალკეული ადამიანების ბედზე უკანასკნელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში, მეჩვენება, რომ ასეთი ცოდნა და გამოცდილება ბრწყინვალე ლიტერატურით უნდა დაგვირგვინებულიყო. ჯერჯერობით კი ეს ასე არაა“ (1992 წელი).

„რა უნდა იყოს უფრო ლამაზი მითი, ვიდრე მითი ნორმალურობის თაობაზე? ისეთი საშინელი ისტორიის ქვეყანა, როგორსაც პოლონეთი წარმოადგენდა ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში, განა არ იმსახურებს სიმშვიდეს, თუნდაც ერთი საუკუნე მაინც?!“

„პოლონელი პოეტი დიდი ძალისხმევით ახშობს თავის თავში ორ გიგანტ სახელმწიფოს შორის აღმოჩენილი ქვეყნის ბედზე განუწყვეტელ ფიქრს. და ამით განსხვავდება ის ბედნიერი ერების წარმომადგენელ პოეტთაგან. ქურთი პოეტი მხოლოდ ქურთთა ბედზეა დაფიქრებული. ამერიკელი პოეტისათვის ცნება „ამერიკელთა ბედი“ საერთოდ არ არსებობს. პოლონელი პოეტი სადღაც მათ შორისაა. იქნებ სწორედ ურთერთსაწინააღმდეგო მხარეს მიმართულ ძალებთან დაპირისპირებაშია პოლონური პოეზიის განსაკუთრებულობა?!“.

ჩესლავ მილოში გარდაიცვალა 2004 წლის 14 აგვისტოს. დაკრძალულია კრაკოვში.

მოამზადა ამბროსი გრიშიკაშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეცეპტი

არავითარი აღსარება! თუმცა, ცხოვრებამ ისე გამომჭამა,
მხოლოდ შვება იქნებოდა მასზე ხმამაღლა ლაპარაკი.
ალბათ გამიგებდნენ ხელმოცარულები, რომლებიც დალასლასებენ ქუჩებში,
ავადმყოფები, ლოთები, ბომჟები. მაგრამ რა არის, რაც მაკავებს?
იქნებ სირცხვილი, რომ ჩემი უბედურებები მეტისმეტად უფერული გამოჩნდება
მათ ტანჯვასთან შედარებით? იქნებ სიჯიუტე?
დღეს მოდაშია საუბრები გაუხარელ ბავშვობაზე, ბავშვობის ტრავმებზე.
გინდაც მომწიფდეს ჩემი ტანჯვა საიმისოდ, რომ შევძლო მასზე ლაპარაკი,
მაინც დუმილი მირჩევნია. ან რა მაქვს სათქმელი?
ვინც იტანჯება, ის ვერ ტყუის. უკადრისია
კომედიები, რომელიც მოსდევს თუნდაც გულწრფელ აღსარებებს,
ნუგეშის ყალბი მცდელობები და დადგმული თანაგრძნობები.
ნათქვამ ფრაზაში, დუმილისგან განსხვავებით, სიყალბე მუდამ ილანდება.
მე საკმარისად მიყვარს სტილი, რათა გავრისკო.

ანგელოზების შესახებ

ყველაფერი წაგერთვათ: თეთრი სამოსი,
ფრთები, არსებობა.
მე კი მაინც მჯერა თქვენი,
მაუწყებლებო.

ამობრუნებულ სამყაროში,
რომლის სარჩული მოქარგულია მხეცებით და ვარსკვლავებით,
დასრიალებთ და ამოწმებთ ნაკერების საიმედობას.

ჩვენთან დიდხანს არ ყოვნდებით:
მხოლოდ ხანდახან, ალიონზე, მოწმენდილ ცაში,
სიმღერაში, რომელიც ჩიტმა აიტაცა,
საღამოხანს ვაშლის სურნელში,
როცა მზის სხივი ბაღს აჯადოებს.

თქვეს, რომ ვიღაცამ გამოგიგონათ.
რაც ჩვენთვის არ ჟღერს დამაჯერებლად.
ადამიანმა თავისთავის თვითონვე შეთხზა.

სხვა სამხილი არც მჭირდება – ხმაა დასტური,
რომ ის ეკუთვნის მშვენიერ არსებას,
უთუოდ ფრთოსანს და უწონადს,
რომელიც ბრწყინავს.

ბევრჯერ ჩამესმა ეს ხმა მძინარეს
და თვითონ მიკვირს, როგორ გავიგე
ეს ბრძანება, იმქვეყნიურ ენაზე თქმული:

დღე ახლოვდება.
მომდევნო დღეც.
გააკეთე, რაც შეგიძლია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამყაროს აღსასრულის სიმღერა

სამყაროს აღსასრულის დღეს
ფუტკრები ეხვევიან ყვავილს,
მებადური მშვიდად ართავს ბადის ნარღვევებს,
წყლიდან ხტებიან მხიარული დელფინები,
საწვიმარ მილთან დახტუნავენ ბეღურები
და გველიც, როგორც ყოველთვის, ბრწყინავს.

სამყაროს აღსასრულის დღეს
მინდორში მიდიან ქალები ქოლგებით,
ლოთს ტკბილად სძინავს სველ ბალახში,
ბოსტნეულის გამყიდველი ყვირის ქუჩებში,
კუნძულის გასწვრივ მიირწევა ყვითელი ნავი.
ვიოლინო ამსუბუქებს საღამოს ჰაერს
და ენთებიან ვარსკვლავები.

გაწბილდა ყველა,
ვინც ელოდა ელვას და ქუხილს,
და ვინც მთავარანგელოზის ნიშანს ელოდა,
ვერ იჯერებს, რომ ეს ის არის.
ვიდრე მზე ან მთვარეა ზემოთ,
ვიდრე ყვავილი ეძლევა ფუტკარს,
ვიდრე ვარდისფერი ჩვილები ჩნდებიან,
ვინ ირწმუნებს, რომ ეს ის არის?

ეს თეთრწვერა მოხუცი კი,
მეტისმეტად მოუცლელი,
რათა მართლა გამხდარიყო წინასწარმეტყველი,
სალათს აზავებს და ჩურჩულებს:
ეს სამყარო სხვანაირად არც აღსრულდება,
ეს სამყარო სხვანაირად არც აღსრულდება.

არსი

– როცა მოვკვდები, დავინახავ სამყაროს შიგთავსს.
ჩიტის მიღმეთს, მთების მიღმეთს, დაისის მიღმეთს.
ყველაფრის მიღმეთს. ჭეშმარიტ არსს.
რაც ვერასოდეს ლაგდებოდა, დალაგდება.
გამჭვირვალდება უხილავი.

– და თუ სამყაროს არ აქვს შიგთავსი?
თუ შაშვი ტოტზე არის მხოლოდ შაშვი ტოტზე
და არა ნიშანი? თუ დღე და ღამე ვერც კი გრძნობენ,

– ასეც რომ იყოს, სადღაც მაინც არსებობს სიტყვა,
რომელიც ფეთქავს მკვდარ ბაგეზე,
რომელიც მოჰქრის, როგორც მაცნე
ვარსკვლავებით აყვავებულ ციურ მინდორში
და ყვირის, გვაფრთხილებს, ყვირის და გვაფრთხილებს.

ილგალი

ნუთუ ერთია რკო და მუხა?
ნუთუ ერთია გვიმრა და ნახშირი?
ნუთუ ერთია წვეთი და ტალღა?
ნუთუ ერთია მშვენიერი მუხლი და რკინა?

და რატომ უნდა მომეკითხოს ძველისძველი სტრიქონები
ან გოგონების სახელები?
დაე, იცხოვრონ ჩემმა ლექსებმა, როგორც ურჩევნიათ.
დაე, აჩინონ გოგონებმა სხვების შვილები.
მე კი მეყოფა მუხა და ნახშირი,
ტალღა და რკინა.

შეხვედრა

გამთენიისას მისერავდა დათოვლილ ველს ჩვენი მარხილი.
წითელი ფრთა აიწია, მაგრამ ჯერ ბნელოდა.

გზა კურდღელმა გადაგვიჭრა.
ვიღაცამ ხელი გაიშვირა და დაგვანახა.

ეს იყო ადრე. დღეს არცერთი არის ცოცხალი –
არც კურდღელი, არც ის კაცი, ვინც მიგვახედა.

სიყვარულო, სად წავიდა ეს ყველაფერი –
ხელის მტევანი, კურდღლის კვალი, თოვლის ჭრიალი?
განა წუხილი, გაკვირვება მალაპარაკებს.

დაივიწყე

დაივიწყე ტკივილი,
რომელიც მიაყენე სხვებს.
დაივიწყე ტკივილი,
რომელიც მოგაყენეს სხვებმა.
მდინარეები მოძრაობენ,
გაზაფხულები ინთებიან და ქრებიან,
აბიჯებ მიწას, რომელსაც ივიწყებ.

ზოგჯერ გესმის შორი სიმღერა.
რას უნდა ნიშნავდეს, კითხულობ, ვინ მღერის?
ისევ ბავშვობის მზე ამოდის.
უკვე გაჩნდნენ შვილებიც და შვილიშვილებიც.
შენ კი ვიღაცის ხელს მიჰყვები.

მდინარეების სახელები რჩებიან შენთან.
როგორი უსასრულოები ჩანან ისინი!
შენი მინდვრები გაველურდა.
სხვა კოშკები დგანან ქალაქში.
მხოლოდ დუმილი მიგყვა ზღურბლამდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცოტა

ვთქვი ისე ცოტა.
დღეები მოკლეა.

მოკლე დღეები.
მოკლე ღამეები.
წლები.

ვთქვი ისე ცოტა.
რაც მოვასწარი.

დაიღალა ჩემი გული
სიხარულით,
განწილებით,
ზრუნვით,
იმედით.

ლევიათანი ხურავს ხახას –
მე ვრჩები შიგნით.

უკაცრიელ კუნძულზეც კი
ვწოლილვარ შიშველი.

ახლა უკვე ველარც ვხვდები,
ამდენ სიზმარში რა იყო ცხადი.

სიყვარული

სიყვარული – ხედავდე საკუთარ თავს
გარედან, როგორც უცხოს.
როგორც ერთ-ერთს მრავალთა შორის.
ვინც ეს შეძლო, მისი გული თანაბრად ფეთქავს,
მას ეუბნება ხე და ჩიტი: „ჩემო მეგობარო“.

დაიწმინდა ყველაფერი,
რაც მასშია, რაც გარეთაა.
თუნდაც არ იცოდეს, რას ემსახურება,
ემსახურება მასზე უკეთ,
ვინც ეს იცის.

დაცემა

მომაკვდავი ადამიანი – როგორც უძლეველი სამეფოს დაცემა,
რომელსაც ჰყავდა ძლიერი არმია, ბელადები, უხუცესები.
მდიდარი პორტები, და სავაჭრო ხომალდები ყველა ზღვაში.
დღეს ველარავის დაახმარს არმიას, და ვერავის დაუზავდება.
დაცლილან მისი ქალაქები, მოსახლეობა გაფანტულა.
ნარშავმა და სარეველამ გადაფარა ერთ დროს უხვი მისი ველები.
მისი ენა დაიკარგა. მხოლოდ სოფლური დიალექტი
შემორჩა აქა-იქ, მიუვალ მთებში.

გარკვეულ ასაკში

გვინდოდა გვეღიარებინა ცოდვები, მაგრამ ვისთან?
თეთრმა ღრუბლებმა იუარეს მათი მოსმენა, ხოლო ქარი
ერთი ზღვიდან მეორესკენ გადაქროდა, ვერ მოიცალა.
ვერც ცხოველები დავაინტერესეთ.
ძაღლები გაწბილდნენ – ბრძანებას ელოდნენ.
კატას, უზნეოს, როგორც ყოველთვის, ძილი მოერია.
კაცს, რომელსაც ახლობლად ვთვლიდით,
დაეზარა მეათასედ მოესმინა ძველი ამბები.
საუბრები მეგობრებთან არყისა და ყავის თანხლებით
ვერ ცდებოდნენ, როგორც წესი, პირველ მთქნარებას.
ეკლესიები. ალბათ ისევ ეკლესიები. მაგრამ ვაღიაროთ – რა?
რომ ჩვენ ვტკბებოდით საკუთარი ღირსებით და მნიშვნელოვნებით,
ვიდრე ჩვენ ნაცვლად ბებერი გომბეშო
სანახევროდ წამონევდა დონდლო ქუთუთოს
და მიეხვდებოდით: „დიახ, ეს მე ვარ“.

პოლონურიდან თარგმნა ზვიად რატიანმა



ეროვნული ბიბლიოთეკა

6 არტი

ინტერპრეტაციები

ზაზა ფირალიშვილი

პანორამა უცნაურადაა განყენებული. ერთი შეხედვით, თითქოს ფერები საგნებს ნიღბებად იშველიებენ (ეს, განსაკუთრებით, ყვავილებში იგრძნობა), და თვალთმაქცურად მოქცეულან კონტურის ფარგლებში, ხანაც უკუუგდიათ ფორმის გარკვეულობა და კონტურიც კვლავ ფერში იკარგება. ლამის უფორმო ყვავილები დაუდევრად არეულან ერთმანეთში – სწორედ ისე, როგორც შესაქმის პირველ წუთებში შეიძლება ყოფილიყო. ისინი თითქოს ჩვენ თვალწინ იშვიან ფერიდან, თუმცა, მისი დიქტატისაგან ჯერაც არ გამოთავისუფლებულან და ამიტომაც ჩამოღვენთილა მათ სხეულებზე თეთრი – ქვევით, ქოთნის ყელზეც სითხედ რომ იღვრება. თავად ჩიტის სხეულსაც კი, რომელიც გულმოდგინედ და ფაქიზად არის გამოკვეთილი, თეთრი წვეთები ჯერაც გასდის და მიწაზე იღვრება. საგნები თითქოს ოდნავ დაუდევრადაც იძერწება თხიერი ფერებით. ეს უფრო პირველადი ჩანაფიქრის მდგომარეობიდან ახლადგამოსული სამყაროა, ვიდრე არსებული და ამიტომაცაა ასეთი განყენებული. აქ ყვავილი, როგორც საკუთარ თავთან იგივური რამ, ჯერაც არ აელვარებულა ფერების მრავალსახოვნებით, ჯერაც ერთგვარი მეტაფიზიკური სიცივის მატარებელია. იგი ჯერაც არ ქცეულა ღვთის დასრულებულ ჟესტად. ეს უკანასკნელი ჯერ პირველ მინიშნებებად არსებობს. აქ ქმნა ჯერაც ფერით ოპერირებს და არა ნივთიერებით. ფერმწერსაც არსებობის ამ განზომილებაში მოუპოვებია თავისი ყუდრო ან ჯერ მხოლოდ დაუგულებია და

ირაკლი ფარჯიანი. ყვავილები ჩიტით. 1988. ქაღალდი. პასტელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფერებთან თამაშში ჩართვით ცდილობს იქ დავანებას. აქ ჯერაც არარას საშოდან გამოსული ფერი უპირატესობს; ჯერაც იგრძნობა პანორამის მეტაფიზიკური, მდუმარე განდგომა. უფრო სწორად, პანორამა აქ იმ უცნობ ენაზე მეტყველებს, ჩვენ რომ მდუმარებად გვევლინება, რადგან ეს მეტყველება მეტყველებაა ქმნისა და არა ქმნილისა. საგნები თითქოს ჯერაც ეფემერულებია და ამიტომაც ჩაკეტილა მათთან დიალოგის გზები. მთელი ამოცანა სწორედ ქმნის ამ მეტაფიზიკური აქტის თანხმიერებაში მოქცევაა, რათა პირველად სიტყვასთან ერთად დავბადოთ ეს საგნები.

ერთგვარი გამონაკლისი ჩიტია, რომელიც თითქოს უკვე გამოთავისუფლებულა ფერების საშოდან, თეთრის ბოლო წვეთები ჩამოსდის სხეულიდან და ოდნავ ნისკარტაწეული იცქირება.

ასე ფრთხილად, ლამის მხოლოდ მინიშნებით ცდილობს მხატვარი მიგვიყვანოს იმ, ერთი შეხედვით, უხერხულად ბანალურ განცდამდე იმისა, თუ როგორ აღავლენდა ჩიტი უფლის დიდებას. ჩვენი საკომუნიკაციო იმპერატივები ხომ გვავალდებულებენ, რომ უარი ვთქვათ ამგვარი განცდების გამჟღავნებაზე და თუ მივანიშნებთ, მხოლოდ იმ ინტელექტუალური გამოცდილებებისა და ალგორითმების გავლით, მეზვერეებივით ჩვენი თანაარსებობის სოციალურ ფორმებში რომ ჩასახლებულან და გვავალდებულებენ, ხარკი ვუხადოთ. ისინი ყოველთვის რაღაც სხვა ბილიკებისკენ გვიტყუებენ და გვაიძულებენ, უარი ვთქვათ უშუალო სიცხადეებზე. არადა, შევეცდებით თუ არა, თავი ავარიდოთ ამ გზებს, რათა ეს სიცხადე მთელ მის სადა უშუალობაში გამოვთქვათ, მისგან აღარაფერი დარჩება, გარდა ყალბი პოზისა და უხერხული სენტიმენტალური თვალთმაქცობისა. კიდევ ერთხელ დავრწმუნდებით, თუ რამდენად შეუძლებელი თუ არა, ძნელი ამოცანაა, წერტილში ჩაკარგული ძენინის ისარი კვლავ გზაზე აამოძრაო ისე, რომ არც ამ წერტილის ჰიპნოტური ხიბლი დაკარგო და გზაზეც არ თქვა უარი. შესაძლებელი არის კი, რომ ეს უშუალო სიცხადე, ეს „მარად ბავშვური აკმეს“ ნაყოფი კომუნიკაციებში განვათავსოთ ისე, რომ იგი ერთ-ერთ ზერელე სიცხადედ, ლაყბობის ჰორიზონტალურ სივრცეში სათრევ ბანალობად არ იქცეს? როგორ უნდა გამოხატო ის, რომ ჩიტბატონა თუ ნიბლია ჩიტი უფლის დიდებას აღავლენს და ეს ჩვენი დიდებული შუამავალი (ცოცხალი არსება ხომ დიდი შუამავალია ადამიანსა და უფალს შორის) შენც მიგიძღვის უფლის დიდების აღვლენის ბილიკებზე და რომ იგი ამას ახერხებს მხოლოდ იმის წყალობით, რომ არ არის ჩაჭერილი სემანტიკაში ჩასაფრებული მეზვერეების მიერ? თუ – ამ მეზვერეებისათვის თავის არიდება მხოლოდ მაშინ შეიძლება, როდესაც შევძლებ და მათ მიერ ნაკარნახევ საკომუნიკაციო იმპერატივებს ჩემი სულის უსასრულო მარტოობაში გავექცევი? წინააღმდეგ შემთხვევაში იგივე ბედი მელის, რაც ბოსხისეულ ჯვრის მტვირთველს – ან განმდევნიან და ან კიდევ გამაკრავენ ჩემს სანეტარო ვერტიკალური და ჰორიზონტალური კავშირების მარადიულ სიმბოლოზე – ჯვარზე. გამოსავალი, როგორც ვთქვით, ან ნებაყოფლობითი ოსტრაკიზმია, ან კიდევ შემოქმედის წმინდა თვალთმაქცობა, რომელიც თითქოსდა მხოლოდ ასლს ქმნის მგალობელი ჩიტისა, მაგრამ ფერებისა და კონტურების ენით ამ ასლს იმ კონცენტრული წრეწირებით ნიღბავს, სინგულარობის წერტილის გარდუვალობისაკენ რომ მიგიძღვიან – უბრალოდ, კი არ გახსენებენ მას, არამედ „მოტყუებით“ მიჰყავხარ მისკენ, ლამის შეუმჩნევლად გათავისუფლებენ ზერელე კავშირების ინტელექტუალური კომფორტისაგან და ტოტალური შეხვედრის დიდებულ და ულმობელ მორევში გითრევენ. ერთი შეხედვით, ისინი ადასტურებენ იმას, რაც ფხიზლად განაბული მეზვერეებისათვის სრულიად ცხადი და მისაღებია და ამავდროულად კონტრაბანდისტივით გააპარებს მათ მიერ აკრძალულ საქონელს და ამით ეროზია შეაქვს მათ თვითმკმარობასა და თვითკმაყოფილებაში. იგი იმ მეამბოხეს ჰგავს, რომელიც საზღვარზე შენიღბულად იარაღსა და ასაფეთქებელ მასალას აპარებს – აპარებს, როგორც ამ უნაყოფო კალეიდოსკოპის წინააღმდეგ შეთქმული, მაგრამ აპარებს არა ასაფეთქებლად – მას კარგად ესმის, რომ აფეთქება მხოლოდ ახალი უბედურების, ზერელობის ახალი სიხისტის დასაწყისი იქნება – არამედ საიმისოდ, რომ მასში სამარადისოდ შეინარჩუნოს ბზარი, რათა მიწიერ მეუფეს არ მიეცეს საშუალება, ბოლო წერტილამდე უზრუნველყოს ფუქსავატ საკომუნიკაციო სიცხადეთა ჰარმონია. იგი ვერტიკალურ კავშირებზე ყოველ მინიშნებას მისივე გროტესკულ ორეულად აქცევს და მოხეტიალე ადამიანის სულს ისე სთავაზობს. ასე აქცევს იგი მომლოცველს ტურისტად, აგასფერის, ამ თანამედროვე, ყოველგვარ დრამატიზმს მოკლებულ, უბადრუკ ორეულად; მარადიული ხეტიალი სანახაობებით ტკბობით რომ შეუნიღბავს; ჭეშმარიტების ძიება – ფილოსოფიურ თუ რელიგიურ ესტრადად უქცევია; სახლი, როგორც სულის მარადიული სამყოფელის ალეგორია პოსტმოდერნის ტრანზიტულ არქიტექტურად გარდაუქმნია, რომლის იდეალიცაა „აქ და ახლა“-ს კონტურების წაშლა. ოღონდ კი ადამიანის სულმა არ მიაგნოს ბზარის წერტილებს, ოღონდ კი იგი არ დასძლიოს ცთუნებამ, ხილულის ჰიპნოტურ ხიბლს მიეცეს და ყური დაუგდოს, გამთენიის ჟამს როგორ აღავლენს უფლის დიდებას პატარა ჩიტი.

ირაკლი ფარჯიანი. ჯვარცმა. 1991 წელი

რა უნდა იყოს ტილო მხატვრისათვის? ცხადია, ეს არ არის ინსტრუმენტი. ეს არც სუბსტანციაა იმისა, რაც უნდა შეიქმნას. პირველ მიახლოებაში, ეს არის ადგილი, სადაც მისი შინაგანი გამოცდილება გარეგანად უნდა იქცეს, მაგრამ ეს ერთი შეხედვით, თუ მივიჩნევთ, რომ იგი უკვე ფლობს ამ შინაგან გამოცდილებას და თითქოს უკვე „იცის" საკუთარი გამოცდილების შესახებ. ერთი შეხედვით, ეს არის ადგილი, სადაც ჭირვეულად და წინააღმდეგობებით უნდა იშვას ის, რასაც იგი უკვე ატარებს. ამ აზრით, ტილო იგივეა მისთვის, რაც სუფთა ფურცელი მწერლისათვის, სცენა რეჟისორისათვის და ასე შემდეგ. თუ ამას დავიჯერებთ, ნახატის დაბადება, ერთი შეხედვით, სრულიად ნათელი ჩამონათვალით – ჩანაფიქრი, ინსტრუმენტალიები, ტექნიკა, ტილო – შეიძლება აღვწეროთ და მთელი ამოცანა ტექნიკური გამოცდილების არსებობა ყოფილა. ცხადია, ტილო გამოცდილების განთავსების ადგილია, მაგრამ გამოცდილებისა, რომელიც არსებობს, როგორც შილერი ამბობდა, ერთგვარი მუსიკალური განცდის სახით, ერთგვარი ენერგიის სახით, რომელიც მხატვრისაგან ფორმის მიცემას მოითხოვს. თითქოს ევას ვაშლი მიეწოდებინოს მისთვის და ამით ამოეგდოს ჩვეული და თანაზომადი სამყაროდან. ფერები, სიტყვები თუ ბგერები ამ დროს ის ინსტრუმენტებია, რომლებმაც ამ ენერგიის ფორმა უნდა შექმნან, უფრო სწორად, მისი განთავსების ადგილი შექმნან და ტილო, ამ აზრით, სხვა არაფერია, თუ არა ამ ადგილის ადგილი, მისი სცენა, მისი ასპარეზი, ადგილი, სადაც სიტყვაც, ფერიცა და ბგერაც თავისი ნებელობის გამჟღავნებას იწყებენ. ენერგია, რომელიც ფორმას მოითხოვს, ჭირვეულად ცდილობს ფერის ნებელობის დამორჩილებას და ეს ბრძოლა გრძელდება მანამ, სანამ ამ ორი ნებელობის – იდუმალი პირველადი ენერგიისა და ფერის (თუ სიტყვისა, ბგერისა, ქვისა და ასე შემდეგ) ნებელობები სიმფონიურ თანხმიერებას არ მიაღწევენ და იდუმალი ენერგიის ნებას მხატვრის გამოცდილებად არ გააფორმებენ. ამიტომაც არ არის ტილო მხოლოდ ჩანაფიქრის განთავსების ადგილი. ჩანაფიქრი იბადება ამ ენერგიისა და ფერის ნებელობათა თანხმიერებაში. თავდაპირველად კი არსებობს ერთგვარი ფორმამიუცემი, მაგრამ ფორმის მნებავი ენერგია, ჭირვეული, მოუსვენარი ენერგია, რომელიც ლამის ავხორცი ჟინით ცდილობს ფერის დამორჩილებას. თავდაპირველად არსებობს მხოლოდ უსისტემო და გაუფორმებელი ფრაგმენტები იმისა, რაც უნდა იშვას, ერთგვარი ემპედოკლესეული ნახევარარსებები, რომლებიც იბადებიან, ერთმანეთში გადადიან, ქრებიან და კვლავ იბადებიან, სანამ ფერისა და კონტურის ნებელობის აღიარებით არ მიაგნებენ თავისი განთავსების ადგილს. ამით ტილო ადგილის ადგილია, ენერგიისა და ფერის თანხმიერების გამჟღავნების ადგილია, უვნებო, საკუთარი ნების არმქონე ადგილი, თუმცა კი მხატვარი ზოგჯერ მაინც ცდილობს ნებელობა მიანიჭოს მას იმით, რომ მისი კოლორიტის არსებობას აღიარებს. იგი თითქოს ბოლომდე უსიცოცხლო რჩება და იმ ქალს ჰგავს, რომლის სილამაზეც იკარგება ძვირფასეულობისა თუ მშვენიერი ტანისამოსის ბრწყინვალებაში. მაგრამ ეს მხოლოდ თითქოს, რადგან მხოლოდ გვიან ამჟღავნებს თავის ნებელობას, მხოლოდ გვიან აღიარებს, რომ საბოლოოდ სწორედ მას წარუტაცია ენერგიისა და ფერის ბრძოლის დრამის მთელი ნაყოფი და თავად ქცეულა მხატვრის გამოცდილების ახალ ჰორიზონტად, იმ ტრანსპორტად, რომელმაც უნდა ატაროს კიდეც მხატვრის გამოცდილება ადამიანურ საკომუნიკაციო სივრცეში. იგი იმ ბრძენი ქურდივითაა, რომელიც საბოლოოდ ისაკუთრებს მთელი ამ დრამის ნაყოფს და გაიძულებს, რომ ეთაყვანო, თუმცა კი თავად მთელი ამ ისტორიის განმავლობაში პასიურად იყო განაბული. არადა, თურმე ელოდა, როდის დასრულდებოდა ყველაფერი და მიითვისებდა ნაყოფს. მხატვარიც ხომ მისი წყალობით რწმუნდება, თუ როგორი ამაო იყო მისი მცდელობა, როგორმე ერთმანეთთან შეერიგებინა ენერგიისა და ფერის ნებელობები და რომ ყველაფერი კვლავ ხელახლაა დასაწყები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საგნები და მიმართებები წყალში ჩაწვეთებული აკვარელივით ჰკარგავენ კონტურებს და მათ გვერდით ახალი სახეები ჩნდება, უსასრულოდ ნაცნობი სახეები – საგნები, ადამიანები თუ მიმართებები. სრული განცდაა, რომ ისინი ნამდვილად არსებობდნენ შენს გამოცდილებაში და მათი ნამდვილობის ხარისხი ნებისმიერ ნამდვილობას აღემატება, თუმცა კი გამოფხიზლებულს ვერა და ვერ გაგიხსენებია, როდის იყვნენ ისინი შენი გამოცდილების წევრები და როდის გადაეყარე მათ, როდის დაამჩნიეს კვალი შენს ცნობიერებას და რატომ იკარგებიან გამოფხიზლებისთანავე, თუმცა კი გიტოვებენ განცდას, რომ ისინი კვლავ მნიშვნელობენ და რომ შეიძლება ისიც მოხდეს, კვლავ გესტუმრონ მთვლემარებაში. მთავარია, რომ ისინი, თურმე სადღაც არსებობენ და მნიშვნელობენ. ზღაპარი და მითი თითქოს ასეთ მთვლემარების ხილვებში განაცვლებენ ადამიანს. უსასრულოდ ნაცნობი და გამოცდილებაში ნამდვილად არსებული ადამიანები, არსებები და სიტუაციები მათი მეშვეობით გახსენებენ თავს და ცნობიერების ველს ახალ განზომილებებს სძენენ. ამიტომაც არის მითი ნამდვილზე უნამდვილესი რამ, კიდევ უფრო ნამდვილი, მე ვიტყოდი, მტკივნეულად ნამდვილი, ვიდრე ის მოვლენებია, ჩემს სიფხიზლეს რომ ქმნიან. მხატვარი ცდილობს, საკუთარ სხეულში შეინარჩუნოს ისინი – სხეულში, რომელზეც თავიდანვე ვისაუბრეთ და რომელსაც ჩვეულ გარემოებებთან ერთად ნახატებში ასახული მისი ცნობიერების დინამიკა, მისი ფიქრებისა და განწყობების თავგადასავლები ქმნიან და რომელშიც ცდილობს, ჩვენც შეგვიტყუოს, რადგან ჩვენი დასტურისა და თანაყოფნის გარეშე ამ სხეულის არსებობა წარმოუდგენელია. უფრო მეტიც, ამგვარი შეტყუებითა და დასტურით არსებობს ჩვენი თანაყოფნის სივრცე და ამ სივრცეში ჩნდებიან ის ნამდვილზე უნამდვილესი არსებებიც, ვისაც ყოფნის სხვა „ადგილი" არ გაჩნია. მხატვარმა და მე, აღმქმელმა, მუცლითმეზღაპრემ და მე, მსმენელმა, პოეტმა და მე, მკითხველმა, მუსიკოსმა და მე, ბგერათა ამ ჰარმონიაში გაგუვებულმა უნდა დავადასტურო ამ სივრცის არსებობა – ალბათ, ერთადერთი ნამდვილზე უნამდვილესი სივრცისა, რომელშიც ადამიანებმა იმ იდუმალ არსებებთან, გარემოებებთან თუ თავგადასავლებთან ერთად შეიძლება ვიარსებოთ. ეგაა, მხატვარს (მუსიკოსს, პოეტს თუ უბრალოდ, ბრძენს ამ სიტყვის აღმოსავლური გაგებით) იმის კომპეტენცია მინიჭებიათ, რომ ამ დასტურის პროვოცირება მოახდინონ, მისცემიათ იმის სიმამაცე, რომ მთვლემარების ხილვათა ნამდვილობა არა მხოლოდ ეღიარებინათ, არამედ ჩვენთვისაც შემოეთავაზებინათ. და მაინც, ადამიანური უმწეობა აიძულებთ, რომ ის, რაც მოიპოვეს, ტილოს, ფურცელსა თუ თიხას გადააბარონ შესანახად, რადგან თავად ვერ უძლებენ ამ მონაპოვარის ზღვრულ დაძაბულობას.

ირაკლი ფარჯიანი. სერიიდან „ფაუსტი". 1986 წელი

ფაუსტის თემა გარდუვალობით ეხმიანება ეჭვს, რომელიც ჩრდილივით დასდევს ადამიანს: ხომ არ ყოფილა წამი, როდესაც სადღაც და ოდესღაც, სასოწარკვეთილს ან თუნდაც ნახევრად ხუმრობით მომიხმია ძალები, რომლებიც მე, როგორც მთელი სამყაროს წინააღმდეგ შეთქმულს, მარტოსულის ძალმოსილებასა და თავისუფლებას მომანიჭებდნენ? იქნებ ეს ნაბიჯი უკვე გადავდგი, თუმცა კი ზერელე თამაშით, საკუთარ თავთან თავქარიანი ლაყბობის ნიღბით, ან კაცობრიობისათვის სიკეთის მოტანის კეთილშობილი ოცნებებით გართულმა ვცადე მთლიანად საკუთარი ნებელობის სუბსტანციით ამეგო ყველაფერი. მთლიანად საკუთარი თავისაკენ მიმართული ნებელობა კი სხვა არაფერია, თუ არა უსასრულო მარტოობა, როგორც შავი კესპერლინი ამბობს თომას მანთან, მხოლოდ უკიდურეს სიცივესა და უკიდურეს

სიცხეს შორის არჩევანის შესაძლებლობა, თუ არა ყოფიერებასთან თანაობას მოკლებული და სამარადისოდ საკუთარ თავის წინაშე აღმოჩენილი ნებელობა. ამიტომაც არის, რომ თანაობისა და თავისუფლების განზომილებას მოკლებული სული ფარჯიანისეული „ფაუსტის“ სერიის მრუმე ფერებში დაეხეტება და მთელს ამ მკაცრ ფორმებსა და ცივ ფერებში მოქცეულ პანორამას თითქოს სასაზღვრო სიცივის გამომხატველი გაელვებები ანათებს. ესაა ფსალმუნისეული ბოროტების მღვიმის პანორამა, რომელშიც იგი საკუთარი ნებით შესულა.

ქრისტიანობის წიაღში სრულიად ბუნებრივია ეს შიში – შიში იმისა, ოდესღაც ხომ არ დაგიდია ხელშეკრულება ბოროტთან, ოდესღაც ხომ არ შეგიდენია საკუთარი თავი ამ მღვიმეში. იქნებ, ეს უკვე მოხდა – მოხდა ერთხელ, დღეს უკვე ძნელად დასადგენ წამს, მაშინ, როდესაც საკუთარი ნების მომავალი ძალმოსილების განცდით მთვრალმა ადამივით საბედისწერო ნაბიჯი გადადგი.

სად იმალება აქ ბოროტება? რა არის საიდუმლო იმ სუბსტანციისა, რომელიც მღვიმე, რომელიც მთლიანად საკუთარი თავისაკენ მიბრუნებული, მთლიანად საკუთარი თავის ჰიპნოტური ხიბლით შეპყრობილი ნებელობით აიგება. ბოროტებას და, ამავდროულად მღვიმეს, რომელიც ამ დროს იბადება, გოეთესთან მეფისტოფელი ჰქვია. მან საბოლოოდ უნდა დაადასტუროს მთლიანად საკუთარი თავისაკენ მიბრუნებული ნებელობის, გონებისა და გრძნობის სუბსტანციებით აგებული მღვიმის არსებობა, წინასწარ უნდა მოასინჯინოს სულს ტოტალური მარტოობის მთელი ძრწოლა, რათა ამით თავისდაუნებურად ახალი ჰორიზონტებისაკენ უბიძგოს მას. იგი ხომ ნაწილია იმ დიადი ძალის, ვისაც ავი სურს და კეთილს სჩადის. მას ლოგიკურ ბოლომდე მიჰყავს ადამიანის სულში მოციალე ნაპერწკალი ჯადოსნობისა, ბოლომდე მიჰყავს საკუთარი თავისაკენ მიბრუნებული გონების, გრძნობისა და ნების მთელი ჰიპნოტური ხიბლი და თავისდაუნებურად აღძრავს იმ ძრწოლას, რომლის შემდეგაც ახალი ჰორიზონტია. ეშმაკი ადამიანმა თავის სახედ და ხატად შექმნაო, წერს დოსტოევსკი. ეშმაკი სწორედ ამ საკუთარი თავისაკენ ტოტალური მიბრუნების პროდუქტია, შედეგია იმ მდგომარეობისა, როდესაც საკუთარი თავით ტკბობაში ჩაძირული სული გაუვალ წრეს შეჰკრავს. ეშმაკი სწორედ რომ პერსონიფიცირებაა ამ უსასრულო და სულის შემხუთველი მარტოობისა, უსასრულო მარტოობაში დარჩენილი სულისა, სულისა, რომელიც საკუთარი ნებით გამოქცევია თანაყოფნის მადლს და თვითკმარობის მაგნეტიზმით დატყვევებულა.

ამ მდგომარეობისაკენ სვლის ფარული ვნება ისევე დასდევს ადამიანს, როგორც, მეორე მხრივ, ღვთის სიტყვაში თანაყოფნის წადილი. ცხოვრება სწორედ ამ ორის დაძაბულობაში დგინდება. ეგ არის, რომ ფაუსტი სრულიად გულწრფელად აღიარებს თავისი სულის ამ ბოროტი აჩრდილის ძალმოსილებას და გადაწყვეტილებასაც იღებს, მას მისდიოს. მისი ხსნა სწორედ ეს გულწრფელობაა, ეს გულწრფელი ვნებაა, თავისუფლად მიეცეს საკუთარი სულის იმპულსებს და ცოდვასა და მადლს შორის თვალთმაქცური თამაშით არ მოიტყუოს თავი.

ფაუსტური ვნება, ალბათ, მუდამ იარსებებს ადამიანში, ფარულად თუ აშკარად, მუდამ იციალებს შურისძიების სურვილი სამოთხიდან განდევნის გამო და მოძებნის მოკავშირეს, რომელიც ბედნიერების განცდას დაუბრუნებს. ეს მოკავშირეც ხომ საკუთარი ნებით ტკბობის გამო გამოდევნეს თავის დროზე ანგელოსთა დასიდან და, მაშასადამე, მათი კოსმიური ბედი რაღაცით ძალზე ჰგავს ერთმანეთს. მთავარია, მიენდოს ამ უკანასკნელის ანთროპოგონიას და არ იუცხოვოს, თუკი მისგან ახალი გოლემის, ჰომუნკულუსისა თუ ცახესის შექმნას მოინდომებენ. მთავარია, რომ გაბედოს აღიარება იმისა, რომ სადღაც და ოდესღაც სისხლით მოუწერია ხელი საბედისწერო ხელშეკრულებაზე და ახლა ჟამიდანჟამს გაღვიძებული სინანული საკუთარი სურვილების ქმედითობის გამო ბედნიერების გრძნობით გადაფაროს. ჰოდა, მიჰყვება თავის მეგზურს მიწიდან ამოსროლილი ცეცხლის ალებით განათებულ გზებზე, თუმცა კი ხანგამოშვებით თავისი მეგზურს უჟინიანდება და ჭირვეულობით ცდილობს ფასი დაიდოს.

„ფაუსტის“ სერიაში კონტურები იბადება უკვე არა ფერთა თამაშით, არამედ, თუ შეიძლება ითქვას, როგორც წყვდიადის მიერ ნათლის იმიტირების შედეგი. (წინადადება გაუგებარია) ამიტომაცაა ამ ფერებში ასეთი „მექანიკურობა“, ასეთი განსაზღვრულობა, თავისუფლებას მოკლებული იგივეობა საკუთარ თავთან. ასეთი ფერებით ნაქსოვ სხეულს ჩრდილი არ უნდა ჰქონდეს, რადგან თავად არის ჩრდილი. ასეთ სხეულთან შეხვედრა და დიალოგი შეუძლებელია. მასთან მექანიკური თანაყოფნაა შესაძლებელი და მხოლოდ მას შემდეგ, რაც ხელშეკრულებას დადებ თავად წყვდიადთან და საკუთარ თავს საკუთარი თავისავე უსიცოცხლო ორეულად აქცევ. თუმცა კი სხივი მაინც რჩება და როგორც არ უნდა ცდილობდეს მის მიჩქმალვას წყვდიადის განურჩევლობის ძალმოსილება, იგი მაინც რჩება, რადგან მის გარეშე თავად წყვდიადიც ვერ იარსებებდა. სწორედ ეს სხივი იხსნის გოეთესთან ფაუსტს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გია ბულაძე. მარტო ხეი. 1984 წელი.

ნოსტალგია წინათგრძნობაა იმისა, რომ წარსული არ არის „უწინ“ და რომ იგი „აქ და ახლაა“, იქ, სადაც ახლა ვარ და რომ მისი მეშვეობით კოსმოსი კვლავაც მაუწყებს იმას, რისი გამოთქმაც მან ერთხელ წამოიწყო. ეს სათქმელი კვლავაც განაგრძობს ჩემში ხმიანებას და ამით საზრისს ჰკარგავს ყოველგვარი ხანიერება და გრძეობა. და რამდენადაც ამ წინათგრძნობასთან ერთად ჩნდება იმის იმედიც, რომ ერთხელაც იქნება, ეს სათქმელი მთელი თავისი სისრულით აჟღერდება ჩემში, სწორედ ნოსტალგიაა ის, რაც კრავს დროთა სისრულეს და ჩემს არსებობას ამ სისრულის ზღურბლზე ამყოფებს. ამით კი მეხსიერება უკვე აღარ არის ის ადგილი, სადაც „უკან მოტოვებული“ ცხოვრების ნაფლეთებს მოუყრიათ თავი, იგი ამ ყოვლადსისრულის განთავსების ადგილია.

ამიტომაც არის მეხსიერება უცნაური რამ. იგი ინახავს გამოცდილებებს, რომლებიც საგნობრივად არასოდეს მოგვცემია. პირიქით, პლატონს თუ გავიხსენებთ, თითქოს თავად მეხსიერება სძენს საზრისს საგნობრივ გამოცდილებას; თითქოს ელოდება საბაბს იმისა, რომ გარეგან გამოცდილებებში გამჟღავნდეს და „აჰა“-ს განცდად მოგვევლინოს. მერე კი კვლავ სიზმარივით დაიწრიტოს ცნობიერების წიაღში და კვლავ დაელოდოს გამჟღავნების საბაბს. თუმცა, ისიც ხდება, რომ თითქოსდა ყოველგვარი საბაბის გარეშე გვეწვევა კვლავ თავისი უსიტყვო, უფორმო, უფერო მეტყველებით და უცნაური, მტანჯველად ნაცნობი ყოვლადსისრულით.

ეს ნახატიც ამგვარი გახსენების წინათგრძნობითაა გაჯერებული. ცეცხლოვანი სუბსტანციით ნაგები პანორამა, პირველადი ენერგიით რომ სუნთქავს, კოსმოგონიის იმ წამს გვახსენებს, როდესაც ჩანაფიქრსა და აღსრულებას შორის საზღვარი იყო წაშლილი; როდესაც ერთიანი პირველადი სუბსტანცია ჯერაც სუსტად იყო არტიკულირებული ფერებად, ბგერებად და ფორმებად და როდესაც მისი დინამიკა ჯერაც არ იყო იოლად ხელჩასავლები საზრისის მატარებელი. ეს ჯერ კიდევ ენერგიის ზღვაა, რომელიც ალაგ-ალაგ შენივთებულა და საკუთარ შენივთებასთან საზღვრად ჰორიზონტის ვიწრო, ნათელი, ჯერაც მკრთალი ზოლი გამოუკვეთავს. მისი საზრისი ცნობიერების წიაღში მიმალული ის განცდაა, ამ პანორამის მეშვეობით რომ ცდილობს თავი გაგვახსენოს.

პირველადი არსებობა არ არის ისეთი რამ, რაც ოდესღაც იყო. შესაქმე თავისთავად მარადი აქტია, რომელიც თამაშდება მიუხედავად იმისა, აღვიქვამთ თუ არა მას. მთავარია, რომ სახელდებით ვადასტურებთ – სწორედ ისე, როგორც ეს სადღაც და ოდესღაც განგვიჩინეს. ყოფიერება ამგვარი სახელდების გარეშე არ არსებობს და ამიტომაც ვართ ჩვენ ღვთის ხატისაებრ და მსგავსებისაებრ შექმნილი არსებანი. ჩვენ სახელს ვდებთ ღვთაებრივი ენერგიების დინამიკას და ამით კოსმიურ ძალისხმევას ვადასტურებთ. პანორამა, რომელსაც ვუცქერთ, ამ ძალისხმევის გარდუვალობითაა გაჯერებული – ადამიანთა იმ ლანდისებრ ფიგურებთან ერთად, მოჭრილ, მაგრამ მაინც ცოცხალ ხეს რომ მიასვენებენ და ამ უცნაურ მსვლელობაში არიან ჩართულნი. მათ მიღმა მთიანი პანორამაა, რომელიც უმალ გახევებული, ზღვრულად თბილი ფერებით გადმოცემული ცეცხლოვანი ენერგიაა, ვიდრე ნივთობრიობაა თავისი სიხისტითა და საკუთარი თავის იგივური ყოფით.

სწორედ ამგვარი, ხელახლა შობის ზღვარზე უნდა ყოფილიყო სამყარო, როდესაც მეფე მირიანის ბრძანებით ხუროებმა ჯვრის დასამზადებლად სასწაულთმოქმედ ხეს მიაგნეს და მცხეთაში გადმოასვენეს. ეს არის წამი, როდესაც ჰაიდეგერისეული ყოფიერების ხმა თავის წიაღში, ერთგვარ ლამის ამორფულ ცეცხლოვან მასაში მიაბრუნებს ყოველივეს და კოსმოსი ხელახლა იწყებს გაფორმებას, ხელახლა ბადებს ადამიანსაც და საკუთარ თავსაც. სხვაგვარად ვერ მოხდებოდა მას შემდეგ, რაც ღვთის განკაცება გახდა შესაძლებელი და ხორცადქმნილი ღვთის სიტყვა ყოველივეს ანად და ჰოედ ცხადდება. საბოლოოდ, ეს არის წამიერება, რომლის ნოსტალგიაც ფარულად თუ აშკარად დაგვყვება ყველას, ვინც მტკვრისა და არაგვის შესართავთან გათამაშებულ სამყაროს ტოტალური განახლების აქტში, ახალი ქართული კოსმოსის დაბადებაში ვართ სადღაც და ოდესღაც მონაწილენი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინსტალაციის პოლიტიკა

ბორის გროისი

დღეს ხელოვნებას ხშირად ათანაბრებენ არტ-მარკეტთან, ხოლო ხელოვნების ნაწარმოებს აღიქვამენ როგორც ნივთს. უდავოა, რომ ხელოვნება არტ-მარკეტის კონტექსტში ფუნქციონირებს და რომ ხელოვნების ნებისმიერი ნიმუში ნივთია. ამის მიუხედავად, ხელოვნება იქმნება და იფინება მათთვისაც, ვინც არ აპირებს, კოლექციონერი გახდეს. სინამდვილეში, სწორედ ასეთი ადამიანები წარმოადგენენ გამოფენების დამთვალიერებელთა დიდ უმრავლესობას. რიგითი დამთვალიერებელი გამოფენილ ხელოვნების ნაწარმოებებს ნივთებად არ აღიქვამს. ამავდროულად ფართომასშტაბიანი გამოფენების: ბიენალეების, ტრიენალეების, დოკუმენტებისა და მანიფესტების რაოდენობა მუდმივად მატულობს. მიუხედავად დიდი ფულისა და ძალისხმევისა, რომელიც ამგვარი გამოფენების მოწყობაშია ჩადებული, ისინი, პირველ რიგში, ეწყობა არა კოლექციონერებისთვის, არამედ რიგითი დამთვალიერებლისთვის, რომელმაც შეიძლება არც არასოდეს შეიძინოს ნამუშევარი. ამასთანავე, ხელოვნების ბაზრები, თითქოს მხოლოდ ხელოვნების მყიდველებისათვის რომ ეწყობა, უფრო და უფრო მეტად გადაიზრდება ხოლმე საჯარო ღონისძიებებში, რომლებიც ისეთ დამთვალიერებელს იზიდავს, ვისაც ან ნაკლებად აინტერესებს ხელოვნების ნაწარმოების შეძენა, ან ფინანსური მდგომარეობა ამის საშუალებას არ აძლევს. ამგვარად, ხელოვნების სისტემა ახლა სწორედ იმ მასობრივი კულტურის ნაწილად გარდაიქმნება, რომლის განსჯასა და გაანალიზებას ის, უკვე დიდი ხანია, შორიდან ცდილობდა. ხელოვნება მასობრივი კულტურის ნაწილი ხდება. არტ-მარკეტზე გასაყიდად შექმნილი ნამუშევრების წყაროს ნაცვლად იგი საგამოფენო საქმიანობის ასპარეზად გვევლინება არქიტექტურასთან, დიზაინთან და მოდასთან კომბინაციაში – ზუსტად ისე, როგორც ამას უკვე 1920-იან წლებში წარმოიდგენდნენ ავანგარდის, ბაუჰაუსის, ვხუტემასის და სხვა მიმართულებების პიონერები. ამგვარად, თანამედროვე ხელოვნება შეიძლება გავიგოთ, უპირველეს ყოვლისა, როგორც საგამოფენო საქმიანობა. ეს ნიშნავს, რომ დღესდღეობით უაღრესად რთულია, ერთმანეთისგან გავარჩიოთ თანამედროვე ხელოვნების ორი მთავარი წარმომადგენელი – ხელოვანი და კურატორი.

ხელოვნების სფეროში შრომის გამიჯვნა ტრადიციულად ცხადი იყო. ხელოვნება ხელოვანებს უნდა შეექმნათ, კურატორებს კი მათი შერჩევა და გამოფენა ეკისრებოდათ. მაგრამ დიუშანის შემდეგ შრომის ამგვარი გამიჯვნა მოისპო. დღეს უკვე აღარ არსებობს „ონტოლოგიური“ განსხვავება ხელოვნების შექმნასა და ხელოვნების გამოფენას შორის. თანამედროვე ხოლოვნების კონტექსტში ხელოვნების შექმნა ნიშნავს მის ხელოვნებად წარდგენას. ამგვარად იბადება კითხვა – შეიძლება თუ არა, და თუ შეიძლება, როგორ უნდა გავარჩიოთ ხელოვანის როლი კურატორის როლისაგან, თუკი აღარ არსებობს განსხვავება ხელოვნების შექმნასა და მის გამოფენას შორის? მე ვიტყოდი, რომ ამგვარი გამიჯვნა ჯერ კიდევ შესაძლებელია. საკითხს განვიხილავ იმ განსხვავების გაანალიზებით, რომელიც არსებობს რიგით გამოფენასა და ინსტალაციას შორის.

ტრადიციული გამოფენა ჩაფიქრებულია როგორც ხელოვნების ობიექტების კრებული, რომლებიც ერთმანეთის გვერდიგვერდაა განთავსებული საგამოფენო სივრცეში და ერთიმეორეს მიყოლებით დასათვალიერებლადაა გამიზნული. ამ შემთხვევაში საგამოფენო სივრცე ფუნქციონირებს როგორც ნეიტრალური, საჯარო ურბანული სივრცე, დაახლოებით როგორც გვერდითი გზა, საითაც გამვლელს შეუძლია დასწრების საფასურის გადახდისთანავე გადაუხვიოს. დამთვალიერებლის მოძრაობა საგამოფენო სივრცეში შეიძლება ქუჩაში გასეირნებას და მარჯვნივ თუ მარცხნივ გაშენებული სახლების არქიტექტურის დათვალიერებას შევადაროთ. შემთხვევითი არ არის, რომ ვალტერ ბენიამინმა თავისი „არკადების პროექტი“ ამ ანალოგიაზე ააგო ქალაქში მოსეირნესა და გამოფენის დამთვალიერებელს შორის. ამ შემთხვევაში დამთვალიერებლის სხეული ხელოვნების მიღმა რჩება. ხელოვნება დამთვალიერებლის თვალწინ იშლება როგორც არტ-ობიექტი, პერფორმანსი, ფილმი. ამგვარად, საგამოფენო სივრცე გაგებულია, როგორც ცარიელი, ნეიტრალური, საჯარო სივრცე, საზოგადოების სიმბოლური საკუთრება. ამგვარი სივრცის ერთადერთი ფუნქციაა მასში განთავსებული ხელოვნების ობიექტების ადვილად წარმოჩენა დამთვალიერებლისთვის.

კურატორი განაგებს ამ საგამოფენო სივრცეს საზოგადოების სახელით – როგორც საჯარო საზოგადოების წარმომადგენელი. ამგვარად, კურატორის როლი არის მისი საჯარო ხასიათის შენარჩუნება, ამასთან, ცალკეული ხელოვნების ნამუშევრების საჯარო სივრცეში შემოტანა, მათი წარდგენა ფართო საზოგადოებისათვის. ცხადია, ხელოვნების ცალკულ ნიმუშს არ შეუძლია საკუთარი თავის წარდგენა, იგი დამთვალიერებელს ვერ აიძულებს, მას შეხედოს. მას ამისათვის აკლია სათანადო სასიცოცხლო ძალები, ენერგია. თითქოს ხელოვნების ნაწარმოები თავისი ბუნებიდან გამომდინარე, დასნეულებულია, უმწეოა. მის დასანახად დამთვალიერებელი მისაყვანია მასთან, როგორც სტუმარი – საწოლს მიჯაჭვულ პაციენტთან საავადმყოფოს პერსონალის მიერ. უბრალო დამთხვევა არ არის ისიც, რომ სიტყვა „კურატორი“ ეტიმოლოგიურად ენათესავება ცურე-ს, რაც „განკურნვას“ ნიშნავს. კურატორის საქმიანობა სურათს უმწეობის სნეუ-

ლებისგან კურნავს, საკუთარი თავის წარდგენით მის უუნარობას წამლობს. გამოდის, რომ საგამოფენო საქმიანობა მკურნალობაა, რომელიც დასნეულებულ გამოსახულებას კურნავს და მაყურებელს წარმოუჩენს, სურათს არსებობას შესძენს. მას გამოაქვს სურათი საზოგადოებრივ სამსჯავროზე. თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ კურატორობა ფუნქციონირებს როგორც დანამატი (supplement), როგორც შხამი (pharmakon). დერიდას გაგებით, იგი კურნავს სურათს და ამავდროულად ასნეულებს მას.

კურატორების იკონოკლასტური პოტენციალი თავდაპირველად წარსულის საკრალური ობიექტების მიმართ იქნა გამოყენებული ნეიტრალურ ცარიელ საგამოფენო სივრცეებსა თუ თანამედროვე მუზეუმებში ხელოვნების უბრალო ნიმუშებად მათი წარდგენით. პირველად სწორედ კურატორებმა (მათ შორის მუზეუმების კურატორებმა) შექმნეს ხელოვნება ამ სიტყვის თანამედროვე გაგებით. ხელოვნების პირველი მუზეუმები გაჩნდა (მე-18 ს-ის ბოლოს და მე-19 ს-ის დასაწყისში. გაფართოვდა მე-19 ს-ის განმავლობაში) იმპერიული პოლიტიკისა და არაევროპული კულტურების ძარცვის შედეგად – აგროვებდნენ ნებისმიერი სახის „ლამაზ“ ფუნქციონალურ ობიექტებს, რომლებიც წინათ რელიგიური რიტუალებისათვის იყო განკუთვნილი, ან ინტერიერის დეკორს, ან პირადი სიმდიდრის მაჩვენებლებს, და ფენდნენ მათ, როგორც ხელოვნების ნიმუშებს, ანუ როგორც ფუნქციაწართმეულ ავტონომიურ ობიექტებს, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ დასათვალიერებლადაა განკუთვნილი. ყველა სახის ხელოვნება წარმოიშვება როგორც დიზაინი, განურჩევლად იმისა, რელიგიურია ეს დიზაინი თუ ძალაუფლებას ემსახურება. თანამედროვეობაშიც დიზაინი წინ უსწრებს ხელოვნებას. დღესდღეობით თანამედროვე ხელოვნების ნახვისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ ის, რაც წარმოდგენილია ხელოვნების სახით, უპირველეს ყოვლისა, არის ფუნქციას მოკლებული დიზაინის ფრაგმენტები, იმისდა მიუხედავად, იქნება ეს მასობრივი კულტურის დიზაინი, დიუშანის "Fountain" (შადრევანით) დაწყებული და უორჰოლის "Brillo Boxes" (ბრილოს ყუთებით) დამთავრებული, თუ უტოპიური დიზაინი, იუგენდსტილით დაწყებული და ბაუჰაუსით დამთავრებული. რუსული ავანგარდიდან მოყოლებული დონალდ ჯადამდე ხელოვნება ცდილობდა, სახე მიეცა მომავლის „ახალ ცხოვრებისთვის“. ხელოვნება არის დიზაინი, რომელსაც ფუნქცია აღარა აქვს იმიტომ, რომ საზოგადოებამ, რომელმაც იგი წარმოშვა, ისტორიული მარცხი განიცადა, როგორც ინკების იმპერიამ ან საბჭოთა რუსეთმა.

მიუხედავად ამისა, თანამედროვე ეპოქაში ხელოვანებმა საკუთარი ნაწარმოებების ავტონომიის განმტკიცება დაიწყეს საზოგადოებრივი აზრისა და გემოვნებისაგან. მათ დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების უფლება მოითხოვეს თავიანთი ნაღვაწის შინაარსსა და ფორმაზე საზოგადოებისათვის ახსნა-განმარტების მიცემის გარეშე. თუმცა, მხოლოდ ნაწილობრივ მოიპოვეს ეს უფლება. საკუთარ ნებაზე ხელოვნების ნიმუშის შექმნის თავისუფლება არ იძლევა იმის გარანტიას, რომ ეს ნაწარმოები საჯარო სივრცეში გამოიფინება. ხელოვნების ნებისმიერი ნაწარმოების ჩართვა საჯარო გამოფენაში პოტენციურად მაინც უნდა იყოს საზოგადოებისათვის განმარტებული და გამართლებული. მიუხედავად იმისა, რომ ხელოვანი, კურატორი თუ კრიტიკოსი თავისუფალია განსაჯოს, რომელი ნაწარმოები გამოიფინება და რომელი – არა, თითოეული ამგვარი გადაწყვეტილების განმარტება და გამართლება ძირს უთხრის შემოქმედებითი თავისუფლების დამოუკიდებელ ხასიათს, რომელსაც მოდერნისტული ხელოვნება თავდაპირველად ესწრაფოდა. ნებისმიერი მსჯელობა, რომელიც ლეგიტიმაციას გაუწევს ხელოვნების ნაწარმოებს, მის ჩვენება-არჩვენებას გამოფენაში ხელოვნების სხვა ნაწარმოებებთან ერთად საერთო საჯარო სივრცეში, შეიძლება განვიხილოთ როგორც ამ ნაწარმოების შეურაცხყოფა. ამიტომ კურატორი ზუსტად ის პიროვნებაა, ვინც მუდმივად მედიატორის როლს კისრულობს ხელოვნებასა და დამთვალიერებელს შორის. ის ძალაუფლებას ართმევს როგორც ხელოვანს, ისე დამთვალიერებელს. ამგვარად, თანამედროვე ავტონომიური ხელოვნებისათვის არტ-მარკეტი უფრო ხელშემწყობი ჩანს, ვიდრე მუზეუმი ან საგამოფენო დარბაზი. არტ-მარკეტის პირობებში კონტექსტიდან ამოვარდნილი ხელოვნების ნაწარმოები ცალკე, კურატორის გარეშე, ცირკულირებს, რაც, როგორც ჩანს, ნაწარმოებებს საკუთარი დამოუკიდებელი წარმოშობის დემონსტრირებას უწყობს ხელს. არტ-მარკეტი პოტლაჩის წესების მიხედვით ფუნქციონირებს, როგორც ეს მარსელ მოსმა და ჟორჟ ბატაიმ აღწერეს. ხელოვანის გადაწყვეტილება, საზოგადოებრივი აზრისაგან დამოუკიდებლად იმუშაოს, საჯარო აზრზე მაღლა დგას, თუ მისი შემოქმედება კერძო მყიდველის დამოუკიდებელ სურვილს ემთხვევა, ამ ნამუშევრის შესაძენად ყოველგვარ საღ აზრს გადაჭარბებული თანხა გადაიხადოს.

ყოველივე ზემოხსენებულისაგან განსხვავებით არტ-ინსტალაცია არ მოძრაობს. იგი, პირიქით, ინსტალირებას უკეთებს

ყველაფერს, რაც ჩვენს ცივილიზაციაში მოძრაობს: ობიექტები, ტექსტები, ფილმები და ა.შ. ამავდროულად ის რადიკალურად ცვლის საგამოფენო სივრცის როლს, ფუნქციას. ინსტალაცია მოქმედებს გამოფენის საჯარო სივრცის სიმბოლური პრივატიზაციის პრინციპით. თავდაპირველად ინსტალაცია ჩვეულებრივ კურატირებულ გამოფენად შეიძლება მივიჩნიოთ, მაგრამ ინსტალაციის სივრცე ხელოვანის საკუთარ, დამოუკიდებელ ნებაზეა მოწყობილი, მას აღარ მოეთხოვება გამოფენაში ჩართული ობიექტების შერჩევის საჯაროდ გამართლება ან საინსტალაციო სივრცის მთლიანი ორგანიზება. ინსტალაციას ხშირად სპეციფიური ხელოვნების ფორმის სტატუსს არ აძლევენ, ვინაიდან მასში ხელოვნების მედიუმი არ არის მკაცრად გარკვეული და მკაფიოდ წარმოჩენილი. ნებისმიერ ტრადიციულ ხელოვნების დარგს, ანუ მედიუმს მისთვის დამახასიათებელი სპეციფიური მედია-მატარებელი განსაზღვრავს: ტილო, ქვა, ფოტოფილმი. ინსტალაციის მედია-მატარებელი კი თავად სივრცეა. ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ინსტალაცია რამენაირად „არამატერიალურია". პირიქით, ინსტალაცია მატერიალურია, ვინაიდან იგი სივრცობრივია, სივრცეში განთავსება კი მატერიალურობის ერთ-ერთი ყველაზე მთავარი დეფინიციაა. ინსტალაცია ცარიელ, ნეიტრალურ საჯარო სივრცეს ინდივიდუალურ და მთლიან სივრცედ აქცევს: იგი სთავაზობს დამთვალიერებელს, მთლიანობაში განიცადოს ეს სივრცე, როგორც ხელოვნების ტოტალური სივრცე, რომელში განთავსებული ნებისმიერი საგანიც ხელოვნების ნაწარმოების ნაწილად იქცევა იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ იგი მის ფარგლებშია მოქცეული. აქ უკვე მნიშვნელობას კარგავს განსხვავება არტ-ობიექტსა და უბრალო საგანს შორის. სამაგიეროდ, უაღრესად მნიშვნელოვანი ხდება განსხვავება მარკირებულ საინსტალაციო სივრცესა და არამარკირებულ საჯარო სივრცეს შორის.

როცა მარსელ ბრუდტერსმა თავისი ინსტალაცია Musee d'Art Moderne, Department des Aigles 1970 წელს დიუსელდორფის კუნსტჰალეში წარმოადგინა, მან ყოველ ექსპონატთან მოათავსა აბრა: „ეს არ არის ხელოვნების ნაწარმოები." მიუხედავად ამისა, მისი ინსტალაცია მთლიანობაში ხელოვნების ნაწარმოებად იქნა მიჩნეული, და ეს საფუძველს მოკლებული არ იყო. ეს ინსტალაცია გარკვეული შერჩევის პროცესს წარმოადგენდა, გაკეთებულ არჩევანთა თანმიმდევრობას, სივრცეში ჩართვა-არჩართვის ლოგიკას. აქ აშკარად ჩანს ანალოგია კურატირებულ გამოფენასთან. და ზუსტად ესაა მთავარი: ამ შემთხვევაში არჩევანი და წარმოდგენის მეთოდი მხოლოდ და მხოლოდ ხელოვანის სუვერენული პრეროგატივაა. იგი გამოხატავს პირად, ექსკლუზიურ, სუვერენულ გადაწყვეტილებებს, რომლებსაც აღარ სჭირდება არანაირი შემდგომი განმარტება ან დასაბუთება. ხელოვანის მიერ შექმნილი ინსტალაცია, ინდივიდუალური შემოქმედებითი პროექტით დაწყებული და გამოფენით დამთავრებული, სუვერენული უფლებების გაფართოების მეთოდია.

ეს ნიშნავს, რომ ინსტალაცია სწორედ ის სივრცეა, სადაც უშუალოდ წარმოჩინდება სხვაობა ხელოვანის სუვერენულ თავისუფლებასა და კურატორის ინსტიტუციონალურ თავისუფლებას შორის. თანამედროვე დასავლურ კულტურაში ხელოვნების ოპერირების რეჟიმი ძირითადად ხელოვნების თავისუფლებას გულისხმობს. თუმცა ხელოვნების თავისუფლებაში სხვადასხვა რამაა ნაგულისხმები კურატორისა და ხელოვანის მოღვაწეობის სფეროში. როგორც უკვე აღინიშნა, კურატორი, ე.წ. დამოუკიდებელი კურატორის ჩათვლით, საბოლოო არჩევანს დემოკრატიული საზოგადოების სახელით აკეთებს. მას ფაქტობრივად არც სჭირდება რაიმე მუდმივი საჯარო ინსტიტუტის წარმომადგენლობა საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობის მოსაპოვებლად: იგი უკვე დეფინიციითაა ინსტიტუტი. მაშასადამე, კურატორს ეკისრება მის მიერ გაკეთებული არჩევანის საჯაროდ გამართლება, თუმცა, შეიძლება ისეც მოხდეს, რომ ეს ვერ შეძლოს. რა თქმა უნდა, მოსალოდნელია, რომ კურატორს გააჩნია თავისუფლება, საკუთარი აზრი საზოგადოების წინაშე გამოთქვას, მაგრამ საჯარო დისკუსიაში ამ თავისუფალი აზრის გამოხატვას არაფერი აქვს საერთო ხელოვნების თავისუფლებასთან, რომელიც გამოიხატება კერძო, ინდივიდუალური, სუბიექტიური, სუვერენული შემოქმედებითი გადაწყვეტილებების მიღებაში ყოველგვარი არგუმენტაციის, ახსნა-განმარტებისა და დასაბუთების გარეშე. შემოქმედებითი თავისუფლების რეჟიმში ნებისმიერ ხელოვანს აქვს უფლება კერძო წარმოდგენებიდან გამომდინარე ექსკლუზიური ხელოვნება შექმნას. მეორე მხრივ, საჯარო პოლიტიკურ დებატებს დროდადრო აბრკოლებს სხვადასხვა პოლიტიკოსების კერძო, სუვერენული გადაწყვეტილებები. ესენი მანიპულაციას განიცდიან პირადი ინტერესების სასარგებლოდ (რაც პოლიტიკური სფეროს პრივატიზაციას ემსახურება). ხელოვანი და კურატორი განსაკუთრებით თვალნათლივ განასახიერებენ თავისუფლების ამ ორ სხვადასხვა სახეს: დამოუკიდებელ, უპირობო, საჯარო პასუხისმგებლობისაგან თავისუფალ შემოქმედებით თავისუფლებას და ინსტიტუციონალურ, პირობით, საჯარო პასუხისმგებლობას, რომელიც კურატორს ენიჭება. უფრო მეტიც, ეს ნიშნავს, რომ არტ-ინსტალაცია, სადაც ხელოვნების პროდუქციის აქტი ხელოვნების პრეზენტაციის აქტს ემთხვევა, საუკეთესო ექსპერიმენტალურ სფეროდ გარდაიქმნება იმ ორაზროვნების, ბუნდოვანი გაურკვევლობის გამოსავლენად და გამოსაკვლევად, რომელიც დასავლური თავისუფლების ცნებას უდევს საფუძვლად. ბოლო ათწლეულების მანძილზე ჩვენ თვალს ვადევნებდით კურატორების ახლებური პროექტების წარმოშობას. ასეთი პროექტები მათ ავტორიტარული და სუვერენული მოქმედების შესაძლებლობას აძლევენ. ამავდროულად, ჩვენ ვხედავთ ხელოვანთა ისეთი შემოქმედებითი პრაქტიკის წარმოშობას, რომელიც ავტორიტარიზმისაგან გათავისუფლების მიზნით ისწრაფვის თანამშრომლობისკენ, დემოკრატიულობისა და დეცენტრალიზაციისაკენ.

დღესდღეობით არტ-ინსტალაცია ხშირად აღიქმება ხელოვნების ისეთ ფორმად, რომელიც

ხელოვანს შემოქმედებით დემოკრატიულობას ანიჭებს, საშუალებას აძლევს საჯარო პასუხისმგებლობა იკისროს, დაიწყოს გარკვეული საზოგადოებრივი დაჯგუფების ან თუნდაც მთლიანი საზოგადოების სახელით მოქმედება. ამ გაგებით არტ-ინსტალაციის წარმოშობა, როგორც ჩანს, ნიშნავს მოდერნისტული ავტონომიისა და სუვერენიტეტის დასასრულს. ხელოვანის გადაწყვეტილება, შეუშვას მრავალი დამთვალიერებელი საკუთარ სახელოვნებო სივრცეში, აღიქმება დემოკრატიისათვის ხელოვნების დახურული სივრცის გახსნად. ეს დახურული სივრცე, როგორც ჩანს, გარდაიქმნება საზოგადოებრივი დისკუსიის, დემოკრატიული საქმიანობის, განათლების, კომუნიკაციის, საზოგადოებრივი ქსელების შექმნის, განათლებისა და ა.შ. პლატფორმად. მაგრამ საინსტალაციო შემოქმედებითი პრაქტიკის ამგვარი ანალიზი არ ითვალისწინებს საჯარო საგამოფენო სივრცის პრივატიზაციის სიმბოლურ აქტს, რომელიც წინ უსწრებს დამთვალიერებელთა საზოგადოებისათვის საინსტალაციო სივრცის გახსნას. როგორც უკვე აღვნიშნე, ტრადიციული საგამოფენო სივრცე სიმბოლური საჯარო კუთვნილებაა და კურატორი, რომელიც ამ სივრცეს განაგებს, საჯარო აზრის სახელით მოქმედებს. რიგითი გამოფენის დამსწრე საკუთარი ტერიტორიის დატოვების გარეშე იმ სივრცის სიმბოლური მფლობელი ხდება, სადაც ხელოვნების ნაწარმოებები დამთვალიერებელთა მზერისა და განსჯის წინაშეა წარდგენილი. და პირიქით, არტ-ინსტალაციის სივრცე ხელოვანის სიმბოლური კერძო კუთვნილებაა. ამ სივრცეში შესვლისთანავე დამსწრე ტოვებს საჯაროდ ლეგიტიმირებულ ტერიტორიას და შედის სუვერენულ, ავტორიტარულ კონტროლს დაქვემდებარებულ სივრცეში. დამსწრე აქ, ასე ვთქვათ, უცხო ტერიტორიაზეა, განდევნილია. დამსწრე ღებულობს სამშობლოდან დევნილის სტატუსს, და უცხოურ კანონებს უნდა დაექვემდებაროს – კანონებს, რომელსაც მას ხელოვანი უბოძებს. აქ ხელოვანი მოქმედებს როგორც კანონმდებელი, როგორც საინსტალაციო სივრცის განმკარგველი – თუნდაც, და შეიძლება ზუსტად იმ მიზეზის გამოც, რომ ის კანონი, რომელსაც ხელოვანი დამსწრეთა საზოგადოებას აქვემდებარებს, დემოკრატიულია.

ამ შემთხვევაში შეიძლება ითქვას, რომ ინსტალაციის მოწყობის პრაქტიკა ამჟღავნებს იმ უპირობო, სუვერენული ძალადობის აქტს, რომელიც თავდაპირველად ნებისმიერ დემოკრატიულ წყობას განამტკიცებს. ცნობილია, რომ დემოკრატიული წყობა ვერასდროს განმტკიცდებოდა დემოკრატიული გზით; დემოკრატიული წყობა ყოველთვის წარმოიშობა სისხლიანი რევოლუციის შედეგად. კანონის განმტკიცება მისი დარღვევაა. თავდაპირველ კანონმდებელს არასდროს შეუძლია კანონიერად მოქმედება. იგი განამტკიცებს კანონიერ წესრიგს, მაგრამ თავად ამ წესრიგს არ ემორჩილება. იგი ამ წესრიგის ფარგლებს გარეთ რჩება იმ შემთხვევაშიც კი, როცა შემდგომში მის დამორჩილებას გადაწყვეტს. არტ-ინსტალაციის ავტორიც ამგვარი კანონმდებელია. ის დამსწრეთა საზოგადოებას ჩამოსაყალიბებელ სივრცეს უბოძებს და განსაზღვრავს წესებს, რომლებიც ამ საზოგადოებამ უნდა დაიცვას, მაგრამ ყოველივე ამას საზოგადოებისაგან განცალკევებოთ ახორციელებს, მის გარეთ რჩება. ეს სინამდვილეში ასეა იმ შემთხვევაშიც, თუ ხელოვანი გადაწყვეტს, შეუერთდეს იმ საზოგადოებას, რომელიც შექმნა. ამ შემდგომმა საფეხურმა თვალიდან არ უნდა გამოგვაპაროს პირველი – სუვერენული საფეხური. ასევე არ უნდა დაგვავიწყდეს: გარკვეული წესრიგის, ე.წ. პოლიტეია-ს შემოღებისთანავე, დამსწრეთა საზოგადოების ჩამოყალიბებისთანავე, ინსტალაციის შემქმნელი ხელოვანი ხელოვნების დაწესებულებების მხარდაჭერაზე უნდა იყოს დამოკიდებული შექმნილი წესრიგის შესანარჩუნებლად იმისათვის, რომ ინსტალაციის დამთვალიერებლები მკაცრად დაუქვემდებაროს არასტაბილური პოლიტეია-ს წესებს. რაც შეეხება პოლიციის როლს სახელმწიფოში, ჟაკ დერიდას ერთ-ერთ წიგნში (La force de lois) გამოხატული აზრით, მიუხედავად იმისა, რომ პოლიციისაგან გარკვეული კანონების ფუნქციონირების ზედამხედველობას მოელიან, იგი ფაქტობრივად ასევე მონაწილეობს სწორედ იმ კანონების შექმნაში, რომელთა დაცვის უშუალო ზედამხედველობა მას ევალება. კანონის დაცვა ასევე ყოველთვის ნიშნავს ამ კანონის მუდმივად ახლიდან შექმნას. დერიდა ცდილობს დაგვანახოს, რომ წესრიგისა და კანონის შემოღების ძალადური, რევოლუციური, სუვერენული აქტი შემდგომში მთლიანობაში ვერასდროს ვერ ამოიშლება. ძალადობის ამ თავდაპირველ აქტს შეუძლია იყოს და ყოველთვის იქნება კიდეც ისევ და ისევ მობილიზებული. ეს განსაკუთრებით ცხადია ახლა – დემოკრატიის ძალადური ექსპორტის, განმტკიცებისა და შენარჩუნების ეპოქაში. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საინსტალაციო სივრცე მოძრავია. არტ-ინსტალაცია ადგილმდებარეობაზე არ არის დამოკიდებული და შეიძლება აიგოს ნებისმიერ ადგილას ნებისმიერ დროს. არ უნდა შეგვექმნას ილუზია, თითქოს შეიძლება არსებობდეს ყოველგვარი კონტროლისაგან თავისუფალი, დამოუკიდებელი, დადაისტური, ქაოტური, ფლუქსუსის მაგვარი საინსტალაციო სივრცე. თავის ცნობილ ტრაქტატში Français, encore un effort si vous soulez être républicains მარკიზ დე სადი წარმოადგენს სრულიად თავისუფალ საზოგადოებას, რომელმაც გააუქმა ყველა არსებული კანონი და მხოლოდ ერთი შემოიღო: ყველას შეეძლო ის ეკეთებინა, რაც მოესურვებოდა, ნებისმიერი დანაშაულის ჩათვლით. ამავდროულად განსაკუთრებით საინტერესო ის არის, რომ, როგორც დე სადი აღნიშნავს, საჭიროა კანონის ძალაში მოყვანა იმისთვის, რომ ადგილი არ ჰქონდეს მცდელობებს ზოგიერთი ტრადიციულად მოაზროვნე მოქალაქეების მხრიდან, ისევ დაუბრუნდნენ ძველ რეპრესიულ სახელმწიფო წყობას, სადაც ოჯახი დაცულია და დანაშაული – აკრძალული. პოლიცია იმისთვისაც გვჭირდება, რომ დანაშაული დავიცვათ მოძველებული მორალური წყობის მიმართ რეაქციული ნოსტალგიისაგან.

და მაინც, ძალადობის აქტი, რომელიც საფუძვლად უდევს დემოკრატიულ საზოგადოებას, არ უნდა იყოს აღქმული რო-

გორც მისი დემოკრატიული ბუნების მოწინააღმდეგე. სუვერენული თავისუფლება, როგორც ჩანს, არადემოკრატიულია. ამგვარად, იგი ასევე, როგორც ჩანს, ანტიდემოკრატიულია. ამისდა მიუხედავად, თუნდაც ეს პირველი შეხედვით პარადოქსულად მოგვეჩვენოს, სუვერენული თავისუფლება საჭირო წინაპირობაა ნებისმიერი დემოკრატიული წყობის წარმოსაქმნელად. ამ წესის საუკეთესო მაგალითია არტ-ინსტალაცია. ჩვეულებრივი გამოფენა ცალკე დამსწრეს მარტო ტოვებს, რათა იგი თავად დაუპირისპირდეს და გაიზიაროს გამოფენილი არტ-ობიექტები. ცალკეულ დამთვალიერებელს ერთიდან მეორე ექსპონატისაკენ მოძრაობისას უეჭველად თვალიდან ეპარება საგამოფენო სივრცის მთლიანობა, მასში მისი პოზიციის ჩათვლით. არტ-ინსტალაცია კი პირიქით, დამსწრეთა საზოგადოებას აყალიბებს სწორედ საინსტალაციო სივრცის მთლიანი, გამაერთიანებელი ხასიათის გამო. არტ-ინსტალაციის ნამდვილი დამსწრე არის არა ცალკეული დამთვალიერებელი, არამედ დამთვალიერებელთა კოლექტივი. არტ-ინსტალაციის სახელოვნებო სივრცეს, როგორც ასეთს, დამსწრეთა დიდი რაოდენობა, თუ გნებავთ, მრავალრიცხოვანი მასები წარმოადგენენ. დამსწრეთა ეს დიდი რაოდენობა ცალკული დამთვალიერებლისათვის გამოფენის ნაწილი ხდება და პირიქით.

მასობრივ კულტურას გააჩნია განზომილება, რომელსაც ხშირად ყურადღებას არ აქცევენ. ის განსაკუთრებით თვალსაჩინო ხდება ხელოვნების კონტექსტში. პოპ-კონცერტი თუ ფილმის ჩვენება დამსწრე მაყურებელთაგან საზოგადოებრივ დაჯგუფებას ქმნის. ამ დროებითი დაჯგუფებების წევრები ერთმანეთს არ იცნობენ. მათი სტრუქტურა შემთხვევითია. გაურკვეველია, ეს ხალხი საიდან მოდის და სად წავა. მათ ერთმანეთისათვის ბევრი სათქმელი არა აქვთ – აკლიათ საერთო თვითმყოფადობა ან საერთო წარსული, რომლის შედეგადაც მათ საერთო მოგონებები დააკავშირებდა. ამისდა მიუხედავად, ეს მაინც საზოგადოებებია. ამგვარი საზოგადოებები მატარებლის ან თვითმფრინავის მგზავრებს მოგვაგონებს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს რადიკალურად თანამედროვე საზოგადოებებია და გაცილებით უფრო მჭიდრო, ვიდრე რელიგიური, პოლიტიკური ან მომუშავეთა საზოგადოებები. ყველა ტრადიციული საზოგადოება ეფუძნება იმ წინაპირობას, რომ მისი წევრები ერთმანეთთან თავიდანვე დაკავშირებულნი არიან რამით, რაც წარსულიდან მოდის: საერთო ენა, საერთო სარწმუნოება, საერთო პოლიტიკური ისტორია, საერთო აღზრდა. ასეთი საზოგადოებები ჩვეულებისამებრ ქმნიან საზღვარს საკუთარ თავსა და უცხოელთა შორის, ვისთანაც მათ საერთო წარსული არ გააჩნიათ.

კონტრასტი იმაშია, რომ მასობრივი კულტურა ისეთ საზოგადოებებს ქმნის, რომლებიც სცდება რაიმე საერთო წარსულს – ეს ახალი ტიპის უპირობო საზოგადოებებია. სწორედ ეს ამჟღავნებს მოდერნიზაციის მის უზარმაზარ პოტენციალს, რომელიც ხშირად ყურადღების მიღმა რჩება. თუმცა, თვით მასობრივ კულტურას არ შეუძლია ბოლომდე აირეკლოს და განავითაროს ეს პოტენციალი, ვინაიდან საზოგადოებები, რომლებსაც იგი ქმნის, არასაკმარისად ათვითცნობიერებენ საკუთარ არსებობას. იგივე შეიძლება ითქვას იმ მასებზე, რომლებიც მოძრაობენ თანამედროვე საგამოფენო სივრცეებში – მუზეუმებსა და საგამოფენო დარბაზებში. ხშირად ამბობენ, რომ მუზეუმები ელიტარულია. მე ყოველთვის მანცვიფრებდა ეს აზრი, რომელიც უპირისპირდება ჩემს პირად გამოცდილებას, როცა ვუერთდები საგამოფენო დარბაზებსა და მუზეუმებში ხალხთა მასების მუდმივ ნაკადს. ნებისმიერს, ვისაც ოდესმე მანქანის დასაყენებელი ადგილი უძებნია მუზეუმთან ან ქურქის დატოვება უცდია მუზეუმის გასახდელში, ან მუზეუმის ტუალეტი უძებნია, საფუძველი ექნება დაეჭვდეს ამ დაწესებულების ელიტურ ხასიათში, განსაკუთრებით იმ მუზეუმების შემთხვევაში, რომლებიც ზედმიწევნით ელიტურად ითვლება, როგორიცაა, მაგალითად, მეტროპოლიტენ მუზეუმი. დღესდღეობით ტურისტების გლობალური ნაკადების გათვალისწინებით მუზეუმის ნებისმიერი ელიტარული პრეტენზია სასაცილო ქედმაღლობად გვეჩვენება. და თუ ეს ნაკადები ერთ რომელიმე გამოფენას ასცდა, მისი კურატორი თავს ბედნიერად და ელიტარულად კი არ ჩათვლის, არამედ იმედგაცრუებული იქნება, ვინაიდან მასებს ვერ მისწვდა, მიუხედავად იმისა, რომ ეს მასები საკუთარ თავს, როგორც ასეთს, ვერ ათვითცნობიერებენ. ისინი არანაირ წესრიგს (პოლიტეია) არ წარმოადგენენ. პოპ-კონცერტის ფანატების ან კინომაყურებლების პერსპექტივა ზედმეტად პირდაპირია – სცენასა თუ ეკრანს მიმართული – იმისათვის, რომ მათ შესაძლებლობა ჰქონდეთ, სათანადოდ გააცნობიერონ და გაითვალისწინონ სივრცე, სადაც ისინი თავს იყრიან, ან დაჯგუფება, რომელსაც ისინი შეადგენენ. ასეთ ანალიზს გვიჩვენებს პროგრესული თანამედროვე ხელოვნება, ინსტალაცია თუ ექსპერიმენტული კურატორული პროექტები. შედარებითი სივრცობრივი გაყოფა, რომელსაც საინსტალაციო სივრცე აწარმოებს, მსოფლიოსთვის ზურგის შექცევას არ ნიშნავს, ეს მასობრივი კულტურის დროებითი საზოგადოებების დელოკალიზაცია და დეტერიტორიალიზაციაა ისე, რომ მათ შესაძლებლობა აქვთ საკუთარი მდგომარეობა გაიაზრონ, საკუთარი „მე“, თვითმყოფადობა გაათვითცნობიერონ. თანამედროვე ხელოვნების სივრცე ის სივრცეა, სადაც მრავალრიცხოვან მასებს შეუძლიათ საკუთარი თავის ხილვა და განდიდება ისე, როგორც წინათ ღმერთს და მეფეებს შეეძლოთ საკუთარი თავის ხილვა და განდიდება ეკლესიებსა და სასახლეებში. ტომას სტრუტის მუზეუმის ფოტოები ძალიან კარგად აფიქსირებენ მუზეუმების ამ განზომილებას – დროებითი საზოგადოებების აღმოცენებასა და დაშლას.

ინსტალაცია უპირველეს ყოვლისა არასტაბილურ, მოძრავ მასებს აქ და ახლა ყოფნის აურას სთავაზობს. ინსტალაცია არის ზედმიწევნით ინდივიდუალური flânerie-ს მასკულტურული ვერსია, როგორც ეს ვალტერ ბენიამინს აქვს აღწერილი, და ამიტომ იგი აურის აღმოცენების ადგილია „უცოდინარების გასანათლებლად“. ზოგადად, ინსტალაცია მოქმედებს რეპროდუქციის

საპირისპირო პრინციპით. ანონიმური ცირკულაციის განუსაზღვრელი ღია სივრციდან ინსტალაცია იღებს ერთ რომელიმე ასლს და – თუნდაც დროებით – ათავსებს მას ტოპოლოგიურად მკვეთრად განსაზღვრულ „აქ და ახლა"-ს კონტექსტში, რომელიც უძრავი, სტაბილური და დახურულია. ჩვენი თანამედროვე მდგომარეობა არ შეიძლება დაყვანილ იქნას „აურის დაკარგვის" ყოფამდე, ასლის ცირკულაციამდე „აქ და ახლა"-ს მიღმა, როგორც ეს აღწერილია ბენიამინის ცნობილ ესსეში „ხელოვნების ნაწარმოები მექანიკური რეპროდუქციის ეპოქაში."

ბენიამინი მაღალი მოდერნისტული ხელოვნებისათვის იზიარებდა უნიკალური, ნორმატიული კონტექსტის რწმენას. ამ წინაპირობიდან გამომდინარე უნიკალური თავდაპირველი კონტექსტის დაკარგვა ხელოვნების ნაწარმოებისათვის აურის სამუდამო დაკარგვას, საკუთარი თავის ასლად ქცევას ნიშნავს. ხელოვნების თითოეული ნაწარმოებისათვის აურის დაბრუნება შეიძლება მოითხოვდეს მთელი იმ პროფანული სივრცის საკრალიზაციას, სადაც ასლი მოძრაობს ტოპოლოგიურად დაუკონკრეტებელ მასობრივ სივრცეში – რაც ნამდვილად ტოტალიტარული, ფაშისტური პროექტი იქნებოდა. ამაშია ბანიამინის აზროვნების მთავარი პრობლემა – იგი აღიქვამს ასლის მასობრივი მოძრაობის სივრცეს, და ზოგადად მასობრივ მოძრაობას, როგორც უნივერსალურ, ნეიტრალურ და ჰომოგენურ სივრცეში მოძრაობას. იგი დაჟინებით ამტკიცებს ვიზუალური შეცნობის უნარს და ასლის თვითმყოფადობას, როდესაც ის მოძრაობს ჩვენს თანამედროვე კულტურაში. მაგრამ ეს ორივე პრინციპული წინაპირობა იგულისხმება ბენიამინის ტექსტში. თანამედროვე კულტურაში გამოსახულება მუდმივად მოძრაობს ერთი მედიუმიდან მეორეში, და ერთი დახურული კონტექსტიდან მეორეში. მაგალითად, ფილმის პატარა ნაწყვეტი შეიძლება ნაჩვენები იქნას კინოთეატრში, შემდეგ კონვერტირებულ იქნას დიგიტალურ ფორმატში და ვინმეს ვებგვერდზე დაიდოს, ან ნაჩვენები იქნას კონფერენციაზე, როგორც ილუსტრაცია, ან ტელევიზორში – ვინმეს სასტუმრო ოთახში, ან სამუზეუმო ინსტალაციის კონტექსტში იქნას წარდგენილი. ამ გზით, სხვადასხვა კონტექსტებისა და მედიუმების გავლით, ფილმის ეს მცირე ნაწყვეტი ტრანსფორმაციას განიცდის სხვადასხვა პროგრამების ენების ზეგავლენით, სხვადასხვა პროცესების, ეკრანის სხვადასხვა ჩარჩოების, საინსტალაციო სივრცეში სხვადასხვა ადგილას დადგმის გავლენის ქვეშ და ა. შ. ამასობაში ჩვენ ერთსა და იმავე ფილმთან გვაქვს საქმე თუ არა? ეს ორიგინალის იგივე ასლის იგივე ასლია? გამოსახულების კომუნიკაციის, მისი გენერირების, მისი ტრანსფორმაციის და გავრცელების დღევანდელი ქსელები განსაკუთრებით ჰეტეროგენულია. ამ ქსელებში ცირკულირებისას გამოსახულებები მუდმივ ტრანსფორმაციას, გადაწერას, ახლიდან გამოცემას, ახლიდან დაპროგრამებას განიცდიან და ყოველ საფეხურზე ეს გამოსახულებები ვიზუალურად იცვლება. მათი ასლის ასლის სტატუსი იმავე ყოველდღიურ კულტურულ კონვენციად იქცა, როგორც წინათ ორიგინალის სტატუსი იყო. ბენიამინი ვარაუდობს, რომ ახალ ტექნოლოგიას შეუძლია ისეთი ასლების გაკეთება, რომლებიც გამოირჩევა ორიგინალთან ზუსტი მსგავსებით, როდესაც სრულიად საპირისპიროს აქვს ადგილი. თანამედროვე ტექნოლოგია აზროვნებს თაობების მასშტაბებით: და იმისათვის, რომ ინფორმაცია კომპიუტერებისა და პროგრამების ერთი თაობიდან შემდგომ თაობას გადავცეთ, საჭიროა ამ ინფორმაციის ძირეული ტრანსფორმირება. „თაობის" მეტაფორული ცნება, როგორც იგი ახლა იხმარება ტექნოლოგიის კონტექსტში, განსაკუთრებით მრავლის მაჩვენებელია. სადაც თაობებია, იქ არის თაობების ოიდიპალური კონფლიქტებიც. ყველამ იცის, რას ნიშნავს გარკვეული კულტურული მემკვიდრეობის გადაცემა სტუდენტების ერთი თაობიდან შემდგომი თაობისთვის.

ჩვენ არ შეგვიძლია ასლის, როგორც ასლის, დაფიქსირება ისევე, როგორც არ შეგვიძლია ორიგინალის, როგორც ორიგინალის, დაფიქსირება. მარადიული ასლები არ არსებობს, ისევე, როგორც მარადიული ორიგინალები. რეპროდუქცია ისევეა ინფიცირებული ორიგინალით, როგორც ორიგინალი რეპროდუქციით. სხვადასხვა კონტექსტში მოძრაობის შედეგად ასლი სხვადასხვა ორიგინალის სერიად იქცევა. კონტექსტის თითოეული ცვლილება, მედიუმის თითოეული ცვლილება შეიძლება აღქმულ იქნას, როგორც ასლის სტატუსის უარყოფა – როგორც ძირეული ბზარი, როგორც ახლიდან დაწყება, რომელიც ახალ მომავალს კარს უღებს. ამ გაგებით ასლი ასლი კი არა, ახალი ორიგინალია ახალ კონტექსტში. თითოეული ასლი თავისთავად ფლანეურ-ია, რომელიც დროდადრო ხარისხობრივ ამაღლებას განიცდის, რაც მას ორიგინალად აქცევს. იგი კარგავს ძველ აურას და იძენს ახალს. იგი კი არ იცვლება როგორც ასლი, არამედ სხვადასხვა ორიგინალებად გარდაიქმნება. ეს ასევე ცხადყოფს ვალტერ ბენიამინის მსჯელობას პოსტმოდერნისტული პროექტის შესახებ, რომელიც შთაგონებულია გამოსახულე-

ი. 67/56

ბის რეპროდუქციული, განმეორებადი ხასიათით და ისეთივე პარადოქსალურია, როგორც ორიგინალისა და ასლის შესახებ თანამედროვე მსჯელობა. ამგვარად, ეს ახსნის პოსტმოდერნული ხელოვნების მცდელობას, განსაკუთრებით ახლად მოგვაჩვენოს თავი, თუნდაც ან ზუსტად იმიტომ, რომ იგი თვით ახლის ცნების წინააღმდეგაა მიმართული. ჩვენი გადაწყვეტილება, გარკვეული გამოსახულება ორიგინალად ან ასლად ვაღიაროთ, კონტექსტზეა დამოკიდებული – ამ გადაწყვეტილების მიღების გარემოებებზე. ეს გადაწყვეტილება ყოველთვის თანამედროვეა. იგი წარსულს ან მომავალს კი არა, უშუალოდ თანამედროვეობას ეხება. და ეს გადაწყვეტილება ყოველთვის დამოუკიდებელია: ფაქტობრივად ინსტალაცია ასეთი გადაწყვეტილების მიღების სივრცეა, სადაც ადგილი აქვს „აქ და ახლა"-ს, რომლის განცდას შედეგად მასების განათლება მოჰყვება.

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ არტ-ინსტალაცია ცხადჰყოფს ნებისმიერი დემოკრატიული სივრცის (სადაც მრავალრიცხოვანი მასები, ხალხის დიდი რაოდენობა საკუთარ თავს აცნობიერებს) დამოკიდებულებას იმ გადაწყვეტილებებზე, რომლებსაც ხელოვანი ღებულობს, როგორც ამ სივრცის თავისუფალი კანონმდებელი. ანტიკური ხანის საბერძნეთის ფილოსოფოსებისთვის ისევე, როგორც წინა ხანის დემოკრატიული რევოლუციების ინიციატორებისთვის, ეს კარგად იყო ცნობილი. თუმცა, ბოლო დროს, ეს ფაქტი რაღაცნაირად ჩრდილში მოექცა მმართველი წრეების პოლიტიკური დებატების გამო. განსაკუთრებით ფუკოს შემდეგ ყველანი ვცდილობთ, ძალაუფლების წყაროს ძიებას არაპირად კავშირებში, სტრუქტურებში, წესებსა და პროტოკოლებში. თუმცა, ძალაუფლების არაპირად მექანიზმებზე ამგვარ ფიქსირებას შეუძლია დაგვავიწყოს იმ ინდივიდუალური, დამოუკიდებელი გადაწყვეტილებებისა და ქმედებების მნიშვნელობა, რომლებსაც ადგილი აქვთ კერძო, ჰეტეროტოპიულ სივრცეებში (ფუკოს მიერ შემოღებული კიდევ ერთი ტერმინი რომ ვიხმაროთ). ამდაგვარად თანამედროვე, დემოკრატიულ ძალებს ახასიათებთ მეტა-სოციალური, მეტა-საზოგადოებრივი, ჰეტეროტოპიული წარმოშობა. როგორც უკვე აღინიშნა, ხელოვანი, რომელიც გარკვეულ საინსტალაციო სივრცეს ქმნის, ამ სივრცის მიღმა რჩება. იგი ჰეტეროტოპიულია ამ სივრცის მიმართ, მაგრამ ეს არ ნიშნავს აუტსაიდერის მარცხს. საზოგადოებაში მიღება არ არის მხარდაჭერის აუცილებელი მანიშნებელი. არსებობს ასევე მხარდაჭერა საზოგადოებიდან გარიცხვის მეშვეობით, და განსაკუთრებით თვითგარიცხვის მეშვეობით. აუტსაიდერი შეიძლება ზუსტად იმიტომ იყოს ძლიერი, რომ იგი საზოგადოების კონტროლს არ ექვემდებარება, და საკუთარი დამოუკიდებელი ქმედებებით, სხვადასხვა საჯარო დისკუსიებით ან საზოგადოების წინაშე საკუთარი თავის მართლების ვალდებულებებით არ არის შეზღუდული. არასწორი იქნება თუ ვიფიქრებთ, რომ ამგვარი გარიყულობის სტატუსი სრულიად აღარ არსებობს თანამედროვე პროგრესისა და დემოკრატიული რევოლუციების პირობებში. პროგრესი რაციონალურია. შემთხვევითი არ არის, რომ ხელოვანისაგან ჩვენს კულტურაში სიგიჟეს ელიან (ან, ყოველ შემთხვევაში, ფუკო ფიქრობდა, რომ ექიმბაშებს და წინასწარმეტყველებს ჩვენს საზოგადოებაში ადგილი აღარა აქვთ), რომ ისინი ფსიქიატრიულ კლინიკებში მოათავსეს და აუტსაიდერებად აქციეს. მაგრამ ჩვენი კულტურა, უპირველეს ყოვლისა, ცნობილ პიროვნებათა (celebrity) კულტურაა და შეუძლებელია, კაცი ცნობილი გახდეს ჭკუიდან შეშლის გარეშე, ან, ყოველ შემთხვევაში, ამის გათამაშებისა და თავის მოჩვენების გარეშე (როგორც ჩანს, ფუკომ ზედმიწევნით ბევრი სამეცნიერო ლიტერატურა წაიკითხა და ძალიან ცოტა ყვითელი პრესა, ვინაიდან სხვაგვარად მას ეცოდინებოდა, რა სოციალური სტატუსი გააჩნიათ დღესდღეობით შეშლილებს. ასევე კარგადაა ცნობილი, რომ თანამედროვე პოლიტიკური ელიტა გლობალური მასშტაბის ცნობილ პიროვნებათა (celebrity) კულტურის ნაწილია, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი არ ეკუთვნის იმ საზოგადოებას, რომელსაც იგი მართავს. ეს გლობალური, ულტრადემოკრატიული, მეტა-სახელმწიფოებრივი ელიტა, რომელიც ნებისმიერი დემოკრატიული პრინციპით ორგანიზებული საზოგადოების მიღმა არსებობს, პარადიგმატულად კერძო ხასიათისაა. ეს ელიტა, ფაქტობრივად სტრუქტურულად ჭკუიდან შეშლილი, გონს მოკლებულია.

ეს მოსაზრებები არ უნდა მივიჩნიოთ ინსტალაციის, როგორც ხელოვნების ფორმის კრიტიკად მისი დამოუკიდებელი ხასიათის დემონსტრირების გამო. ხელოვნების მიზანი საბოლოო ჯამში ცვლილებების მოხდენა არ არის – ყველაფერი ისედაც თავისით იცვლება. ხელოვნების ფუნქციაა ჩვენება, იმ რეალობის დანახვება, რომელიც ზოგადად თვალიდან გვეპარება. ინსტალაციის ესთეტიკური სივრცის დიზაინის შექმნისას ხელოვანი განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას კისრულობს. იგი გვიჩვენებს თანამედროვე დემოკრატიული წყობის დაფარულ სუვერენულ განზომილებას, რომლის დამალვასაც პოლიტიკა უმეტესწილად ცდილობს. ინსტალაციის სივრცე ის სივრცეა, სადაც ჩვენ უშუალოდ ვუპირისპირდებით თავისუფლების თანამედროვე ცნების ორაზროვან ხასიათს, რომელიც ჩვენს დემოკრატიულ წყობაში მოქმედებს როგორც დაპირისპირება პირად სუვერენულ და ინსტიტუციონალურ თავისუფლებათა შორის. ამგვარად, არტ-ინსტალაცია ჩვენებადემონსტრირების სივრცეა ჰაიდეგერის გაგებით (იმ ჰეტეროტოპიული სუვერენული ძალაუფლებისა, რომელიც დემოკრატიული წყობის ორაზროვანი გამჭვირვალე ზედაპირის მიღმა იფარება).

ამ ტექსტის ვერსია ლექციის სახით წაკითხულ იქნა ლონდონის უაიტჩეპელ გალერეაში, 2008 წლის 2 ოქტომბერს.

©2009 e-flux და ავტორი

ინგლისურიდან თარგმნა
ლილი ფუერსტინოვ-ხოსიტაშვილმა


B.Gotsa
FAMILY WINES
ბექა გოცაძის სპეციალური ღვინები
B.Gotsa
FAMILY WINES
BABANEURI VALLEY
PRODUCT OF GEORGIA
FERMENTED AND AGED IN KVEVRI
WITH NATURAL
WILD YEAST
FREE OF ANY ADDITIVES, NONE FILTERED
www.gotsawines.com
beka@gotsawines.com

NEW

Esmart

เล่ม 5

ISSN 0134-9848